



N10 (561)

10/III-16/III-2011

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საბანკო

ტომი №54

ანტონ ფურცელაძე

მასში სვიტია

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 4 ლარი ღირს

შეძლავთ ტომი

სულხან-საბა ორბელიანი



სტუდიის განახლება უფრო ძვირი ჯდება თუ ეგვიპტეში 8 კასის მოგზაურობა?

აღუკვეთენ თუ არა ტელეწყვიან კახა ბენდუქიძეს ბილენიგყვამოვას?


„არ მიიდა, სხვა არსზე ვიხილო ისინი — გული დამწყდება“

მეყურებოდას დუბანს და ოთარ ტატიშვილს შორის არჩევანის გაკეთება მოუწავს

„უბა ქალაქის“ პირველმა სეზონმა „პროფილს“ რეჟიზინები წაართვა...

ბრძოლა მეყურებლისთვის

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი შურნალი სამართველოები!



ჩემს ჩონხასთან უნდა რა გენათქვამა, ჩემი ქაშარი უნდა სომარ ბიჭვინსო წაღზე...



„ქართველები და რძეების შეგპროვებელი გავსდი“...

საუკუნის ტოლი ფარეიდნელი ქალბატონი



უსაფრთხოა ორსულობის დროს

**ვაგინალური კანდიდოზის
ეფექტური მკურნალობა**



**ნებადართულია ორსულობის
ყველა ტრიმესტრში
და ლაქტაციის დროს**

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-6 დღე-
ეკიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება
ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება
აღინიშნოს წვის შეგრძობა.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



სოკოს საწინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება

რა არის თეთრად შლა?

ვულვოვაგინალური კანდიდოზი (ანუ თეთრად შლა) – გარეგანი სასქესო ორგანოების და საშოს სოკოვანი დაზიანებაა. კანდიდოზის გამომწვევია კანდიდას სახეობის საფუარისმაგვარი სოკო. ცნობილია, რომ ქალების 75%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

თეთრად შლის სიმპტომები:

პაციენტების ძირითადი ჩივილებია: ხატოსებრი გამონადენი საშოდან, ქავილი (რომელიც ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის შემდეგ), წვა, ტკივილი სქესობრივი აქტისა და მოშარდვის დროს.

რა იწვევს თეთრად შლას?

კანდიდას სახეობის სოკო შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელი ქალის საშოში (კანდიდამიტარებლობა) და ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებისას ისინი ხდებიან პათოგენურები. იმუნიტეტის დაქვეითება კი თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა დაავადებამ ან ანტიბიოტიკების და მაღალდოზირებული პორმონალური კონტრაცეპტული საშუალებების ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ. ორსულებში თეთრად შლა 2-ჯერ მეტი სიხშირით გვხვდება პორმონული ბალანსის შეცვლის გამო. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: მჭიდრო საცვლის (ტანსაცმლის) ტარება, სიმსუქნე, პირადი ჰიგიენის უგულვებელყოფა, ცხელი კლიმატი.

თეთრად შლა ორსულობის დროს:

თეთრად შლა ორსულობის პერიოდში სახიფათოა, რადგანაც შეიძლება პქონდეს არასასურველი გავლენა ახალშობილზე. სამშობიარო გზებში ნაყოფის გავლისას შესაძლოა პირის ღრუს კანდიდოზის განვითარება, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს საყლაპავის კანდიდოზში და შემდეგ გავრცელდეს სხვა ორგანოებზე. პიმაფუცინის უპირატესობაა მისი არატოქსიკურობა და მხოლოდ ადგილობრივი მოქმედება, რის გამოც იგი შეუცვლელი პრეპარატია ორსულებში კანდიდოზის სამკურნალოდ და ახალშობილების ინფიცირების პროფილაქტიკისათვის.

როგორ ვუმკურნალოთ თეთრად შლას?

პიმაფუცინის ვაგინალური სანთლების გამოყენებისას მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება მკურნალობის მეორე დღესვე. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცინის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექიმმა შეიძლება დანიშნოს პიმაფუცინის ნაწლავში სხნადი ტაბლეტები, ასევე პიმაფუცინის კრემი პარტნიორის სამკურნალოდ. მკურნალობის პროცესში არ არის აუცილებელი სქესობრივი კონტაქტის გამორიცხვა, არ არის რეკომენდებული მკურნალობის ჩატარება მენსტრუაციის დროს. მკურნალობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თქვენი პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.




www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვაგყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ულაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.“



ნიკო კეჭერაშვილი:

“ბრიტანულ ცენტრში” მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერო და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, რადგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერთიფიკატი ავიღო და ახლა უკვე მზად ვარ გავიღე გესტირებაზე



ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოვეგრადი)
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

სენალექსი

იზრკანი სიამოვნება

წარმოუდგენელი გზებისაგან!



ობიექტური არჩევანი:

- ატონიური შეკრულობისას
- ბუასილის დროს, პროქტიტებისა და უკანაბანის ბზარებისას
- ანარაციონალურ კვებასთან დაკავშირებული შეკრულობა
- სიტუაციის შეკრულობა
- აძლიერებს ნაწლავის მოძრაობის ფუნქციას, განსაუთრებით მსხვილი ნაწლავისა.
- მოქმედებს რბილად, უმტკინველოდ, ნელა.
- ხანგრძლივი მოხმარებისას არ ახორციელებს ტოქსიურ ზემოქმედებას ორგანიზმზე.
- არ იწვევს შემდგომ შეკრულობას.



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ფლუკოლდი

ფლუკოლდი თქვენი ოჯახის მგობარნი-გაციების საღარაოა!



გამოცდილი საშუალება,

თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში!



გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს



შურნალი „ისტორიანი“ და უკვდავი „დავით აღმაშენებელი“

მწერალს ხელისუფლებისთვის „ხარკის გადახდაც“ უნევდა. ამის მაგალითია რომანი სტალინზე, რომლის დაწერა ჯერ მიხეილ ჯავახიშვილისთვის შეუთავაზებიათ, მაგრამ მიხეილისგან განსხვავებით, გამსახურდიას ბერიასთვის მხოლოდ კალამი და ფურცელი უთხოვია.

10



როდის ენიჭებოდა მიუზიკოლოგიის სპეციალისტის თაგაში?


„მსახიობების ოჯახში გავიზარდე, დედაც და მამაც არტისტები იყვნენ და მთელი ბავშვობა კულისებში, გასტროლებსა და გადაღებებზე გავატარე“.

24



ცხოვრება

საუკუნის ბოლი ქალი



„მწვანე ფერის თავსაბურავი ეხურა, რომელსაც კუნწულები (იქ ასე ეძახიან) ეკიდა, თეთრი მოჩითული კაბა ეცვა და ლობიოს მიირთმევდა. მისი დანახვისას, ჩემი ბებიები გამახსენდა. ისე მოგვესალმა, როგორც ჩემთან სამეგრელოში გამიგონია“.

28



- **ვინიატიურები** 5
როზასა და კლარას ბოსტანი
- **ჭკალი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **გაფი** 9
ქველმოქმედება გმირულად დაღუპული შვილის სახელით
- **ახალი პროექტი** 10
შურნალი „ისტორიანი“ და უკვდავი „დავით აღმაშენებელი“
- **სამართალი** 12
- **პრობლემა** 14
„მოდური“ ენა და მისი დაუფლების მსურველთა მიზნები
- **ეკრანს მიღმა** 18
- **ბელარუსელები** 20
რა ჯდება უფრო ძვირი — მოგზაურობა ეგვიპტეში თუ აუზი სტუდიაში?
- **რეპორტაჟი** 23
„მარტი გიჟია და შეშლილია“...
- **მსახიობი** 24
საოცნებო პროფესია და „ჭიდაობა“ პედაგოგებთან
- **ქარიერა** 26
„თუ საკუთარი საქმე არ გიყვარს, წარმატებას ვერ მიაღწევ“
- **აღაფიანი, რომელიც არასოდეს დაგვიწყდება** 28

მშენილები

ინტერნეტით და ტელეფონით უმადგარე ნაცნობობა




ერთი ლამაზი დღე ავირჩიოთ და ვთქვათ, რომ ეს კაცების დღეა... ოღონდ, ერთი პირობით — ეს დღე აუცილებლად 8 მარტის მერე უნდა იყოს... როგორც თვითონ მოგვეცევიან 8-ში, ისე მოვეცევივით ჩვენც...

62

■ თინეიჯერული პონტები დედის დღეს მიღებული უჩვეულო საჩუქარი	30
■ თემა სხვისი შვილის დედა	33
■ ღრონი იური გაგარინი	35
■ გზა ტაქრისაკენ „როგორც კი ფრესკას ბოლო წერტილი დავუსვი, მარჯვენა ხელში ძალა გამომეცალა“	38
■ ტაქარი იგავი ვენახის მუშაკებსა და მათ საზღაურზე	41
■ ეს საყვარელი ვენეციის კარნავალი	42
■ ქართული სოციალის ლაგანები	43
■ ანტიდუკრისანტი	44
■ ავტო	46
■ საკითხავი ქალბისათვის	47
■ ჯანმრთელობა	48
■ რეალური მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	51
■ წვთი პოეზია	50
■ ქართული ღებეჭივი რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	54
■ რომანი სვეტა კვარცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	58
■ გზავნილები	62
■ ყველა ერთისათვის	66
■ მოზაიკა	74
■ ერუღივი	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სკანოვრდი	81
■ საფირმო კროსვორდი	82

საყვარელი



იგავი ვენახის მუშაკებსა და მათ საზღაურზე

შესაძლოა, ადამიანმა მთელი ცხოვრება იღვანოს, იმუშაკოს ღვთისთვის, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ დაძლიოს ვნებები, ამიტომ შესაძლოა, გვიან მისულზე ნაკლები ნეტარი მდგომარეობა მოიპოვოს სასუფეველში.

41

ბიბლუსი



ნაადრევი ენძელები

— რატომ გაქვს ასეთი ხმა?
— როგორი?
— რალცნაირად სევდიანი, — მზრუნველი ტონი ჰქონდა გიას.
— რა ვიცი... უფრო იმიტომ, ალბათ, რომ

„ძილმოკლული“ ლამე მქონდა.
— და რამ არ დაგაძინა? — ამჯერად „სის“ აღარ დააყოლა.
— ფიქრებმა.
— ვის ეკუთვნოდა შენი ფიქრები, ლამაზცხვირპირიანო?

58

ტაიმ-აუტი



„შველს ვერ მოვკლავ, მესოდება“

„ჟურნალ-გაზეთებს თითქმის ყოველდღე ვეცნობი. ვკითხულობ როგორც პოლიტიკურ, ასევე — „ყვითელ“ სტატიებს. ხელოვანი ხალხის ინტერვიუები ერთმანეთს ძალიან ჰგავს...“

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „პირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

როზასა და ელარას ნოსქანი



შესავლის ნაცვლად დღეს 8 მარტია და მიუხედავად იმისა, რომ მკითხველი „გზის“ ამ ნომერს მხოლოდ 10 მარტს მიიღებს, მე მაინც სიამოვნებით ვულოცავ ჩვენი ჟურნალის მკითხველ ქალბატონებს — ცხადია, მათ, რომლებსაც ეხებიებათ „ცხონებული“ როზასა და კლარას (ბრჭყალებში იმიტომ ვწერ, რომ თვით ამ ათვისტ ქალბატონებს არ სჯეროდათ ცხონებისა) მიერ დაარსებული დღესასწაული.

ისე კი დღეს, მიუხედავად რვა მარტობისა, სულ სხვა თემებზე საუბარს ვაპირებ — გაგიკვირდებით და, იმის გარდა, რომ პრეზიდენტმა მორიგი თათბირი ჩაატარა სოფლის მეურნეობის პრობლემებთან დაკავშირებით, ოპოზიციამაც ამოიღვა ენა (ცოცხლები ყოფილან), რვა მარტია (რას ერჩი, ბევრი ყოფილან) შეიკრიბა და ხელისუფლებას ბიომეტრიული პასპორტებით არჩევნების ჩატარების ხარჯები დაუწუნა...

ისე, ოპოზიციანზე რომ ვამბობ, არსად ჩანან-მეთქი, ცოტათი ვაჭარბებ — კუკავა რომ ჰყავთ ერთი (ეგვც ხომ ოპოზიციანში ითვლება?)

სულ ჩვენს რადიო „შალიტრის“ ეთერში არ ზის?! ხან „რეზიუმეში“ აფრქვევს სიბრძნეებს და ხან შალიკოსთან („იმ“ „დიდ შალვასთან“ კი არა, „ჩვენს შალვასთან“, რამიშვილთან) ლანძღავს სააკაშვილს.

არადა, რა ჭირს მიშას ვინმეს საკრიტიკო?!

აგერ, ბაკურ კვეზერელსა და მის „პიონერულ რაზმულს“ ისეთი კრება ჩაუტარა, თქვენი მოწონებული!

თბილისში არ გახლდით და ინტერნეტთან არ მიმინვდებოდა დღეს ხელი, მაგრამ რაც „კურიერში“ ვიხილე, სრულიად საკმარისი იყო — პრეზიდენტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი „მესიჯი“ გვტყორცნა:

იმით დავიწყებ, რაც არ ვიცოდით ანუ რაც ახალია — ჩვენ სინგაპური არ ვართო! ესეც ასე! ხომ არ იცოდით?! აქამდე ხომ „სინგაპურიზაცია“ გეგონათ ჩვენი ქვეყნის მთავარი „პოლიტეკონომიკური“ კურსი?! ჰოდა, მორჩა! „ბასტა“!..

და კიდევ — ტურისტული ქვეყანაც აღარ ვართ! დამთავრდა ეგ ოცნებაც! დროა, რეალობას დაჯუბრუნდეთო, პრეზიდენტმა ბრძანა (ვითომ მე ვამბობდი, — მესტია კურშაველს სჯობს და ხულო — დავოსს-მეთქი) — ჩვენ აგრარული ქვეყანა უნდა გავხდეთო!

არა, უნდა გავხდეთ კი არა, „ისევ უნდა გავხდეთო“: იცით, ბერძნულად „გეორგია“ მინათმოქმედს რომ ნიშნავსო (გაუგია)?!

წინა „პროვოკაციაში“ რომ ვწერდი, სამტრედიის სიმინდზე ილაპარაკა-მეთქი, ვიფიქრე, ეს უბრალო „ცალკვირიანი ახირებაა“ (როგორც იცის ხოლმე) და გაუვლის-მეთქი...



ჰმ, გაუვლის კი არა, — ჩვენ არა მარტო აგრარული ქვეყანა უნდა გავხდეთ, არამედ მთავრობაც (ხაზი გაუსვა, მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი არა, სხვებიცო) აგრარული მთავრობა უნდა გავხდეთო! 24-საათიანი შტაბი უნდა ამუშავდესო...

მე მაშინვე წარმოვიდგინე — ვერონიკა ქობალია და ხათუნა კალმახელიძე — ბოსტანში... ან — შტაბში... რა ვიცი, მიშამ შეიძლება, ვენახში წარმოვიდგინა, ან ბოსელში, თივაში...

ახლა იმას ვიტყვი, რაც ვიცოდით, ყოველ შემთხვევაში, მე ვიცოდი: პრეზიდენტმა „თქო“, ისე კი აღარ უნდა იყოს ჩვენი სოფლის მეურნეობა და პროდუქტებით მორაგება, ადრე რომ იყო, სეზონური საქმელები და (ახლა ყურადღებით, ზუსტ ციტირებას ვახდენ) „ზაფხულში ვჭამთ ამას და ზამთარში — ამას“ (თანაც აქ ხელის „რალაცნაირი“ მოძრაობა გააკეთა, შეგიძლიათ, „კურიერის“ არქივში გადაამოწმოთ), ან ზამთარ-ზაფხულ უნდა შეგვეძლოს, რაც გვინდა, ის მივირთვათო!!!

აი, ასე!
უნდა მოგახსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ბევრისაგან განსხვავებით (მაგალითად, ჩვენი ოპოზიციისგან), მე უკვე დიდი ხანია, ვხვდები, რომ მთელი ქვეყანა ზამთარ-ზაფხულ უკვე რამდენიმე წელია, „მაგას მივირთმევთ“, მაგრამ ზოგიერთს ეტყობა, უკვე სიამოვნებს და ბიომეტრიული პასპორტების ხარჯთაღრიცხვის გაბერვის გარდა, სხვა პრობლემას ვერ ხედავს...

P.S. პრეზიდენტი ისეთი ენთუზიაზმით ლაპარაკობდა სიმინდის მოსავლის გაოთხმაგებასა და მეცხოველეობის პროდუქციის გასამაგებაზე, რომ ჩანს, ეს მართლა არ იქნება მოკლევადიანი ახირება — ამიტომ მომიწევს ალბათ, მომავალშიც პომიდვრის ჩითილებსა და კიტრის მწილზე ლაპარაკი.
ჰოდა, სიმართლე რომ გითხრათ, გული მწყდება: საქართველო რომ აგრარული ქვეყანა უნდა იყოს, — მეც ვეთანხმები და რალაზე ვიშაყირო ხოლმე? არადა, რამდენი „შუტკა“ მქონდა მომზადებული, „ესენი“ რომ კომპიუტერების ან „მერსედესის“ ქარხნის აშენებას გადაწყვეტდნენ...
არა უშავს, დარწმუნებული ვარ, ცოტა ხანში სოფლის მეურნეობის მინისტრად ხათუნა გოგორიშვილს დანიშნავს ანდა სვანეთში ბანანების პლანტაციის გაშენებას ბრძანებს და მეც საქმე მომეცემა...

პროვოკატორი



ლუკაშენკომ სააკაშვილს ძალღიშვითი უწოდა




„მიხეილ სააკაშვილი ამერიკის ძალღიშვითია“, — ეს განცხადება ბელორუსიის პრეზიდენტმა ამერიკული გამოცემისთვის — Washington Post მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. „ახლანან საქართველოში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, სასტიკად ჩაახშო ოპოზიციის მანიფესტაცია. თქვენ კი მასთან ურთიერთობას განაგრძობთ. რატომ? — იმიტომ, რომ სააკაშვილი თქვენი ძალღიშვითია. გადავციტ ამერიკელებს, რომ ჩვენ მათ უდიდეს პატივს ვცემთ. არასდროს შეგქმნით რკინის ფარდას და

არ შევუშლით ხელს მათ ბელორუსიაში მოგზაურობას“, — აღნიშნა ლუკაშენკომ. მან 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მინსკის ცენტრში, აქციების ორგანიზებაში ამერიკული მხარე დაადანაშაულა. „სხვა ვინ უნდა დავადანაშაულო?! თქვენ აძლევდით მათ ფულს. აბა, ჩინეთი დავადანაშაულო? არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ ჩვენს ქვეყანაში მეხუთე კოლონა შექმნათ — ბელორუსიაში არსებული სისტემა შეარყიოთ. მე ნორმალური ხელისუფლება მაქვს, მაგრამ ღმერთი არ გაგინყრეთ, ჩვენს ქვეყანაში სიტუაცია არ შეატრიალოთ და მოვლენები არ შეცვალოთ“, — ასეთი მუქარით დაასრულა ბელორუსიის პირველმა პირმა თავისი ინტერვიუ „ვოშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტთან. ■

პუტინი და უსანჯურო სიტყვებით „შემაკული“ რუსული პოლიცია

რუსეთის პრემიერ-მინისტრს, ვლადიმერ პუტინს, ბრიანსკის საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ახალგაზრდა გოგონამ ერთობ სკანდალური კითხვა დაუსვა. როგორც ცნობილია, რუსეთში მილიციის რეფორმისა და პოლიციის კანონის ამოქმედების შედეგად, სხვადასხვა დანიშნულების უწყებებსა და დეპარტამენტებს სახელები გადაერქვა. ჟურნალისტმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი, სადაც უწყებების ან განყოფილებების დასახელებების აბრევიატურები რუსულ ენაზე სხვადასხვა უცნებო სიტყვას ან განმარტებას აღნიშნავს. მაგალითად: ИЕÇÄPÍ (Iiëëöäëñëëë Èíñíäëðìð Çàùëòì Ääòñòäà è Píóäñòäà); IËÄÐ (Iiëëöäëñëëë Èíñíäëðìð Äìðíäíäí Äääöëëòíäíëý) და ÄÄË (Äíñöäðñòääíäý Ääëíäý Èíñíäëöëý).




პუტინმა თქვა, რომ ასეთი უწმინური სიტყვები მასაც გაგონილი ჰქონდა, მაგრამ თუ რუსულ პოლიციასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, მხოლოდ ბრიანსკში შეიტყო. ■

სორვატელმა მოულოდნელად უპილი სხენზე გასვალს

სორვატელმა ცოლ-ქმარმა აღმოაჩინა, რომ ცხენის საყიდლად 300 ევრო აკლდებოდა და გამოიდევლს 15 წლის შვილი შესთავაზა. ახლა წყვილი ადამიანით ვაჭრობის ბრალდებითაა დაკავებული. ცოლ-ქმარმა ცხენი 68 წლის მამაკაცისგან შეიძინა. ცხოველის ღირებულება 700 ევრო იყო. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, პოლიციამ საქმეში 4 ზრდასრული ადამიანის მონაწილეობა გამოარკვია. ■


ჩინეთმა უსხოვლ ტურისტებს ტიბეტში ასვლა აუკრძალა



ჩინეთის ხელისუფლებამ უცხოელი ტურისტებისთვის ტიბეტის შესასვლელის კარი დახურა. ოფიციალურ პეკინს ამ გადაწყვეტილების მიზეზი არ დაუსახელებია. საინფორმაციო წყაროების ვარაუდით, აკრძალვის მიზეზი, შესაძლოა, ტიბეტში მომხდარი არეულობის სამი წლის თავი იყოს: 2008 წლის მარტში ავტონომიურ რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ ამბის შემდეგ ტიბეტში შესვლა უცხოელებს ერთი წლით აუკრძალეს. ■

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ




რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavispleba.ge



ქვეყანა

„ადრე თუ გვიან, კავკასიელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელვა გაუჩნდებათ“

ანუ სქემა, რომელმაც მტრებად ქსეული ხალხები უნდა გააართიანოს

„აფხაზეთმა და ოსებმა რუსეთისგან თავის დაღწევაზე ფიქრი დაიწყეს... ჩვენ ვიცით, როგორ შემოვირიგოთ ისინი“, — აცხადებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი ბობი სუციშვილი და ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების ახალ იდეას გვთავაზობს. როგორც ბატონო გოგი ამბობს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართველი და რუსი პოლიტოლოგები უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ერთმანეთს სტამბოლში ხვდებიან და მსჯელობენ. ახლახან პროექტში მონაწილე ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა თავიანთი ნაშრომების კრებული — „რუსეთი და საქართველო — კრიზისიდან გამოსვლის გზები“ გამოსცეს... წიგნის ერთ-ერთი ავტორი, ბატონო გოგი სუციშვილი საზოგადოებას კავკასიური კონფლიქტების შექმნის იდეას სთავაზობს და ირწმუნება, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული სქემა სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

მივიდეს. სხვათა შორის, ექსპერტების დიდი ნაწილი ყარაბაღის კონფლიქტის განახლების სტიმულატორად, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს მიიჩნევს. კონფლიქტის ძალადობრივი მეთოდით მოგვარების მცდელობას კავკასიაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ფაქტია, რომ კონფრონტაციებისა და საომარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ზომები მისაღები.

— ამ ეტაპზე რა ზომების მიღებაა შესაძლებელი?

— უნდა დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი... თუ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული პრობლემები გარკვეულწილად მაინც მოგვარდა და დროებითი ზავი დაიდო, მაშინ კავკასიაში ინტეგრაციის პროცესიც დაიწყება.

— დიალოგის დასაწყებად კომპრომისზე წასვლაა საჭირო, რასაც არც ერთი მხარე არ აპირებს...

— ვფიქრობ, თუ ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით, აზერბაიჯანიც წავა დათმობაზე, შესაძლოა, სომხეთმა ოკუპირებული ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დათმოს. ჩვენ არ

სათუნა ბახტურიძე

— ბატონო გოგი, მაინც როგორ გესახებათ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება და როგორია თქვენ მიერ ჩამოყალიბებული სქემა?

— კავკასიური კონფლიქტების სქემა არის „სამი პლუს სამი“, სადაც სამი სახელმწიფო (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და სამი განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორია (აფხაზეთი, ცხინვალი და ყარაბაღი) გაერთიანდებიან. აფხაზეთი, ცხინვალი და მთიანი ყარაბაღი — ეს არის სამხრეთკავკასიური კონფლიქტების ზონები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში, საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა. ამიტომ, გარკვეული რეგიონული პროცესების განვითარების შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ აქ, კავკასიაშია შესაძლებელი.

— რა პროცესებს გულისხმობთ?

— რეგიონულ ინტეგრაციას. პირველ რიგში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფრონ-

ტაციისა და წინააღმდეგობების დაძლევა.

— კონფრონტაციის დაძლევა როგორ იქნება შესაძლებელი, როდესაც ბოლო დროს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა? ექსპერტების ნაწილი ამ ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებასაც კი არ გამორიცხავს.

— კი, ბატონო, ამ ორ ქვეყანას შორის სიტუაცია უკიდურესად დაიძაბულია და შესაძლოა, საქმე ომამდეც



თქვენი შვილი 5-6 წლისაა და ვერ გადაწყვიტოთ. მზალაა თუ არა სკოლისთვის?

პრაქტიკული ფსიქოლოგიის სენტრი „პიკი“ გთავაზობთ სკოლისთვის მზაობის დიაგნოსტიკას.

ტესტირება საინტერესო და სახალისო ფორმით ტარდება. თქვენ შეიტყობთ, რამდენად კარგად აქვს განვითარებული ბავშვს მეხსიერება, მეტყველება, ინსტრუქციით მოქმედების, ლოგიკური აზროვნების, გარემოში ორიენტაციის და ადაპტაციის უნარი. ტესტირების შედეგები და ფსიქოლოგის რეკომენდაცია წერილობით ფორმით გადმოგცემთ.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ცენტრი „პიკი“

მის: ბარნოვის №71 ტელ: 895 28 60 40



ვამბობთ იმას, რომ ბაქომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს, უბრალოდ, ისეთი სტატუსი უნდა მიანიჭოს, რომლის საშუალებითაც ყარაბაღი აზერბაიჯანის პირისპირ მარტო არ დარჩება. ე.ი. როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიქმნება ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურა ანუ სამხრეთკავკასიური კონფედერაცია (ეს დაახლოებით ისეთი ორგანიზაციაა, როგორც ევროკავშირი. თქვენ იცით, რომ ამ ორგანიზაციაში შესულია როგორც ძველისძველი სახელმწიფოები, ასევე კოსოვოს მსგავსი ტერიტორიებიც), რომელშიც დანესდება უვიზო რეჟიმი და შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ამ ყველაფერს



მხოლოდ ერთი, რომელიმე ქვეყანა კი არ გააკონტროლებს, არამედ კავკასიის მასშტაბით შექმნილი, ერთიანი მმართველობითი ორგანო. ყარაბაღელებს მარტო ბაქო არ ეყოლებათ ზედამხედველად, აფხაზებს კი — თბილისი. ასეთ სიტუაციაში, აფხაზეთიც, ცხინვალიც და მთიანი ყარაბაღიც სხვაგვარად აღიქვამენ თავიანთ როლს ამ გაერთიანებაში და მათი ინტეგრაციაც ადვილად განხორციელდება.

— საქართველოს რა დათმობაზე მოუწევს წასვლა?

— თქვენ თუ დათმობად მიიჩნევთ იმას, რომ აფხაზეთი და ცხინვალის მხოლოდ საქართველოზე არ იქნებიან დამოკიდებული და ჩვენ ცალმხრივად, კავკასიური გაერთიანების გარეშე ვერ მივიღებთ ამ რეგიონებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, არ ვიც; სხვა მხრივ, არანაირ დათმობაზე არ მოგვინევს

წასვლა. ვფიქრობ, რომ საინტერესო სქემაა.

— იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ სქემის განხორციელებას მოსკოვი ხელს არ შეუშლის? ისე, კავკასიელები, რუსეთის „დახმარების“ გარეშეც ვერასდროს ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას...

— კავკასიური გაერთიანების ჩამოყალიბება მოსკოვის ინტერესში ნამდვილად არ შედის. რუსეთი პრობლემებს აუცილებლად შეგვიქმნის, მაგრამ ხელს ვერ შეგვიშლის. ყველაფერი მაინც კავკასიელ ხალხებზეა დამოკიდებული. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთი დავარწმუნოთ ჩვენი სქემის განხორციელების აუცილებლობაში. დამოუკიდებლად, ევროპისა და ამერიკის დახმარების გარეშე ამ იდეის განხორციელება ძალზე გაგვიჭირდა. სხვათა შორის, პრეზიდენტ სააკაშვილსაც ჰქონდა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაცია უნდა შექმნილიყო. ამის განხორციელება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა იმიტომ, რომ სომხეთთან კონფრონტაციაში ჩაბმა მოგვინევდა. კავკასიური კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში კი არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან არ მოგვინევს დაპირისპირება. საერთო კავკასიურ ოჯახში ყველა ქვეყანას, ავტონომიასა და ტერიტორიულ ერთეულს თავისი ღირსეული ადგილი ექნება მიჩენილი. ეს სიტუაციას ძალიან ცვლის. თქვენ აღნიშნეთ, რომ კავკასიელებს ყოველთვის უჭირდათ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა. გეთანხმებით, ეს ისტორიულად ცნობილი ფაქტია. მაგრამ დღეს რეალობა სხვაგვარია, საფრთხის შეგრძნება და ომის თავიდან აცილების სურვილი კავკასიელებს გაერთიანებისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენ ძალიან გვჭირდება ამ პროექტში ევროპისა და ამერიკის აქტიური ჩაბმა. სხვათა შორის, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებლად მიიჩნეოდა სომხეთსა და თურქეთს შორის დიალოგის დაწყება და საზღვრის გახსნა. ხომ ხედავთ, რომ უკვე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზეც დაიწყო საუბარი?

— საუბარი კი დაიწყო, მაგრამ რეალური ნაბიჯები ჯერ კიდევ არ არის გადადგმული...

— კი, მაგრამ ისიც კარგია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მე მაინც მგონია, რომ ადრე

თუ გვიან, კავკასიელებს კოლექტიური უსაფრთხოების ხედვა გაუჩნდება.

— ამ საკითხთან დაკავშირებით, კავკასიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან თუ გისაუბრიათ?

— კი, რა თქმა უნდა. ამ მოსაზრებების შესახებ ერევანსა და ბაქოში გამართულ კონფერენციებზე ვილაპარაკე. შეიძლება ითქვას, რომ იდეა უკვე „გამშვებული“...

— აფხაზეთისა და ოსების პოზიციაზეც თუ იცნობთ?

— აფხაზები ადრე ცალსახად ამბობდნენ, რომ მათ არ სურდათ ქართველებთან პირისპირ დარჩენა; ახლა (ხმაშალა — ვერა, მაგრამ მაინც...) ამბობენ, რომ არც რუსეთთან პირისპირ დარჩენა სურთ. აფხაზებმა გააცნობიერეს, რომ რუსეთი მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საშუალებას არ მისცემს. ამიტომ მათთვის ახლა გაცილებით მომგებიანია კავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება, სადაც საქართველოს წინაშე მარტონი არ იქნებიან.

— აფხაზეთისგან განსხვავებით, ოსებს სულ არ ანუხებთ ის ფაქტი, რომ რუსეთი მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საშუალებას არ აძლევს. ეს ხალხი დამოუკიდებლობისთვის არასდროს იბრძოდა, იმთავითვე რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას ითხოვდა. როგორ ფიქრობთ — მოინდომებენ კავკასიურ კონფედერაციაში განწევრებას?

— ვფიქრობ, მოინდომებენ — უბრალოდ, ამისთვის ბევრი უნდა ვიმუშაოთ და მათ ინტეგრაციაზე ვიზრუნოთ... მგონია, რომ მათთვისაც ძალიან საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ინიციატივა, — სხვა კავკასიელებთან ერთად, კოლექტიურად მიიღონ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები. ჩემი სქემის მიხედვით, აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, საქართველოს კი არა, კავკასიის შემადგენელი ნაწილებია. კავკასიელობაზე უარს არც თავად აფხაზები და არც ოსები ამბობენ.

— ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებას კავკასიური ქვეყნების მმართველ ძალებთან ანარაზობთ თუ ოპოზიციონერების აზრებსაც ითვალისწინებთ?

— აუცილებლად გავითვალისწინებთ ოპოზიციური ძალების მოსაზრებებსაც, თუმცა საბოლოოდ, ყვე-



ქველმოქმედება გმირულად დაღუპული უკრაინის სახელით



ლალი პაპასკირი

მკითხველს ალბათ ახსოვს ამ ქალბატონის მიერ მოთხრობილი ამბავი, რომელიც ჩვენი ყურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა: მან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ორი ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე შესწირა: 90-იან წლებში, აფხაზეთის ომში მეუღლე — ბადრი გზირიშვილი დაეღუპა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს კი ვაჟი — 20 წლის ვახტანგ გზირიშვილი დაეცა ცხინვალის მისადგომებთან...

მარინა გზირიშვილი:

— ეს ფონდი 2008 წლის ნოემბერში დავაფუძნეთ და ამ ხნის განმავლობაში 50-ზე მეტი დაღუპული თუ დაჭრილი ჯარისკაცის ოჯახს დავეხმარეთ. შარშან, შემოდგომაზე, 3 ჯარისკაცის შვილებს ვუყიდეთ სკოლის სახელმძღვანელოები... 3 მარტს, დედის დღეს, 5 ქალბატონს ჩვენი ფონდიდან 100-100 ლარი, ღვთისმშობლის ხატები და ტკბილეული გადავეცით. აქედან სამი — ცხინვალის ომში დაღუპულების — გიორგი ჯავახიშვილის, ლევან იოსებოვიძის და ალექსანდრე

„მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი დავკარგე, ვცდილობ, ყველა გმირულად დაღუპული თუ დაჭრილი ჯარისკაცის ოჯახს, ვისაც ხელშეწყობა ესჭირდება, როგორც შემძლია, ხელი გავუმართო. ამისთვის შევექმენი „ერთიანი საქართველოსთვის 2008 წლის აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ჯარისკაცის, ვახტანგ გზირიშვილისა და მისი თანამებრძოლების სახელობის საქველმოქმედო ფონდი“. მინდა, ყველა მათგანს ოდნავ მაინც შევუმსუბუქო ცხოვრება და იმედია, შევძლებ“, — ამბობს რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპული მეომრის დედა.

თანდაშვილის დედები არიან, ორი კი — აფხაზეთის ომში დაღუპული ბიჭების დედები (სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს)... ამ აქციაში, ჩვენი თხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოც მონაწილეობდა და ამ ქალბატონებს 200-200 ლარი გადასცა... მესმის, რომ ამ დუხჭირი ცხოვრების პირობებში ეს თანხა ბევრი არააფერია, მაგრამ მინდა, ცოტათი მაინც შევაშველოთ ხელი. მათ

უმეტესობას ინტენსიური მკურნალბა ესჭირდება; ამის საშუალება კი არა აქვთ და იმ თანხით მედიკამენტები მაინც რომ შეიძინონ, მაღლია...

— რაც შეეხება დაჭრილ ბიჭებს — მათაც თანხით ეხმარებით?

— დიას. მართალია, ეს თანხაც სიმბოლურია და უფრო ყურადღების გამოსხატვაა, ვიდრე დახმარება, მაგრამ მათთვის ეს ყურადღებაც ბევრს ნიშნავს... ამასთან, ჩვენ ხელშეკრულება გვაქვს დადებული იმ შვილის სახელობის ბავშვთა კლინიკასთან და ომში გმირულად დაღუპული მეომრების შვილები, ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდათ, რამდენჯერმე გამოკვლევებზე მივიყვანეთ. თუ არ ვცდები, სულ 20-ზე მეტი ბავშვი იყო და სამედიცინო კვლევა ერთჯერადი არ ყოფილა...

— რის მიხედვით ირჩევთ მეომრების შვილებს?

— იმათ ვეხმარებით, ვისაც მატერიალურად ძალიან უჭირთ...

— ფონდი შემოწირულობებით არსებობს?

— დიას. უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკური პირები გვეხმარებიან. სოციალურ ქსელში გვაქვს ჩვენი გვერდი, სადაც ჩვენი ანგარიშის ნომერიც მითითებულია და თანხასაც იქიდან რიცხავენ.

ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი

გაბთი 200355
ჯეოსელი 700555
ბილაინი 700555

ბთხოვთ დარეკოთ

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი

გაბთი 200320
ჯეოსელი 700305
ბილაინი 700333



ჟურნალი „ისტორიანი“ და უკვდავი „დავით აღმაშენებელი“

5 მარტს, თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საგამომცემლო სახლის „მედიპალიტრის“ კიდევ ერთი ახალი წამოწყების — ჟურნალი „ისტორიანის“ პრეზენტაცია გაიმართა. კომპანიის კრეატიულმა დირექტორმა მარიკა დარჩიამ და „ისტორიანის“ მთავარმა რედაქტორმა ჯაბა სამუშიამ დამსწრე საზოგადოების სამსჯავროზე წარმოადგინეს ჟურნალის მესამე ნომერი და კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიის — „დავით აღმაშენებელი“ პირველი ტომი, რომელიც მკითხველს „ისტორიანთან“ ერთად შეუძლია შეიძინოს. „ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანის“ სერიით დასტამებული ეს ნიგნი რვა ტომად მიწოდება საზოგადოებას და ჟურნალის მომდევნო ნომრებთან ერთად, სიმბოლურ ფასად — 3 ლარად გაიყიდება.



თავთა დოლიკა

„ისტორიანის“ მთავარმა რედაქტორმა ჯაბა სამუშიამ გამოსვლისას აღნიშნა, რომ ჟურნალმა მოკლე დროში უკვე შეიძინა მკითხველი, ისიც ცხადია, რომ ყველა თაობის წარმომადგენლებისთვის საინ-

ტერესისა და ფენის წარმომადგენლები ესწრებოდნენ; ისტორიკოსები, ჟურნალისტები, მწერლები. მათ შორის უმაღლესი გამოარჩევდით ბატონ გულაბერ ანანიავილი, რომელიც ისტორიისა და თვით ჟურნალის მსგავსებებისადმი პატივისცემის ნიშნად, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი მობრძანდა.

გულაბერ ანანიავილი:

— ეს არის მაღალი დონის ჟურნალი, ამერიკული ჟურნალის — National Geographic („ეროვნული გეოგრაფიული ჟურნალი“) მსგავსი. რაც შეეხება ჟურნალის მესამე ანუ დღევანდელ ნომერს, ეს არის ნამდვილად დიდი მონაპოვარი ქართველი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით — თანამედროვეთათვის. თუ მსგავსი ეროვნული საქმეები არ გაკეთდა, შეიძლება, ეროვნული თვითიდენტიფიკაცია დაიკარგოს ან შეირყვნას. ნუთუ ვერ

ხედავთ, რა ხდება ქვეყანაში?! ქართველი კაცი ბილწიყვავობს და ვანდალიზმსაც არ ერიდება. ამიტომ განსაკუთრებით მივესალმები ყველა ეროვნულ წამოწყებას და ვფიქრობ, ასეთი ტიპის ჟურნალები თავის დადებით ფუნქციას აუცილებლად შეასრულებს.

როლანდ თოფჩიშვილი,

პროფესორი:
— სამივე ნომერი მაღალპროფესიულ დონეზე არის შესრულებული, როგორც შინაარსის, ასევე პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც. ბავშვობიდან ვოცნებობდი მსგავს ისტორიულ ჟურნალზე და, როგორც იქნა, გაკეთდა. „ისტორიანის“ მსგავსი გამოცემები საჭიროა ეროვნული თავისთავადობის შესანარჩუნებლად, რადგან ისტორიის მასსოვრობა არის ეთნიკურობის ერთ-ერთი ნიშანი და ის ხალხი, რომელიც თავის ისტორიას ივიწყებს, ეროვნულობასაც კარგავს. იმედი მაქვს, ეს ჟურნალი დაეხმარება ყველა ასაკის ადამიანს, გაიხსენოს და შეისწავლოს თავისი ქვეყნის ისტორია, იმისთვის, რომ მუდამ დავრჩეთ ქართველებად და არ გადავწვდეთ. აი, რას აკეთებს „ისტორიანი“ და გააკეთებს მომავალშიც. რაც შეეხება ჟურნალთან ერთად გამოშვებულ ნიგნს, — მისი ავტორის სიტყვებს მოვიშველიებ და ახალბედა ჟურნალს „კარგ მკითხველს“ ვუსურვებ, რადგან „ახალგაზრდობას ცუდი აღზრდა აფუჭებს, კარგ სურათებს — უგემური მიშტერება, კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი, კარგ ნიგნს კი — ცუდი მკითხველი“.



ტერესოა, ამიტომ რედაქცია აღებულ გეზს არ უღალატებს და კვლავაც, თემატური თუ ფორმისეული თვალსაზრისით მრავალფეროვან გამოცემას შესთავაზებს საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ „ისტორიანი“ თბილისში გამოდის, ეს არ არის ჟურნალი მხოლოდ თბილისელებისთვის, მის მომზადებაში ჩაბმული არიან სხვა ქალაქებში მცხოვრები მეცნიერებიც. აქვე დავძენთ, რომ მსგავსი პრეზენტაციები იგეგმება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რაც საშუალებას მისცემს ყველას, ითანამშრომლოს ჟურნალთან. „შემდეგი ნომერი მკითხველის წინაშე წარდგება ახალი საბავშვო რუბრიკით, რომელიც ლამაზად იქნება გაფორმებული. ამასთანავე, ჩვენი ჟურნალი გააშუქებს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიას“, — თქვა ჯაბა სამუშიამ.





„ენუხვარ, მწერლობა პროფესიად რომ გადამეცა“, — წერდა კალმის ნამდვილი დიდოსტატი — კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც თურმე სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა. ის თავს პოპულარულ მწერლად არ მიიჩნევდა, უფრო მეტიც — სახელისთვის ბრძოლა ფუჭ შრომად მიაჩნდა, რადგან „სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, იგი თავად მოგაკითხავს“.



„მსოფლიოს უმთავრესი ფინიანის პირად შობილი ბიჭი“

წარმოიდგინეთ, 20-იანი წლების თბილისი და მის ქუჩებში შავი ჩოხით — ეროვნული გლოვის მანიშნებელი ამ ერთგვარი ალმით მოსიარულე კონსტანტინე და მისი მეგობრები. მწერალი სერგო ორჯონიკიძის მუქარას არად აგდებდა: ჩემს ჩოხასთან შენ რა გესაქმება, ჩემი ქამარი შენ ხომ არ გიჭერსო წელზე?! — და ცხენზე ამხედრებული, ხშირად ჩაუქროლებდა „ცეკას“ შენობას.

კონსტანტინე გამსახურდიას ცხოვრება და მოღვაწეობა ძალზე მძიმე ეპოქაში მოუხდა. ბევრჯერ იყო რეპრესირებული საბჭოთა რეჟიმის დროს ეროვნული მოღვაწეობისთვის, რომელსაც სამშობლოს საზღვრებს გარეთაც არ წყვეტდა. იგი ხშირად იმყოფებოდა გერმანიაში, სწავლობდა — პეტერბურგის, კენიგსბერგის, ლაიფციგის, მიუნხენის უნივერსიტეტებში. ჰამბურგში ყოფნისას, ტყვედყოფილი ქართველობა შეუკრებია და მის მიერვე დაქირავებული ხომალდით — „ქრისტიანიათი“ დაუბრუნებია სამშობლოში. მწერალმა იცოდა, რომ საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაპატიმრებდნენ, მაგრამ მაინც დაბრუნდა, რადგან „იმ გვარისა იყო, ვისაც უკან დახევა არა სჩვევია“. მას შემდეგ, ხან აჯანყებაში მონაწილეო-

„სიტყვები ჩვენი ყმაზია, ჩვენი ლაშქარი, გააჩნია, ვის რობორი ომის გადასდა დასჭირდება“

ბა დააბრალეს, ხან რუსიფიკაციის წინააღმდეგ გალაშქრების გამო „სტუმრობდა“ საბჭოთა ციხეს.





მწერალს ხელისუფლებისთვის „ხარკის გადახდაც“ უწევდა. ამის მაგალითია რომანი სტალინზე, რომლის დაწერა ჯერ მიხეილ ჯავახიშვილისთვის შეუთავაზებიათ, მაგრამ მიხეილისგან განსხვავებით, გამსახურდიას ბერიასთვის მხოლოდ კალამი და ფურცელი უთხოვია. ასე დაიწერა ტრილოგია „ბელადის“ პირველი ნიგნი და პარალელურად, რომანი — „დიდოსტატის მარჯვენა“. ბელადს „ბელადი“ არ მოეწონა, „დიდოსტატის მარჯვენა“ კი მის ერთ-ერთ საყვარელ ნაწარმოებად იქცა. მაგრამ კონსტანტინეს ოცნების ნიგნი ჯერ კიდევ დასაწერი იყო...

ოცდახუთწლიანი ოღისა

„დავით აღმაშენებლის ძვირფასი სახე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხიბლავდა. მახსოვს ის ბედნიერი დღეები ჩემი სიყრმისა, როცა ჩემს საყვარელ დედას, ფეხშიშველა დაყვავდი გელათში. ალტაცებული შევცქეროდი

დავითის დიდრონ, ცისფერ თვალებს, ალმასებით მოოჭვილ გვირგვინს, მის ომახიან ფიგურას, ფრესკაზე გამოსახულს“, — იხსენებდა მწერალი. მოგზაურობისას, თურმე ხშირად ადარებდა საყვარელ მეფეს ბიზანტიის იმპერატორებს, მაკედონის დინასტიის მოუხეშავ კეისრებს, უზურპატორ კომნენებს... ამ შედარებისას, უფრო და უფრო იზრდებოდა მის გულში დავითისადმი სიყვარული.

1939 წელს საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გადაედო ისტორიული ფილმი. კონსტანტინემ დაწერა სცენარი დავით აღმაშენებელზე, გიორგი ლეონიძემ და ანა ანტონოვსკაიამ კი — გიორგი სააკაძეზე. სტალინმა უპირატესობა „გიორგი სააკაძეს“ მიანიჭა. ამის შემდეგ გადაწყვიტა კონსტანტინემ, სცენარი ტეტრალოგიად ექცია. მწერალმა „დავით აღმაშენებელს“ „შეგნებული ცხოვრების თითქმის ერთი ნახევარი“ მიუძღვნა, რადგან სწამდა, რომ „წარსულის ასახვაში დიდი ზომიერებაა საჭირო“. მან ძირფესვიანად შეისწავლა დავითის ეპოქა და მეზობელი ქვეყნების ისტორია, ამავე ეპოქისთვის

<p>მუხის მაგიდა-სამაგი</p> 	<p>სამძინებელი</p>  <p>ახალი კოლექცია</p>
<p>ავეჯის სალონი "კლასიკა" იტალიური ავეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი</p>	
<p>1610 1369 ლარი</p>  <p>კუთხის დივანი</p>	<p>2950 2500 ლარი</p>  <p>ტყავის სამეული</p>
<p>აღ. ყაზაგვის 14^ბ ☎ 38 88 11 ც. დადიანის 7, "ქარვასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge</p> <p>კლასიკა Classica</p>	



შესაფერისი სიტყვების მოძიებასაც საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდა.

„**ორიოდე სიტყვა თავით სიტყვათა შესახებ**“

თუ წარმოიდგენთ, როგორ „ეთა-მაშება“ მწერალი თითოეულ ასოს, როგორ ათენებს საწერ მაგიდასთან „ჩხიკინა“ კალამთან ერთად, რომელსაც გაგულისებულ სმირად მოისვრის ხოლმე, როგორ „უბრაზდება“ სასვენიშნებს, რადგან ისინი ბევრ დროს ართმევენ... თუ მთელ ამ პროცესს წარმოიდგენთ, მიხვდებით, რომ ეს გენიალური ნაწარმოები ნიჭთან ერთად, უდიდესი შრომის ნაყოფია. ავი, ამბობდა კიდევ: „შრომაა საძირკველი ყოველივე წესიერებისა და მორალური სისპეტაკისა“.

თავიდან, ენის სირთულის გამო, საყვედურობდნენ. კონსტანტინემ „კრიტიკის სიგნალებს“ ანგარიში გაუწია და ენა, შეძლებისდაგვარად, გამართივა, რადგან სწამდა, რომ „ვინც კრიტიკას ვერ ითმენს, მას უთუოდ ცუდად აქვს თავისი შემოქმედების ბუჭხალტერიაში საქმე“.

როცა „უკანასკნელი ომი“ გადაიხადა, 71 წლის იყო. ტეტრალოგიის ბოლო წიგნს, სხვადასხვა ხელის შემშლელი მიზეზის გამო, დააგვიანდა. ამასობაში, მისი გმირები ავტორთან ერთად გაიზარდნენ, დავაუკაცდნენ და ჭალარაც შეეპარათ... ერთერთ წერილში ბატონი კონსტანტინე ალიარებს, რომ საკუთარ უბედობაზე მეტად, გმირების უბედობის გამო უტირია. ამიტომ, ვინც ამ წიგნს წაიკითხავს, მწერლის გულწრფელი ცრემლის გემოსაც გაიგებს, რადგან ის ისევ მისი გმირების ფილტვებით სუნთქავს, ისევ თავის ხელნაწერებს უკირკიტებს და ამბობს, — „თუ ხელს ლაღად უნავარდნია და ასოებიც ვაჟაკურად მოჯარულან, კარგია“.

სოტნე გამსახურდია: „**განაჩინი იმდენად იდიოტურია, კომენტარების სურვილის არ მათქვს**“

თბილისის საქალაქო სასამართლოში ცოტნე გამსახურდია უკვე მეორედ გაასამართლეს. ამჯერად, 339-ე მუხლით, კონტროლიორ სვინა ბასოშვილისთვის ქრთამის მიცემაში დასდეს ბრალი. პროკურატურის მტკიცებით, გამსახურდიამ ამგვარად, ციხის თანამშრომლის მოსყიდვა სცადა, ციხიდან რომ მისი წერილები გამოეთანა.

თავ სურსილავა

სასამართლო სხდომებს თავად განსასჯელი არ დასწრებია, მაგრამ მისი პოზიცია მისი განცხადებით გახდა ცნობილი. ამ განცხადების წაკითხვის უფლება პირველ სხდომაზე არ მისცეს — მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებებს არ ეხებოდა, — მაგრამ ის საქმეს მაინც დაერთო. გაირკვა, რომ იქ, ბევრ საყურადღებო ფაქტთან ერთად, ცოტნე გამსახურდია იმასაც ეხება, თუ როგორ მოუწყო ბასოშვილმა პროვოკაცია (სტილი დაცულია): „...ბასოშვილი მომიყვა, რომ ერთი წლის შვილი უკვდება და ძალიან გაჭირვებულ მდგომარებაში იყო, წერილების გადაცემაც მთხოვა. საქმე ის გახლავთ, რომ წინადადეს დედაჩემმა ტელეფონით მითხრა, ჩემთან მოვიდოდა პიროვნება, რომლისთვისაც სავარაუდოდ, კორესპოდენციის გადაცემას შევძლებდი... რამდენიმე საათის შემდეგ ისევ მოვიდა ბასოშვილი. გამიმეორა, რომ შვილი უკვდება და მთხოვა, ფინანსურად დავეხმარებოდი, დედაჩემისათვის მიმწერა თანხის შესახებ. თან თავზე მადგა, ჩქარა, ჩქარა, სახლში უნდა გავიქცეო. წერილის ბოლომდე დასრულებაც არ მაცალა... სწორედ მაშინ მივწერე დედაჩემს, ფინანსურად დახმარებოდა ბასოშვილს... ასე იქცა ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად მიცემული ფული, წერილების გატანის სანაცვლოდ მიცემულ ქრთამად. ამ საქმის შემთხვევაში გარეწრებმა აბსოლუტურად სწორად გათვალეს, რომ ასეთ სიტუაციაში ნებისმიერ ადამიანს დავეხმარებოდი... თავად ფაქტი, რომ ბასოშვილმა წერილების გადაცემა მომთხოვა, სხვა არაფერია, თუ არა „დანაშაულის“ პროვოკაცია. რატომ მაიძულეს, ბასოშვილის საშუალებით მეცადა აქედან კორესპოდენციის გატანა, განა ჭკუათამყოფელი ადამიანი დაინყებს ღია კარის მტკრევას?

თუ თვეების ნაშიმშილარ, სამართლო საკანში ჩაკეტილ ადამიანს ასეთი ქმედებები მახალისებდა და მინდოდა, ჩემთვის კიდევ ერთი ბრალდება „აეკიდებინათ“?.. რატომ მოხდა ჩემი ბლოკირება პატიმრების წამების დაწყების შემდეგ, და რატომ ერთხელ მაინც არ დაინტერესდა პროკურატურა ამ წერილებსა და ფარულ ჩანაწერებში აღწერილი საშინელებით?! ბასოშვილმა ფული ბავშვის გადასარჩენად მიიღო და არა წერილების გატანის სანაცვლოდ, რაც ამ საქმის მასალებითაც დასტურდება“, — წერდა ცოტნე გამსახურდია და სასამართლოს განაჩენიც ამ წერილში თავიდანვე იწინასწარმეტყველა. „...სხვა საქმეა, რომ სასამართლო ამ მასალების მხოლოდ ნაწილს გაითვალისწინებს და ყურადღებას არ მიუქცევს ობიექტურ გარემოებებს. ეს უკვე მრავალჯერ მაქვს გამოცდილი ქართულ სასამართლოებში. ბატონო მოსამართლე, მინდა იცოდეთ, რომ ქართულ სასამართლოში სამართლის პოვნის რაიმე ილუზია არ გამაჩნია. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეზე გადაწყვეტილება უკვე გამოცდილია და თქვენ მისი უბრალოდ „დამოწმება“ მოგიწევთ, შესაძლოა, თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ. რაც აქ ხდება, ჩემთვის შეურაცხმყოფელია. შეურაცხმყოფელია, რომ ადამიანი, რომელმაც თავად მთხოვა ფული ბავშვის სამკურნალოდ, ახლა მე მებრალეებს მოქრთამვის მცდელობას პროკურატურის დავალებით!.. შეურაცხმყოფელია, რომ პროკურატურა ფორმალურადაც არ დაინტერესებულა არც პატიმრების წამების ფაქტებით და არც ჩემი მდგომარეობით. ნაცვლად ამისა, ისევ მე მაქციეს დამნაშავედ!.. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის პერსონის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ვტოვებ სასამართლო დარბაზს, რადგან მომბეზრდა უკვე მერამდენეჯერ, უშედეგოდ, ბავშვივით აქ დგომა და თავის მართლ-





ბა იმისათვის, რაც არ გამოიკეთებია. საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს. აქ მოსამართლე სინამდვილეში თითქმის ისევე უუფლებოა, როგორც პატიმარი. წინასწარ ვიტყვი, რომ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც აქ აუცილებლად დადგება, იქნება არა მართლმსაჯულების შეცდომა, არამედ მორიგი სახელისუფლებო დაკვეთის შედეგი. წერონ და იკითხონ, თუ უნდათ, კიდევ დამიმატონ რამე! ჩემთვის სულერთია. მოვიტხოვ, მალე დამთავრდეს ეს აბსურდის თეატრები და გადამიყვანონ კოლონიაში“.



სახურდის დამნაშავედ გამოყვანა, ისევ და ისევ, სასჯელ-ალსრულების დეპარტამენტს აძლევდა ხელს — ამით უნდოდათ, გადაეფარათ ის ქმედებები, რომლებიც იქ ხდებოდა. დიდი ხანია ვამბობთ, რომ ცოტნე გამსახურდია არის პოლიტიპატიმარი.

ქატი ბაძაური, ადვოკატი:

— ჩვენ მივიღეთ კიდევ ერთი უკანონო განაჩენი, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოში კიდევ კარგა ხანს არ იქნება სამართლიანი სასამართლო.

სასამართლო მართლაც დიდხანს გაგრძელდა და საქმე არსებითად განიხილა. დაიკითხნენ ბრალდების მოწმეები. ბასოვილიმა ცოტნე გამსახურდია 500 ლარის გადაცემაში ისევ ამხილა. საყურადღებოა ერთი განცხადება: ბრალი, რომელიც ცოტნე გამსახურდიას ამჯერად წაუყენეს, 3-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა; პროკურორმა შოთა რიჟაძემ მქსიმალური სასჯელი — 7-წლიანი პატიმრობა მოითხოვა; იქვე დასძინა, ცოტნე გამოსწორების გზას არ დაადგა და დანაშაულის ჩადენას ისევ აგრძელებსო. პროკურორის შეფასებებს ადვოკატ ქეთი ბეჭაურიც აღშფოთება მოჰყვა და მან ასეთი რეპლიკა ისროლა: ჰო, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ცოტნე გამსახურდია გამოსწორების გზას არ დაადგა; იზოლაციის პერიოდში, მუდმივად მოშიმშილე პატიმარმა გამსახურდიამ უკვე თარგმნა გოეთე, შექსპირი, შეისწავლა ალმოსავლური ენები — არაბული, ჩინური, იაპონური; ახლა გადაწყვეტილი აქვს, ალმოსავლური ლიტერატურის თარგმნა და საავტორო უფლებას ითხოვსო.

ცოტნე გამსახურდიას ადვოკატები — ქეთი ბეჭაური და მანანა კობახიძე განსასჯელის გამართლებას ითხოვდნენ. მათი დაცვითი სიტყვის შემდეგ, მოსამართლე ზვიად ესებუამ განაჩენი ისე გამოიტანა, რომ სათათბირო ოთახში გასასვლელად დროც არ დაუკარგავს — სასამართლომ ადგილზევე ჩატარებული თათბირის შედეგად, ცოტნე გამსახურდია დამნაშავედ ცნო და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორც ცნობილია, მას 9 წელი და 6 თვე ჰქონდა შეფარდებული; წელიწადზე მეტია, სასჯელს იხდის, ამიტომ დარჩენილს 5 წელი დაემატა და საბოლოოდ, 13 წელი, 2 თვე და 5 დღე მიესაჯა.

მანანა კობახიძე, ადვოკატი:

— ვითხოვდით გამსახურდიას გამართლებას, რადგან ეს არის კლასიკური მაგალითი აგენტი პროვოკატორის ქმედებისა... ჩვენების ამონარიდებში ძალიან კარგად ჩანს, როგორ საუბრობს ბასოვილი ავადმყოფობაზე, ყველაფრის ლომბარდში ჩატანას რომ აპირებს, რომ „უკაპიკოდ“ არის დარჩენილი და ჰყავს ავადმყოფი შვილი. როცა ვკითხეთ მას, რატომ საუბრობდა ასე, გვიპასუხა, — საქმეს ასე სჭირდებოდაო. სწორედ ეს არის პროვოკატორის მოქმედება... საქმე აუცილებლად გასაჩივრდება ევროსასამართლოში... 67 დღე ნაშიმშილარი ადამიანისთვის ასეთი პროვოცირება — სახელმწიფოს დაკვეთაა. მისთვის მიუღებელი იყო ცოტნე გამსახურდია, თავისი ზედმეტი აქტივობის გამო. ციხის პირობებში ის იცავდა პატიმრების უფლებებს, ღიად და საჯაროდ ლაპარაკობდა კონკრეტული პირების ცემა-წამებზე. ციხის სამკურნალო დაწესებულებაში ასეთი ფაქტები რომ არის, ამას სახალხო დამცველის ანგარიშებიც მონშობს, ასევე, ადვოკატ ვლადიმერ ტაბალუას ჩვენებითაც დადასტურდა. ის პატიმარ ტარიელ საყვარელიძეს იცავს. თქვა, — ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის გადაჩენა მას შემდეგ შეეძელი, რაც ცოტნემ ეს ფაქტი სააშკარაოზე გამოიტანაო. ამ ყველაფრის ფონზე, გამ-

ვწუხვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ განაჩენს დავტოვებთ რეაგირების გარეშე. აუცილებლად გავასაჩივრებთ.

ჩვენ შევძელით, ექსკლუზიურად მოგვეპოვებინა ცოტნე გამსახურდიას კომენტარიც:

„ეს არის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ საქართველოში სასამართლო არ არსებობს. მანტიამოსხმული ხელისუფლების ლაქიები (მაგალითად, ზვიად ესებუა) უბრალოდ ამონებენ იმ სიყალბეს, რასაც მათ შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა აწვდიან. საინტერესო ისაა, რომ ხელისუფლება არ ცდილობს სასამართლოს ასეთი იმიჯის გამოსწორებას. ვფიქრობ, მას პირიქით, ხელს აძლევს კიდევ ის სიტუაცია, რომ მოქალაქეები აბსოლუტურად უუფლებონი და ხელისუფლების ხუმტურებზე დამოკიდებულნი არიან. სტრასბურგი შორსაა და ყველას არა აქვს ძალა და საშუალება, საკუთარი სიმართლე იქამდე მიიტანოს. ამიტომაც, უფლებააყრილი ადამიანების ერთადერთი გამოსავალი — საპროცესო გარიგებაა, საითაც მათ ცხვრებივით ერეკებიან. ამჟამინდელი განაჩენი იმდენად იდიოტურია, მისი კომენტარების სურვილიც არ მაქვს.“

უკანონო პატიმარი, ცოტნე გამსახურდია“.

ქოლესტერინის საზოგადოებრივი ანგარიში **გლუკოზომეტრები**

69 ლარი **35 ლარიდან**

შპს „ქონტრასტი“

მის: ზორჯოშის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ჩააბარე ქველი, დააბაბა 27 ლარი და მიიღა

ახალი გლუკოზომეტრი + 10 ტესტ-ფურსცალი



„მოდური“ ენა და მისი დაუფლების მსურველთა მიზნები

საქართველოში ინგლისური ენის შესწავლის ბუმი: ყველას — ხნოვანსა თუ ახალგაზრდას სურს, თანამედროვეობას ფეხი აუწყოს ანუ „მოდური“ და „ძალიან საერთაშორისო“ — ინგლისურ ენას დაეუფლოს. მაგრამ საქმე მხოლოდ მოდაში როდია. აღმოჩნდა, რომ ბევრი ადამიანი ინგლისურს კონკრეტული მიზნით ეუფლება: ზოგი — კარგი სამსახურის მისაგნებად, ზოგი — ოჯახის „უგზო-უკვლოდ“ განათლებული ახალგაზრდა წევრების ჯიბრზე, ზოგიც — უსაქმურობის „გასაქარვებლად“...

ეთო ყორღანაშვილი

ენა ჭაპავა, 30 წლის:

— ინგლისური ენის შესწავლა იმ-იტომ დავინწყე, რომ „ძალიან საერთაშორისო“ ენაა — ნებისმიერ სამსახურში საჭიროაო...

— არ მუშაობ?

— არა.

— სამსახურის შოვნის მიზნით მეცადინეობ?


— არა. უსაქმურობის გამო. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა და ინგლისურის სწავლა დავინწყე. შემცირებაში მოვეყვი. სამსახურში ახალი მიღებული ვიყავი და...

— რა პროფესიის ხარ?

— სამადულრე წარმოების ტექნოლოგი. ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტიც ვარ.

— შენი პროფესიებით სამუშაოს ძებნა არ გიცდია?

— არა. აბა, სად? თბილისში მხოლოდ ლუდის ქარხანაა. ლიმონათის — მე „არ მეუთუნის“. ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტიად ვმუშაობდი, მაგრამ როგორც აღვნიშნე, შემცირებაში მოვეყვი... ინგლისური ენის ცოდნა ყველგან გამომადგება.



ანა ჭაპავა

— სხვა უცხო ენა იცი?

— რუსული — გადასარევად, სხვა ენები — არა, მეგრულიც კი არ ვიცი (იციანის). ინგლისურის სწავლა ანბანიდან დავინწყე — თავდაპირველად, საერთოდ არაფერი ვიცოდი.

— იოლია?

— კი. ხომ ამბობენ, უფროსი ასაკის ხალხს სწავლა უჭირსო? მე იოლად ვსწავლობ.

— არ ზარმაცობ?

— კი.

— რატომ?

— უბრალოდ, ვზარმაცობ... ინგლისური ენის შესასწავლი პროგრამის ყველა ეტაპის გავლას ვაპირებ.

— ვიდრე სამსახურს არ იშოვი?

— არა, მერეც ვისწავლი. ხომ გითხარი, სამსახურის პოვნის მიზნით არ ვსწავლობ-მეთქი.

იზოლდა რჩეულიშვილის 21 წლის ქალიშვილმა საქართველოში, ფიზიკის მასწავლებლად მუშაობას, ინგლისური ენის სწავლა არჩია. შედეგად, დღეს შვეიცარიაში (ქალაქ ცერნში), ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში მუშაობს. ამჟამად, ინგლისურ ენას 5 წლის ქალბატონი იზოლდაც სწავლობს, ოღონდ ცხადია, ცერნში მუშაობის მიზნით — არა:

— ჩემი ქალიშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. 3 წლის წინ მასთან სტუმრად გამგზავრება მომიხდა. მგზავრობის დროს პრობლემა შემექმნა: სტიუარდესები ინგლისურად მესაუბრებოდნენ, მე კი ვერაფერი გავიგე. საქართველოში დაბრუნებულმა ინგლისურის შესწავლა დავინწყე — მინდოდა, ელემენტარულ დონეზე მაინც მცოდნოდა. ახლაც უენევაში მივემგზავრები, ჩემს ქალიშვილთან. იმედია, ნასწავლი ინგლისური მგზავრობისას გამომადგება და დანიშნულების ადგილამდე მშვიდობიანად ჩავფრინდები.

— დიდი ხანია, რაც თქვენი ქალიშვილი უცხოეთში ცხოვრობს?

— საკმაოდ. ის სკოლაში გერმან-



ქეთინო

ულ ენას სწავლობდა. შემდეგ, „ჯავახიშვილში“ ფიზიკის ფაკულტეტი დამთავრა. მერე საზღვარგარეთ წასვლა მოისურვა, მაგრამ ინგლისური არ იცოდა. ერთი წლის განმავლობაში, ინგლისურ ენას ქალბატონი თინიკო მეტრეველი ასწავლიდა, რის შემდეგაც „ტოფელის“ გამოცდა ჩააბარა — იმაზე გაცილებით მაღალი ქულები მიიღო, ვიდრე მოეთხოვებოდა. ინგლისურ ენაში მეცადინეობის პარალელურად, მაგისტრატურაში სწავლობდა. თავისი საბუთები ამერიკაში გაგზავნა. კანზასის შტატის უნივერსიტეტიდან დოქტორანტურაში სასწავლებლად მიიწვიეს. ჩემმა ქალიშვილმა სადოქტორო ხარისხის დაცვის შემდეგ, 5 უნივერსიტეტში გაიარა გასაუბრება, მათ შორის ოთხიდან სამსახური შესთავაზეს. ქეთინომ ბოსტონის უნივერსიტეტში მუშაობა გადაწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად, ცერნიდან დაუკავშირდნენ და გაცილებით უკეთესი სამსახური შესთავაზეს. ცოტა არ იყოს უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა — აღარ იცოდა, რა ექნა. ვურჩიეთ, იქ ემუშავა, სადაც მისი მომავლისთვის უკეთესი იქნებოდა... ამჟამად ცერნში მუშაობს. უკვე დაოჯახდა კიდევ... ქეთინო სკოლაშიც კარგად სწავლობდა, უნივერსიტეტიც ნითელ დიპლომზე დაამთავრა, მაგრამ აქ ისეთ წარმატებას ვერ მიაღწევდა, როგორსაც — უცხოეთში.

— მის გარდა, შვილი კიდევ გყავთ?

— დიახ. სკოლაში ჩემი ვაჟიც გერმანულ ენას სწავლობდა. ტექნიკურ უნივერსიტეტში ენერგეტიკის



ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. თავისი სპეციალობით მუშაობდა კიდეც — უსაფრთხოების ინჟინერი გახლდათ. შტატების შემცირების გამო, უმუშევარი დარჩა. სამსახურის ძებნა დაიწყო. ერთ-ერთ ფირმაში მისით დაინტერესდნენ. დათო ტესტირებაზე გავიდა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ინგლისური ენის უცოდინარობამ ხელი შეუშალა. მსგავსი შემთხვევები გამეორდა. ამიტომ ახლა ინგლისურს ჩემი 27 წლის ვაჟიც სწავლობს, რათა უკეთესი მომავალი ჰქონდეს.

— გარდა იმისა, რომ ინგლისური ენის ცოდნა მოგზაურობისას გჭირდებათ, სამსახურის პოვნის მიზნითაც ხომ არ სწავლობთ?

— ამჟამად, მართლაც არ ვმუშაობ. რეორგანიზაციის გამო, სოფლის მეურნეობის სამინისტროდან 70 თანამშრომელი (თავის დროზე, კონკურსის შედეგად შერჩეული...) გაგვათავისუფლეს. სამწუხაროდ, ჩვენი შესაძლებლობები ვერ დააფასეს და უმუშევრები დავრჩით. მე ჩემსას მაინც ვცდილობ: შესაძლოა, სადმე რაიმე სამსახური გამოჩნდეს და ინგლისური ენის ცოდნა თადარიგში მექნება.

— სამსახურიდან თქვენი გათავისუფლების ერთ-ერთი მიზეზი ინგლისური ენის არცოდნა ხომ არ იყო?

— არა, იქ ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავე და ჩვენთვის ინგლისურის ცოდნა არავის მოუთხოვია, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ინგლისურის არცოდნამ თავად შემიქმნა დისკომფორტი: მაგალითად — სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება დამჭირდა; რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, საჭირო ინ-

ფორმაციის მოძიება მაინც მოვახერხე, მაგრამ ინგლისურის ცოდნა ამ საქმეს გამიიოლებდა.

— როგორ მიდის ინგლისური ენის სწავლის პროცესი? იოლად ითვისებთ?

— კი, ნამდვილად. ძალიან კარგი მასწავლებელი გყავს. სამწუხაროდ, ყველაფერს ისე ვერ ვსწავლობ, როგორც მასწავლებელი მოითხოვს. სწავლას ცოტა მეტ დროს რომ ვუთმობდე, გაცილებით უკეთესი შედეგი მექნებოდა.

— სიძესთან ინგლისურად საუბარს ახერხებთ?

— წინათ ჩემი ქალიშვილისა და მისი მეუღლის საუბრიდან ვერაფერს ვიგებდი, ახლა კი ვხვდები, რა თემამზეც საუბრობენ (იცინის). მოკლედ, წინსვლა ნამდვილად მაქვს.

მარინა ჭაბაშვილი, 51 წლის:

— ბავშვობაში გერმანულ ენას ვსწავლობდი. ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა რუსულის ცოდნა „ზენ-

იტში იყო!“ ცხადია, რუსულიც სრულყოფილად ვიცი. მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, დღეს რუსული არავის სჭირდება. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემი შვილი გაცვლითი პროგრამით ამერიკაში გახლდათ წასული. მის მასპინძლებთან ურთიერთობისას პრობლემა შემექმნა. არ მიფიქრია, რომ ამ ასაკში, ისეთი უცხო ენის სწრაფად შესწავლას შევძლებდი, რომელთანაც ბავშვობაში შეხება არ მქონია, მაგრამ ინგლისურის დაუფლების სურვილი გამიჩნდა. თან, ვითრგუნებოდი, რომ არ ვიცოდი ენა, რომელიც დღეს საჭირო და ასე ვთქვათ, მოდურია.

ნონა დაშნიანი, 44 წლის:

— ჩვენი თაობის ხალხი რუსულ ენას გადასარევედ ვფლობთ, მაგრამ ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობა დრომ მოიტანა. სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი, მაგრამ საკმარისი ცოდნა ვერ შევიძინე. ამიტომ მეცადინეობა გადავწყვიტე. თან,



იმოლდა რჩელიშვილი ქალიშვილთან ერთად

ეს პროცესი მომწონს...

— თქვენს შემთხვევაში, ინგლისური ენის სწავლის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ დღეს ამ ენის ცოდნა „მოდურია“?

— ერთ-ერთი მიზეზი ეს გახლავთ. მეორე კი ისაა, რომ პედაგოგების წინაშე (სკოლაში მუსიკის მასწავლებელი ვარ) ინგლისურ ენაში გამოცდების ჩაბარების საკითხი დადგა. კიდევ ერთ მიზეზს დაგისახელებთ: როგორც ვიცი, არსებობს იმის საშიშროება, რომ ზოგიერთი მასწავლებელი გარკვეული სამუშაო საათების გარეშე დარჩეს. ამიტომ კარგი იქნება, თუ ინგლისური ენის ცოდნა თადარიგში მექნება, რაც სამომავლოდ, სამსახურის პოვნაში დამეხმარება.

მარინა:

— მოგეხსენებათ, პრეზიდენტი რალაცას იტყვის, მისი „ყურმოჭრილი მონები“ კი მისი ნათქვამის ათასნაირ ინტერპრეტაციას გააკეთებენ. ახლა პრეზიდენტმა თქვა, რომ ინგლისური ყველამ უნდა ისწავლოს: ენა არ იცი? საჭირო არ ხარ! 25 წლის ასაკს კარგა ხანია, გადავებიჯე. ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ხომ „ჩასარეცხი“ თაობა ვართ...

— თქვენც მასწავლებელი ბრძანდებით?

— დიახ. ინგლისური ენის შესწავლის მიზეზი ნამდვილად გულახდილად გაგიმჟღავნეთ. გამოცდაზე გასვლა არც მიფიქრია. მართალია, გამოცდების ჩაბარების შემდეგ, პედაგოგებს უმნიშვნელო თანხას უმატებენ, მაგრამ როცა საშუალება მექნება, გამოცდაზეც გავალ. ასე რომ, უცხო ენის სწავლასთან დაკავშირებულ ჩემს გარჯას ახლა უკვე სხვა დანიშნულებაც შეემატა: გამოცდაზე თუნდაც იმიტომ გავალ, რომ ჩემ გვერდით მყოფ ახალგაზრდებს და-



მარინა
კაბაშვილი



ნონა დამიანი

ვანახვო — ისეთი თაობა არა ვართ, როგორადაც ხელისუფლება მიგვიჩნევს! მართალია, ჩემი უსაყვარლესი კოლეგა — მანანა გელაშვილი დამცინის, — მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი კრილოვი იყო, რომელმაც 50 წლის ასაკში უცხო ენა შეისწავლაო, მაგრამ მინდა, მას ვუჩვენო, რომ მეორე მე ვიქნები (იცინის)!

— მერე, სწავლის პროცესი როგორ მიდის?

— უდავოდ, საინტერესოა, მაგრამ გულახდილად ვამბობ — მიჭირს. ამის გამო, თავადაც გაცეცხული ვარ. ისეთი ცხოვრების სტილი რომ მქონდეს, მხოლოდ სწავლით ვიყო დაკავებული, სხვა საქმეა, მაგრამ მთელი დღე „განერილი“ მაქვს: სკოლაში ვმუშაობ, ოჯახს ვუვლი, სხვა საქმეებიც მაქვს... როგორღაც მიგნებული დროის თავისუფალ მონაკვეთში ძალიან კარგი შედეგის მიღებით გონება არ მანებივრებს, როგორც ჩანს. თუმცა ინგლისურის მასწავლებელი მამშვიდებს — ყველაფერი კარგად გამოგდისო. მათემატიკოსი ვარ. საატესტაციო გამოცდაზე გასვლას არც ვაპირებდი (სერტიფიკატი არ მაქვს). ახლა მათემატიკის საატესტაციო გამოცდაზე იმიტომ გავდივარ, რომ გაისად გაზაფხულზე, ინგლისური ენის გამოცდაზე გასვლის უფლება მქონდეს (იცინის)...

მოგეხსენებათ, თბილისის მერიამ მოსახლეობას კომპიუტერისა და ინგლისურის შესასწავლი უფასო კურსები შესთავაზა. დედაქალაქის მსგავსად, ასეთი უფასო კურსები რუსთავის მერიამაც გახსნა, მაგრამ როგორც ერთ-ერთი ნაკადის მოსწავლემ მითხრა, დეკემბრის დასაწყისში პედაგოგებს დაფინანსება შეუწყვიტეს, მაგრამ მონდობებულმა მოსწავლემ „ორი სიტყვის“ სწავლა მაინც მოასწრო. მან თავისი მასწავლებლის მიერ შეთავაზებული, ინგლისური ენის ანბანის სწავლის საინტერესო მეთოდიც

გამიმხილა: ახალგაზრდების, საშუალო ასაკისა და ერთი მოხუცისაგან შემდგარ 25-კაციან ჯგუფს პედაგოგი — არც მეტი, არც ნაკლები — ამღერებდა: „ეი, ბი, სიი“... სამწუხაროდ, ვერ გეტყვით (აღნიშნული მიზეზის გამო), ინგლისური ენის სწავლების ასეთმა მეთოდმა გაამართლა თუ არა...

როცა მინეაპოლისიდან სახელმწიფო პროგრამით, საქართველოში ბავშვებისთვის ინგლისური ენის შესასწავლად ჩამოსულ ბრედ მილერს ინგლისური ენის შესწავლის ეფექტური მეთოდის შესახებ ვკითხე, მიპასუხა: მოსწავლეებმა კარგი მასწავლებელი უნდა იპოვონო...

— ინგლისურის ცოდნა ძალზე მნიშვნელოვანია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მშობლიური ენაა. მისი საშუალებით შეგიძლია, მთელ მსოფლიოს დაუკავშირდე. საზღვარგარეთ მუშაობა თუ გინდა, ინგლისური აუცილებლად უნდა იცოდე. საქართველოში ცდილობენ, ადამიანებს ბავშვობიდანვე შთააგონონ, რომ ამ ენის ცოდნა საჭიროა, რაც ძალიან კარგია.

— რა პროფესიის ხართ?

— ხელოვნებათმცოდნის დიპლომი მაქვს. ბევრ ადგილას ვმუშაობდი. რესტორნის მფლობელიც ვარ.

— წინათ მასწავლებლად არასოდეს გამოუშავიათ?

— არა. მასწავლებლად პირველად ვმუშაობ. ამ პროგრამამ მომცა შანსი, თან მემოგზაურა, თან — ოცნება ამესრულებინა (ბავშვობიდან მასწავლებლობაზე ვოცნებობდი). ივნიისის ბოლომდე თქვენს ქვეყანაში დავრჩები.

— მასწავლებლობის გამოცდილება რომ არ გქონდათ, სკოლაში მუშაობა არ გაგიჭირდათ?

— რაღაც გამოცდილება მქონდა: ჩემს სფეროში თანამშრომლებს ტრენინგებს ვუტარებდი, რაც გარკვეულწილად დამეხმარა.

— ალბათ, ტრენინგებს მოზრდილებს უტარებდით, აქ კი ბავშვებთან მუშაობთ...

— მისმენენ თუ არა, ბავშვებთან ყოფნა მაინც მომწონს. თან ეს ჩემთვის ერთგვარი გამოწვევაა.

— სწორია შემთხვევა, როცა ბავშვები არ გისმენენ?

— სწორია, მაგრამ ვცდილობ, მოსწავლეები როგორმე დავაინტერესო, სასწავლო თამაშებში ჩავერთო. ყველა კლასს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. აღვნიშნავ, რომ ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ...

უფროსი ასაკის ადამიანებთან მუშაობისას, ნონო გელაშვილი მსგავს პრობლემას არ აწყდება:



დასაწყისი იხ. გვ. 7

— პროფესიით თარჯიმან-რეფერენტი ვარ, მაგრამ პედაგოგობა ძალიან მომწონს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ინგლისურ ენაში მოსწავლეების მომზადება დავიწყე. დაახლოებით ერთი წელია, რაც ერთ-ერთ ორგანიზაციაში (რომელიც ნებისმიერი ასაკის მსურველს უცხო ენას ასწავლის) ვმუშაობ.

— დღეს ინგლისური ენის შესწავლის იმდენი მსურველია, ალბათ სამუშაო არ გაკლიათ, არა?

— დიახ. აბიტურიენტებთან მუშაობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. როცა ბავშვი გამოცდაზე მაღალ ქულას იღებს და მაღლიერი მშობელი მირეკავს, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარულია! ორგანიზაციაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს ვასწავლი.

— ასაკით ყველაზე უფროსი მოსწავლე რამდენი წლისაა?

— 55-ის. 40-ს გადაცილებულ ბევრ ადამიანს ვასწავლი.

— ინგლისური ენის შესწავლა ძირითადად, რა მიზნით სურთ?

— სხვადასხვა მიზნით.

დღეს ინგლისური ენის ცოდნას თითქმის ყველა სამსახურში ითხოვენ, თუნდაც — მინიმალურ დონეზე. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ვამეცადინებ, მათ შორის — სერტიფიცირებულ მასწავლებლებსაც, რომლებსაც ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება სურთ. ზოგს საზღვარგარეთ გამგზავრება უნდა...

— როგორ ითვისებენ უფროსი ასაკის მოსწავლეები უცხო ენას?

— პირადად მე, უფროსი ასაკის ხალხთან მუშაობა ძალიან მომწონს. მათთან გაკვეთილის მსვლელობის პროცესი უფრო საინტერესოა. ძალიან მონდომებული მოსწავლეები არიან, ბავშვებზე ბეჯითად სწავლობენ. ალბათ, ამის მიზეზი ისაა, რომ უფროსები უფრო მიზანდასახულები არიან, ბავშვებს კი უნდა ესვენო, რომ ისწავლონ, გაკვეთილზე უნდა დაანწყნარო, რომ მოგისმინონ... უფროსებთან ამის პრობლემა არ დგას. ისინი ბევრ შეკითხვას მისვამენ. სურთ, ჩემგან უფრო მეტი რამ გაიგონ, რაც, რა თქმა უნდა, მხარებს. გაკვეთილს წინასწარ ვგეგმავ, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, რომ ყველაფერი სხვაგვარად, უფრო საინტერესოდ წარმართულა. სასწავლო პროგრამის გარდა, ბევრ თემაზე

ვსაუბრობთ (ცვდილობთ — ინგლისურად): საყვარელ მსახიობებზე, ფილმებზე, ყოველდღიურ ცხოვრებაზე... უფროსი ასაკის ზოგიერთი მოსწავლით აღფრთოვანებული ვარ: რამდენიმე თვეში ძალიან კარგ შედეგს მიაღწიეს.

— ენის კარგად შესწავლა თქვენ როგორ მოახერხებთ?

— ძალიან დიდი შრომის შედეგად. მიმაჩნია, რომ კიდევ ბევრი რამის სწავლა მჭირდება, ადამიანმა მთელი ცხოვრება უნდა ისწავლოს,

ნინო გელაშვილი



მით უმეტეს — როცა უცხო ენის შესწავლას ეხება საქმე. ინგლისური „ცოცხალი“ ენაა: ყოველწლიურად ათასობით ახალი სიტყვა „შემოდის“. მასწავლებელი ყველა სიახლეს უნდა გაეცნოს...

— ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს რას ურჩევთ?

— ფარ-ხმალი არ დაყარონ. შეიძლება, რალაცის სწავლა გაუჭირდეთ, მაგრამ შრომის შედეგად, მიზანს მიაღწივენ.

ლაფერი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის უნდა შეთანხმდეს.

— თქვენი სქემის მიხედვით, კონფედერაციაში ჩრდილოკავკასიელები არ ფიგურირებენ?

— ჩრდილოეთ კავკასია ამ სქემაში არ ჯდება. ის რუსეთის შემადგენელი ნაწილია.

— არის თუ არა გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ ჩრდილოკავკასიელები მოსკოვმა მათი ნების საწინააღმდეგოდ, ძალისმიერი მეთოდით მიუერთა რუსეთის ფედერაციას?

— თუ ჩრდილოკავკასიელი ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის დასავლეთიც დაუჭერს მხარს, შესაძლოა, მომავალში მთელი კავკასიის გაერთიანების სქემაც განვიხილოთ. მაგრამ ეს ძალზე შორეული პერსპექტივაა. თეორიული თვალსაზრისით, რუსეთის დაშლა და მისგან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფა უახლოეს მომავალშიც შესაძლებელია, მაგრამ ჯერ ამის ნიშნებს პრაქტიკულად, ვერ ვხედავ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის რუსეთის შემადგენელ ნაწილად განვიხილავთ და მხოლოდ სამხრეთ კავკასიის გაერთიანებაზე ვაკეთებთ აქცენტს. არ იფიქროთ, რომ ჩემი სქემა უკვე საბოლოოა და ჩამოყალიბებული და მასში ცვლილებების შეტანას არ ვაპირებ. ჯერ ყველაფერი ვარაუდების დონეზეა, ამიტომ გთხოვთ, ძალიან კრიტიკულიც ნუ იქნებით და ამ იდეას არსებობის უფლებას ნუ მოუსპობთ.

— საქართველოს ხელისუფლება თუ გამოეხმაურა თქვენს იდეას?

— ჯერჯერობით — არა. აი ეს ინტერვიუ რომ გამოქვეყნდება, მერე ვნახოთ, რა იქნება...



თალიზი
თმის გალანვირების კლინიკა

032336066 8.27 8095 25 37 38
www.talizi.ge



სახსე

გახეუი გაბეული „მოხილური მოძღარკალი“ და კლიპის სცენარით გამოსყიდული დანახეული

ეთერ კაკულიას პირველი კლიპის რეჟისორი საქველმოქმედო ფონდის — „ერთობა“ დამფუძნებელი — გიორგი დარასელია გახლავთ. ქალბატონი ეთერის და გიორგის თანამშრომლობას წინ სახალისო ოინი უძღოდა, რომელმაც ყველასაგან მოფერებას მიჩვეული მომღერალი გააოგნა... ამჟამად, გიორგი დარასელია და ეთერ კაკულია კიდევ ერთი კლიპის (სომღერაზე — „ვაკელებო“) გადალებას აპირებენ.

ეთერ კაკულია

ეთერ კაკულია:

— გიორგი დარასელია ნიჭერი და „მზარდი“, „208-კილოგრამიანი“ ახალგაზრდა გახლავთ. ხელოვანს არაფერი არ უნდა ეზარებოდეს. კლიპის — „და მე არ მინდა სხვა ნეტარება“ გადალებისას, გიორგი ძალიან მობილიზებულია მუშაობდა. მისი მადლიერი ვარ, რადგან ფაქტობრივად, არაფერში ჩამრია, ყველაფერი თავად მოაგვარა. ზოგი ტვინის „ბურღავს...“

გიორგი დარასელია:

— ეთოს კარნახი არ სჭირდება. ის მითითების გარეშეც სასწაულებს ახდენს! ეთომ კლიპში მიუსაფარი ბავშვები გადაიღო. არადა, ყველა ცდილობს, თავის კლიპში სხვა ხალხი „ჩასვას“...

— ცნობილ სახეებს გულისხმობთ?

ეთერი:

— ჩემზე ცნობილი მაინც არავინ იქნება!

გიორგი:

— ეთოს მაინც ვერავინ დაჩრდილავდა — ის „უალტერნატივოა“! მას ადამიანები უყვარს. როცა ცნობილი ხარ, შეიძლება, ქუჩაში თვალი გამოგაყოლონ, მაგრამ როცა ოჯახის წევრით გელაპარაკებინ, ეს უკვე სხვა საქმეა. ეთერ კაკულია ნებისმიერი ასაკის ადამიანს უყვარს. მას ისე იცნობენ, როგორც მომღერალს, მაგრამ მან ლამის მთელი ენციკლოპედია ზეპირად იცის! უამრავი ნიგნი აქვს ნაკითხული!



ეთერი:

— მე, გიორგი და მისი ამხანაგი — პუტკუნა გოგიტა გადალებიდან ვბრუნდებოდით. უეცრად ვიყვირე: მანქანა გააჩერეთ-მეთქი! გიორგი და მისი მეგობარი გადაირივნენ, რადგან ჯერ სახლთან მისულები არ ვიყავით. მანქანიდან დავინახე — ვიღაც კაცს ახალთახალი ენციკლოპედია გასაყიდად ჰქონდა გამოტანილი. „შევირყიე“!

გიორგი:

— პატარა ბავშვით გაჩირვეულა — ეს უნდა ვიყიდო! მოგვესწეებათ, ენციკლოპედია იაფი არ ღირს. რაც ფული ჰქონდა, სულ ამოიღო...

ეთერი:

— გიორგიმაც დამიმატა.

გიორგი:

— მართალია (იციინია). ნიგნებით სავსე 6 ყუთი (30 ტომი) სახლში ავზიდეთ.

— ქალბატონო ეთერ, ნიგნის წასაკითხად როდისღა იცლით?

— მე „მობილური მომღერალი“ ვარ! ნიგნებს ლამით ვკითხულობ. ფილოსოფია მიტაცებს. ნიგნი სულ მაგიდაზე მიდევს. ალიკუნამ (ჩემმა ვაჟმა) მითხრა: ამის ყურება აღარ შემიძლია, აქედან წაიღეო!

— ვატყობ, თანამშრომლობის გარდა, მეგობრობაც გაკავშირებთ. ერთმანეთი როგორ გაიცანით?

— გიორგიმ „ფარული კამერის“ მახეში გამაბა!

გიორგი:

— დიას, ქალბატონი ეთერი „ფარული კამერით“ გავანწყენეთ, მერე კი, ბოდის მოხდის მიზნით, კლიპის სცენარი დავუწერე...

ეთერი:

— მისი ოინი სულაც არ მწყენია! ეს ერთგვარი თამაში იყო: მოკლედ, ეზოში ჩავედი, სადაც „მ-მეტრიანი“ ჯიბი დამხვდა, რომელშიც „4-მეტრიანი“ გიორგი იჯდა! რადიოგადაცემაში სტუმრად წავედი. იქ მიკროფონთან დამსვეს. წინ ჟურნალისტი იჯდა. ვხედავდი, სტუდიაში ვილაცები თავს შემოყოფდნენ, მერე კი ჩუმად მიდიოდნენ. ვიფიქრე, დაკითხვაზე ხომ არ ვარ-მეთქი? არავინ იცინოდა. ჟურნალისტი რაღაცებს მეკითხებოდა. უცებ სტუდიაში ზარი „შემოვიდა“. მსმენელმა ჟურნალისტს უთხრა: ეს საბჭოთა მომღერალი რატომ მოგიყვანიაო?! ჩემი სახე უნდა გენახათ... მე ხომ ყველასაგან მოფერებას მიჩვეული ვარ, არა? უცებ კი ვიღაც „ანტი“ გამოჩნდა! მსმენელი წამყვანს დაემუქრა: შენ დაბლა რომ ჩამოხვალ, ნახავ, როგორ დაიყუჩებო! რა ხდებოდა, ვერ მივხვდი... წამყვანმა ბოდის მომისხადა. დავამშვიდე — ალბათ, ვიღაც გადაღლილი იყო-მეთქი. მერე ქალმა



დარეკა გამწარებული ხმით: მეც მეგრული ვარ, ეთერ კაკულია მეგრელების სიამაყეაო!.. თავიდან კი სიყვარული დამაფრქვია, მაგრამ ბოლოს ისიც „ანტი“ აღმოჩნდა! ვთქვი, — ეტყობა, ეს ქალბატონი ქალწულია, გათხოვება უნდა და აღელვებულია-მეთქი. გაოგნებული ვიყავი! თურმე გვერდზე ოთახიდან მირეკავდნენ და სიცილით იხოცებოდნენ.

ბიორგი:

— ბოლოს ეთოს ყველამ ბოდიში მოუხადა — მსახიობები ვართ, გვაპატიეთ.

ეთერი:

— „მეგრელი ქალიც“ შემოვიდა. ვუთხარი: ვა, შენ ხარ ქალწული-მეთქი? — გვაპატიეთ, სულ სიმწრით ვრეკავდითო, — მომიბოდიშა.

გიორგი, ქალბატონმა ეთერმა ეს ოინი იოლად გაპატიათ?

— ეთო გულში არაფერს იდებს — ეს მისი პლუსიცაა და მინუსიც: არ არსებობს, რომ ვინმე ეთოს აწყენინოს, მან კი არ აპატიოს. მისი „ფარულ კამერის“ მახეში გაბმის შემდეგ, ეთოსი ძალიან მომერიდა. ვკითხე: ჩემი დანაშაული როგორ გამოვისყიდო-მეთქი? მოკლედ, ჩვენი ოინის სანაცვლოდ, კლიპის სცენარი დავუწერეთ, რომელიც ქალბატონ ეთერს მოეწონა. კლიპის გადაღებაში ჩართვას ყველას მოუწოდებდა — უბრალო ადამიანებთან მუშაობა უყვარს. ჩემი აზრით, თავისი საქციელით სხვა მომღერლებს მაგალითს აძლევს. ზოგი ვითომ „უბრალოებს“, მაგრამ სინამდვილეში ასეთი არ არის. ხომ გახსოვთ, ეთერ კაკულია ერთ-ერთ სიმღერაში ამბობს: „102 წელი უნდა ვიცოცხლო, მერე ბიზნესში წავალო“? ეთომ 1800 წელი უნდა იცოცხლოს!

ეთერი:

— სულ არ მესმის ბიზნესი...

ბიორგი:

— 102 წელთან დაკავშირებით, ტრაფარეტებს ვბეჭდავთ, რომელსაც კლიპში გამოვიყენებთ. კლიპს ვიღებთ სიმღერაზე — „ვაკლებო“. გადაღება დაწყებული გვექონდა, მაგრამ ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემის გამო, შევწყვიტეთ. იმედია, ვინმე გამოჩნდება, ვინც გადაღებას დააფინანსებს. ეტყობა, ხალხმა არ იცის, რომ კლიპის გადაღებას ვაპირებთ, თორემ აქამდე მუშაობას დავასრულებდით.

ეთერი:

— მერე, გვინდა, რომ კლიპი „ავლაბარზე“ გადავიღოთ.

— არადა, საბურთალოზე ცხოვრობთ... საბურთალოელები არ გაგინანყენდებიან?

— კი, ალბათ, ნანყენები არიან. ვაკეში, ფალიაშვილის 102 ნომერში გავიზარდე. სწორედ ამიტომ მინდა, რომ

102 წლამდე „გავჯიჩო“. 102 წლის ასაკში, ჟურნალისტები ჩემთან რომ მოხვალთ, ალბათ, გეტყვი: კი ვიცოდი, ჩემთან რატომ მოდიოდით ხოლმე, მაგრამ ახლა აღარ მახსოვს-მეთქი (იციინის)...

ბიორგი:

— გვინდა, რომ კლიპში ერთ-ერთი სცენა ასეთი იყოს: 102 ნომრის ქვეშ, მოხუცი ეთო იჯდეს...

ეთერი:

— შესაბამისი გრიმი დამჭირდება. პრინციპში, გრიმი რად მინდა? ხომ შეიძლება, 102 წლის ასაკშიც ისე გამოვიყურებოდე, როგორც — ახლა? გრიმი რალად მინდა?! არ მინდა! მე ისეთი „მასტი“ ვარ, წლების შემდეგ, მართლა ისევე ასეთი ვიქნები!

ბიორგი:

— შენ 102 წლის 70 წლის შემდეგ გახდები. 70 წლის მერე კი, ვინც დღეს ამ კლიპს ნახავს, ცოცხალი აღარ იქნება (იციინიან).

ეთერი:

— რადიოში, თურმე ნიკა წულუკიძესთან ვილაკ კაცს დაურეკავს და უთქვამს: ქვეყანაზე ვ რამ მაინტერესებს: სად არის თამარ მეფის საფლავი, როდის გაერთიანდება საქართველო და რამდენი წლისაა ეთერ კაკულიაო (იციინიან)?

ბიორგი:

— ეთოს დაბადების დღეზე, ჟურნალისტები მ ტელეარხიდან მოვიდნენ. იუბილარს „ბიბისის“ ჟურნალისტმა ჰკითხა: უკაცრავად, რამდენი წლის გახდითო? — მაგას ვერ გეტყვი, არ მახსოვს. თან ქალებს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ ლენინისთვის ავტოგრაფი პირადად რომ მაქვს ჩამორთმეული, ეგ მახსოვსო! — უპასუხა. „ბიბისიზე“ გასულ რეპორტაჟში, მგონი, ლენინი პირველად ახსენეს...

ეთერი:

— აბა, რა! ლენინის ცოლი ჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო (იციინიან)!

— ახალ კლიპზე კიდევ რას გავტყვი?

ბიორგი:

— არ გვინდა, ყველაფერს მოვყვით, იდეა რომ არ მოიპარონ.

— ასეთი პრეტენდენტები არის ხოლმე?

— შეიძლება, კლიპის სცენარი — არა,

მაგრამ ეთოს ძალიან ბევრი სიმღერა მოუპარავთ.

ეთერი:

— ამის გამო, ვბრაზობ ხოლმე — არ მიყვარს, ჩემს სიმღერებს რომ მღერიან.

ბიორგი:

— თუ იპარავ, უკეთესად მაინც უნდა შეასრულო!

ეთერი:

— აბა, რა! ჩემზე უკეთ ვერ შეასრულებენ. ერთი-ორს შენიშვნა მივეცი. სხვათა შორის, გაითვალისწინეს.

ბიორგი:

— ეთოს სიმღერები კლიპის სახით უნდა შევინახოთ, თორემ ყველაფერი ერთმანეთში ირევა. ეთო ისეთი ადამიანია, რომელიც არ ხმაურობს. საჯაროდ ხომ არ გამოვა და განცხადებას გააკეთებს — ვილაკამ ჩემი სიმღერა შეასრულაო?! ამიტომ მის სიმღერას კლიპი „ბეჭდივით“ დაედება! ეთერ კაკულიას სიმღერები სულ უნდა ცოცხლობდეს. ეთოს სურს, პატრიარქის საგალობელი შეასრულოს.

ეთერი:

— გვიყვები, ისე მინდა პატრიარქის საგალობლის შესრულება!..

ბიორგი:

— ამას აუცილებლად მოვახერხებთ. მის უწმინდესობას ვთხოვთ...

ბიზნესი ნიკნის მაღაზიათა ქსალი გთავსებს საქართველოში

წაიკითხე წიგნები უწყვილად იქნები!

ახალი მაღაზია უკვე გლდანში Aგა 133 №50 და ქუთაისში თაგა 3 მაგისტრის ქ. 34



რა ჯდება უფრო ძვირი — მოგზაურობა იბვი პტაში თუ აუზი სტუდიაში?

როგორც ცნობილია, თბილისის კინოთეატრებში ფილმის — „ერთ-ელ შუა ქალაქში“ — საპრემიერო ჩვენებები მიმდინარეობს. „ლამის შოუს“ სტუდიის პიარმენეჯერის მიწვევით, პირველ დღეს პრემიერაზე კინოთეატრ „საქართველოში“ მივედი, სადაც ფილმის მონაწილე მსახიობები ლიმუზინით მოვიდნენ, წითელ ხალიჩაზე გაიარეს და ფეიერვერკების ფონზე, მაყურებლის მილოცვებიც მიიღეს. მერე კი ფილმიც ვნახეთ, რომელსაც საკმაოდ ხალისიანი სიუჟეტი აქვს: ერთ-ერთ სავაჭრო ქსელს ტერორისტები დაესხმებიან თავს და რამდენიმე ადამიანს, მათ შორის, ირაკლის მდივანს — მერის, დათოს შეყვარებულსა და ბარმენ პეტოს მივევლად აიყვანენ; სერიალის სხვა გმირები კი მათ გათავისუფლებას შეეცდებიან...

ფილმის ნახვის შემდეგ გადავწყვიტე, სტუდია „ლამის შოუს“ აღმასრულებელ პროდიუსერს, ირაკლი აბაბაძეს ვწვეოდი და ფილმთან ერთად, ამ კოლექტივის მიერ განხორციელებულ თუ დაგეგმილ სხვა პროექტებზეც მესაუბრა...

„...მიზანი ის არის, რომ რეიტინგი შეამციროს ან სავარაუდოდ წაართვას მაყურებელი“

ნათია შივიძა

— გასულ კვირას თქვენი ახალი ფილმის პრემიერა შედგა. როგორია შენი მოსაზრება ამ ფილმის შესახებ, გაამართლებს მაყურებლისა და თქვენს იმედებს?

— ეგ რომ წინასწარ ვიცოდე, ვანგა უნდა ვიყო. ერთი კვირა მოვიცადოთ და კინოთეატრებში მისული მაყურებლის რაოდენობითა და გამოხმაურებებით მივხვდებით, რამდენად გაამართლებს ეს პროექტი. მხოლოდ ის ვიცი, რომ პრემიერებზე საკმაოდ ბევრი ხალხი მივიდა და გადმოცემით ვიცი, რომ კარგადაც იხალისეს.

— ფილმის ფაბულის მიხედვით, ტერორისტები სავაჭრო ქსელში ბრლიანტის მოსაპარავედ შეიჭრნენ და „შუა ქალაქს“ მსახიობებმა მათ მიერ აყვანილი მძევლები გაათავისუფლეს. მგონი, ეს ცოტა არაერთაა უფრო ამბავია. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ფილმი ტერორისტებზე გადაგელოთ?

— სასაცილო სიტუაცია რომ ყოფილიყო, აუცილებლად რაღაც აბსურდი უნდა გადაგვედო. საქართველოში ტერორისტების არსებობა თავისთავად, აბსურდია.

— იმედია, ახლა არ გამოჩნდებიან ეს ტერორისტები და თქვენი ფილმის იდეას არ აიტაცებენ...

— არა მგონია, ამხელა

ჯგუფი ერთ ბრილიანტს გამოეკიდოს. ვინმე ასე რომ მოიქცეს, ის ცოტა სასაცილო ტერორისტი იქნება...

— ფილმის უცხოეთში გატანას ხომ არ აპირებთ?

— უი, არა. მეექვსეა, ამ პროექტს „კინოს ღირებულება“ ჰქონდეს. ეს ჩვეულებრივი, კომერციული კომედიაა. საერთოდ, რეჟისორებს აქვთ ხოლმე ამბიცია, რომ ნამუშევარი „ოსკარზე“ ან რომელიმე ფესტივალზე წარადგინონ, მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ამ ფილმის გადაღებით უბრალოდ, გავერთეთ და იმედა, მაყურებელიც გაერთობა.

— მეექვსეა, ამ პროექტზე მუშაობისას გასართობად მოგეცალათ. მით უმეტეს, რომ როგორც ვიცი, გადაღებები ღამით მიმდინარეობდა და იმ პერიოდში თითქმის არ გძინებიათ...

— სტუდიის წარმომადგენლებმა საქმე ვავიყავით. ამის გამო, ფილმში აქტიურად ჩართული არ გახლდით და მგონი, ყველაზე მეტად მე გავერთე.



რასაკვირველია, გადამღებ ჯგუფს ვეხმარებოდი კიდევ, მაგრამ ამით საერთოდ არ დავღლივარ.

— ორი კვირაა, ეთერში თქვენი ახალი პროექტი — „ლამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად“ გავიდა. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ამ გადაცემის წამყვანი ოთარი უნდა ყოფილიყო?

— ვფიქრობთ, რომ ოთართან ერთად ეს პროექტი გაცილებით წარმატებული იქნება. შარშან ამ გადაცემას გიორგი ჯანელიძე უძღვებოდა და მასში მე და დათო ლაბაძეც ვმონაწილეობდით, მაგრამ ის ფორმატი უფრო არაპოპულარული აღმოჩნდა და ამიტომ შევაჩერეთ. თუმცა მაყურებელი მასაც ჰყავდა. მიგვაჩნია, რომ ეს ახალი პროექტი უფრო პოპულარული იქნება. გადაცემა ორი თვის მანძილზე მაინც უნდა გადიოდეს ეთერში, რომ მივხვდეთ, მოსწონს თუ არა ის ხალხს.

— ისე, გადაცემის დაწყებისთანავე არაერთი ადამიანის მოსაზრება მოვისმინე: უთო რომ ჩართო, იქაც ოთარ ტატიშვილი იქნებაო. ეს ფრაზა დულა სხირტლაძის მისამართითაც არაერთხელ უთქვამთ...

— არა მგონია, ეგ სიმართლე იყოს... ამასაც დრო გვიჩვენებს. თუ ვინმეს ოთარის ყურება აღარ შეუძლია, მაშინ გადაართოს სხვა არხზე...

— იმ არხზე დულაა...

— ჰოდა, მაყურებელს დულასა და ოთარს შორის არჩევანის გაკეთება მოუწევს...

— მართალია, ახალი გადაცემა, მაგრამ რუბრიკების თვალ-



საზრისით, რაიმე სიახლის დამატებას ხომ არ გეგმავთ?

— თუ ეს გადაცემა ნახე, ახალი რუბრიკები გვექონდა. მეორე გადაცემაში ექსპერტი ლევან ძაგაშვილიც კი გვყავდა, რომელიც ჩემი აზრით, საკმაოდ კარგი იყო... ახლა კიდეც ახალი რუბრიკები გვაქვს მოფიქრებული, რომლებსაც ნელ-ნელა განვახორციელებთ. მაგრამ მათ შესახებ დაწვრილებით ვერაფერს გეტყვი, რადგან არ მინდა, სხვა არსზე ვისილო ისინი — გული დამწყდება...

— ლევან ძაგაშვილის სახელი და გვარი ჯერ კიდევ ლოტოს გათამაშებიდან გვახსოვს. ის რეალური პიროვნებაა?

— რა თქმა უნდა. ჩვენი ექსპერტი მართლა ის ლევან ძაგაშვილია, რომელსაც ოთარი ლოტოს გათამაშების დროს ახსენებდა. ის აბსოლუტურად რეალური პიროვნებაა და მართლაც ოთარის მეგობარია.

— „შუა ქალაქს“ ეთერში გავლის დროს, თქვენმა კონკურენტმა ტელევიზიამ დაახლოებით იმავე ფორმატის სერიალის ჩვენება დაიწყო. ეს ხომ არ გიქმნით საფრთხეს, რომ „შუა ქალაქს“ მაცურებელი მოაკლდება?

— ამ სერიალის პირველი ორი სერიის ნაწილს ვუყურე და მართლაც, ზუსტად „შუა ქალაქის“ ფორმატისაა. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ხარისხი და „ვიზუალი“ ნამდვილად კარგია. სერიალისთვის მთავარი ის არის, რომ მაცურებელს მისი პერსონაჟები შეუყვარდეს და მათ გულშემატკივრობდეს. ის, რომ ეს სერიალი სწორედ „შუა ქალაქის“ დროს გადის ეთერში, მათი მხრიდან კარგი ამბიციაა. ვნახოთ, რამდენად გამართლებს. თუ ჩვენზე კარგი ხუმრობები ექნებათ და ჩვენზე კარგ პერსონაჟებს შექმნიან, შესაძლოა, მაცურებელი მართლაც ნაგვართვან და ჩვენი კონკურენტებიც გახდნენ. ისე კი მართლაც ცუდ დროს „დასვეს“ ეს სერიალი. ეს „ფრონტის წინა ხაზზე შემოვარდნას“ ჰგავს, რადგან როცა ისეთ რეიტინგულ პროექტს უპირისპირდები, როგორიც „შუა ქალაქშია“, შენი პროექტის „ამოქაჩვა“ საკმაოდ რთულია...

— იქნებ არც ისე ძალიან გაუჭირდეთ ამ რეიტინგის მიღწევა, რადგან ბოლო დროს ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებისგან ხშირად მსმენია, რომ თქვენი სერიალი მათთვის უკვე მოსაბეზრებელი გახდა და აღარც თქვენს ხუმრობებზე ეცინებათ...

— რატომ არ ეცინებათ? ჩვენი

სარეიტინგო მონაცემების მიხედვით, უყურებენ კიდეც და ეცინებათ კიდეც. თუ არ მოსწონთ და მოჰბეზრდათ, მაშინ „რუსთავი 2“-ზე გადართონ და „მეზობლებს“ უყურონ. თუ იქ გაცივებათ, ნავაგებთ და გასაგები იქნება, რომ იმ პროექტმა გვაჯობა. თუ არც იქ გაცივებათ და ისევ „შუა ქალაქზე“ გადმორთავენ, გამოდის, რომ ეს სერიალი სულაც არ მოჰბეზრებიათ.

— მთელი ამ დროის მანძილზე მაცურებლის შენარჩუნება არ გაგიჭირდათ?


— რასაკვირველია, საკმაოდ რთულია, 5 წლის განმავლობაში მაცურებელი ეთერს მიაჯაჭვო. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ 5 წელი საკმაოდ ბევრი დროა და ამ ხნის განმავლობაში ადამიანს „შუა ქალაქში“ კი არა, უფრო ღირებულიც შეიძლება მოჰბეზრდეს (იციან) ... არც ერთი სატელევიზიო პროექტი ამდენი წელი ეთერში არ ყოფილა, მით უმეტეს — სერიალი, რომელიც კვირაში ორჯერ გადის. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ ზოგიერთმა თქვას, — რა ამბავია, ამდენ ხანს სერიალის ყურებაო!.. „შუა ქალაქში“ უკვე ლეგენდაა. არ ვიცი, კიდეც ვინმე თუ გაიმეორებს მსგავს პროექტს ქართულ ტელევიზორებში.

— კიდეც რამდენ სეზონს ვინილაფთ?

— არ ვიცი. ეს მაცურებელზეა დამოკიდებული. თუ მისი მხრიდან მოთხოვნა იქნება, კიდეც გაგრძელდება. თუ გვეტყვიან, თავი დაგვანებეთო, მაშინ შევწყვეტთ ამ სერიალს. პირველი წლიდან მოყოლებული, სულ ასე ფიქრობთ — როცა სერიალს მაცურებელი აღარ ეყოლება, მაშინ შევწყვეტთ მის კეთებას.

— ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი მსახიობი დაასვენეთ. ერთ-ერთი მათგანი — დათოს შეყვარებული, მაიკო იყო. რატომ უცვლით დათოს ასე ხშირად შეყვარებულს?

— ვეძებთ რაღაც ახალს, რომ სერიალი მრავალფეროვანი გამოვიდეს. ზოგ მსახიობს ვასვენებთ, ხშირად გვყავს ახალი სახეები. ვცდილობთ, რომ სერიალი მოსაბეზრებელი



არ გახდეს. ზუსტად ეს მიდგომა აცოცხლებს „შუა ქალაქს“ ამდენი წლის განმავლობაში. როგორც კი დავინახავთ, რომ პერსონაჟი ამოი-

მსოფლიოს მიხედვით მოახლოებული მიხედვით მოახლოებული უბიძგან!

შურნალ ..რაიზინგთან“ ერთად

წითლისე წიგნები - წითლად იქნები!

14 აპრილიდან - გიჟი №8


მთხრობა - ჯონ გოლსუორთი

ფასი ... 2 ლარი!!!

21 მარტიდან ტომი №9 - ჯიკომ სალინგერი



ნურა, მაშინვე ვფიქრობთ, რომ საჭიროა, „დავასვენოთ“ და სხვა პერსონაჟი შემოვიყვანოთ.



— მინცდამინც დათოს რატომ გადაეკიდეთ?

— აბა, სხვებს ოჯახები აქვთ და ხომ არ დავუნგრევთ?!

— უახლოეს მომავალში ხომ არ გეგმავთ ახალი პერსონაჟის შემოყვანას?

— არა, ახლა ჯერ შუა სეზონია და ამ დროს ასეთ რადიკალურ განწყვეტილებებს არ ვიღებთ. როცა სეზონი მთავრდება და მოსაფიქრებლად ბევრი დრო გვაქვს, მერე ვსხდებით და განვიხილავთ, თუ რა ცვლილებები უნდა შევიტანოთ სერიალში.

— როდის დასრულდება ეს სეზონი?

— ჩვეულებრივად — ივლისის მეორე ნახევარში.

— მინდა, მეორე სერიალზეც „გოგონა გარეუბნიდან“ ვი-საუბროთ.

— დიდი სიამოვნებით. „შუა ქალაქთან“ შედარებით, ეს ახალი პროექტია. „გოგონამ“ ახლა აიდგა ფეხი. როგორც ჩემთვის ცნობილია, საკმაოდ კარგი გამოხმაურება აქვს. მგონია, რომ კარგად მივიღვართ.

— მიუხედავად იმისა, რომ ამ სერიალის დროს, კონკურენტი არხზე, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული გადაცემა — „ვანოს შოუ“ გადის?

— „ვანოს შოუ“ ფორმატით, ამ სერიალის კონკურენტი ნამდვილად არ არის. ისიც „ყურებადი“ გადაცემაა, მაგრამ რეიტინგით ჩვენ უფრო კმაყოფილები ვართ, რადგან ვუგებთ. მაგალითად, გასულ კვირას ჩვენს სერიალს რეიტინგის 20% ჰქონდა, „ვანოს შოუს“ კი — 14.

— „ნანუკას შოუს“ ახალი სეზონიც საკმაოდ პომპეზურად დაიწყეთ: ჯერ გუდაურში გქონდათ გადაღება, მერე — სიღნაღში; მოგვ-

ანებით კი საქართველოს აღარ დასჯერდით და რესპონდენტებთან ერთად, გადაცემის წამყვანმა ეგვიპტულმა და მექსიკაშიც იმოგზაურა... ამ პროექტს ასეთი დიდი დაფინანსება აქვს?

— ეს ყველაფერი — ნანუკას იდეა იყო. ამ შოუსი მხატვრულ გადაწყვეტილებებს ყოველთვის ნანუკა იღებს. ისე, ის აზრიც, რომ გადაცემას დიდი დაფინანსება აქვს, ვნო ჯავახიშვილის აგორებულა, — მონოლოგში ჰქონდა ასეთი ხუმრობა. „ნანუკას შოუს“ ისეთივე დაფინანსება აქვს, როგორც სხვა გადაცემებს. ნანუკას მოგზაურობა კი ჩვეულებრივი ბარტერია ტურისტულ კომპანიასთან:

საგზურში ვუცვლით რეკლამას. ამას ნებისმიერი გადაცემა მარტივად გააკეთებს. უბრალოდ, ცოტა მონდომება და „ერთი ადგილის“ განძრევვა საჭირო. ეგვიპტეში 8 კაცი გამგზავრა, მექსიკაში — 4. ასეთი მოგზაურება სულაც არ ჯდება ძვირი. ბევრად უფრო ძვირ გადაცემებს დაგისახელებ, კონკურენტი არხიდან. მაგალითად, „ჯეოსტარის“ თითოეული გადაცემა გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე „ნანუკას შოუ“.

— გასაგებია, მაგრამ „ჯეოსტარზე“ ბევრი მესიჯი შედის, რომლითაც ალბათ დახარჯული თანხის ნახევარს მინც ინაზღაურებენ.

— კარგი, რა!.. რამდენი მესიჯი უნდა შევიდეს, რომ ის თანხა ამოიღოს, რაც ამ გადაცემის გაკეთებას სჭირდება?! უბრალოდ, პირამიდების ფონზე გადაცემა რომ მიმდინარეობდა, ეს ხალხისთვის ცოტა წარმოუდგენელი იყო. და იფიქრეს, რომ ძვირი დაჯდა. სინამდვილეში კი, თუ არ ვცდები, საგზური 600 დოლარი ღირს.

— მე 1500 დოლარი დამიჯდა...

— არა, როცა ჯგუფი მიემგზავრება და ჩარტერული რეისია, დამიჯერე, ბევრად იაფი ჯდება. ჩვეულებრივი გადაცემის სტუდიის განახლება ან სპეციალური დადგმა გაცილებით ძვირია.

— ამ სერსს ნანუკაც არაერთხელ მიმართავს.

— კი, ბატონო. როცა აუზი შემოიტანა სტუდიაში, მაშინ ეს არავის გაუკვირდა და მისმა ეგვიპტეში წასვლამ რატომ გამოიწვია ასეთი ხმაური?

— მოდი, „ნანუკას შოუს“ რეიტინგიც გაგვიზილეთ: „პროფილზე“

მეტი მაყურებელი ჰყავს?

— „პროფილი“ რომ „ყურებადია“, ამას არავინ უარყოფს, თუმცა გაცილებით დიდი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე „შუა ქალაქის“ პირველი სეზონი არ „დააჯდებოდა“.

— ეს სპეციალურად გააკეთეთ?

— რა თქმა უნდა. ყველა არხი ცდილობს, თავისი წარმატებული პროექტი მეორე ტელევიზიის წარმატებული პროექტის დროს გაუშვას ეთერში. ამის მიზანი ის არის, რომ იმ პროექტს რეიტინგი შეუმციროს ან საერთოდ წაართვას მაყურებელი...

— ახლა კიდევ ერთი ახალი პროექტისთვის ემზადებით. როდის გავა ეთერში თქვენი ბიზნესრეალითი შოუ?

— თვის ბოლოს, ოღონდ ზუსტი დღე და რიცხვი არ ვიცით. მსგავსი გადაცემა ადრე „რუსთავი 2“-ის ეთერში გავაკეთეთ; მას „კანდიდატი“ ერქვა და ლადო გურგენიძე უძღვებოდა. ახლა ფორმატი შევცვალეთ და ცოტა განსხვავებული იქნება.

— წამყვანიც რადიკალურად განსხვავებული გყავთ: როგორც ვიცი, გადაცემას კახა ბენდუქიძე გაუძღვება.

— გადაცემას ლადოც კარგად უძღვებოდა, მაგრამ მინც მგონია, რომ კახა უფრო პოპულარული წამყვანი იქნება.

— ჰო, კახას იუმორში არ „უჭირს“.

— ლადოსაც საკმაოდ კარგი იუმორის გრძნობა აქვს, მაგრამ ხალხში კახა უფრო პოპულარულია.

— ბილნსიტყვაობის მხრივ ხომ არ შეზღუდვთ?

— გადაცემა პირდაპირი ეთერის ფორმატის არ არის (იციინის)...

— უკვე გადამწყობით, შოუსი გამარჯვებულ მონაწილეს სად დაასაქმებთ?

— კი. კახა ბენდუქიძესთან იმუშავეს, ოღონდ რა თანამდებობას დაიკავებს, ეს ჯერჯერობით არ ვიცით და ამიტომ წინასწარ ვერაფერს გეტყვი.

— ძალიან მინტერესებს, ამდენ პროექტს ერთდროულად როგორ უძღვები და როგორ ასწრებ?

— პროფესიით გეოლოგი ვარ და ამ სფეროში დისერტაციაც დავიცავი. ამერიკაში სწორედ ამ საქმის გამო ვიყავი წასული და იქ გრანტის დასამტკიცებლად გასაუბრებზე გასვლა მომიხდა. იმ გასაუბრებზეც სწორედ ეს შეკითხვა დამისვეს, — ამდენ რამეს რომ ხარ შეჭიდებული, როგორ ასწრებო? ვუპასუხე, — ვერ ვასწრებ-მეთქი... ეს პასუხი იმდენად მოეწონათ, რომ გრანტი დამიმტკიცეს...



„მარტი გიჟია და უხულია“ ...

...და ასე „გიჟურად“, წვიმა-თოვლითა და მზით შემობრძანდა წელსაც ჩვენში გაზაფხული, რომელიც ყოველთვის გამოიღვიძებს, სიახლეს, იმედს, სიყვარულს, მზესა და სითბოს უკავშირდება, ყველა პოეტისა და კომპოზიტორის მუზაა და მომღერლებიც განსაკუთრებული გრძნობით უმღერიან — თვითონაა განსაკუთრებული და იმიტომ!



ირმა სარულიძე

გაზაფხულის პირველი საღამო გამორჩეულად ლამაზი აღმოჩნდა ჟურნალისტებისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ახალდაარსებულ კლუბ „სოლო-ში“: წამყვანებმა, თიკა მიქაბერიძემ და ვინიმ (ზაალ ნულუკიძემ) — ხალისიანი კონკურსებით, მომღერლებმა, მიშა ზაქარ-

იაშვილმა და ევა კვალიაშვილმა — სიმღერებით, მერაბ სეფაშვილმა, ნინი შერმადინმა, ანსამბლმა „შოლოდ შენ ერთს“, ლექს-სენმა, მსახიობმა ჯაბა კილაძემ და კიდევ უამრავმა საინტერესო სტუმარმა კონკურსების დროს გულშემატკივრობით დიდი მხიარულება შემოიტანეს. მასპინძლებმა ძველი და ახალი თაობის „კულტურულ მიქსს“ ქართულ-ევროპული სამზარეულოს თანამედროვე მიქსიც დაურთეს და კონკურსის მონაწილეები — ჟურნალისტები, მომღერლები და მოდელები აშკარად „მოვლონიერდით“.

თავის ქებად ნუ ჩამოგვართმევთ, მკითხველებო, მაგრამ განსაკუთრებულად მინც „პალიტრის“ მედიასახლის ჟურნალისტებმა ვიმარჯვეთ — საგანგებოდ ჟურნალისტებისთვის გამართულ ერთ-ერთ კონკურსში მე გავი-

მარჯვე და დამასაჩუქრეს კიდევ; ლუდის სმაში კი საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ წარმომადგენელს, ბექა პატურაშვილს ვერავინ „დაუნია“. სხვათა შორის, ბექამ ცეკვის კონკურსშიც გამოიჩინა თავი, მაგრამ მომღერალ მიშა ზაქარიაშვილსა და მის მოდელ პარტნიორთან ვერაფერს გახდა, თუმცა მეორე ადგილი მინც მოიპოვა. ახალი, ხალისიანი და მუსიკალური თავშეყრის ადგილი — ეს კლუბი ვფიქრობ, კიდევ ბევრჯერ გვიმასპინძლებს, საინტერესო კულტურულ შეხვედრებსაც მოგვინყობს და მრავალფეროვან კონკურსებში გამარჯვების შანსსა და საჩუქრებსაც არ მოგვაკლებს.



54 ქართული პრესის საგანმეურ

ანტონ ფურცელაძე
მაცი სვიტია

54

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ჟურნალ „გზასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

ტომი №54 ანტონ ფურცელაძე მაცი სვიტია

წიგნის ფასი 3 ლარი!

10-დან - 17 მარტამდე!

წაიკითხა წიგნები-
უკეთესად იქნები!



- უკვე გამოცემული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში
- №1 ბაბუა დონატიონი
 - №2 მთელი მთავრობის
 - №3 მწერა, ღვთაება
 - №4 მთელი მსახიობი
 - №5 მთავარ მწიგნობრობი
 - №6 პაპი-მთავარი
 - №7 მწერა მთავარი
 - №8 პაპი მთავარი
 - №9 მთავარ მთავარი
 - №10 მთავარ მთავარი
 - №11 მთავარ მთავარი
 - №12 მთავარ მთავარი
 - №13 მთავარ მთავარი
 - №14 მთავარ მთავარი
 - №15 მთავარ მთავარი
 - №16 მთავარ მთავარი
 - №17 მთავარ მთავარი
 - №18 მთავარ მთავარი
 - №19 მთავარ მთავარი
 - №20 მთავარ მთავარი
 - №21 მთავარ მთავარი
 - №22 მთავარ მთავარი
 - №23 მთავარ მთავარი
 - №24 მთავარ მთავარი
 - №25 მთავარ მთავარი
 - №26 მთავარ მთავარი
 - №27 მთავარ მთავარი
 - №28 მთავარ მთავარი
 - №29 მთავარ მთავარი
 - №30 მთავარ მთავარი
 - №31 მთავარ მთავარი
 - №32 მთავარ მთავარი
 - №33 მთავარ მთავარი
 - №34 მთავარ მთავარი
 - №35 მთავარ მთავარი
 - №36 მთავარ მთავარი
 - №37 მთავარ მთავარი
 - №38 მთავარ მთავარი
 - №39 მთავარ მთავარი
 - №40 მთავარ მთავარი
 - №41 მთავარ მთავარი
 - №42 მთავარ მთავარი
 - №43 მთავარ მთავარი
 - №44 მთავარ მთავარი
 - №45 მთავარ მთავარი
 - №46 მთავარ მთავარი
 - №47 მთავარ მთავარი
 - №48 მთავარ მთავარი
 - №49 მთავარ მთავარი
 - №50 მთავარ მთავარი
 - №51 მთავარ მთავარი
 - №52 მთავარ მთავარი

გამოიწერეთ „გზა“ და საგანმეურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „ელვა.ჯი“ ტელ: 38 26 73; 38 26 74



საოცნებო პროფესია და „ჭიდაობა“ პედაგოგებთან

ანუ როდის ესიზმრებოდა მიშა გომიაშვილს სპექტაკლის თემაში?

მსახიობ მიშა გომიაშვილს ბავშვობაში ვერც კი წარმოედგინა, არტისტობის გარდა სხვა პროფესია თუ არსებობდა. მშობლების მსგავსად, თავადაც სურდა, რომ მათნაირი წარმატებული მსახიობი გამხდარიყო და ოცნება აისრულა კიდეც... 23 მარტს ბატონი მიშა 50 წლის ხდება და როგორც თავად მითხრა, ამ თვეშივე უნდა ველოდოთ რენე ჰარლინის ფილმს „ავგუსტოს 5 დღე“, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.



თვლებით ბოდში მომხდა. დიდი ადამიანი უნდა იყო, რომ ეს შექლო. მახსოვს, ქალბატონ ლილი იოსელიანთანაც მქონდა „ჭიდაობა“, რომელთანაც მხოლოდ 2 წელი ვისწავლე და მერე ჯგუფიდან გამავლო. რომ არ გავეგდე, ალბათ ჩემი ნებივრე გადავიდოდი სხვაგან, რადგან მასთან მუშაობა საკმაოდ რთული გახ-

ელენე ბასილიაძე

— მსახიობების ოჯახში გავიზარდე, დედაც და მამაც არტისტები იყვნენ და მთელი ბავშვობა კულისებში, გასტროლებსა და გადაღებებზე გავატარე. ბავშვობაში თუ სხვები კოსმონავტობასა და ექიმობაზე ოცნებობდნენ, ჩემი ოცნება სცენაზე დგომა იყო. ბავშვის თვლით დანახული თეატრი სასწაულია. განათება, გრიმი, კოსტიუმები, სცენის სუნი, ბევრი ხალხი... — ეს ყველაფერი ჩემზე ძალიან მოქმედებდა, ვიცოდი, რომ მსახიობობა მინდოდა და გავხდი კიდეც.

— **თქვენგან ვიცო, რომ დედამ თქვენი დაბადების შემდეგ მიატოვა კარიერა...**

— კი, მე რომ გავჩნდი, მაშინ დაანება თავი მსახიობობას. თავად მეუბნებოდა: ჩემი ყველაზე კარგად „ნათამაშები როლი“ შენ ხარო... სიმართლე გითხრათ, კარიერის გაგრძელებ-

ის სურვილი აღარც ჰქონია. ჩვენი პროფესია სპეციფიკურია: როცა თეატრს დიდი ხნით ანებებ თავს, მერე ძალიან რთულია უკან დაბრუნება.

— **როცა პროფესიად მსახიობობა აირჩიეთ, როგორი იყო თქვენი მშობლების რეაქცია?**

— საკმაოდ ნორმალური. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი მსახიობობა არ უნდოდათ, მაგრამ მამას სურდა, მოსკოვში, კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე მესწავლა. წავედი კიდეც და „გვიკვი“ ჩავაბარე, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო — მსახიობობა მინდოდა და თბილისში დავბრუნდი, სადაც თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლის პერიოდში ხშირად პედაგოგებთან „ვჭიდაობდი“...

— **რატომ „ვეჭიდავებოდით“?**

— მე კი არა, ისინი „მეჭიდავებოდნენ“! რექტორი, ან განსვენებული ეთერ გუგუშვილი, რომელიც ძალიან მიყვარდა და დიდ პატივსაც ვცემდი, პროფესიონალი ადამიანი გახლდათ, მაგრამ მიანძნა, რომ ჩემგან მსახიობი არ დადგებოდა.

— **ასეთი წარმოდგენა რამ შეუქმნა?**

— რა ვიცი?! ეგ კითხვა, ძალიან დიდი ხნის შემდეგ რომ შეხვდებით, აუცილებლად დაუსვით (იცინის)... პროფესიონალური შეუთავსებლობის გამო სამჯერ ვერ გავდებული ინსტიტუტიდან. დედაჩემსა და მამაჩემსაც ეუბნებოდა, — ნუ აწვალბთ ამ ბავშვს, ამისგან არტისტი არ დადგებაო... არაჩვეულებრივი ქალბატონი იყო. მახსოვს, წლების შემდეგ, როცა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლის „მარადი ქმარი“ პრემიერა დასრულდა, ქალბატონი ეთერი საგრიმიოროში შემოვიდა და ცრემლიანი


ლდათ... მიუხედავად ამისა, დღეს ვამბობ, რომ თუ რამე ვიცი, ეს ქალბატონი ლილის დამსახურებაა, მის მიერ „ბოძებულ“ ცოდნას დროთა განმავლობაში სხვა პედაგოგების ცოდნა დაემატა. სხვათა შორის, ბევრი პედაგოგი გამოვიცვალე, სულ ჯგუფიდან ჯგუფში დავრბოდი. ძალიან რთულია, ზუსტად განსაზღვრო, თუ რომელი სტუდენტი დადგება მსახიობი და რომელი — ვერა.

— **პირველი როლი დღეს ალბათ განსაკუთრებულად გახსოვთ...**

— რა თქმა უნდა! ეს გახლდათ ავქსენტი (ასიკო) გამსახურდიას მიერ დადგმული კარლო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, საკურსო სპექტაკლი, სადაც მარკიზს ვთამაშობდი. მახსოვს, სცენაზე ფეხი ვერაფრით გავიჩერე, ისე მიკანკალებდა! სცენაზე გასვლამდე მღელვარებას დღემდე განვიცდი, როცა აღარ ვინერვიულე, მაშინ წამოვხალ კიდეც თეატრიდან.

— **„მეტვის თეატრში“ როგორ აღმოჩნდით?**

— მე რომ თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, რამდენიმე თეატრიდან იყო ჩემზე მოთხოვნა, მაგრამ ჩემი „ოფოფების“ გამო, ის თეატრი ავირჩიე, რომელსაც არ „მოვუთხოვივარ“. ასე დავიწყე „მეტვის თეატრში“ თამაში. წამყვანი მსახიობი ვიყავი, 12 წელი ვიმუშავე იქ. შეიძლება ითქვას, რომ ის პერიოდი ერთ-ერთი საუკეთესო დრო იყო ჩემს ცხოვრებაში. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ძალიან კარგი რეჟისორი — სანდრო მრეველიშვილი გახლდათ. როცა ქვეყანა აირია, იმდროინდელი საბჭოთა მთავრობის დაუკითხავად, საპატრიარქოსთან მოლაპარაკების შემდეგ, ერთ ღამეში ტაძარი სამღვდელეობას დავუთმეთ (დასი მეტვისი





ტაძარში იყო განთავსებული. — ავტ.) ასე აღმოვჩნდით უშენობოდ. დროთა განმავლობაში „უბინაობის“ გამო დასი დაიშალა. მაშინ მე რამდენიმე წლით მოსკოვში წავედი. იქ ცხოვრების განმავლობაში, თეატრთან არანაირი კავშირი არ მქონდა და მასსოვს, ლამით მესიზმრებოდა, რომ სპექტაკლს ვთამაშობდი...

— როგორც ვიცი, მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში მიხვედით...

— კი. ერთ მშვენიერ დღეს მე და ჩემი ძმა ჩემს რძალს მოსკოვიდან თბილისში ვაცილებდით. აეროპორტში თემურ ჩხეიძე შემხვდა. იმ დღეს ფრენა გადაიდო და რესტორანში წავედით. თემურმა რომ გაიგო, თეატრში აღარ ვიყავი, ძალიან შემფოთდა. საქართველოში დაბრუნება და მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა შემომთავაზა. მალევე ჩამოვედი და იმ სპექტაკლის პრემიერაზე მივედი, რომელში თამაშშიც თემურმა მოსკოვიდან შემომთავაზა. ჩხეიძემ რომ დამინახა, მითხრა: — დაწერე განცხადება, რომ გინდა თეატრში მუშაობის დანებება და სპექტაკლის მოსაწვევი იმ განცხადებაში გამიცვალა. 11 წელია, ახალი სპექტაკლი არ მითამაშია, ჩემი სპექტაკლების უმრავლესობა მოხსნეს — ალბათ მიიჩნიეს, რომ მათ დიდი ვერაფერი მსატრული ღირებულება აქვს...

— გულდანყვეტილი ჩანართ...

— ალბათ... ის, რის გამოც მინდოდა მსახიობობა, რისთვისაც ვისწავლე და თეატრში მივედი, დღეს სამწუხაროდ, თითქმის აღარავის სჭირდება — პროფესიონალიზმს აღარავინ ითხოვს. ვერ ვიტყვი, რომ ყველა, მაგრამ სპექტაკლების უმრავლესობა ჩემთვის ძალიან გაუგებარია, ვერაფრით ვხვდები, სცენაზე მსახიობი რას ლაპარაკობს! თუმცა აღვნიშნავ, რომ ბევრი კარგი სპექტაკლიც იდგმება!

— არ შეიძლება ვისაუბროთ თქვენს პროფესიაზე და არ ვახსენოთ სპექტაკლი „არტი“, რომელიც 11 წელზე მეტია, მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გადის...

— თან — სრული აწმლავით!.. თემურთან მუშაობა დღესასწაული და კაიფია! ამ დროს იმდენად დიდ სიამოვნებას იღებ, რეპუტაციის დამთავრება არ გახარებს. ამ სპექტაკლში არც განათებაა, არც მუსიკა და არც დეკორაცია — მთელი სპექტაკლის განმავლობაში 3 ადამიანი რაღაც „სისულელეზე“ კამათობს, მაგრამ ეს „სისულელე“ ძალიან საინტერესოა.

— პირველად როდის „დინტერესდა“ კინო თქვენით?

— თუ არ ვცდები, პირველად სატელევიზიო ფილმში — „ხაფანგი“

გადავიღეს. მერე იყო ეპიზოდური როლი ფილმში — „12 სკამი“, სადაც ფაფახით თავზე მანქანებს დავედევ და, — ფული მაიტა-მეთქი! — ვყვირი. სულ ახლახან ჩემი მონაწილეობით კიდევ ერთი ფილმის ტელეპრემიერა შედგა — ამ ფილმს „უშენოდ მგონი, მოკვდები“ ჰქვია...

— რომელშიც „ბარის“ როლს ასრულებთ...

— კი. ამ ფილმზე მუშაობით ძალიან ვისიამოვნე, რადგან რეჟისორი — ლევან თუთბერიძე გახლდათ. იგი ზუსტად გეუბნება, თუ რა სურს შენგან. სამწუხაროდ, ბევრ რეჟისორს ეს არ შეუძლია, რადგან თავდაც არ იციან, რა უნდათ. ერთ-ერთი ჩემი ბოლო ფილმია — „რენე მიდის ჰოლივუდში“, რომლის ოფიციალური პრემიერა არ ყოფილა, მაგრამ ჩვენება ერთ-ერთ ფესტივალზე კონკურსგარეშე მოეწყო.

— ბოლო როლი კი რენე პარლინის ფილმში — „აგვისტოს 5 დღე“ შეასრულეთ, არა?

— კი, ამ ფილმში ერთ-ერთ მთავარ — ოსი ანტონ მედოევის როლს ვთამაშობ. სიუჟეტი მარტივია: ამერიკელი ჟურნალისტი და ოპერატორი ჩამოდიან ოსეთში და სრულიად მოულოდნელად, ჩემი პერსონაჟის ქალიშვილის ქორწილის დღეს რუსები სოფლის დაბომბვას იწყებენ, რასაც ამერიკელები ფირზე ალბექდავენ და მთელი ფილმის განმავლობაში მე, ჩემს ქალიშვილებსა და ოპერატორ-ჟურნალისტს რუსი ჯარისკაცები ამ კასეტის გამო დაგვდევენ. ეს ფილმი მარტში გამოვა და ამავე თვეში 50 წლის იუბილე მაქვს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმის სახით, დიდი საჩუქარი მელის. რაც შეეხება სიახლეებს, სულ ახლახან გარი ფარაჯანოვის, სერგო ფარაჯანოვის დისშვილის ფილმში როლზე დამამტკიცეს. გადაღებები 15 მარტს დაიწყო და დიდ მოლოდინში ვარ, რადგან მსგავსი როლი არასოდეს მქონია: მთაწმინდელ, ოქროსკბილებიან პარიკმახერს ვთამაშობ. ფილმი 60-იანი წლების თბილისის შესახებაა, მასში ავთო მახარაძე, დათო დვალისვილი და ბევრი გამოჩენილი მსახიობი მიიღებს მონაწილეობას.

— წელან აღწევთ, რომ მოსკოვში ყოფნას, თეატრთან არანაირი კავშირი არ გქონდათ. არასოდეს გაგჩენიათ სურვილი, კარიერა

საზღვარგარეთ გაგვეგრძელებინათ?

— ჯერჯერობით არ ვიცნობ და არც მინახავს ისეთი ქართველი, რომელიც საქართველოდან წავიდა და მსახიობის კარიერა სხვა ქვეყანაში აიწყო. საზღვარგარეთ თავისი მსახიობი ჰყავთ იმდენი, რა უქნან, აღარ იციან. ამასთანავე, ქართველებს ერთი თვისება გვაქვს: თუ საკუთარ მინაწყალზე მყარად არ ვდგავართ, ისე ვერაფერს ვაკეთებთ. მაშინვე ფანტასტიკური მსახიობი იყო, მაგრამ მოსკოვის თეატრში იმდენად გაუჭირდა მუშაობა, სულ რამდენიმე როლი ითამაშა.

— პოპულარობა რამეში თუ ნაგდგომიათ?

— აგერ, ჩემი მეუღლე, ფისო ამბობს, — ჩემთან ურთიერთობაში დაგეხმარაო (ილიმის).. ალბათ ბევრ რამეში მადგება, ნუ დაუჯერებთ ნურც ერთ მსახიობს, რომელიც კვლავ ცოცხალია და მალაა ამ პოპულარობამ, სათვალთ დავდივარ, რომ არ მიცნონო... ეს ალბათ ისეთი მსახიობების ნათქვამია, რომელთაც მსგავსი რამ არასოდეს ღირსებათ. ყველა მსახიობს უყვარს და მოსწონს, როცა ტაშს უკრავენ, ქუჩაში ცნობენ, აჩერებენ, თბილ სიტყვებს ეუბნებიან... მეც ასე ვარ — ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, მე ხომ თამაშის გარდა არაფრის კეთება არ შემიძლია და არც არასოდეს მიცდია, სხვა რამე მეკეთებინა?!



„თუ საკუთარი საქმე არ გიყვარს, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევ“

პროფესიით ფილოლოგი ხატია შამუშია, როცა პროფესიას ირჩევდა, ალბათ ვერც წარმოედგინა, რომ დიდი ხნის შემდეგ ერთ-ერთი პარაფიზიკური კომპანიის პარამენჯერი და მარკეტინგის ხელმძღვანელი გახდებოდა. ყველაფერი კი რადიოდან დაიწყო... კარიერული სვლის ნაბიჯებზე კი ხატია თავად მოგვიყვება.

ელენე ბასილიაძე

— როგორც ყველა ბავშვს, პატარაობაში მეც შექონდა საოცნებო პროფესია: ძალიან მომწონდა დიქტორობა. ჩემს დროს სატელევიზიო დიქტორები ტელეეარსკვლავები იყვნენ, ამასთან ერთად, ტელევიზორცეში მხოლოდ ერთი არხი ფუნქციონირებდა... მასსოვს, იყო ასეთი გადაცემა — „ცისკარა“, რომლის წამყვანი გოგონაც ძალიან მომწონდა. ქალბატონ უნეტა არჩვამეზე, დონარა კინურამვილსა და ჯულიეტა ვაშაყმაძეზე სომ აღარაფერს ვამბობ... ამიტომაც ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი ტელეწამყვანობას. მომწონდა ფილმის გმირების განსახიერება და თეატრალურ სფეროშიც აქტიურად ვიყავი ჩაბმული — დავდიოდი დრამატულ წრეზე, ვმონაწილეობდი უამრავ სპექტაკლში... ჩემი საყვარელი პერსონაჟი გრაფინია დე მონსორო გახლდათ, რომელსაც ხშირად ვასახიერებდი: დავდიოდი ბუმბულებითა და სპეციალური მოსართავებით. ხოლო მაშინ, როცა საქმე პროფესიის არჩევანზე მიდგა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე...

— **ტელეწამყვანი — არა, მაგრამ რადიოწამყვანი გახდი...**

— მართალია. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი ტელევიზიაშიც, გადაცემები — „შვიდეული“ და „მისი პარიზული შარმი“ მიმყავდა. მერე იყო „ჯეოსტარი“ და ბევრი ისეთი პროექტი, რომელიც ჩემთვის საინტერესო გახლდათ და მათი საშუალებით შემოქმედებთად გავიზარდე. რადიოს ბუმი მაშინ დაიწყო, როცა სკოლას ვამთავრებდი და ეს იყო საოცარი პერიოდი ქართული მელომანების ცხოვრებაში. რადიო „105“-მა დიდი გარდატეხა მოახდინა ქართულ შოუბიზნესსა და მსმენლის ცნობიერებაში. ამ პერიოდშივე მივედი რადიო „საქართველოს ხმასში“. დაახლოებით ერთ წელიწადში შეიქმნა რადიო — „ფორტუნა“, რომელიც საკმაოდ განსხვავებული ფორმატის გახლდათ. ჩემმა მეგობარმა



— გიორგი მშვენიერაძემ მირჩია, ახალი რადიო იხსნება და იქნებ გეცადა ბედო?! სამეტაბიანი გამოცდა გავიარეთ, სადაც ივლიანე ხანინდრავა, გოგა მარგველაშვილი და გოგა ხანინდრავა ბლიცკითხვებს გვისვამდნენ. ერთი მეტყველებას ამონებდა, დანარჩენები ერუდიციას, ინტელექტს, გარეგნობას... კონკურსში 3000 ადამიანი მონაწილეობდა და მათ შორის — მხოლოდ სამი — მე, აჩი ფურცელაძე და განცა კილასონია აგვარჩიეს...

— **დროთა განმავლობაში სამივე წამყვანი საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილი გახდით...**

— რადიოში მისვლისას, ჩვენ შორის ყველაზე პოპულარული აჩი ფურცელაძე იყო, ყველამ იცოდა, რომ კარგად მღეროდა... გარკვეულწილად რადიოშიც განაპირობა ჩვენი პოპულარობა, ამასთან, დიდი გამოცდილებაც მოგვცა. სწორედ რადიოს დამსახურება იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს სცენაზე წამყვანის ამპლუაში დავდექი. ერთ წელიწადს რადიო „ფორტუნამ“ „საუკუნის ფესტივალი“ ჩაატარა, რომლის წამყვანიც გახლდით და ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამოსვლა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა იყო ჩემთვის. რადიოში მეტყველების პედაგოგი, ქალბატონი — ნუნუ ხეთერელი მეტყველებაში გვამეცადინებდა. მისი ყოველი გაკვეთილი დღემდე ისე კარგად მასსოვს, რომ მეტყველების ნებისმიერ ხარვეზს მძაფრად აღვიქვამ (ილიმის).

— **საკუთარი პროფესიით მუშაობა არ გიცდია?**

— არა, მაგრამ სკოლაში მუშაობის გამოცდილება მაქვს. პრაქტიკას მეექვსე სკოლაში გავდიოდი და მემვიდელსაქლებს ქართულის გაკვეთილებს ვუტარებდი. იმ პერიოდში უკვე რადიოში ვმუშაობდი და

ეს ბავშვებმაც იცოდნენ. ერთ დღესაც, აკაკი წერეთლის ცხოვრება-მოღვაწეობა ავხსენი და — აბა, ბავშვებო, კითხვები თუ გაქვთ-მეთქი? — ვიკითხე. ბავშვებმა: — აუ მასნ, მოგვიყვით რა, რადიოში კარგია, ხომ? რამდენ ხანს მუშაობთ ხოლმეო? — მკითხეს. პედაგოგების ოჯახში გავიზარდე, დედა, ბები, დეიდა — მასწავლებლები არიან... მივიჩნე, რომ ეს პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო და ძალზე შრომატევადიცაა.

— **რადიოში მუშაობისას ადამიანები ხმის ტემპრით გცნობდნენ, თუ გქონია შემთხვევა, რომ ქუჩაში უცხო ადამიანს შენი ხმა ეცნო?**

— სიმართლე გითხრა, სანამ კონცერტებზე არ გამოჩნდი და საზოგადოებამ არ გამიცნო, მსგავსი შემთხვევა არ მქონია. გათხოვების შემდეგ, მე და გურამიკო ყველა ჟურნალის ყდაზე ვიყავით გამოქიშული და იოლად მცნობდნენ. მანამდე კი, როცა გაიცნოდნენ, რომ მე ის ხატია ვიყავი, ვისაც რადიოთი იცნობდნენ, უკვირდათ. ხრინინიანი ხმის გამო, ყველას ფიზიკურად ძალიან დიდი, „მოხუელი“ და ჯან-ლონით სავე ვეგონე და რეალურად რომ მხედავდნენ, უკვირდათ. მსმენელთან ურთიერთობა საინტერესო იყო...

— **რადიოს პარალელურად თუ მუშაობდი სადმე?**

— კი, კომპანია — „ისი პარიზი“ მაშინ ახალგაზრდული ბრენდის სახე ვიყავი. მერე ამავე კომპანიაში პიარსპეციალისტად დავინიშნე მუშაობა. დროთა განმავლობაში დამაინაურეს და მარკეტინგის დარგზე მე გადმომაბარეს. ეს სამუშაო ჩემთვის იმდენად შრომატევადი იყო, ორ ადგილზე მუშაობას ვვლარ ვასწრებდი და არჩევანის გაკეთებამ მომიწია. რადიოს ასე დავანებე თავი.

— **მასსოვს პირველი „ჯეოსტარი“, რომლის წამყვანადაც მოგვევლინე.**

— „ჯეოსტარი“ ახალი პროექტი იყო, რომელიც ყველას აინტერესებდა და მონაწილეებს ბევრი ადამიანი გულშემატკივრობდა. დღეს ამაყი ვარ, რომ მე ის „ჯეოსტარი“ მიმყავდა, რომლის მონაწილეებიც — აჩიკო ნიჟარაძე, ნინი შერმადინი, საკო სუხიშვილი, დათუნა სირბილაძე, გიორგი შარაბიძე, ნიკა შუბითიძე იყვნენ... ამ ადამიანებმა პროექტის შემდეგაც გააგრძელეს მუსიკალური კარიერა და ამ სფეროში თავისი სიტყვა თქვეს.

— **როგორ ფიქრობ, წარმატების მიღწევაში რა დაგეგმარა?**

— მთავარი — მიზანია. ჩემი წარმატების ფორმულა ის მიზანი იყო, რომელიც დავისახე და საკუთარი ნიჭითა და შესაძლებლობებით მივაღწიე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა მიზნად ის საქმე დაისახოს, რომელიც უყვარს, იცის ან აუცილებლად ისწავლის... თუ საკუთარი საქმე არ გიყვარს, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევ. ■

„ბოლონდის“

მარტის ნომერი



ბოლონდი

BEAUMONDE

თებერი 2011, №3
შანი 5 ლარი

ნინი
ბაღურაშვილი
La Femme

საი უპასურო კითხვა
მამაკაცებზე

Trans- gender

by SASHA PRISHVIN
PHOTOGRAPHY

ISSN 1987 - 510X



9 771987 510004



ცხოვრება

საუკუნის ტოლი ქალი, ფაჩიდანუი მოსამილი კახური ბინება და გურჯი ქართველის „ფაჩიანი“ სიზმრები

„ჩვენს ცხოვრებას არანაირი აზრი არა აქვს ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე. ეს რუბრიკა ძალიან მომწონს. ერთმა გამოჩენილმა ქართველმა თავის დროზე თქვა: ბედნიერი იქნები მაშინ, როცა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე უკან მოიხედავ და მხოლოდ კარგი მოგონებები დაგხვდებაო“, — ამ სიტყვებით დაიწყო გიორგი კალანდია ჩემთან დიალოგი. მისთვის ადამიანები კარგი მოგონებების შემადგენელი ნაწილია, ხოლო ადამიანური ურთიერთობები — უმთავრესი. მოკლედ, წინ საინტერესო ამბები გელით.

რუბრიკის სტუმარი გიორგი კალანდია გახლავთ, თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი:



მისი დანახვისას, ჩემი ბებიები გამახსენდა

თავისუფალი კინიკაპი

— უპირველესად ვიტყვი იმას, რომ არასდროს დამავიწყდება ჩემი და და მშობლები — ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს ისინი! არასდროს დამავიწყდება იმ მეგობრები — ირაკლი და ნინო. არასდროს დამავიწყდება ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი — მარიამ ლორთქიფანიძე. ჩვენი პირველი შეხვედრა უნივერსიტეტში მოხდა. მაშინ | კურსზე ვიყავი. მასსოვს მისი გრაციოზულობა, თნობის მანერა და ჩემთვის მოცემული პირველი შენიშვნაც კი...

გაგვიხსენებ?

— სალექტ რეზინის ვლექჩავდი. თავისთან მიხმო და მითხრა, — იცოდე, ეს ჩემს ლექციაზე აღარ მოხდესო. სალექტ რეზინი მაშინვე გადავყლაპე... დღეს ისტორიკოსი რომ ვარ, ეს მარინამ ლორთქიფანიძის დამსახურებაა. აქედან გამომდინარე, ეს ადამიანი არასდროს დამავიწყდება. 80 წელი შეუსრულდა და მინდა, კიდევ დიდხანს იცოცხლოს. „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის,“ — აი, ზუსტად ასე დააჩნდა ჩემს სულს მისი ლექციები.

საუკუნის ტოლი ფაჩიანი

— თურქეთში, როცა ჩემი პირვე-

ლი „სატელევიზიო გასვლა“ მოხდა, ლაზი და ხანდაზმული ქალბატონების სანახავად მალალმთიან სოფლებში ავედი. ერთ დასახლებაზე მითხრეს: იქ 100 წელს მიტანებული ქალბატონი ცხოვრობს, ლაზურიც და ქართულიც კარგად იცისო. დავინტერესდი. დიდი თოვლი იყო, ფეხით ვიარეთ; როგორც იქნა, მის სახლამდე მივალნით და მისთვის მოულოდნელი სტუმრები აღმოვჩნდით. გაუხარდა. ისიც კი მახსოვს, როგორ გამოიყურებოდა: მწვანე ფერის თავსაბურავი ეხურა, რომელსაც კუნწულები (იქ ასე ეძახიან) ეკიდა, თეთრი მოჩითული კაბა ეცვა და ლობიოს მიირთმევდა. მისი დანახვისას, ჩემი ბებიები გამახსენდა. ისე მოგვესალმა, როგორც ჩემთან სამეგრელოში გამიგონია.

როგორ?

— მუჭო რექ (როგორ ხარ)? ასე შეიძლება, ახლობელ ადამიანს მიმართო. ამ მისალმების გაგონების შემდეგ მშობლიური განცდა დამეფლა. 100 წელს მიტანებული ქალბატონი საოცარ ამბებს ჰყვებოდა.

მარტო ცხოვრობდა?

— შვილიშვილებთან და შვილთან ერთად, მაგრამ გარშემო ვინ იყო, აღარც მახსოვს, არც მიმიქცევია ყურადღება, ერთადერთი — მინდოდა, ამ ფაღიშ ხანუმიისთვის მესმინა.

— საოცარ ამბებს ჰყვებოდაო, — თქვით; რა გაამბოთ?

— ასეთი რამ მითხრა: ჩვენ ერთი სისხლისანი ვართ. ქართლელი, ლაზი და მეგრელი ძმები არიან; ეს არ დაგავიწყდეთ, ისიც იცოდეთ, რომ თქვენ გელოდებით და თქვენც დაგველოდეთო. მის სიტყვებზე ილიას თანამედროვე ჟურნალისტი — სამსონ ფირცხალავა გამახსენდა, რომელსაც ნათქვამი აქვს: „ჩვენი ბედნიერების მზე მაშინ ამობრწყინდება, როცა მუსლიმან ქართველსა და ქრისტიან ქართველს შორის განსხვავება მხოლოდ რწმენა იქნება და სხვა არაფერი“. ამ საუკუნის ტოლ ქალბატონთან შეხვედრა ჩემთვის ნამდვილად მზის ამობრწყინებასავით იყო. მისმა გაცნობამ სტიმული მომცა, რომ მომდევნო ფილმები გადამეღო. ამ შეხვედრას ის 32 ფილმი მოჰყვა, რომელიც „ჩვენებურების“ ციკლით გავიდა. ეს ფაღიშ ხანუმის დამსახურებაა — ადამიანის, რომელიც უყვართ კი ისე მის შვილიშვილებს, როგორც ახლა — მე?.. სამწუხაროდ, ფილმის გასვლიდან 1 წელიწადში გარდაიცვალა. მასთან ერთად ფოტოც გადავიღე — ნახე, რა ლამაზი ქალია და მე მის გვერდით რა ბედნიერი ვარ!..



ფარეხი (კახელი) გლეხი:

— ფერეიდანში რომ მიდიხარ, რალაცას გრძნობ — ამის სიტყვებით გადმოცემა რთულია. ის არ არის ქართული მინა, ირანის ტერიტორიაა, მაგრამ როცა იცი, რომ იქ 400 წლის წინ ქართველები ჩაასახლეს, ყველაფერი შენი გგონია. არ დამავინცდება ფერეიდელი ქართველი, რომლის სახელი და გვარიც კი არ ვიცი. მასთან სახლში სტუმრად რომ მივედით, შინ არ დაგვხვდა, ჭალაში იყო წასული. ოჯახის დიასახლისმა სახლი დაგვათვალისწინა, მერე ეზოში გამოვედით. უეცრად ალაყაფის კარი გაიღო, ვირზე ამხედრებული კაცი შემოვარდა. რომ შევხედე, გავიფიქრე, ტიპური კახელი გლეხია-მეთქი. დაგვინახა თუ არა, შემოგვაგინა, — თქვენი... იცოდა, რომ ქართველები ვიყავით, მაგრამ იმწუთას მისი გინება ჩვენთვის დალოცვასავით იყო (იციან).

შეგინების შემდეგ ურთიერთობა როგორ გააგრძელეთ?

— ვირზე იჯდა. მივედი და ვკითხე, — ეს რა არის? რაზე ზიხართ-მეთქი? შემომხედა და მიპასუხა, — მუტრუკია, მუტრუკზე ვზივარო. მერე ჩაის დასალევად რომ დავსხედით, თქვა, — ჩვენ ერთმანეთზე ჩამოკონწიალებულები ვართო. ვთხოვე, ეს სიტყვა განემარტა. როგორც ვაზის მტევანზე ყურძნის მარცვლებია, ჩვენც ასე ვართ ერთმანეთზე ჩამოკონწიალებულებიო. მისი ეს გამოთქმა ძალიან მომეწონა. მინდა, ქართველები მართლა ერთმანეთზე ვიყოთ ჩამოკონწიალებულები და ჩვენ შორის მთლიანობის ჯაჭვი არასდროს დაირღვეს.

დაუპიწყარი ანაკი

მობილურ ტელეფონში დღემდე ვინახავ ერთ შეტყობინებას და არასდროს წავშლი. 2008 წლის 8 აგვისტოს, ომი რომ დაიწყო, ახმედ მელაშვილზე ფილმის გადასაღებად თურქეთში ვიყავი. ყველას გვახსოვს, მოვლენები როგორ განვითარდა. 8 და 9 აგვისტოს სამშობლოში დაბრუნებაზე არც მიფიქრია, ტელევიზორთან დიდ დროს ვატარებდი და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მაგრამ 10 აგვისტოდან, როცა მდგომარეობა დაიძაბა, გადამღები ჯგუფის წევრები საქართველოსკენ დავიძარი. მოვდიოდით, რითიც კი შეგვეძლო: ჯერ — თვითმფრინავით, მერე

— ავტობუსით, მერე — ფეხით. როცა ჩვენი ქვეყნის საზღვარს მოვუახლოვდით, თურქეთში მცხოვრები 21 წლის გურჯი ბიჭისგან მესიჯი მივიღე (სახელსა და გვარს გარკვეული მიზეზის გამო არ ვამხელ). მის მიერ მოწერილი სიტყვები ზეპირად მახსოვს: „ძმა, როგორა ხართ? საქართველო სულ ჩემს ჭკუაშია, ჩემი ქვეყანა, ჩემი ხალხი, ჩემი ქვეყნის დარდები ღამე არ მაძინებს და არც დღე მაძლევს მოსვენებას. მე ქართველების დარდების შემგროვებელი გავხდი. ამას დიდხანს ვერ ავიტან, ნავალ სადმე, იარაღს ვიყიდი, ჩემს გურჯ მეგობრებთან ერთად ნამოვალ და ვიომებ საქართველოს გადასარჩენად“. ამას მწერს ადამიანი, რომელსაც საქართველო არასდროს უნახავს. განა ამ ამბის დავიწყება შეიძლება?! მასთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. იცით, როგორია? ქუჩაში რომ მოდის, ხალხის ყურადღებას იქცევს: ნახეთ, გურჯი მოდისო! — ამბობენ მის დანახვაზე. მისი გურჯობა არა მხოლოდ გარეგნობაში გამოიხატება, არამედ სიტყვა-პასუხით, ქცევებით, ცეკვითაც კი ქართველია. მე გადავიღე ფილმი — „ფერიანი სიზმრები“; ამ ფილმის სათაური მასთან ურთიერთობის დროს დაიბადა: ერთ საღამოს, შემდეგი სიტყვებით დამემშვიდობა, — ფერიანი სიზმრები გქონოდესო. ვკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი? — ეეჰ! — მიპასუხა: — ფერიანი სიზმრები თუ დაგესიზმრა, საქართველოს ნახავო.

ოჯახი

ცოცხალი ადამიანების გარდა, არ დამავინცდება ოშკი. მას რომ ვუყურებ, ჩემთვის ცოცხალი სხეულია — ძალიან ძვირფასი. პატრიარქმაც ხომ ასე თქვა: „ეს ქართველი ხალხის ავტოპორტრეტი“. ცოტა ხნის წინ ერთ ჩემს მეგობარს, ხელოვნებათმცოდნე ირინა

გივიაშვილს, რომელიც ინგლისში იმყოფება, ინტერნეტით ველაპარაკებოდი. ვუთხარი, თურქეთიდან ახლახან დავბრუნდი-მეთქი და ოშკის შესახებ ვუყვებოდი. ბოლოს დავძინე: რომ მოვდიოდი, გული დამწყდა, თითქოს ცოცხალ არსებას ვტოვებდი-მეთქი. — ჰო, იმ თოვლში დატოვეთ, არა, მოფუზულიო?! მისმა პასუხმა დამარწმუნა, რომ ამ ტაძრის მიმართ ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება ბევრ ქართველს აქვს. ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ცხოვრებაში არაერთ საინტერესო ადამიანთან შეხვედრამ მომიწია, ბევრი ისეთი რამის მომსწრე ვარ, რაც არასდროს დამავინცდება.

ჩვენს რომ ვახსოვდით დაბრუნებას...

— წინა წელს დაწერე წიგნი — „ახმედ მელაშვილი — ჩვენებურთა ბელადი“. ამ კაცს თურქეთის ქართველების ილია ჭაჭყავაძეს ეძახდნენ. ბევრი რამ გააკეთა: ის, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველები ქართულად ლაპარაკობენ, ახმედ მელაშვილის დამსახურებაა. როცა მის საფლავთან მივედი, ასეთი წარწერა ამოვიკითხე; „მე ვიცხოვრე ჩემი ხალხისთვის და არა — უკვდავებისთვის“. მივხვდი — ვინც საკუთარი ხალხისთვის იცხოვრებს, ის უკვდავებას აუცილებლად მოიპოვებს. ამ წიგნი შეტანილია ერთი ძველი ბერძნული მითი, ეს ინტერვიუ ამ მითით დავასრულეთ. „ტროას ომის წინ, გმირთა შორის ყველაზე მამაც აქილევსს დედამისმა — ლეთაებრივმა ნიმფა თეტიდამ შემდეგი სიტყვებით მიმართა: — შვილო ჩემო, ლარისში დარჩენის შემთხვევაში მშვიდობას მოიპოვებ, ცოლად შეირთავ უღამაზეს ასულს, ის კი შვილებს გაგიჩენს. შემდეგ მათაც ცყოლებათ შვილები, შენი შთამომავლობა უზომოდ შეგიყვარებს; როცა მოკვდები, გულმხურვალედ დაგიტირებენ. მაგრამ დადგება დრო და გაქრებიან შენი შვილები. მათ შვილიშვილები მიჰყვებიან, შენი სახელი კი დავიწყებას მიეცემა. ტროაში წასვლის შემთხვევაში, განუზომელ დიდებას მოიპოვებ, ათასი წელი შეთხზავენ ადამიანები ლეგენდებს შენს გმირობაზე, შენი სახელი საუკუნეებს გაჰყვება და მას დრო ვერაფერს დააკლებს. მაგრამ იცოდე — ტროაში წასული, უკან ვეღარ დაბრუნდები, რამეთუ შენი დიდება და უკვდავება შენსავე სიკვდილს უპყრია ხელთ“. ყველას „ჩვენი ტროა“ გვაქვს, ყველა ჩვენს ტროაში უნდა დავეცეთ, უკვდავება ისე არ მოდის!..



100 წელს მიგანებული ფადიმე ხანუმი საოცარ ამბებს პყვებოდა



დედის დღეს მიღებული უჩვეულო საჩუქარი

„ქაცხაბა სოლის პატივისცემა არ იცინა“

3 და 8 მარტს ყვავილების გამყიდველებმა ხეირი რომ ნამდვილად ნახეს, ამაზე არა მარტო მათი გაბადრული სახეები, არამედ ისიც მეტყველებდა, რომ ქუჩაში თითქმის ყოველ მეორე კაცსა თუ ბავშვს ხელში ყვავილების თაიგული ეკავა. როგორც ამბობენ, ამ დღესასწაულებზე „ფულიანი“ ხალხი ვარდებს ანიჭებდა უზარატესობას, საზოგადოების უმეტესი ნაწილი კი არჩევანს მინდვრის ყვავილებზე, მათი ფასიდან გამომდინარე აკეთებდა. იმის გასარკვევად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დედის თუ ქალთა დღე თინიჯარებისთვის, სატელეფონო გამოკითხვა ჩავატარე.

ლიკა ქაჯაია

ქანა, 17 წლის:

— რა თქმა უნდა, დედის დღე მნიშვნელოვანი დღესასწაულია. პირადად მე, დედას ენძელები მივართვი, რამაც ძალიან გაახარა. მინდოდა, უფრო კარგი საჩუქარიც გამეკეთებინა, მაგრამ ფულის შეგროვება ვერ მოვახერხე. იმედია, მომავალ წელს მაინც შევძლებ და „ბლენდერს“ ვუყიდი — დიდი ხანია, ამ ნივთზე აბოდეხს, მაგრამ მისი ყიდვა ვერ მოახერხა.

— ეს დღე შენ თუ მოგილოცეს?

— მართალია, ჯერ შვილი არ მყავს, მაგრამ შეყვარებულმა, როგორც მომავალ დედას, ვარდების თაიგული მაჩუქა. სხვათა შორის, 8 მარტიც არ გამოორჩენია და ამ დღისთვის წინასწარ მომიტანა კინოთეატრის ბილეთები, შარშან კი რესტორანში დამპატიჟა, სადაც ძალიან მაგარი დრო ვატარეთ.

ნიაკო, 16 წლის:

— 3 მარტი ჩემთვის არავის მოულოცავს და გული ძალიან დამწყდა. პირადად მე, დედას პომადა ვუყიდე. ცუდია, მამაჩემი ასეთ დღეებს დიდ მნიშვნელობას რომ არ ანიჭებს და შესაბამისად, მას მეუღლისთვის საჩუქარი არ უყიდა; არც ჩემს ძმას გახსენებია, რომ მშობლისთვის იების თაიგული მაინც მოეტანა... ყოველ 8 მარტს მასწავლებლებისთვის ყვავილები მიმაქვს და ვიდრე გაკვეთილი დაიწყება, მათ მაგიდაზე ვდებ ხოლმე. ძალიან მიყვარს საჩუქრების გაკეთება და მათი მიღებაც. მახსოვს, ერთხელ დაქალმა საბერძნეთიდან სარვამარტოდ წერილი და მაგარი მაისური გამომიგზავნა. იმ წერილს დღემდე ვინახავ.

ბაბა, 15 წლის:

— დედას ენძელების თაიგული



მივუტანე, ჩემმა დამ კი რალაც სუნამო უყიდა.

— მამაშენმა თუ აჩუქა მეუღლეს რამე?

— კი, წითელი ვარდების თაიგული მიართვა. 8 მარტი დიდად არ მიყვარს და იცით, რატომ? ამ დღეს ყველა ქალს უნდა გაუკეთო საჩუქარი, მაგრამ როცა ამის საშუალება არა გაქვს, მხოლოდ მილოცვით შემოიფარგლები, ეს კი, პირადად მე, დისკომფორტს მიქმნის... აუ, ერთი ამბავი გამახსენდა: დაახლოებით 9 წლის ვიყავი, როცა დედას იცით, რა ვაჩუქე? „ქუჩის ბიჭების“ პლაკატი და მეგონა, რომ ძალიან მაგარი სიურპრიზი მოვუწყვე (იცინის).

— სარვამარტოდ შეყვარებულს თუ მოუშადადე საჩუქარი?

— შეყვარებული არ მყავს, მაგრამ იმ გოგოს, რომელიც მომწონს და თითქმის მიყვარს, სამაჯური ვუყიდე. დარწმუნებული ვარ, საჩუქარი ძალიან გაახარებს, რადგან მისმა დაქალებმა მითხრეს, — დიდი ხანია, დედამის ამ ნივთის ყიდვას სთხოვს.

ტატო, 18 წლის:

— დედისთვის არაფერი მიყიდა, სიტყვიერად მივულოცე. არ ვმუშაობ და მისთვის საჩუქარი როგორ უნდა მეყიდა?

— დავიჯერო, ჯობში 50 თეთრი

მაინც არ გქონდა, მისთვის იები რომ მიგეტანა?

— ო, ყვავილების ყიდვა არ მევახება და მათი ქუჩაში ტარება — მით უმეტეს.

— რატომ, ყვავილების ტარება „ტენზას“?

— ვფიქრობ, რომ კი. აი, სიამოვნებით ვუყიდი სუნამოს, ბიუტერიას ან სათამაშოს, მაგრამ ყვავილები არ მევახება და რა ვქნა?..

— არც შეყვარებულს მიულოცე ქალთა დღე?

— მილოცვით დედასაც მივულოცე... ისე, შეყვარებული აქეთ მჩუქნის რალაცებს, მისთვის კი იშვიათად მიჩუქებია რამე.

— და ეს კარგი პონტია?

— რატომაც არა?! რა სჯობია, როცა საჩუქარს გიკეთებენ?..

მარი, 19 წლის:

— 3 მარტს საჩუქარი თავად გაუკეთე არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მეუღლესაც — პატარა ბარბარე გავაჩინე, რომელიც არაჩვეულებრივი ვინმეა; მან უკვე ყველა და ყველაფერი დამავინწყა. მის დაბადებას მარტის ბოლოს ველოდით, მაგრამ შევიღმა სიურპრიზი მომიწყო და დედის დღე მომილოცა. პოდა, ამაზე დიდი საჩუქარი რა უნდა იყოს?

— საინტერესოა, მეუღლემ რით დაასაჩუქრა ახალბედა დედა?

— ყვავილების თაიგულით, რომელიც სამწუხაროდ, საავადმყოფოს ფოიეში დავინახე, მერე კი მისთვის თვალის არ მომიკრავს, რადგან ექთანებმა „ააორთქლეს“, — პალატაში ყვავილების შეტანა არ შეიძლება და მისი საკუთრის.

მარინე, 36 წლის:

— ქალიშვილმა, რომელიც 17 წლის გახლავთ, დედის დღეს ყვავილები მომართვა, ვაჟმა კი სიტყვიერად მომილოცა. რაც შეეხება მეუღლეს, ის ასეთი დღეების აღნიშვნითა და საჩუქრების კეთებით დიდად არ ინუხებს თავს. თუ წინასწარ არ ვიზრუნე და არ გამოვაფხიზლე, არ ვუთხარი, რომ ამა და ამ დღეს რაიმე უნდა მომიტანოს, თავს არ შეინუხებს. მხოლოდ ერთხელ, დაბადების დღეზე მომიტანა კოლიე და დღემდე მიკვირს, რამ აიძულა, ეს ნივთი ყყიდა? სხვათა შორის, მაშინ საჩუქარი დავუნუხე და დაიქადა: ვინც ანი რაიმე მოგიტანოს, მაგის ასე და ისეო. ჰოდა, კაცურ სიტყვას ხომ ვერ გადაუხვევს (იცინის)?!



მარი, 16 წლის:

— სამწუხაროდ, 3 მარტს დედის დღე რომ იყო, არც გამსწენებია და მშობლისთვისაც არაფერი მიყიდა. სამაგიეროდ, მას მამამ გაუკეთა სიურპრიზი და სავახშმოდ „მარკო პოლოში“ დაბატიჟა. მართალია, მე და ჩემმა ძმამაც მოვინდომეთ „ნილში ჩაჯდომა“ და მათთან ერთად „გაგულავება“, მაგრამ როგორც უყურადღებო შვილები, დაგვსაჯეს და შინ გამოგვკეტეს, თავად კი გასართობად წაბრძანდნენ. სხვათა შორის, ყოველ 8 მარტს მხოლოდ დედაჩემი იღებს საჩუქარს, მე კი მამაც მშრალზე მტოვებს, დედაც და ძმაც, რის გამოც გული ძალიან მწყდება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ოდესმე ისეთი ადამიანი შემეყვარდება, რომელიც სიურპრიზებითა და საჩუქრებით გამანებივრებს, ამ ბოლმას გულიდან ამომგლეჯს.

ნინო, 18 წლის:

— დედას მაისური ვუყიდე. სხვათა შორის, ძალიან მოუხდა, მაგრამ ჩემი საჩუქარი მამას სიურპრიზმა გადაფარა — მან ავტომობილი აჩუქა. მართალია, დედას არც „პრავა“ აქვს და არც მანქანის მართვა იცის, მაგრამ მაინც ძალიან გაუხარდა. ის ახლა კომპიუტერსაა მიჭიჭინებული, საგამოცდო ტესტებს ათვალეირებს და იქადის, — მართვის მოწმობა უნდა ავიღოო. მამა შემპირდა, თუ ჭკვიანად იქნები, მომავალ წელს შენც გიყიდი პატარა ავტომობილსო, ჰოდა, ვეცდები, მთელი წელი

მის ჭკუაზე ვიარო (იცინის).

ნანა, 58 წლის, ყვავილების გამყიდველი:

— გაიხაროს იმან, ვინც 3 მარტი დედის დღედ გამოაცხადა. ამ დღეს მართლა კარგი ვაჭრობა მქონდა და შვილებიც გავახარე.

— თავად თუ გაგახარეს შვილებმა? საინტერესოა, მათ თუ გაჩუქეს რამე?

— მხოლოდ გათხოვილმა ქალიშვილმა შეძლო ჩემთვის საჩუქრის გაკეთება და ქვაბების „ნაბორი“ მიყიდა, დანარჩენებმა კი ვერაფერი მისახსოვრეს — არ მუშაობენ, ჩემს ხარჯზე ცხოვრობენ და აბა, რა უნდა ეყიდათ? დღესდღეობით ყველაზე იაფი საჩუქარი ყვავილია. თავად ვყიდი ყვავილებს და მეც ამას ხომ არ მარჩუქებდნენ, ისედაც ყელში გვაქვს ამოსული ამათი ყურება...

— ყველაზე კარგად, რომელი ყვავილები გაიყიდა?

— ხალხი ძირითადად, მინდვრის ყავილებს ყიდულობდა, ყველა იაფად ცდილობდა „გამოძრომას“, მაგრამ იყვნენ ისეთი კლიენტებიც, რომლებსაც უზარმაზარი ვარდების თაიგულის შექმნაც სურდათ. სამწუხაროდ, ბევრი კლიენტი ყვავილის გარეშე გაუშვი, რადგან ასეთი ძვირად ღირებული ვარდები არ მქონდა... ეჰ, ნეტავ ყოველდღე დედის დღე იყოს. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ყვავილები დედის დღეს უფრო კარგად იყიდება, ვი-

დრე 8 მარტს; ალბათ იმიტომ, რომ ქალთა საერთაშორისო დღეს ახალგაზრდები მაინც, კომუნისტურ გამონათქვამად მიიჩნევენ, ბევრი კი გაიძახის: რა ამბავია ამდენი ქალთა დღე, ზედმეტი ხომ არ მოგდით? კაცების დღე რატომ არავის გახსენდებათ?.. ეჰ, სადღა არიან დღეს ვაჟკაცები? კაცო, ბიჭებს გოგონებისთვის ყვავილის ყიდვაც კი ეზარებთ, ჯიბეში ხელის ჩაყოფას სიკვდილი ურჩევნიათ და ამიტომაცაა, რომ სხვა, არასადღესასწაულო დღეებში ერთ თაიგულს ძლივს ვყიდით ხოლმე.

— გასაგებია, რომ შვილებმა ვერაფერი გაჩუქეს, მაგრამ შეუძლებელი თუ მოგიწყობთ სიურპრიზი?

— კი, როგორ არა, კარგად გამოიტყვრა და მაღლეგრძელა, მერე კი მთელი დღე იმას მაყვებდრიდა, — დაგლოცე, მეტი რაღა გინდაო?! ქართველმა კაცებმა ცოლის პატივისცემა არ იციან.

— როცა შეყვარებულები იყავით, მამინ მამინც არ გჩუქნიდათ რამეს?

— შეყვარებულები არა... გარიგებით გამაყოლებს, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი და მეორედ რომ შევხვდი, სახლში გამაქანა. თქვენ წარმოიდგინეთ, დაბადების დღეზეც კი არასდროს არაფერი უყიდა. ასე მეუბნება: ჩემი თავი რომ გაჩუქე, ეს არ კმარაო? ეჰ, არა, არ კმარა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ქართველი ქალის სვედრი...

„ცხოვრებას უვილის ხათრით ვაბრძობ!“

უცნობი, 21 წლის:

„2 წელია, რაც საყვარელ მამაკაცს გაყვევი ცოლად. ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და 9 თვის ვაჟიც გყავს, მაგრამ უკვე ყველაფერზე ამიცრუვდა გული, ცხოვრება თავზე მენგრევა და ოჯახის გადასარჩენად ვერაფერს ვაკეთებ... იცით, საყვარელმა მეუღლემ მილალატა. დიას, გასულ ზაფხულს მან ჩვენსავე საცხოვრებელ ბინაში, ჩვენსავე სანოლში მილალატა, ყველაფერ ღირებულს ფეხით გადაურა, არადა, რომ იცოდეთ, ერთად როგორი ბედნიერები ვიყავით... ყველაზე ცუდი ისაა, რომ იმ გოგოსაც ვიცნობ, ვინც ლოგინში ჩაუგორდა. ის ჭაობში ჩაფლული ქალი გახლავთ და მე სულელი მის დახმარებას ვცდილობდი, ის კი თურმე... როცა მე და პატარა დედაჩემთან ვიყავით, ორივემ დამცინა, მილალატა და მას შემდეგ ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა. ახლა სიცოცხლე აღარ მინდა. არ ვიცი, ეს ტკივილი, დეპრესია როგორ დავძლიო. არც ის მინდა, ვინმემ ცუდად ყოფნა შემამჩნიოს. საშუალება რომ მქონდეს, ჩემს პატარას ხელს ჩავკიდებდი და წავიდოდი, მაგრამ... ალბათ, მამინაც ვერ გავწირავდი მეუღლეს, ჩემს პატარას მამას ვერ წავართმევდი. ისიც არ მინდა, საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდე და მათ დავანვე ტვირთად. ლამისაა, გული გამისკდეს. ერთხელ თვითმკვლელობაც ვცადე, მაგრამ ქმარმა მომიხსნო და გადამარჩინა, მერე კი გონს მოვებე და მივხვდი, რომ თავის მოკვლა არავის გამო არ ღირს. გთხოვთ, დამეხმაროთ და მიჩივით რამე. P.S. თუ ამ წერილს ფსიქოლოგი ნაიკითხავს, იქნებ მანაც მომცეს რჩევა. მე იმის საშუალებაც არ მაქვს, რომ ფსიქოლოგთან კონსულტაციაზე მივიდე და დახმარება ვთხოვო. მერწმუნეთ, ცხოვრებას შვილის ხათრით ვაბრძობ!“

„დაქალის ძმა სიყვარულს მიხსნის“

ნანა:

„ძალიან გთხოვთ, ჩემთვის რჩევის მოცემას ნუ დაიზარებთ. დაქალის ძმა სიყვარულს მიხსნის, არადა, ვიცი, რომ საცოლე ჰყავს და ამის გამო დაქალთან ურთიერთობაც გავწყვიტე, მიზეზს კი ვერ ვუბნები... მე და იმ ბიჭს ადრე ერთმანეთი მოგვწონდა, მაგრამ რატომღაც, ერთურთს სიყვარულში ვერ გამოვუტყვდით და ჩვენი ურთიერთობა არ შედგა. ახლა, როცა ნახავთ, სიყვარულს მეფიცება, ფხიზელ მდგომარეობაში მყოფს კი ასხენდება, რომ „ლოვე“ ჰყავს და ბოდიშს მიხდის, მწერს: მამატიე, შენთვის ასეთი რაღაცები არ უნდა მეთქვაო. არ ვიცი, რა სჭირს და მეც გაუგებრობაში ვარ. იქნებ თქვენი რჩევის წყალობით მაინც დავადგე სწორ გზას.“

P.S. მამ ასე თუ უცნობის და ნანას წერილების ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმეციჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვს.



თინეიჯერები გვწერენ

ICE_LADY:

„დანუბეული სარძლოებისა და სასიძოების ამბავი რომ წავიკითხე, ჩემი თავგადასავალი გამახსენდა. ჰოდა, ვერ მოვიტომინე, რომ არ მომენერა. შეყვარებულის დედამ მხოლოდ იმიტომ დამინუნა, რომ მილიარდერის შვილი არ ვიყავი, „ლოვემ“ კი იცით, რა მითხრა? — დედაჩემს ჯიბიანი, მილიარდერი რძალი უნდაო. გაბრაზებულმა ვუთხარი: მდიდარ გოგონებს ქმრად მდიდარი ბიჭები უნდათ და არა ისეთი, დანგრეული „ხოლ შესტი“ რომ ჰყავთ-მეთქი. ნიშნის მოგებით მიპასუხა, — ასეთი, მდიდარი და მანქანიანი გოგო დედაჩემს უკვე შერჩეული ჰყავსო. ჰოდა, მოიყვანოს ახლა ის დედიკოს გოგო ცოლად, ის ქალი შვილს სიმდიდრეს მზითევში არ გაატანს და... ისე, თავის ქებაში არ ჩამოთვალთ, მაგრამ მისი საცოლე მხოლოდ ჯიბით თუ მჯობია. ყველა მეუბნება: ის ბიჭი რამ შეგაყვარა, მასზე ბევრად უკეთესს გაჰყვებიო. ფულის ხამი ხალხი მეზიზღება!“

სალი:

„გზის“ წინა ნომერში ნარკომანებზე ლაპარაკობდით და მეც მინდა, ჩემი ამბავი მოგაყვებო. გიორგი ისე შემეყვარდა, არც კი ვიცოდი, „ნამალს“ თუ „იჩხერდა“. როცა ეს ამბავი გავიგე, შოკში ჩავვარდი, მაგრამ ვინაიდან პირობა მომცა: „ნამალს“ შევეშვები, ოღონდაც ცოლად გამომყვებიო, — გავრისკე და ჩემდა საუბედუროდ, დაუჯერე. ახლა 7 წლის ვაჟი მყავს, რომელიც ცერებრალური დამბლითაა დაავადებული და გული მიკვდება, მას რომ ვერაფრით ვშველი; ის ნორმალურ პიროვნებად ვერასდროს ჩამოყალიბდება და ამიტომაც, ერთად უნდა დავიცინავო... გიორგის ჰქონდა მცდელობა, ნარკოტიკი გადაეგდო, მაგრამ ვერ შეძლო, ის სენი ვერ დაძლია. გარდა იმ პრობლემისა, რაც უკვე გითხარი, ჩვენს ოჯახს უამრავი საშინელება დაატყდა თავს: ბინა, რომელიც მამამთილმა გვაჩუქა, ქმარმა გაყიდა; ამ ბინის გაყიდვას დედამთილმამათილის 3-ოთახიანი ბინის გაყიდვაც მოჰყვა. ერთი პერიოდ ნაქირავებში ვცხოვრობდით, ახლა კი სამადლოდ, ნათესავმა შეგვიყვარა. ჩემი მეუღლე არ მუშაობს. წლებზე ფეხს ვიდგამ, რომ ორი თეთრი ვიშოვო და შვილს საჭმელი მაინც არ მოვაკლო, მაგრამ ქმარი კარში მხვდება და ყოველდღე ფულს მთხოვს. თუ არ მიცემ, ზუსტად ვიცი, რომ ჩანთას გახსნის და ფულს მომპარავს, ამიტომ მასაც ისე ვუმალავ ჩემს ნაოფლარს,

როგორც ქურდს... ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, მაგრამ გამოსავალსაც ვერ ვხედავ. ეს ყველაფერი იმიტომ დამემართა, რომ დედის წინ მორბენალი კვიცი ვიყავი, მშობლის არ მჯეროდა და როცა ის მეუბნებოდა: ასეთი ქმარი არ გამოგადგებაო, დავცინოდი. ჰოდა, ახლა ვინაა დასაცინი?! გოგონებო, ძალიან გთხოვთ, ჩემი მდგომარეობა გაითვალისწინეთ და ნარკომანს სიტყვაზე არ ენდოთ. მიეცით გამოსწორების შანსი, მაგრამ თუ ამას ვერ შეძლებს, ცოლად არ გაჰყვეთ. P.S. როცა კაცი თავისად დაგიგულვებს, ის მერე გამოსწორებას აღარ შეეცდება. წარმატებებს გისურვებთ!“

კოტე, 19 წლის:

„გამარჯობა. მე ესპანეთიდან გწერთ. თქვენი ჟურნალი ძალიან მომწონს. მართალია, მას აქ ვერ ვყიდულობ, მაგრამ დედა მიგზავნის ხოლმე, სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად და მინდა გითხრა, რომ „გზა“ ყველაზე მაგარია. პირველ რიგში, მსურს პროოკატორს მივესალმო. მისი წერილები ძალიან, ძალიან მომწონს. რომანის ავტორებიც არაჩვეულებრივად მუშაობენ და მაინტრიგებენ ხოლმე. საქართველოდან ყოველი ახალი გზაგანილის მიღებას სულმოუთქმელად ველოდები, რათა ამ რომანების გაგრძელება წავიკითხო და ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილო. ჰოდა, მასხედება ცხოვრებით ბებიაჩემი, რომელიც სწორედ ასე იყო მიჯაჭვული სერიალებს, მე კი დავცინოდი... „გზა“ არ ჰგავს სხვა ქართულ ჟურნალებს, იგი არაა სიყვითლით გამორჩეული და მომწონს, შოუბიზნესის წარმომადგენლებზე აქცენტს ნაკლებად რომ აკეთებთ. თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს: ძალიან მიყვარს მსახიობი კახი კავსაძე და იქნებ მისი „ცხოვრების გზა“ შემოგვთავაზოთ?..“

2 წელია, რაც საქართველოდან ნამოვედი და ახლა, როცა „თინეიჯერულ პონტებს“ ვკითხულობ, ვხვდები, რომ სწორად მოვიქეცი, როცა ნამოვედი — იქ ისევე ისეთი სიტუაციაა, როგორც ადრე იყო. წლების წინ თანატოლებივით მეც ვყნოსავდი ნებოს, ვენედილ პლანს, ქუჩაში მათხოვრობასაც არ ვთავიკობდი და თავიც ბევრი უაზრობით მქონდა გამოჭედვით. აქ კი გარდა იმისა, რომ ვსწავლობ, ვმუშაობ კიდევ და უკვე ზუსტად ვიცი, ამ ცხოვრებისგან რა მინდა... მოკლედ, „გზა“ მაგარია და მინდა, თქვენი რედაქციის ყველა თანამშრომელს მადლობა გადავუხადო ამ არაჩვეულებრივი ჟურნალის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის. წარმატებები!“

ელენე ბასილია

ქალისთვის დედობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ბედნიერება მოსიყვარულე და თბილი ოჯახიც. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე გავიცანი ქალბატონი, რომელმაც საკუთარი ოჯახიც გამაცნო. როცა მისგან მოვისმინე, თუ როგორ გახდა დედა, გადაწყვიტე ამის შესახებ თქვენთვისაც მომეთხრო. ამ თემაზე მუშაობისას კი აღმოვაჩინე, რომ არაერთი სამაგალითო დედა ზრდის სხვის შვილს საკუთარ შვილებთან ერთად. ვფიქრობ, მათი ამბავიც საინტერესოა.

ქეთევანი, 45 წლის:

— მე და ჩემი მეუღლე ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს, ერთ სკოლაში დავდიოდით, ტექნიკურ უნივერსიტეტშიც ერთად ჩავაბარეთ და სიყვარული რომ გვეწვია, ოჯახიც შევქმენით... სამწუხაროდ, ქორწინებიდან 5 წელი ისე გავიდა, ბავშვი არ გვეყოლა (ნაყოფს ვერ ვინარჩუნებდი). ერთ დღესაც შევიტყვე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი, მაგრამ ისევე ნაყოფის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოვჩნდი. ექიმმა ნოლითი რეჟიმი დამინიშნა. დღეში ერთხელ ვახრებდი სუფთა ჰაერზე გასეირნებას. ერთხელაც, სეირნობისას, ჩვენს კორპუსთან შეჯგუფებული ხალხი შევნიშნე, იქვე პატარა ფუთა ეგდო, რომელშიც ჩვილი იყო გამოხვეული: ვილაცას რამდენიმე დღის წინ დაბადებული ბავშვი მიეტოვებინა. გადავწყვიტე, სახლში წამეყვანა (ვიფიქრე, ცოტა ხანს მოუვლი, მოვადლიერებ და მერე პოლიციას შევატყობინებ-მეთქი). როდესაც მეუღლე სამსახურიდან დაბრუნდა, ნახა, რომ სახვევებში გამოკრულ ჩვილს სავარძელში ეძინა. მოვუყვარი, რაც მოხდა; ძალიან გაუხარდა, რადგანაც ბავშვის აყვანაზე თავადაც ფიქრობდა და ერთად შევუდევით მასზე ზრუნვას. პატარას თორნიკე დავარქვი. ისე შეგვიყვარდა, რამდენიმე დღეში მიხვდით, რომ მის თავს ვერავის დაფუთობდით. ამიტომ კონსულტაციები გავიარე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა, თორნიკე ოფიციალურად მეშვილა. მართლაც, 6 თვეში ის ჩვენი ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდა. მის გაზრდაში (14 წლის წინ მოგესვენებთ, თუ როგორი მძიმე დრო იყო საქართველოში) ახლობლები და ნათესავები, როგორც შედეგად, ისე მუხმარებოდნენ. თორნიკეზე ზრუნვაში ჩემი ფეხმძიმობა ისე გაგრძელდა, არაფერს შეგუნუხებდით; აღარც კი მასსოვდა, რომ ნოლითი რეჟიმი უნდა დაემეცვა. მთლიანად ჩვილის მოვლაზე გადავრთე და ალბათ უფლის ნება იყო, რომ ორსულობა ასე უპრობლემოდ წარიმართა. მალე მეორე პატარაც დაიბადა და ორივე, ტყუპივით გაგზარდნენ. მათ საოცარი სინ-



სხვისი უვილის დედა



ალისე და ბედნიერება შემოიტანეს ჩვენს ცხოვრებაში. თორნიკეს სახით უფალმა დიდი საჩუქარი მომიძღვნა. მეც ჩემი მხრივ მას დედამამიშვილები და ოჯახური სიტუბო ვაჩუქე... დღეს უკვე 3 შვილის ბედნიერი დედა ვარ. სხვათა შორის, მან იცის, რომ 2 დედა ჰყავს. ფსიქოლოგებთან კონსულტაციისა და დიდი ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტე, მისთვის ყველაფერი

პატარაობიდანვე ამქსნა. ამიტომ ასაკის მატებასთან ერთად, უჩნდებოდა კითხვა: სად არის მისი მეორე დედა, რატომ არ მოდის ჩემთანო?... ვპასუხობდი, რომ ის მაშინ ესტუმრებოდა, როცა საჭიროდ ჩათვლიდა. ცოტა ხნის წინ, ტოქსოუ „პროფილს“ ერთად ვუყურებდით — გადაცემაში ნაშვილები ბავშვები ბიოლოგიურ დედებს ხვდებოდნენ. თორნიკე დროდადრო გადმოხედავდა. ახლა დედაშენი რომ მოვიდეს, გაპყვები-მეთქი? — ვკითხე. — არა, დე, რას ამბობ?! ისე კი მაინტერესებს, ვინ არისო, — მიპასუხა...

ნესტანი, 28 წლის:

— დაახლოებით 13 წლის ვიყავი, როცა ტელევიზიით ერთ-ერთ ბავშვთა სახლზე მომზადებული სიუჟეტი უჩვენეს. იმ დღის შემდეგ, საოცარი სურვილი გამიჩნდა, რომელსაც ოჯახის წევრებსაც სმირად ვუშვლდი: დიდი რომ გავიზრდები, ბავშვთა სახლიდან ბავშვს ვიშვილებ და გავზრდი-მეთქი. რა თქმა უნდა, ჩემს ლაპარაკს ოჯახის წევრები ღიმილით ისმენდნენ. ალბათ ეგონათ, ბავშვური სურვილი დროთა განმავლობაში გადამივიღდა. მაგრამ რომ წამოვიზარდე, სურვილი უფრო გამძლიერდა, რის გამოც დედა შემფოთებული იყო და მეკითხებო-

და: — გათხოვებას და საკუთარი შვილის გაჩენას არ აპირებო? — ჩემი შვილიც მეყოლება და სხვისასაც გავზრდი-მეთქი, — ვპასუხობდი. ამ პოლემიკაში მამა არ ერეოდა, ალბათ ჩემს აკვიტებას სერიოზულად არ იღებდა. 21 წლის ვიყავი, როცა პირველი და ნამდვილი სიყვარული მენვია. მე და გიგლა გეგმებს ვსახავდით, თუ როგორ უნდა გვეცხოვრა, რამდენი შვილი უნდა გვყოლოდა და როგორ აგვეყვანა ბავშვი... ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც ჩემი სურვილი მოინწონა და მხარიც დამიჭირა. მერე ისე მოხდა, რომ დავორსულდი. როდესაც ამის შესახებ გიგლას ვუთხარი, აბორტის გაცემა მომთხოვა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ ოჯახის შესაქმნელად ჯერ მზად არ ვიყავით. მთელი კვირის განმავლობაში ნერვიულობისგან ფეხზე ვერ დავდექი, გამოსავლის ძებნაში არაერთი ღამე გავატენე. ეს ამბავი ჩემს მშობლებს რომ გაეგოთ, დედაჩემი ნერვიულობას გადაწყვიტოდა, მამას კი ვერ გადაფურჩებოდა. ვიფიქრე, სხვა ქალაქში წავსულიყავი და იქ მემშობიარა, მაგრამ არც ამ იდეამ ივარგა... სხვა გამოსავალი არ იყო — აბორტი გავიკეთე. ამ ამბის შემდეგ, გიგლა ახლოს აღარ გამიკარე-

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანები ბიოგრაფიების თითო წიგნი!

ფიქციური მოქმედი

11-დან 18 მარტამდე

სომხური და ვინი

შემდეგ

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)


წიგნების სერია ბავშვებისთვის

• ალექსანდრე მაკედონელი	• ფრედერიკ შოპენი
• ალბერტ აინშტაინი	• ტეონარდო და ვინჩი
• მარკო პოლო	• ლუი პასტერი
• ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი	• ნაპოლეონ ბონაპარტი
• გალილეო გალილეი	• ისაყ ნიუტონი
• მიგელ დე სურვანტესი	• პლატონი
• მაჰათმა განდი	• კომას ალვა ედისონი
• უოლტ დისნეი	• ქრისტეფორე კოლუმბი
• ნიკოლაი კობაჩნიკი	



ბია. საკმაო დრო დამჭირდა, რომ გადატანილ სტრესს გავმკლავებოდი, ყველაფერი გადამეხარა და ცხოვრება თავიდან დაიწყო... მას შემდეგ, რაც გონზე მოვედი, ახალი ცხოვრება დავიწყე, რომლის მთავარი მიზანი — უპატრონო ბავშვის შევილად აყვანა იყო. უნივერსიტეტი დავამთავრე და მაღალანაზღაურებადი სამსახურიც ვიშოვე, ყველაფერს ნელ-ნელა, მიზანმიმართულად ვაკეთებდი და მაშინ, როცა ბინა ვიყიდე და ჩემს გემოზე მოვანყვე, ჩვილ ბავშვთა სახლში მივედი და მტკიცედ გადავწყვიტე, რომ იქიდან ჩვილი ნამომეყვანა... ბავშვის აყვანა არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა. უამრავი საბუთი, მათ შორის — მეუღლის თანხმობა და ქორწინების მოწმობაც მომთხოვეს... არც ამას შევუძინებოვარ, ერთ-ერთ ჩემს ბავშვობის მეგობართან, რომელიც ქალებით არასოდეს დაინტერესებულა, ფიქციური ქორწინება გავაფორმე და „ოჯახიც“ შედგა. დიდი ხანი მომიწია ლოდინმა, სანამ ბავშვს სახლში მოვიყვანდი. ერთ დღესაც, 5 თვის ნიკუმა ჩემი შვილი გახდა და ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. სამსახურიდან დეკრეტული შვებულება ავიღე. თანამშრომლებმა რომ გაიგეს, დეკრეტში გავიდაო, ყველას გაუკვირდა. 3 თვე ისე გავიდა, ვერც გავიგე... თითოეული დღით ვტკბებოდი, მე ხომ მთელი ცხოვრება ვოცნებობდი შევილზე! მერე ძიძა ავიყვანე. ალბათ გაინტერესებთ, რა რეაქცია ჰქონდათ ჩემს მშობლებს, როცა ეს ამბავი გაიგეს. დედაჩემმა დამირეკა და მთელი ხმით კიოდა: როგორ გაბედე, გათხოვება აღარ გინდა?! შეილიან ვინლა მოგიყვანსო?! მისი წივილ-კვილის ნერვები არ მქონდა, ტელეფონი გავუთიშე და ნომერი საერთოდ გამოცვალე. რაც შეეხება მამას, დედამ ჩემთან დარეკვის შემდეგ, მას დაატყუა რისხვა: ხმას რატომ არ იღებდი, როცა ამ თემაზე ლაპარაკობდა?! ყველაფერი შენი ბრალიაო!.. დღემდე არ მელაპარაკება. მამა ხშირად გესტუმრობს და ნიკუმასაც ნახულობს, რომელიც სიგიჟემდე უყვარს და არც ზედმეტ კითხვებს მისვამს. ალბათ დედაჩემისთვის მთავარი — ჩემი „სარფინად“ გათხოვება იყო. ბედნიერებისთვის შვილიც მყოფნის და ვისაც ვყვარები, ის ნიკუმასაც შეიყვარებს... ერთი წლის წინ კი, ნიკუმას დაბადების დღეს (როცა მას 1 წელი შეუსრულდა) გიგლა მესტუმრა და შერიგება მთხოვა. ალბათ ეგონა, წარსულში მომხდარ ტრაგედიას ბავშვი დამავინყებდა და შევურიგდებოდი, მაგრამ ერთი შვილი მეორეს ვერასოდეს ჩაანაცვლებს და გიგლაც არასოდეს იქნება ჩემ გვერდით. გაისად კიდევ ვაპირებ ბავშვის აყვანას. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

ლალი, 45 წლის:
— მთელი ახალგაზრდობა სწავლასა და კარიერას შევალე. სიმართლე გითხრათ, ოჯახის შექმნას, სანამ ყველაფერს არ ავანჯობდი, არც ვაპირებდი და 34 წლის ისე გავხდი, გათხოვებაზე არც მიფიქრია. ბოლო დროს ოჯახის წევრები შემომიჩინდნენ, — უკვე დროა, 16 წლის გოგო აღარ ხარ, მალე თუ არ გათხოვდი, მერე არც აღარავის ენდომებიო, — და ამ თემაზე მეც სერიოზულად დავფიქრდი. მაგრამ გათხოვებას მარტო ფიქრი ხომ არ შევლის?! მალევე გამახსენდა, რომ სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, თავყვანისმცემელი არ მყოლია. ჩემს სამსახურში ძირითადად, ქალები მუშაობდნენ და არც არავინ იყო ისეთი, რომ გამეცნო, მომწონებოდა და შემყვარებოდა; გასართობ ადგილებში მე არ დავდიოდი, სოციალური ქსელებით არ ვსარგებლობდი და ასე სად გინდა, მამაკაცი გაიცნო?.. მოკლედ, მართალია, გათხოვება გადავწყვიტე, მა-



ყველა მეუბნებოდა, — რად გინდა სხვისი შვილი, რა იცი, რა ხიფათს გადაგყრისო?!

გრამ შესაფერისი კანდიდატურა ვერ შევარჩიე. ზოგი სოფლიდან იყო ჩამოსული და ჩემს ბინას „დასარბებული“, თავად არც კი მიყურებდა, ზოგი გაკოტრებული ბიზნესმენი იყო და 9 პირი ცოლ-შვილი ჰყავდა გამოცვლილი, ზოგიც მე არ მომეწონა და 5 წელი ისე გავიდა, ვერავინ შევარჩიე. ბოლოს, როგორც იქნა, შესაფერისი ადამიანი გავიცანი. ნუკრი განათლებული იყო, შეგნებული, ბინაც ჰქონდა, სამსახურიც და რაც მთავარია, მე მოვწონდი და არა ჩემი სოციალური მდგომარეობა... ოჯახის შექმნაზე რომ დავინყებთ ლაპარაკი, ზუსტად მაშინ გამოვქცა ერთი გოგონა, რომელიც მასზე 20 წლით უმცროსი იყო და მითხრა, ნუკრისგან ბავშვს ველოდებიო. რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობა დამთავრდა და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ბავშვი ამეყვანა. ნათესავები ბავშვის მოსაძებნად „დავგეშე“. სიმართლე გითხრათ, თავიდან მათი შეგონებების ატანა მომიხდა: ყველა მეუბნებოდა, — რად გინდა სხვისი შვილი, რა იცი, რა ხიფათს გადაგყრისო?! — მაგრამ არავის ვუსმენდი. დიდხანს ლოდინიც არ დამჭირვე-

ბია, ერთმა ნათესავმა, რომელიც რაიონში ცხოვრობდა, მითხრა, რომ მისი მეზობელი გოგონა კურსელისგან დაფეხმძიმებულა; ნაყოფი უკვე დიდი იყო, მოშორება ვერ გაბედა და აღარ იცის, რა ქნასო. გოგონა ჩემს სახლში ჩამოვიყვანე, ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ მშობიარობის შედეგ ბავშვი ჩემთან დარჩებოდა, მანამდე კი მასზე ვიზრუნებდი... 4 თვის შემდეგ, ქეთა თავის რაიონში დაბრუნდა, ბავშვი კი ჩემთან დარჩა. მაგრამ ძალიან „ჭიანი“ აღმოჩნდა (ილი-მის).. სუსტი იყო და 2 კვირაში ერთხელ მაინც მიწვედა მისი პედიატრთან მიყვანა. გოგა, ნინუცას ექიმი იყო, თანამიგრძობდა და ცდილობდა, ბავშვის მდგომარეობა შედარებით ხალისიან ფერებში დაესტა. ერთ ღამესაც, როცა ნინუცა ავად გამიხდა, გოგას დავურეკე; ისიც რამდენიმე წუთში ჩვეთან გაჩნდა. როცა ნინუცა მდგომარეობიდან გამოვიდა, გოგამ დალილიმა შემომხედა და, — იქნებ რამე მაჭამოთ, მთელი დღეა, ლუკმა არ ჩამიდვია პირშიო, — მითხრა. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გავმალე სუფრა. ვახშმოხისას მითხრა, — თქვენნიარი ქალბატონები ძალიან მომწონს: ვიცი, ნინუცა თქვენი ღვიძლი შვილი არ არის და თქვენს გადაწყვეტილებას პატივს ვცემო. სიმართლე გითხრათ, მისი სიტყვები მესიამოვნა და ექიმს სხვა თვლით შევხედე... რალა ბევრი გავაგრძელო, იმ დღემ შეცვალა ჩვენი ურთიერთობა და რამდენიმე თვეში გოგამ ცოლობაც მთხოვა. დღეს უკვე 3 შვილი გყავს. ნინუცა დიდი გოგონაა, ნიჭიერია, სკოლაში დედის და თავის პატარა და-ძმასაც დიდი სიამოვნებით უვლის. მისთვის არ მითქვამს, რომ ჩვენი ბიოლოგიური შვილი არ არის და არც ვიცი, ამას ოდესმე ვტყვი თუ არა. მან ბედნიერება და დედობის სიხარული მომიტანა.

შეუძლებელია, ამ ქალბატონების ამბავს ემოციების გარეშე მოუხმინო, თუცა ჩემზე გაცილებით დიდი ემოციური გავლენა კიდევ ერთმა ამბავმა მოახდინა, რომელიც ახლობელმა გამანდო: ერთ-ერთი ბავშვთა სახლის ძიძამ პატარა, რომელიც ყველაზე მეტად დაუახლოვდა და შეუყვარდა — იშვილა. ქეთი ნატოს მეოთხე შვილი გახდა და არასოდეს უგრძნია, რომ ოჯახის ბიოლოგიური შვილი არ იყო. გოგონა გაიზარდა, უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთ დღესაც ნატომ გაიგო, რომ ნაშვილებ გოგონასა და მის ძმისშვილს ერთმანეთი უყვარდათ... დიდი ფიქრის შემდეგ, ოჯახმა გადაწყვიტა, ახალგაზრდებისთვის სიყვარული არ დაეშალა; ყველანაირად შეუწყვეს ხელი და დღეს მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ. ■



იური გაგარინი

სამყაროს პირველი კოსმონავტი და ცხოვრების 108 წუთი

მოვლენა, რომელსაც ამჟღერად შევხვებით, საბჭოთა კავშირისთვის ერთ-ერთი არგუმენტი გახდა სამისოდ, რათა ზესახელმწიფოს იმიჯი განემტკიცებინა. მეორე მხრივ, ამ მართლაც ისტორიულმა მოვლენამ ბიძგი მისცა მსოფლიოს მეცნიერებასა და ზოგადად ცივილიზაციას, პროგრესსა და ტექნოლოგიური რევოლუციისკენ.

წელს ნახევარი საუკუნე გადის იმ დღიდან, როდესაც ადამიანმა პირველად გაბედა და „გარედან“ — კოსმოსური აპარატის ილუმინატორიდან შეხედა მშობლიურ პლანეტას!

ზვიად გურული

არც ამ სტატიის ავტორი და იმედი, არც ჩვენი მკითხველი, არ ვართ შეპყრობილი საბჭოთა დროისადმი ნოსტალგიით, უბრალოდ მიჭირს ვიყო ობიექტური იმდროინდელი ამბებისა და ადამიანების დადებით კონტექსტში ხსენებისას, მაგრამ ერთადერთი, ვინც თავისი გულწრფელი საბჭოელი იმპერიალისტობისა და კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების მიუხედავად, ყოველთვის იწვევდა ჩემს ალტაცებასა და პატივისცემას, სამყაროს პირველი კოსმონავტი — რუსი იური გაგარინი იყო! კაცი, რომელიც სრულიად შეგნებულად დათანხმდა, სიცოცხლის რისკის ფასად, შეუცნობელ სამყაროში ემოგზაურა და მშვიდობით დაბრუნდა „იმ ქვეყნიდან“. „დედამიწელები“ კი ვერ გაუფრთხილდნენ — დღემდე გაურკვეველ, საიდუმლო ვითარებაში დაილუბა...

ხშირად ვამბობთ, — ქართველები საკუთარ ფასეულობებს არ ვუფრთხილდებით და არ ვაფასებთ-თქო, მაგრამ მგონია, რომ მთლად მასეც არ არის საქმე: წარმოიდგინეთ, ეს ამბავი საქართველოში რომ მომხდარიყო და პირველი კოსმონავტიც ქართველი ყოფილიყო, თუნდაც დღეს — 50 წლის შემდეგ, მოიძებნებოდა ვინმე, რომელსაც ეს ამბავი არ ეცოდინებოდა?! რუსეთში კი ერთი თვის წინანდელი გამოკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ 28 წლამდე ახალგაზრდების 46%-მა არ იცის, ვინ იყო გაგარინი, 27%-ს კი საერთოდ არ გაუგონია მისი სახელი. უფრო მეტიც — დაახლოებით იგივე სურათი დაფიქსირდა რუსული პროვინ-



ციული ქალაქების იმ ქუჩების მცხოვრებთა შორის, რომლებიც გაგარინის ან კოსმონავტიკის სახელს ატარებს! და ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო დონეზე დღემდე უმაღლეს პატივს მიაგებენ იმ ამბებს: არ არსებობს რუსეთში პატარა დაბაც კი, სადაც ქუჩა, მოედანი ან თუნდაც სანარმო არ ატარებდეს პირველი კოსმონავტის სახელს, რამდენიმე ქალაქს სულაც, გაგარინი და კოროლიოვი ჰქვია.

ისე, ალბათ იგივე სიტუაციაა ამერიკაშიც — ოფიციალური გამოკითხვების შედეგები არ ვიცი, მაგრამ არა მგონია, მთვარის პირველი სტუმარი ასტრონავტების გვარები მთელმა ამერიკამ იცოდეს, განსაკუთრებით — ახალგაზრდებმა...

რაც შეეხება თვით ტერმინებს — „კოსმონავტი“ და „ასტრონავტი“ — ერთი და იგივეა, უბრალოდ, 1927 წლიდან, ცნობილი მწერალ-ფანტასტიკის — ჯოზეფ რონის მიერ გამოგონილი ტერმინი რუსებმა საკუთარით შეცვალეს („კაპიტალისტური“ არაფერი უნდოდათ) და დღემდე მხოლოდ რუსეთში შემორჩა ეს ტერმინი, სხვაგან ყველგან „ასტრონავტს“ ამბობენ, გარდა ჩინეთისა, რომელმაც ბოლო წლებში ამ სფეროშიც დიდ წარმატებებს მიაღწია — იქ ამ ხალხს „ტიაკონავტებს“ უწოდებენ.

მაშ, ასე — 1961 წლის 12 აპრილი, დილის 9 საათი. საბჭოთა კავშირის ყველა რადიომიმღებსა და ტელევიზორში გაგარინის ხმა ისმის; ის ზეპირად ლაპარაკობს, „შპარგალკაში“ არ იხედება: „ძვირფასო მეგობრებო, ახ-

ლობებო და უცნობებო, თანამემამულენო, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ადამიანებო!

რა უნდა გითხრათ სტარტამდე რამდენიმე წუთით ადრე? მთელი ჩემი ცხოვრება ახლა ერთ მშვენიერ წამად მეჩვენება; რამდენიც ვიცხოვრე აქამდე და რაც გავაკეთე ამ ცხოვრების მანძილზე, ამ წუთისთვის მზადება იყო...

გახდეს პირველი ადამიანი კოსმოსში, ერთი-ერთზე შეხვიდე ჯერ არნახულ ბრძოლაში ბუნებასთან — შეიძლება, ამაზე მეტზე იოცნებო?!“

მამაცი ადამიანის გულწრფელი სიტყვებია. ამის შემდეგ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა იდეალების ერთგულებას რომ იფიცებოდა იმავე ჩანანერში, ალბათ იქაც გულწრფელი იყო, მაგრამ დღეს ეს უკვე

ალარ არის მნიშვნელოვანი...

არადა, საფრთხე ხომ თავისთავადაც არსებობდა (მით უმეტეს, როგორც ამბობენ, მანამდე რამდენიმე წარუმატებელი ცდა მსხვერპლით დასრულდა), მაგრამ კიდევ უფრო საშიშელი ის იყო, რომ ვერც ფიზიკოსები და ვერც ექიმები თეორიულადაც კი ვერ ვარაუდობდნენ, რა მოხდებოდა იქ — უსასრულობაში. წარმოიდგინეთ — ექიმები ეჭვობდნენ, რომ დიდი წნევის გამო, შეიძლებოდა, ტვინი „დროებით შეშუპებულიყო“ და გაგარინს გონება დაბინდოდა, ამიტომ შესამონებლად კონვერტი გაატანეს, რომელშიც სიტყვებით ეწერა რამდენიმე რიცხვი, მას კი ეს რიცხვები ციფრებით უნდა ჩაენერა.

ხომალდის ორბიტიდან გასვლისა და კოსმოსში დაკარგვის შესაძლებლობაც არ იყო გამორიცხული და ამიტომ, თავის მოსაკლავად, გამზადებული შპრიცი მისცეს, რადგან ისიც არ იცოდნენ ზუსტად, ტაბლეტი რომ გა-

ბალებმა დღე-ღამე მეტი დაყვეს კოსმოსში



ეტანებინათ, უწონადობის პირობებში შეძლებდა თუ არა მის გადაყლაპვას ანუ „ჩავიდოდა“ თუ არა ეს ტაბლეტი საყლაპავიდან ქვემოთ — კუჭში...

ნარმოიდგინეთ, ასეთი რეალური შესაძლებლობების წინაშე მდგომი ადამიანი, რომელიც მინც თანხმდება, ფაქტობრივად, საექსპერიმენტო ცხოველის როლზე, დასაფასებელი სიმამაცეა!

ექსპერიმენტული ცხოველი კი მართლაც ბევრი შეეწირა მანამდე განს-

ბილობა (უბრალო ენით რომ ვთქვათ — ტუალეტი) ხვადი ძალისთვის, რომლებიც ფეხანული შარდავენ, უფრო დიდ ადგილს დაიკავენ...

ძაღვები — ძაღვებად და, ექიმები არც მაღავედნენ, რომ ცხოველებზე ჩატარებული წარმატებული ექსპერიმენტების შედეგებით თავის დამწვიდება არ შეიძლებოდა — სხვა ორგანოების ფუნქციის მოშლისა იმდენად არ ეშინოდათ, რამდენადაც ტვინის პრობლემა აფიქრებდათ, რადგან ადამიანის ტვინია ის ორგანო, რომელიც ყველაზე მეტად განსხვავდება ცხოველისგან, ზომისა და „სირთულის“ გამო.

ალბათ, კოსმოსური ცენტრიდან გამოყოფილმა მითმა ამ საშიშროების შესახებ შვა სწორედ ის ჭორები, რომლებსაც დღემდე გაიგონებთ: გაგარინი ფრენისას გაგიჟდა, დედამიწაზე ამისთვის მზად იყვნენ და აქ ორეული დაახვედრეს, რომელიც შემდეგ მისი სახელით ცხოვრობდა, მერე კი, საიდუმლოს ფარდა რომ არ ახდოდა, მოკლესო (ოღონდ რატომ აცოცხლეს 7 წელი და ამ პერიოდში რატომ ვერ გათქვამდა საიდუმლოს, ამას აღარ ამბობენ)...

იური გაგარინის ბავშვობა ჩვეულებრივი პროვინციელი საბჭოთა ბავშვის ცხოვრება იყო და ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი დიდი ეპოქის პიონერი გახდებოდა: 1934 წელს, სმოლენსკის ოლქში, მიყრუებულ სოფელში დაიბადა. მამამისი დურგალი იყო, დედა — კოლმეურნეობის ფერმაში ძროხებს წველიდა. 1941 წლის სექტემბერში სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ერთ თვეში სოფელი გერმანელებმა აიღეს და სწავლა შეწყდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფების მიერ დაწერილ გაგარინის ბიოგრაფიაში ასეთ ამბავს შეხვდებით: იურის უმცროსი ძმა გერმანელმა ჯარისკაცმა თავისი შარფით ხეზე ჩამოკიდა ჩამოსახრჩობად და ფოტოაპარატის მოსატანად წავიდა(?); ამასობაში დედამ ჩამოხსნა ბავშვი და გადაარჩინაო. იმ ბიოგრაფიებში არაფერია ნათქვამი, გერმანელს რატომ „მოერიდა“, რომ ხელმეორედ ჩამოეხრჩო ბავშვი და ეს ამბავი არც თვით გაგარინს უთქვამს ან დაუწერია სადმე, მაგრამ მაშინდელ „პროპაგანდისტულ მანქანას“ ასეთი ამბების გამოგონება სჭირდებოდა და ეხერხებოდა კიდევ...

გაგარინმა მხოლოდ 6 კლასი დაამთავრა და სახელოსნო სასწავლებელში შევიდა — დურგალმა მამამ მოითხო-

ვა, რომ შვილს ხელობა სცოდნოდა. მაგრამ ცოდნას მოწყურებულმა ყმანვილმა პარალელურად სალამოს სკოლაში განაგრძო სწავლა, წარმატებით დაამთავრა და დიდ ქალაქში — სარატოვში გაემგზავრა, სადაც ინდუსტრიულ ტექნიკუმში მოენყო და, რაც მთავარია, იქაურ აეროკლუბში განევრდა. ასეთი აეროკლუბები და ზოგადად ავიაცია ძალიან პოპულარული იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

სწორედ ამ გადწყვეტილებამ განსაზღვრა მისი მომავალი — იგი პროფესიონალი სამხედრო მფრინავი გახდა. როდესაც ჯარში გაინვიეს, სარატოვის აეროკლუბში უკვე 196 გაფრენა ჰქონდა განსორციელებული. არმიაში კიდევ უფრო დაოსტატდა, საფრენოსნო სასწავლებელიც დაამთავრა და 2 წლის შემდეგ დიპლომირებული მფრინავი სამუშაოდ ერთ-ერთ სამხედრო-საჰაერო ბაზაზე მიავლინეს. ეს 1957 წელს მოხდა. იმ წელსვე დაოჯახდა.

2 წელი იყო გასული, რაც ბაზაზე მუშაობდა, როდესაც შეიტყო — სამხედრო მფრინავთაგან კოსმონავტიკის კანდიდატთა ჯგუფი ყალიბდებოდა და იმ დღესვე გაგზავნა განცხადება მოსკოვში. პასუხმაც არ დააყოვნა და 3 თვეში, 1960 წლის მარტის დასაწყისში იგი ოჯახთან ერთად, უკვე მოსკოვში იყო.

საერთოდ, ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა, რადგან ფრენების მთავარ მეცნიერ-ხელმძღვანელს, აკადემიკოს კოროლიოვს უტყუარი ინფორმაცია ჰქონდა საბჭოთა დაზვერვისგან, რომ ამერიკელები 1961 წლის 20 აპრილს აპირებდნენ თავიანთი ასტრონავტის კოსმოსში გაშვებას. ამერიკელების პირველობას კი საბჭოთა რეჟიმი არ აპატიებდა...

მზადება უცხო თვალისგან დაფარულ ვითარებაში მიმდინარეობდა ზვიოზდნიში — მოსკოვთან ახლოს საგანგებოდ აშენებულ ე.წ. „საიდუმლო ქალაქში“ (ასეთი ბევრი იყო საბჭოთა კავშირში და ალბათ ახლანდელ რუსეთშიც არის), სადაც კოსმონავტიკის კანდიდატებიცა და მთელი სამეცნიერო-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი ერთ დღეს გადასახლდა, ოჯახებიც იქ, ახალაშენებულ სახლებში გადაიყვანეს.

კანდიდატთა ჯგუფი თავიდან 20 მფრინავისგან შედგებოდა და შერჩევა საგანგებოდ მოფიქრებული კრიტერიუმებით მოხდა: უნდა ყოფილიყო კომუნისტური პარტიის წევრი (გაგარინი იქვე, 1960 წელს მიიღეს პარტიაში), არ უნდა ყოფილიყო 30 წელზე უფროსი ასაკის, 170 სმ-ზე



იგი სარატოვის ოლქში, ერთ პაგარა სოფელთან ახლოს, გყის განაპირას დაემუა

ორციელებულ გაფრენებს და პირველები, ვინც ცოცხლები დაბრუნდნენ კოსმომოგზაურობიდან, ძაღვები — ბელკა და სტრელკა იყვნენ და გახდნენ კიდევ ძალიან პოპულარულები მთელ მსოფლიოში: ხრუსჩოვმა პრეზიდენტ კენედის ცოლს — ჟაკლინს სწორედ სტრელკას მიერ დედამიწაზე დაბრუნებიდან 6 თვის შემდეგ გაჩენილი 6 უჯრიშო ლეკვიდან ერთ-ერთი აჩუქა და დიდად გაახარა. სხვათა შორის, ორივე ძაღლმა „ღრმა სიბერემდე“ იცოცხლა და მათი ფიტულები კოსმონავტიკის მუზეუმის უძვირფასეს ექსპონატებად მიიჩნევა დღემდე.

პირველი წარმატებული „ოთხფეხა კოსმონავტიკის“ თემა რომ ამოვწუროთ, ბარემ ესეც ვთქვათ: ისინი დუბლიორები იყვნენ, ძირითადი წყვილი კი (ჩაიკა და ლისიჩკა) 2 თვით ადრე დაიხოცა წარუმატებელი გაფრენის დროს. კიდევ ერთი, იმ დროისთვის ნიშანდობლივი დეტალი: ბელკასა და სტრელკას თავიდან, ალბინა და მარკიზა (ორივე ძუ იყო) რქმევიათ და კა-გე-ბეს წარმომადგენლებს კატეგორიულად მოუთხოვიათ, მათთვის „უცხოური“ სახელები „მშობლიური“ შეეცვალათ.

ძუები იმიტომ შეურჩევიათ, რომ გაგარინის მოგზაურობისგან განსხვავებით (მან დედამიწას მხოლოდ ერთხელ შემოუფრინა), რომელიც 108 წუთს გაგრძელდა, ძაღვებმა დღე-ღამეზე მეტი დაყვეს კოსმოსში (17 წრე პლანეტის გარშემო) და საახენიზაციო მოწყო-



მალალი და 72 კგ-ზე მძიმე. უფრო დიდი გაბარტიების ადამიანი ხომალდ „ვოსტოკის“ (ასე დაარქვეს) კაბინაში არ ჩაეტეოდა.

ამ 20 კანდიდატიდან საბოლოოდ, 6 შეარჩიეს და დაიწყო უმძიმესი, სავარაუდო რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნები — ცენტრიფუგებში ტრიალი, ძლიერი დარტყმების ატანა და ა.შ.

სხვათა შორის, მხოლოდ 2 დღით ადრე — 10 აპრილს გაირკვა, იმ 6 კაციდან ვინ უნდა გაფრენილიყო: სახელმწიფო კომისიის გადამწყვეტილებით, ეს მისია იური გაგარინს დაეკისრა, ხოლო გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის, მის დუბლიორად გერმან ტიტოვი დაინიშნა.

საინტერესოა, რომ იმ დროისთვის ერთადერთ საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოს მაშინვე მიეცა დავალება, რომ გამზადებულიყო განცხადების 3 ვარიანტი: „წარმატებული“, „ტრაგიკული“ და კიდევ — მიმართვა უცხო სახელმწიფოთა მთავრობებისადმი იმ შემთხვევისთვის, თუკი დაშვება შეცდომით, მათ ტერიტორიაზე მოხდებოდა.

სხვათა შორის, დამშვებასთან დაკავშირებით, მართლაც, მცირე უზუსტობა მოხდა: ყაზახეთის ტერიტორიაზე განლაგებული, ბაიკონურის კოსმოდრომიდან აფრენის შემდეგ, გაგარინი პარაშუტით უნდა დაშვებულიყო სტალინგრადიდან 110 კმ-ით დაშორებულ, საგანგებოდ მომზადებულ მოედანზე, მაგრამ სინამდვილეში იგი სარატოვის ოლქში, ერთ პატარა სოფელთან ახლოს, ტყის განაპირას დაეშვა და ექიმებისა და სპეციალისტების ნაცვლად, ამის მომსწრე მხოლოდ იქაური მეტყვევის მოხუცი ცოლი და მისი 6 წლის შვილიშვილი გახდნენ, რომლებსაც შიმისიგან კინაღამ გულები გაუსკვდათ. ჯარისკაცებიც მალევე მივიდნენ — უახლოესი სამხედრო ნაწილის რადარებმა 2 უცხო ობიექტი დააფიქსირა (დასაშვები აპარატი და იქიდან კატაპულტირებული პარაშუტისტი).

ამის შემდეგ იყო სამთავრობო მიღებები, ჯილდოები, პატივისცემა, საზღვარგარეთ მოგზაურობები — გაგარინი მაშინდელმა პიარტექნოლოგებმა საბჭოთა პროგრესული ადამიანის განსახიერებად აქციეს.

არადა, როგორც ამბობენ, ბოლომდე უბრალო „გლეხის ბიჭად“ დარჩა — დალევა უყვარდა, საკუთარ აზრებს საკმაოდ თამამად გამოთქვამდა და ვერაფრით ეგუებოდა მუდმივ ზედამხედველობას.

ფრანგმა ჟურნალისტებმა

პარიზში ერთ-ერთ მიღებაზე ხელში ჩაიგდეს ბოთლი (შემთხვევით დარჩენია მასზე მიმაგრებულ ზედამხედველს), რომელშიც მხოლოდ წყალი აღმოჩნდა! არადა, გაგარინის თანმხლები პირები, როდესაც უცხოეთში მოგზაურობისას სადმე მიიწვევდნენ, სუფრაზე ყოველთვის ამბობდნენ, — მაიორი გაგარინი მხოლოდ საბჭოთა არაყს სვამს! — საიდანაც დაბეჭდილ არყის ბოთლს ამოაძვრენდნენ და იქიდან უსხამდნენ „არაყს“. როგორც გაირკვა, სიმთვრალეში გაგარინი „გულწრფელი“ ხდებოდა და ამიტომ აკრძალა კა-გე-ბემ მისთვის ალკოჰოლის მიცემა, მით უმეტეს — უცხოეთში.

სხვათა შორის, გამოქვეყნებულ სტენოგრამებში, რომელიც აფრენამდე 2 საათით ადრე ხომალდიდან ცენტრთან მის საუბარს ასახავს, ასეთი დიალოგითაა:

— იქ, რომ ჩამოხვალ, პაკეტი დაგიტოვებ. ძეხვია, დრაჟები და მურაბა ჩაისთვის.

— გავიგე.

— ნკ ცალია (დრაჟე), ყველა შეჭამე და გასუქდები.

— მთავარია, რომ ძეხვი არის, არაყზე მისაყოლებელი გვექონია.

საფრანგეთში, „სეტრას“ კონცერნში სტუმრობისას, ისე მოსწონებია ერთი სპორტული ავტომობილი, რომ აღტაცება ვერ დაუფარავს. მასპინძლებმა მაშინვე აჩუქეს, მაგრამ „კაგებუნეკმა“ მხლებლებმა განაცხადეს:

— მაიორ გაგარინს უკვე ჰყავს საბჭოთა „ვოლგა“. ეს საუკეთესო მანქანაა, სხვა მას არ სჭირდება.

გაგარინს კი ეს ვეღარ მოუთმენია და იქვე უთქვამს:

— „ვოლგა“ კარგია, ეს კი — სულ სხვა რამაა. თუ გინდათ, იმ „ვოლგას“ გაჩუქებთ.

ველარაფერი უთქვამთ და მოსკოვში დაბრუნებულ გაგარინს ლაჟვარდისფერი სპორტკარი მიართვა საფრანგეთის საელჩომ. ფრანგების გამოგზავნილი იმ მანქანით მოსკოვშიც რამდენჯერმე უსეირნია. ამ სურათის გა-


დაღებაც მოასწრო და ამის შემდეგ მალე დაიღუპა: 1968 წელს, ახალი საბრძოლო თვითმფრინავის გამოცდისას, ავიაკატასტროფას შეენირა მენყვილესთან — სერიოზიანად ერთად.

მაგრამ ეს ოფიციალური ვერსიაა, ხოლო არაოფიციალური, ხალხში მოარული ვერსია უამრავი იყო და დღემდე გაურკვეველია, რომელი მათგანია სიმართლე. შეგიძლიათ „აირჩიოთ“: ტერაქტი — ვილაცამ წინასწარ ამოილო პარაშუტები სპეცჩანტიდან (მართლაც, კომისიამ კატასტროფის ადგილზე საკატაპულტო პარაშუტის ნარჩენები ვერ აღმოაჩინა); სიმთვრალე — როგორც იხსენებენ, წინა ვალამოს ორივეს ცოტა დაუღლეია მეგობრის დაბადების დღეზე, მაგრამ მერე რა მოხდა, აღარავის უნახავს („პახმელიაზეც“ არ იტყოდნენ თითო ჩქიჯზე უარს. ამ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ გაგარინი, რომელიც სულ მანქანით დადიოდა, იმ დღეს ავტობუსით მისულა აეროდრომზე); ფრინველის მოხვედრა ძრავაში — მართლაც იპოვა კომისიამ სისხლიანი ნარჩენები ძრავაში... ეს რაც შეეხება ვერსიებს, რომელთაგანაც არც ერთი არ უარყოფს იმ დღეს გაგარინის დაღუპვას. მაგრამ არსებობს ვერსიები, რომლის თანახმადაც, ეს ავიაკატასტროფა სწორედ იმიტომ მოაწყო კა-გე-ბემ, რომ იქ სულ სხვა ადამიანი დაღუპულიყო, გაგარინი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს; სხვები ნერვს, ფსიქიატრიულში კი არა, უცხოეთში გაიქცა და საბჭოთა სპეცსამსახურებმა იქ მოკლეს; ზოგი ირწმუნება, — „კარგ ცხოვრებას“ მიუჩვენებელი, სადღაც გადაკარგულში წავიდა, გვარი გადაიკეთა, იქ ცხოვრობდა და ნადირობის დროს უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპაო...

ახლა, 50 წლის შემდეგ, სიმართლეს მისი დაღუპვის შესახებ ალბათ მხოლოდ მისი ახლოობლებისთვის აქვს მნიშვნელობა, დანარჩენი მსოფლიოსთვის კი მთავარი — იური გაგარინის ცხოვრების 108 წუთია, როდესაც ამ მამაცმა ადამიანმა ხორცი შეასხა კაცობრიობის საუკუნოვან ოცნებას — „უცხო თვალით“ შეეხედა მშობლიური დედამიწისათვის და აქ დაბრუნებულმა, როდესაც შეშინებული გლეხები ეხვივნენ გარს, სანამ ჯარისკაცები მოაკითხავდნენ, ქალაქის ნაგლეჯი და ფანქარი მოეთხოვა და დაწინა: „დედამიწას ხომალდ-თანამგზავრით შემოვუფრინე და ვნახე, რა მშვენიერია ჩვენი პლანეტა. ადამიანებო, გავუფრთხილდეთ და გავამრავლოთ ეს სილამაზე, ნაცვლად იმისა, რომ გავანადგუროთ იგი. გაგარინი“.

გაგარინი მაშინდელმა პიარტექნოლოგებმა საბჭოთა პროგრესული ადამიანის განსახიერებად აქციეს





სამყარო

„როგორც კი ფრანკას ბოლო წერტილი დავუსვი, მარჯვენა ხელში ქალა გამოვიტყა“

რეზო მამუკაშვილიმ სატვა 29 წლის ასაკში დაიწყო. მისი ნამუშევრები ქალაქში გადმოტანილი საკუთარი ცხოვრება — საოცარი და მღელვარე... მოხატა რამდენიმე ეკლესია და წერს სატებს... 3 წლის წინ, როდესაც მეჯვრისხვევის ლომისის ეკლესიის მოხატვაზე მუშაობდა, სხეულის მარჯვენა ხარე წაერთვა. მას შემდეგ დამოუკიდებლად ვეღარ გადაადგილდება და მარცხენა ხელით ხატავს. ამბობს, რომ 50 წლის ასაკში „დაიბადა“, რომ დღეს 53 წლისაა, სულ სხვა ადამიანია, რომელიც ნათლად ხედავს და აცნობიერებს წარსულში დაშვებულ შეცდომებს...

რეზო მექვაბიშვილს 2 ქალიშვილი და 1 შვილიშვილი ჰყავს. ის გულახდილად გვიამბობს იმ გზაზე, რომელმაც საბოლოოდ ტაძარამდე მიიყვანა...

ქალაქი ხირსკელი

— მხოლოდ დიდ განსაცდელს მიყვარვართ ქუშმარიტებასთან. ასეთია ადამიანის ბუნება: სანამ გვიღობის, ცა ქუდად არ მიგვანია, დედამინა — ქალამინად. ვერაფერს ვხედავთ და ვხვდებით... რასაც დასთეს, იმას მოიძე. მომავალი აწმყოსი და წარსულის გამოძახილია! ეს ინტერვიუ ჩემი ერთგვარი აღსარებაც არის. უკან ვიხედები და სინანულით მეცება გული. წუთისოფელი ამოუბაში გამიტარებია, არადა, რამდენი რამის გაცეთება შეიძლებოდა... ვლოთობდი, ვმუშობდი, იმ ადამიანებს არ ვაფასებდი, ვისაც ვუყვარდი... ღმერთის კი მწამდა, მაგრამ ჩემებურად, განსხვავებულად... სულ ვესაუბრებოდი, ყველგან და ყველაფერში მას ვეძებდი, მაგრამ უფლის შიში არ მქონდა, მეგონა, რომ ყოველთვის „გამიგებდა“ და მაპატიებდა. რამდენჯერ გამიტყუებდა მისთვის მიცემული სიტყვა. ერთი რამ არ გავითვალისწინე: როცა უფალი,



როგორც მამა, თავზე ხელს გვისვამს, მეორეში — მათრახი უჭირავს, რომ გამოგვაფხიზლოს, გონზე მოგვიყვანოს...

— **საოცარია, რომ თქვენს მდგომარეობაში ამდენს მუშაობთ. როგორც ვიცო, ახლა გამოფენისთვის ემზადებით.**

— გამოფენის მოწყობა მინდა. ნამუშევრები მართლმადიდებლურ თემაზე იქნება. თითქმის სულ ვხატავ, დილის 4 საათზე რომ დავიწყებ, მთელი დღე ვმუშაობ; განა შეიძლება, დაგვალოს იმან, რაც გიყვარს?! მინდა, გამოფენისთვის რაც შეიძლება მეტი ნამუშევარი მოვასწრო. ინსულტის შემდეგ, მარჯვენა ხარე რომ წაერთვა, წელიწად-ნახევარია, მარცხენა ხელით დავიწყე ხატვა. ახლა, როცა აზროვნება, შეხედულებები შემეცვალა, თითქოს ჩემი ნამუშევრებიც შეიცვალა, მათში მეტი სინათლეა... „სინანული — 2010“ — ასე ეწოდება ჩემს ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს — მასში სინანულიც არის და იმედიც... სიმბოლურად გადმოვიცი პირადად ჩემი და

ზოგადად, ლოთი კაცის სახე.

— **გვიამბეთ თქვენ მიერ განვლილ გზაზე.**

— სოფელ მეჯვრისხვეში (გორის რაიონი) ვცხოვრობდით. დედა, მცხეთელი ქალი იყო, ბუნებით რომანტიკოსი. პატარაობისას დამისვამდა და მთვარეზე, ვარსკვლავებზე მელაპარაკებოდა. მამა კი განსხვავებული ბუნების კაცი გახლდათ, უფრო პრაგმატული — მძლოლად მუშაობდა. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე, ჰიდრომელიორაციის სპეციალობით. კარგადაც ვსწავლობდი და წიგნებსაც ვკითხულობდი. 20-22 წლის ასაკში ლექსებსაც ვწერდი. ვიშახურე ჯარში, ვმუშაობდი ინჟინრად. ბევრი მეგობარი მყავდა, დროს ტარება, ქალებში გართობა მიყვარდა... ბავშვობაში, 5 წლის განმავლობაში, მცხეთაში, ბებიასთან ვცხოვრობდი. ბებო სვეტიცხოველში მუშაობდა, ბიძა მღვდელი იყო. შეუძლებელია, ამ ტაძრის სიხლოვეს ცხოვრობდე და ამ საოცრებამ შენზე თავისი კვალი არ დატოვოს. მაშინ სახელმწიფო მოსამსახურეებს ეკლესიაში შესვლის ემინოდით და ხშირად მთხოვდნენ, მათ ნაცვლად სანთლები დამენთო. ერთხელ, მახსოვს ტაძართან ბიჭები ვიდექით. ცნობილია ფსიქიატრმა — ავლიპ ზურაბაშვილმა გამოიარა. უცნაურად მიყურებდა, მერე დამიძახა: — ყმანვილო, მობრძანდით ჩემთან! გამიკვირდა, მაინცდამაინც მე რატომ ამომარჩია-მეთქი? გაბრაზებული იყო: — თავი არ უნდა მიარტყმევირო იმას, ვინც ფრესკებზე წარწერებს აკეთებსო?!

— **პირად ცხოვრებაზე რას გვთქვით?**

— მომავალი მეუღლე რომ გავიცანი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, შევეყვარდი. 27 წლის ასაკში დავეორნინდი. მეუღლე „სასწრაფო დახმარების“ ექიმი გახლდათ და ოჯახისთვის თავდადებული ქალბატონი, საოცრად მზრუნველი, მოსიყვარულე დედა და მეუღლე... გმირი იყო, აბა რა, მე რომ მიტანდა; როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა, ის მაშინ წაიყვანა უფალმა (2



ნლის წინ), ალბათ, მისი ფასი რომ გამეგო. ძალიან მაკლია, მივხვდი, მისი სახით თუ როგორი მეგობარი დავკარგე...

ხატვა როდის დაიწყეთ?

— ეს მოულოდნელად და ძალიან უცნაურად მოხდა. 29 წლის ასაკში დამე-სიზმრა, რომ შემოდგომის ტყეში მივ-დიოდი, გზას მთვარე მინათებდა. ბილ-იკმა სოფელში გამიყვანა, სადაც პატარა ეკლესია ბრწყინავდა. თითქოს ეკლესიიდან მომავალმა სიხემა გულში შემოაღწია... ასეთი უჩვეულო შეგრძნება არასდროს მქონია. გამომეღვიძა, ნანახი თვალწინ მედგა... სურვილი გამიჩნდა, სიზმარში ნანახი ქალაქადღე გადამეტანა. იმ დღეს სამსახურშიც არ წავსულვარ. ბავშვობის დროინდელი ფუნჯები მოვქებენ, სარდაფ-ში ძველი ჩარჩო და ბიაზის ნაჭერი ვიპოვე და სასწრაფოდ შევუდექი საქმეს. იმის მერე სამსახურში რომ ვიყავი ხოლმე, ერთი სული მქონდა, შინ დროულად დავბრუნებულიყავი, რომ დამეხატა. ერთი კვირის შემდეგ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დავწერე. ყველას გაუკვირდა. მამაჩემი მეჩხუბებოდა, გა-დაირიე, ოჯახი როგორ უნდა არჩი-ნოო?! პირველად ეკლესია დავხატე, მე-ორე სურათზე კი — ეშმაკებთან მოქე-იფე მღვდელი. მაშინ ის ნამუშევრები ძალიან მომწონდა, მაგრამ ახლანდელ სურათებს რომ ვადარებ, ისე აღარ მო-მწონს.

პირველი სურათი როდის გაფიქვინდა?

— ხატვის დაწყებიდან 1 წლის შემ-დეგ ვიღაც ებრაელი ვაჭარი მოვიდა და მითხრა: — მიინდა, ფოტოდან გარდაცე-ლილი დედის სურათი დამიხატო. აქამ-დე ვინც კი დამიხატა, არც ერთი არ მომეწონა. თუ ნამუშევარში დედა შევიცანი, რასაც მეტყვი, გადავიხდით. პორტრეტი მანამდე არასდროს დამეხა-ტა, მაგრამ უარი არ მითქვამს. შეკვეთა ერთ კვირაში შევასრულე. კლიენტი კმაყ-ოფილი დამრჩა. მდიდარი კაცი იყო. რამდენი მოგცეო, — მკითხა. მაშინ ასე-თი სურათები 300 მანეთი ღირდა. მე 150 მანეთი ვუთხარი. კარგი ბიჭი ჩან-არ და ფული უნდა გამოვიწინოო. ებრაელების დღესასწაულის — „სუფრის კურთხევის“ თემაზე თუ კარგ სურათს შექმნი, არც ერთი ებრაელი არ გეტყვის უარსო. მცირე დროში 100 ასეთი ნა-მუშევარი გაყვიდე — თითო 200-300 მანეთად, ისრაელშიც წაიღეს. ამ საქმემ ფული მართლაც მამოვიწინა. მაგრამ ის კომერცია იყო...

ალბათ გაქვთ ნამუშევრები, რომლებიც გასაყიდად არ გემეტებათ, არა?

— ახლა გასაყიდად არც ერთი სურა-თი არ მემეტება. მგონია, საკუთარ სხ-ეულს ვყიდი, მირჩენია, ვინმეს ვაჩუქო... უნინ კი ამით ვცხოვრობდი...

რა მიგაჩნიათ თქვენს პირველ ნარმატებად?

— 1991 წელს, თბილისში თვითნა-წავლ მხატვართა გამოფენა მოეწყო. 4 სურათი წარვადგინე. ვერნისას ელგუჯა ამამუკელიც ათვალეირებდა. როცა მზ-ერა ჩემს ნამუშევარზე („ზამთრის მზე“) შეაჩერა, თითქოს გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა. სურათთან 10-15 წუთი იდგა... შემდეგ მეუღლეს მოუხმო. არ დამავიწყდება მისი სიტყვები: „ნამდვილი შედეგია!“ — ეს ჩემთვის უდიდესი შე-ფასება იყო, რამაც მუშაობისთვის სტიმი-ლი მომცა...

საზღვრგარეთ სურათების გატანა თუ გიცდიათ?

— ჩემს ბიძაშვილს, მორაგბე — ბადრი მექვაბიძეს კონტრაქტი ჰქონდა გაფორმე-ბული პარიზის კლუბთან — „ატლეთიკ-ბულონ“ და 1991 წლიდან პარიზში ცხ-ოვრობდა. ორმეტრიანი ვაჯაკი იყო, წარ-მოუდგენელი ფიზიკური ძალის პატრო-ნი. დღისით კლუბში თამაშობდა, სალა-მოს 6 საათიდან — დილის 4 საათამდე კი პარიზის ერთ-ერთი ლამის ბარის მცველი იყო. დღე-ღამეში 3-4 საათი თუ ეძინა. 1993 წელს, გადაწყვიტე, მასთან სტუმრად ჩავსულიყავი. ვოცნებობდი, მენახა ლუგრი, ორსეის მუხუმი... თან, რასაკვირველია, ჩემი ნამუშევრებიც წა-იღე. მგზავრობისას თბილისის სახელმ-ნიფო უნივერსიტეტის პროფესორი — რეზო ქვარცხავა გავიცანი, საფრანგეთ-ში გათხოვილ ქალიშვილთან მიდიოდა. დავმეგობრდით, პარიზში შვილი და სიძე გამაცნო. რადგან ბადრის არ ეცალა, ქალაქში პროფესორის ქალიშვილი — ნინო დამყვებოდა. სენის ქუჩაზე, ევრო-პაში განთქმული გალერეებია, იქ თუ შენი სურათი მოხვდა, ჩათვალე, რომ გაგიმართლა. ერთ გალერეაში შემპირდ-ნენ, შენს ნამუშევრებს ერთ წელიწადში

გამოეფენო — თურმე იქ ესეც დიდ რამეს ნიშნავს. ფრანგულ-იაპონური გალ-ერეის მფლობელმა კი, რომელიც კლოდ მაგნიანად გაგვეცნო, მითხრა, — მართა-ლია, შენი სურათები ჩვენს სტილში არ ჯდება, მაგრამ შენი ხელწერა მომწონს და ასეთ დავალებას მოგცემ, — ფო-ტოზე აღბეჭდილი შემოდგომის ტყე უნდა დამიხატო, თუ მომეწონა, კონტრაქტს გაგიფორმებო. დავალება 2 დღეში შევას-რულე. კლოდი კმაყოფილი იყო და კონ-ტრაქტის პირობები შემომთავაზა, თანხა გადამიხადა და მითხრა, სანამ წახვალ, კიდევ მომიწინარო. შევთანხმდით, რომ სურათებს საქართველოდანაც გავუგზა-ვნიდი.

ალბათ პარიზიდან კმაყოფილი დაბრუნდით.

— იმედებით სავსე. დიდი ენთუზიაზ-მით შევუდექი საქმეს, სულ ვხატავდი. სექტემბერში ჩამოვედი, დეკემბერში კი ისევ უკან გავფრინდი. იქ 30-მდე ნახატი ჩავიტანე. იმ პერიოდში კლოდი იაპონია-ში იყო. ვვლარ დაველოდე, სურათები მისთვის გადასაცემად ჩემს ბიძაშვილს დავუტოვე. საქართველოში კიდევ 14 სურათი შევასრულე და ბადრის დედას გავატანე პარიზში... ბიცოლაჩემი რომ ჩამოვიდა, მეორე დღეს მისი შვილის დალუპვის ამბავი შევიტყვეთ... თავს ჩინელები დასხმიან, მათთან გამკლავება არ გაუჭირდებოდა, გაზის პისტოლეტი რომ არ გამოეყენებინათ. მათ დანი 19 ჭრილობა მიაყენეს. ადგილზე გარდა-იცვალა...

ბადრისთან დატოვებულ სურათებს რა ბედი ეწია?

— ჩემი ბიძაშვილი მეგობარ გოგო-ნასთან ერთად ცხოვრობდა. მისი დალუპვის შემდეგ კლოდს მივწერე, ამა და ამ მისამართზე მისულიყო და იქიდან სურათები წამოეღო. ადგილზე რომ მივი-და, გოგონამ უთხრა, — აქ სურათები არ არისო. ასე უგზო-უკვლოდ გაქრა 40-ზე მეტი ნარჩევი სურათი. დღემდე არ ვიცი, რა მოხდა. მეორედ, კლოდ მაგნიანმა ფაქსით მომწერა, — იაპონიაში ჩამოდი, გელო-დებიო. მაშინ თბილისში იაპონიის საელ-ჩო არ იყო და ვიზის ასაღებად მოსკოვ-ში უნდა ჩავსულიყავი. ამის შესახებ კლოდს მივწერე, მაგრამ შემდეგ კლოდმა ჩემთან კავშირი განწყვიტა...

ალბათ, ამ ფაქტმა გული დაგწყვიტათ, არა?

— რა თქმა უნდა. ამას კიდევ სხვა უბედურებაც მოჰყვა. ვიღაც თალღით ქალს გადავეყარე, რომელმაც დიდ ვალებში გადამაგდო. ამაზე ფიქრმა და ნერვიულობამ კი სმა დამანეჭინა. ვალები რომ გამესტუმრებინა, ვლადიკავკა-ზში დავინიყე სიარული (1996-2000 წლებში) — სურათები დამქონდა გასაყ-იდად. იქ ჯარის ძმაკაცები მყავდა და როგორც შეეძლოთ, ისე მედგნენ მხარ-



ქეთევან წამბეული (რემო მექვაბიძეის ნამუშევარი)



ში. თუმცა, იყვნენ რადიკალურად განწყობილი „ნაციონალისტებიც“, რომლებიც ქართველს არ ინდობდნენ. ასე რომ, მუდმივი საფრთხის ქვეშ ვიყავი...

— როგორც ვიცო, ცხინვალში ცხოვრობდით, არა?

— 2000 წლის 7 აპრილს სიზმარი ვნახე: თითქოს ეკლესიის საკურთხეველში ქრისტე დადიოდა, მოწყენილი მი-



„სინანული – 2010“ – ასე ეწოდება ჩემს ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარს

ყურებდა. ერთი სიტყვაც არ შემანია... თითქოს გამწყრალობა იყო ჩემზე და ვებრალებოდი... ძველ სიზმრების წიგნში ამოვიკითხე: 7 აპრილს ნანახი სიზმარი, 1 წლისთავზე ახდესო... ზუსტად ერთი წლისთავზე, 2001 წლის 7 აპრილს, ცხინვალში, ცოლის დეიდაშვილთან ვიყავი სტუმრად. ცხინვალში სატმწერები არ ჰყავთ და წმინდა გიორგის სახელობის ზღუდერის ეკლესიის მოხატვა შემომთავაზეს. ეკლესიაში მღვდელთან შესახვედრად რომ მივედი, „პანმელიაზე“ ვიყავი, ხელები მიკანკალებდა, მეშინოდა, არ შეეჩნია. ნამუშევრები წარუდგინე. მამა ალექსანდრემ (ახლა ეპისკოპოსია) მოიწონა და კურთხევა მომცა. ეს ეკლესია ზუსტად ისეთი იყო, სიზმარში რომ ვნახე. ცხინვალში 3 წელი ვიყავი. ოსები სტუმართმოყვარეები არიან. კარგად მიმიღეს, კარგად მექცეოდნენ, მათზე ცუდს ვერ ვიტყვი. იმ პერიოდში ბევრს ვსვამდი. ფაქტობრივად, ეკლესიაში ვცხოვრობდი, რამდენჯერ დამთენებია მუშაობის დროს. „ხელისუფლებაში“ არ მოსწონდათ, ქართველს რომ მანდვს ეს საქმე. ამის შესახებ არაერთხელ, ადგილობრივმა ტელევიზიამაც გადმოსცა. ეკლესიის კედლებს რომ ვხატავდი, ჩემი მთავარი მიზანი იყო, იქ ქართული კვალი დამეტოვებინა, ქართული სული ჩამენერგა ამ ისედაც ისტორიულად ქართულ ეკლესიაში. გამოვსახე ქართველი

წმინდანი — პეტრე იბერი, წმინდა ნინოს ქართული წარწერა გავუკეთე, იოანე ოქროპირის სუფთა ქართული სახე მივანიჭე... საერთოდ, როცა წმინდანების სახეებს ვქმნი, ვლოცულობ, რომ ღმერთმა შთამაგონოს, მათი რეალური სახე გადმოვცე. ამ ეკლესიის მოხატვისას ისეთი ფერები გამოვიყენე, გათვითცნობიერებული ადამიანი მამინვე მიხედება, რომ ეს სუფთა ქართული ფერებია; ოსეთის ე.წ. ძეგლთა დაცვის სამინისტროდან რომ მოვიდნენ, ლამის გული გაუსკდათ... მამა ალექსანდრეს კი ჩემი ნამუშევარი ძალიან მოეწონა, სხვა ეკლესიების მოხატვაც შემომთავაზა. იმის გამო, რომ ცხინვალის ეკლესია ქართულ ეკლესიას არ ექვემდებარება, ჩვენმა საპატრიარქომ მიიჩნია, რომ შევცოდე და უნდა მომენანიებინა, — ამიტომ იქიდან წამოვედი.

— ეკლესიაში მუშაობისას სასწაულის მოწმე ხომ არ გამოდარხართ?

— ზღუდერის ეკლესიაში ასეთი შინაარსის ფრესკა დაეხატე: ჯვარზე გაკრულ ქრისტეს თავზე ხელს ადებს მარიამ ღვთისმშობელი, რომელსაც თვალბინიდან ცრემლი სდის. ამაზე მუშაობისას უცნაური რამ დაემართა, თითქოს ექსტაზში ჩავვარდი, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი: ხან ვტიროდი, ხან ვმღეროდი, გონება აშერია. იმ დროს, უცებ ცა მოიქუფრა და წვიმამ დასცხო. გარეთ გამოვედი, ვიხილე — ეკლესიის თავზე წვიმდა, 200 მეტრში კი მინა სრულიად მშრალი იყო და მზე ანათებდა... 1992 წელს მეჯვრისხევის უსანეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია მოვხატე. ზამთარი იყო, მასსოვს, ისე ციოდა, ხელები გაყინული მქონდა. წმინდა ქეთევან ნამებულისა და დავით აღმაშენებლის ფრესკებისთვის კონტურები რომ გავაკეთე, მეორე დღეს საღებავებით ფერის მიცემას ვაპირებდი. დილას რომ მივედი, ქეთევან ნამებულის ფრესკის კონტური გამქრალიყო, დავით აღმაშენებლის კი — ხელუხლებელი გახლდათ. რა მოხდა, ვერ გეტყვით. ამის ახსნა შეუძლებელია. გადავწყვიტე, იმ ადგილისთვის ხელი აღარ მეხლო. მხოლოდ აღმაშენებლის ფრესკა მოვხატე. 2 წლის შემდეგ სოფელში მინისძვრა მოხდა და ეკლესიის კედელი დაიზარა, ბზარებმა დავითის ფრესკას ობობას ქსელივით შემოუარა და უჩნებელი დატოვა. ის ადგილი კი, სადაც ქეთევან ნამებული უნდა დამეხატა, მთლიანად გადასკდა. ხანდახან მიფიქრია, ქეთევან ნამებულთან განსაკუთრებული შეუცნობელი რამ მაკავშირებს. ოთახში უამრავი სურათი კიდეა. ამდენ ჭრულ-ჭრულ ფერში, ჩემი 7 თვის შვილიშვილი მანცდამანც მის ხატს მიაშტერდება ხოლმე, როცა ჩემს სხვა ნამუშევრებს ყურადღებას არ აქცევს. თვალს არ

ამორებს, გამუდმებით უყურებს და თითქოს რალაცას ელაპარაკება.

3 თვის წინ, თამარ მეფის სურათზე დავინყე მუშაობა, რომელიც მონაზვნისთვის უნდა გადაემეცა საჩუქრად. მერე აღარ მომეწონა. გადავშალე და ზედ ყვავილების ხატვა დავინყე, — ამას მივართმევ-მეთქი. ლამით, როცა ყველას გვეძინა, ძლიერმა ბრახუნმა გაგვალვიძა. შუქი რომ ავანთეთ, დავინახეთ: წმინდა ქეთევან ნამებულის ხატი ჩამოვარდნილიყო. როგორც მიხვდით, მაგიდაზე რკინის ლარნაკს დაეცა, რომელიც თავის მხრივ, იატაკზე დავარდა და პალიტრა გატეხა. საოცარია — ლურსმანი, რომელზეც ხატი ეკიდა, ადგილზე იყო. იმავე ტილოზე ისევ თამარი დაეხატე. თამარ მეფის რამდენიმე ფრესკა მაქვს შესრულებული, მაგრამ ასეთი ჯერ არ გამომსვლია. ასე მგონია, ნამდვილი თამარი სწორედ ასეთი იყო.

— მართლაც საოცარი შემთხვევაა.

— იცით, ყოველთვის ვგრძნობდი უფლის მფარველობას... მასსოვს, მეჯვრისხევის წმინდა მარინეს ეკლესიის მოხატვაზე ვმუშაობდი. იქიდან რომ წამოვედი (მთვრალი ვიყავი), ფეხი დამიციურდა და ხევი გადავევი. თითქოს რალაცამ დამიჭირა, ღმერთმა ტოტები ჩამომიშვა და იმ ტოტებში გავისლართე, თორემ სერიოზულად დავიმტვრეოდი. უფალს მადლობა ვუთხარი და შევფიცე, აღარ დავლევ-მეთქი, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ სიტყვა გავეტყე. რამდენჯერ მინდოდა, სმისთვის თავის დანებება, ნებიცყოფა არ მყოფნიდა. ერთხელ, ღმერთს ვუთხარი, 19 აგვისტოდან აღარ დავლევ-მეთქი. ეს დღე რომ მოვიდა, ხელი ჩავიქნიე და მინც დავლიე. იმ დღეს ხელი მომტყდა, ერთი თვე ვეღარ ვხატავდი. ეს გაფრთხილება იყო. ღმერთმა ბევრი მითმინა, მელოდა, მერე კი...

— ინსულტი როგორ დაგემართათ?

— 2007 წელს მეჯვრისხევის ლომისის პატარა ეკლესიის კედლებს ვხატავდი. როგორც კი ღვთისმშობლის ფრესკას ბოლო წერტილი დაუსვი, უეცრად თითქოს რალაც ჩამწყდა. მარჯვენა ხელში ძალა გამომეცალა. ხელს ვეღარ ვგრძნობდი. თანდათან ეს შეგრძნება მთლიანად სხეულის მარჯვენა მხარეზე გადავიდა. ჩავიკეცე. დიდხანს ვინეცი ცივ იატაკზე. გონებაზე ვიყავი, ყველაფერს კარგად ვაცნობიერებდი. მიხვდით, რომ ჩემს თავს რალაც ცუდი ხდებოდა. ეკლესია სოფლიდან განცალკევებით, ტყეში დგას. გადარჩენის ძალზე მცირე შანსი იყო. 3 დღე კომაში ვიყავი. რალა გითხრა?.. ვინანებ ჩემს წარსულს, განვლილ ცხოვრებას. იმედს ვიტოვებ, რომ უფალი შემინდობს.



იგავი ვენახის მუშაკებსა და მათ საზღაურზე

შორენა მერაქვილაძე

„ახალ აღთქმაში“ უფლის არაერთი იგავია მოთხოვნილი ერთერთი მთგანა „იგავი ვენახის მუშაკებსა და მათ საზღაურზე“, რომლის შესახებაც ლაპარაკია მათეს სახარების მეოცე თავში.

იგავი შემდეგი შინაარსისაა: ცათა სასუფეველი წააგავს სახლის პატრონს, რომელიც დილაადრიან გავიდა თავისი ვენახისთვის მუშათა დასაქირავებლად. მუშაკებს დღეში თითო დინარად მოურიგდა და ვენახში გაისტუმრა. მესამე საათი (ყამი) იქნებოდა, რომ გავიდა და დაინახა სხვები, ბაზარში უქმად მდგარნი. უთხრა მათ: ნადით ჩემს ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო, — და ისინიც წავიდნენ. კიდევ გავიდა მეექვსე და მეცხრე საათზე (ყამზე) და ასევე მოიქცა. გავიდა მეთერთმეტე საათზე, ნახა უქმად მდგომნი და უთხრა მათ: ნადით ვენახში და რაც გერგებათ, მოგცემთო. როცა მოსალამოვდა, ვენახის პატრონმა უთხრა თავის გამგებელს: დაუძახე მუშაკებს და გადაუხადე ქირა, უკანასკნელისგან — პირველამდე. მივიდნენ მეთერთმეტე საათზე დაქირავებულნი და მიიღეს თითო დინარი. პირველად მისულელებმა იფიქრეს, მეტს მივიღებთო, მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს. აბუზღუნდნენ; სახლის პატრონს უთხრეს, — მხოლოდ ერთი საათი წაიშეშე, შენ კი გაგვიტოლე ისინი, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე დავითმინეთო. მან კი ერთ-ერთს უპასუხა: მეგობარო, არ განწყინებ; განა დინარად არ მოგირიგდი? აილე შენი გასამრჯელო და ნადი; მე კი მინდა ამ უკანასკნელსაც იგივე მივიცე, რაც — შენ; განა უფლება არა მაქვს, რაც მე მკუჭუთნის, ჩემი ნებისამებრ მოვიხმარო?! იქნებ შენს თვალს შურს, კეთილი რომ ვარ?..

იგავს განგვიმარტავს **მამა დიმიტრი** (განგულაშვილი):

— როგორც მამები განმარტავენ, იგავში ვენახი — ღვთის მცნებათა აღსრულების ის ნიალია, სადაც ამ ვენახის პატრონი ინვესტადამიანებს საღვთო საქმიანობისათვის. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი კი ბრძანებს, რომ ამ იგავში ვენახის დამუშავება მიაჩნდება სათნოებებზე, რომელთა მეოხებითაც ხდება შესაძლებელი საკუთარი სულის სრულყოფა. როგორც ის ბრძანებს, პირველ ჟამს დაქირავებულ მუშაკებში ის ადამიანები იგულისხმებიან, რომლებიც ადრეული ასაკიდან მიდიან უფალთან და ინყებენ ცხოვრებას ღვთის მცნებათა აღსრულებით; მესამე ჟამს დაქირავებულებში — ის ადამიანები, რომლებიც შედარებით გვი-

ან შეუდგებიან ღვთის წინაშე მუშაკობას, ცდილობენ, ხორციელი ვნებების დათრგუნვითა და თავიანთი ცხოვრებით, სათნო ეყონ უფალს; ბოლო ჟამს დაქირავებულ მუშაკებში კი ის ადამიანები არიან, რომლებიც ხანდაზმულობის ჟამს უერთდებიან ეკლესიის წიაღს, ხორციელი ვნებებიც ნაკლებად აქვთ, სიბრძნეც დაუგროვდათ, ამიტომ საკუთებელი და საბრძოლველიც ნაკლები აქვთ, ნაკლები სულიერი მუშაკობა სჭირდებათ.

იგავიდან ჩანს, რომ უფალი ყველა ადამიანს მოუწოდებს და აძლევს იმის მადლს, რომლითაც უნდა მივიღეს ეკლესიის წიაღში, რათა იცხოვროს უფლის მცნებათა დაცვით, მაგრამ ყველა ადამიანი სხვადასხვა ჟამს მიდის უფალთან. ეს იმაზე დამოკიდებულია, როდის შეიმეცნება, როდის იგრძნობს ადამიანი სულიწმიდის ხმობას. იგავის თანახმად, ყველა მონოდებული მიდის სამუშაკოდ, მაგრამ არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მიუხედავად უფლის მოწოდებისა, მანაც არ ისმენენ მის ხმას და არ მიდიან უფალთან სამუშაკოდ. როგორი უღირსიც უნდა იყოს ადამიანი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, რომელ სარწმუნოებასაც უნდა მისდევდეს, ცხოვრებაში ერთხელ მანაც გაუთებება გული, ერთხელ მანაც მოუხმობს სინდისის ხმა — უფლის ხმა როდესაც რაიმე მძიმე ცოდვას სჩადის, შესაძლოა, გულში გაივლოს, რომ დაუშვებელია ამის გაკეთება. ამასთანავე, უფალი იმ გზით მოუწოდებს და ისეთ პირობებს უქმნის ადამიანს, რომლითაც ყველაზე იოლად მოახერხებს მასთან მისვლას, მაგრამ საბოლოოდ, ადამიანზე, მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული — მიჰყვება თუ არა სულიწმიდის მოწოდებას, უფლის ხმას და მივა თუ არა უფალთან. იგავის მომდევნო ნაწილის თანახმად, ვენახის პატრონი ავალებს მწეს, გამგებელს, იხმოს ყველა მუშაკი და გადაუხადოს საფასური. აქ უნდა ვიგულისხმეთ საბოლოო განსჯა, გამგებელში — უფალი იესო ქრისტე; ვენახის პატრონი — მამაზეციერი, რომელმაც სამყარო და ადამიანთა სხვა ანდო უფალ იესო ქრისტეს, ასევე ანდობს მას ადამიანთა განკითხვას ბოლო ჟამს. გამგებელი, პირველნოდებულთაგან დანყებული, ბოლო ჟამს დაქირავებულთა ჩათვლით, ყველას აძლევს თითო დინარს ანუ — ადგილს სასუფეველში. აქედან ჩანს, რომ ადამიანი, ადრეული ასაკიდან შეუდგება საღვთო მუშაკობას თუ ხანდაზმულობის ჟამს, თუ შესარულებს ქრისტიანულ მცნებებს, უფალი საზღაურს მიაგებს. ბოლო ჟამს მისულელებს ნაკლები გარჯა სჭირდებათ უფლისგან საზღაურ-

რის მისაღებად. შრომის საზღაურის მიღების შემდეგ, პირველნოდებულნი საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათაც იგივე საზღაური ერგოთ, რაც ბოლო ჟამს დაქირავებულთ. მათ უკმაყოფილება და ვიწვენი იკვეთება ადამიანის უგუნურება და შური. შესაძლოა, ადამიანმა მთელი ცხოვრება იღვანოს, იმუშაკოს ღვთისთვის, მაგრამ ბოლომდე მანაც ვერ დაძლიოს ვნებები, ამიტომ შესაძლოა, გვიან მისულელებზე ნაკლები ნეტარი მდგომარეობა მოიპოვოს სასუფეველში. სასუფეველში არსებობს სხვადასხვა, მეტ-ნაკლები სულიერი მდგომარეობა. უფალიც ხომ ბრძანებს, — პირველნი მინაზე უკანანი იქნებიან და უკანანი — წინო. ე.ი. ვიწვენი და საყვედურმა შესაძლოა, პირველნოდებულთა მსგავსი სულიერი მდგომარეობის ადამიანები „მეთერთმეტე ჟამს“ მისულელებზე ქვემოთ დააყენოს.

იგავის თანახმად, უფალი თავმდაბლობისა და განუხსჯელობის, სხვათა განუკითხველობისკენ მოგვიწოდებს. არასოდეს ვიფიქროთ, რატომ ეძლევა სხვას იმაზე მეტი, ვიდრე მე; ნუ შეგვეშურდება იმ ადამიანების, რომელთაც ჩვენზე მეტი მიწიერი სიკეთე, ბედნიერება ან ქონება ეძლევათ. უფალი ყოველთვის იმაზე მეტს სიკეთესა და წყალობას გვაძლევს, ვიდრე ვიმსახურებთ. თუ იმაზე მეტს მოვითხოვთ, რაც მოგვეცა, ისიც წაგვერთმევა, რაც გვაქვს.

მაცხოვარი „ვენახის მუშაკების“ იგავს შეგონებასაც ურთავს: ასევე იქნებიან უკანასკნელნი პირველნი და პირველნი — უკანასკნელნი: ადამიანმა არასოდეს არ უნდა იფიქროს, რომ ვიღაცაზე წინ დგას რაიმეთი. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ გარეგნული გამოსახულებით ვიმსჯელოთ ადამიანებზე, შინაგანი კი მხოლოდ უფალმა უწყის. შესაძლოა, ადამიანთა თვალში, გარეგნულად ვინმე მართლაც აკეთებდეს უფრო მეტს, ვიდრე სხვები, მაგრამ ღვთის წინაშე ისინი უფრო მეტს აკეთებდნენ და გამართლებულნიც გამოვიდნენ. ვინც გარეგნულად არც მმარხველი ჩანს მანაცადამანაც და არც მლოცველი, ზოგჯერ, ასეთი კაცი გულის სიღრმეში უფრო სუფთაა. როდესაც ადამიანს თავი სსვებზე მალდა მდგომად მიაჩნია, მაგრამ ამავედროულად, ღვთის მცნებების დამცველიცაა, როდესაც უფალი მის სულს გაიყვანს, ვოჯოჯოხეთისთვის არ გასწირავს, მაგრამ დაიმკვიდრებს ადგილს უფლისგან უფრო შორს; თავმდაბალი ადამიანები კი, რომელთაც დედამიწაზე ყოფნის ჟამს თავი უღირსად და სსვებზე მდაბლად მიაჩნიათ, დადგებიან უფრო გაბრუნებულ ადგილას. ამიტომაც გვაფრთხილებს უფალი, — ნუ ჩავთვლით თავს სსვებზე უკეთესად და ვიღაცაზე მალდა მდგომად, მხოლოდ თავმდაბლობისა და მორჩილების სანაცვლოდ მოგვავებს უფალი უფრო დიდ საზღაურს. ■



ვენეციის კარნავალი

ევროპის ყველაზე პოპულარული კარნავალი ვენეციაში იმართება. მთელი ქალაქი — არხებით, მოედნებით, ხიდებითა და გონდოლებით — თითქოს ერთ დიდ სცენას ემსგავსება, სადაც თითოეულმა საკუთარი როლი უნდა ითამაშოს. დიდი მარხვის დაწყებამდე 10 დღით ადრე, ქალაქს უამრავი ტურ-

ძველად, საკარნავალო დღეებში გასტრონომიულ მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებდნენ და ყველანაირი სანახაობაც და „უფრო მეტიც“ იყო ნებადართული: „ჯამბაზის ნილაბი მოვირგე, მუდმივად შემეძლო გარდასახვა და იმის კეთება, რაც ჩვეულებრივ ყოფაში აკრძალული და მი-

Marie-ის დღესასწაული ჰქვია. იგი იმ ვენეციელი გოგონების დახსნას ეძღვნება, რომლებიც მეკობრეებმა გაიტაცეს.

დღეს ვენეციაში ნილებები ყოველდღე იყიდება. ყველაზე პოპულარული — „კომედი დელ არტეს“ რომანტიკული (კოლომბინა, მორეტა) და მახინჯი (ბაუტა, ვოლტო) პერსონაჟებია. ყველაზე გულადები „შავი ჭირის ექიმბაის“ გრძელცხვირიან ნილაბს ირგე-



ისტი სტუმრობს, რათა თეატრალურ წარმოდგენებს დაესწროს და თავადაც მიიღოს მონაწილეობა; ქუჩებში გამოფენილი კერძები, ტკბილეულობა და სასმელი დააგემოვნოს და უბრალოდ, მხიარულად გაატაროს დრო. სიტყვა „კარნავალის“ წარმოშობის ორი ვერსია არსებობს: ერთ-ერთის თანახმად, ის ლათინური Carne Vale -დან წარმოიშვა, რაც „ხორციდან დამშვიდობებას ნიშნავს“. მეორე სიტყვაც — Carus Navalis ლათინურია და „სადღესასწაულო პროცესია“ ნიშნავს.

საუკუნეების წინ კარნავალს ღმერთის — სატურნის სადიდებლად მართავდნენ. სადღესასწაულო სუფრასთან ყველას ნილაბი უნდა ჰქონოდა, რადგან შესაძლებელი იყო, ბატონის გვერდით მისი მონა მჯდარიყო... კარნავალი დოკუმენტებში პირველად 1094 წელსაა ნახსენები. 1296 წელს ვენეციის რესპუბლიკის სენატმა მოსახლეობას ოფიციალურად დართო ნება, გაემართა კარნავალი. ქუჩებში საცირკო წარმოდგენები იმართებოდა. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ეგზოტიკური ცხოველები ჩაჰყავდათ.

XVII საუკუნეში ვენეციის ცენტრალურ მოედანზე ხარების ბრძოლა იმართებოდა. XVIII საუკუნეში კარნავალისადმი ინტერესი ნელ-ნელა განეღობა. იგი XX საუკუნის 70-იან წლებში აღადგინეს.

უღებელი იყო. შემეძლო, სიყვარულის გარეშე მყვარებოდა...“ — წერდა ჯაკომო კაზანოვა.

ნილებბაფარებული ადამიანები ათასგვარ დანაშაულს სჩადიოდნენ. 1608 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ ოფიციალურად აკრძალა არასაკარნავალო დღეებში ნილებებით სიარული. დამრღვევ მამაკაცებს 2 წლით ციხეში ამწყვედევდნენ, ქალებს — სახალხოდ ამოთრახებდნენ.

დღეს კარნავალის დღეებში ქალაქი დღე და ღამე მხიარულობს. მოსახლეობას მუსიკოსები და თეატრალური დასები ართობენ. კარნავალის პირველ დღეს Festa Delle

ბენ. ამ ნილაბს გრძელი შავი ლაბადა და ხელჯოხი მოჰყვება, რათა „ექიმი“ სწულს არ შეეხოს.

ზოგიერთი ტურისტი ვენეციის კარნავალისთვის მთელი წელი ემზადება. იკრავს კოსტიუმს, ფეხსაცმელს, ყიდულობს ექსკლუზიურ სამკაულსა და აქსესუარს. ზოგი სან-მარკოს მოედანზე ოჯახითა და შინაური ცხოველთა ც მიდის სასეირნოდ. ასეთ შემთხვევაში, ადამიანისა და ცხოველის ჩაცმულობა ერთმანეთისას უნდა ჰგავდეს. გახსნილია სპეციალური მაღაზიები, სადაც ყველა გემოვნების ადამიანისთვის მოიძებნება ნილაბი და კოსტიუმი.

ნილებისა და ჩაცმულობის ერთ-ერთი საიდუმლო ის არის, რომ ადამიანი ამოუცნობი უნდა დარჩეს, მათ შორის — ახლობლებისთვისაც კი. დღესასწაულის ბოლო დღეს სან-მარკოს მოედანზე ვენეციის სტუმრებს ათას ტონაზე მეტ კონფეტის აყრიან, ცაში მილიონობით საპაერო ბუმბუტა და ფერად ფიერვერკს უშვებენ. ძველებურ სასახლეებში სპეციალურად ელიტისთვის, მეჯლისი იმართება. კარნავალი სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის დაწერილი ჰიმნით იხსნება და იხურება. იგი 1996 წელს ფრანგმა დიზაინერმა პიერ კარდენმა დაწერა.

უყუჩაბი!

www.palitrav.ge

PALITRA

TV-RADIO

ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!



„მესუხალის“ იღვლიანი დარბაზი

ქართველი სპორტსმენების დებიუტი ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წლის ზაფხულში, ჰელსინკიში შედგა. ფინეთის დედაქალაქში საქართველოდან 14-მა ათლეტმა იასპარეზა და მათ 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გარდა ამისა, კიდევ 3 ქართველი ოლიმპიელი იმ პერიოდში მოსკოვში ცხოვრობდა: მოჭიდავეები — არსენ მეკოკიშვილი და შალვა ჩხლაძე ოქროსა და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, ხოლო წყალბურთში საბჭოთა ნაკრების კაპიტანი — პეტრე მშენიერაძე გახლდათ. საბოლოო ჯამში, ქართველი ათლეტების სკანდინავიური ნადავლი საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა. ჩვენი დელეგაცია მაშინ „საბჭოურ ოჯახთან“ ერთად გამოდიოდა, თორემ ახლანდელივით დამოუკიდებლად რომ ეასპარეზა, ოქროს მედლების რაოდენობით, საუკეთესოთა ათეულში შევიდოდა. ჩვენზე მეტი უმაღლესი ხარისხის ჯილდო მხოლოდ 9 ქვეყნის სპორტსმენებმა მოაგროვეს, ხოლო დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, არგენტინის, იუგოსლავიისა და კიდევ ბევრი სხვა სახელმწიფოს დელეგაციებმა თითო ოქროს მედლის მოპოვება შეძლეს.

გოგი ზრანგიშვილი

ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშები 1952 წლის 19 ივლისს გაიხსნა. იგი ბევრი რამით იყო გამორჩეული, პირველ რიგში — მონაწილეთა რაოდენობით. ფინეთის დედაქალაქში სასპარეზოდ 70-მდე ქვეყნის სპორტსმენი ჩავიდა, მათ შორის 300-მდე — საბჭოთა კავშირიდან. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რამდენად ძლიერები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები და ყველას აინტერესებდა, როგორი იქნებოდა მათი ოლიმპიური დებიუტი. კრემლი ფრთხილობდა — მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყანას საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე არ უნდა შეერცხვინა თავი. ამიტომაც თამაშებისათვის მზადების ძირითადი ეტაპი კარგა ხნით ადრე — 1951 წლის ბოლოს დაიწყო, ნაკრები გუნდების კანდიდატები კი 900-მდე სპორტსმენს შორის უნდა შეერჩიათ. საბჭოური დელეგაცია ფინეთის დედა-



ქალაქში თამაშების დაწყებამდე საკმაოდ ადრე ჩავიდა და იქ განაგრძო ასპარეზობებისთვის მზადება. პირველი მედლები თამაშების გახსნის მეორე დღეს გათამაშდა და პირველი ოლიმპიური ჯილდო ქართველთაგან ნინო ღუმბაძემ მოიპოვა. იმ დროისათვის ლეგენდარული ქართველი ათლეტი უკვე ევროპის ორგზის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენიც იყო. მისი საუკეთესო შედეგი — 53.37 მ ბევრად აღემატებოდა ყველა კონკურენტისას, მაგრამ თამაშების დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მან მუხლი დაიზიანა და მთელი ძალით ვეღარ სტყორცნიდა. მეტოქეებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და სპეციალისტებიც ფავორიტად მსოფლიოს რეკორდსმენს მიიჩნევდნენ. ამჯერად მისი ნატყორცი ბადრო მხოლოდ 46.29 მ-ზე გაფრინდა და იძულებული გახდა, თავისი კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მე-3 ადგილს დასჯერებოდა. ქართველ სპორტსმენთაგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კი თავისუფალი სტილით მოჭიდავე დავით ციმაკურიძე გახდა. „მესუხალის“ სპორტული კომპლექსის ხალიჩაზე სტარტი მანაც უხეიროდ აიღო, პირველივე წრეში ქულებით დამარცხდა შვედ ბენტ ლინდბადთან. მარცხით შემფოთებული თანაგუნდელები მის გამხრევებას ცდილობდნენ, მაგრამ ციმაკურ-

იძემ იქით დაამშვიდა ისინი: ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ასეთი რამ სხვა დროსაც მომხდარა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებშიც წაგებით დამიწყია, მაგრამ შემდეგ ჩემპიონი გავხდარავარო. ამ დროს ციმაკურიძე უკვე საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონი იყო, მაგრამ ოლიმპიადაზე გაცილებით ძლიერი მეტოქეები ელოდნენ: ამერიკელი დან სოჯი, უნგრელი დიერდ გურიჩი და განსაკუთრებით — ირანელი გულამ-რეზა ტახტი, რომელიც შემდგომში ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოს ჩემპიონიც.

მოგვიანებით დავით ციმაკურიძე ისვენებდა: „ამერიკელი ხოჯი მართლაც კარგი მოჭიდავე იყო. თავიდან ის მიგებდა კიდევ 4:1. მერე ქართული შუაკაურით ბუჭებზე დავანვინე, მაგრამ მოულოდნელად სახეში შემომარტყა ხელი. პასუხის გაცემა კი შემეძლო, მაგრამ ვიცოდი, საბჭოელები უცხოეთში მაინცდამაინც არ უყვარდათ და მეც ხელი რომ შემომერტყა, შეჯიბრებიდან მომხსნიდნენ... და ისე, რომ მსაჯებს არ შემეშინიათ, ცხვირ-პირზე „გადაუუსვი“ ხელი და მივაგლისე, ვითომ მივეალერსე. საბოლოოდ, წმინდად გავიმარჯვე შემდეგ კიდევ უფრო ცოტა დრო დამჭირდა ეგვიპტელი აბდუ ჰუსეინის დასაპარტყებლად. უნგრელი გურიჩი კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, მაგრამ ქულებით მასაც მოუფუგე“.

დიერდ გურიჩი მართლაც რომ ძლიერი მოჭიდავე იყო, ეს მოგვიანებით არაერთხელ დადასტურდა, მაგრამ ქართველებთან ბრძოლისას ყოველთვის იჩაგრებოდა. დავით ციმაკურიძესთან მარცხის შემდეგ იგი თავისუფალიდან კლასიკურ ჭიდაობაში გადავიდა, იქ გივი კარტოზიას გადაეყარა და სადაც არ ეჭიდავა, ყველგან წააგო, მათ შორის — 1955 წლის კარლსრუეს მსოფლიოს ჩემპიონატზეც და მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზეც. 1958 წლისათვის მან უკვე წონითი კატეგორია შეიცვალა, გივი კარტოზიას კი ასცდა, მაგრამ ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე როსტომ აბაშიძეს შეხვდა და ფინალში წააგო. და მხოლოდ 1961 წელს იაპონურ იოკოჰამაში, როდესაც ქართველები მის წონაში აღარ ასპარეზობდნენ, როგორც იქნა, მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ასე გამარჯვებულმა დატოვა კიდევ სარბიელი. დავით ციმაკურიძემ კი პირველივე ცდაზე მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ჰელსინკის ფინალში



ანტიდაპრასანი


გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკბერელი თქუი ივანიძე

- 1. იქთიოფობია — თევზების შიშია.
- 2. როკი მარჩინაო ავიაკატასტროფა-ში დაიღუპა.
- 3. ჩინელები მშვილდს ბამბუკისგან ამზადებდნენ.
- 4. მედრესე — მაჰმადიანთა სასული-ერო სასწავლებელია.
- 5. ჰამლეტ გონაშვილი ყფშიძის ქუ-ჩაზე ცხოვრობდა.



- 6. ფრანგებმა რობესპიერს მეტსახელად „მოუსყიდველი“ შეარქვეს.
- 7. პირველმა ევროპელმა 1720 წელს დადგა ალდგომის კუნძულზე ფეხი.
- 8. „ნაროდ არიოტ ტო, შტო ემუ ველიატ, ზა ჟრატუჟ“, — ამბობენ რუსები.
- 9. „ლალოლა“ — არგენტინული ტელესერიალია, რომლის მიხედვითაც რუსებმა „მარგოშა“ გადაიღეს.
- 10. კოლუმბიელი ფერმერები კოკას ხეებს პატარ-პატარა ნაკვეთებში რგავენ, რათა პოლიციელებმა ვერტმფრენიდან ვერ შენიშნონ და ცეცხლი არ ნაუკი-დონ.
- 11. „ძარღვებში რუსული, უკრაინუ-ლი, სომხური და ებრაული სისხლი დამიდის“, — ამბობ-და ინტერვიუში გარი კასპაროვი.
- 12. „ნისანის“ მიერ გამოშვებული ელექ-ტრომობილები იმდენად უხმაუროდ მოძ-რაობენ, რომ მი-უჩვენებელ ფეხით მო-სიარულეთა უსაფრთხოებისათვის ფირ-მის მესვეურებმა სპეციალურად დაამატეს მოტორის ხმაურის ეფექტი.
- 13. „ვოლკა ვრავ ნაროდა ი პოეტომუ მი ეიო უნიჩტაჟემი!“ — გაიძახოდნენ არყის სმის დროს სტალინის ეპოქის დროინ-დელი საბჭოთა მაღალჩინოსნები.
- 14. „ამ ცხოვრებაში რაიმეს რომ მი-აღწიო, ან ხელიდან უნდა წახვიდე, ან — ქვეყნიდან“, — გაიძახოდა ერთ-ერთი კონცერტის დროს ალექო თეთრაშვილი.
- 15. პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანელები მექსიკელებს ტფასის შტა-ტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებ-ის დაბრუნებას ჰპირდებოდნენ, თუკი ისინი ამერიკას ომს გამოუცხადებდნენ.
- 16. კოლუმბიელი ნავსადგომი პაბ-ლო ესკობარი პოლიციელის მოკვლი-სათვის მკვლელს 500 დოლარით აჯილ-დოებდა, ოღონდ ამ თანხის მისაღებად, მსხვერპლის სამკრდე ნიშნის მიტანა იყო საჭირო.



რაფაელ ჩიმიშკიანი

ირანელი ტახტი დაამარცხა.

დავით ციმაკურიძის მსგავსად, „მე-სუხალის“ სპორტული კომპლექსი ილ-ბლიანი აღმოჩნდა თბილისელი ძალოს-ნის, რაფაელ ჩიმიშკიანისთვის. ჩიმიშკი-ანს, ბევრისგან განსხვავებით, უკვე ჰქონ-და საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწი-ლეობის გამოცდილებაც და ევროპის ჩემპიონის ტიტულსაც ფლობდა. მისი შედეგები მსოფლიოს სტანდარტების დონეზე იყო და ოლიმპიურ ჩემპიონ-ობაზეც რეალურად ფიქრობდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — ბოლო სანვრთნელ შეკრებაზე, ვიბორგ-ში გაცივდა და ფილტვების ანთება დაე-მართა. ამის შემდეგ მწვრთნელები მის-გან ჩემპიონობას ნაკლებად ელოდნენ და სიმაართლე ითქვას, მაინცდამაინც არც თავს იკლავდნენ. უფრო ნიკოლაი საქ-სონოვის იმედი ჰქონდათ და რუსი ათლე-ტის გამარჯვებაზე ზრუნავდნენ. ჩიმიშკიანი კი ჰელსინკიში ყოველი შემთხვევისთვის ნაიყვანეს. ლენინგრადიდან ფინეთის დედაქალაქამდე იგი მატარებლის ბოლო, სანიტარიული ვაგონით მგზავრობდა. იმავე ვაგონში იყო არსენ მეკოკიშვილიც, რომელიც „პატარა“ მეგობარს ამშვიდებდა: ნუ გეშინია, რაფო, ჰელსინკიში ოლიმპი-ური ჩემპიონები გახდებით და იქიდან პირველი ვაგონით წამოგვიყვანენო...

რაფაელ ჩიმიშკიანი 60 კმ-მდე წონით კატეგორიაში გამოდიოდა და XV ოლიმპი-ური თამაშების დიდი ოქროს მედალი მართლაც მოიპოვა.

სანამ ამ სახეობის ფავორიტები გამო-დიოდნენ, შუალაზე მოახლოვდა და ქალაქ-გარეთ მდებარე, „საბჭოელთა“ ოლიმპი-ურ ბანაკში ბოლო ავტობუსის გასვლის დროც დადგა, ამიტომ ჩიმიშკიანის მე-გობრები იძულებული გახდნენ, „პატარა რაფო“ გადამწყვეტ მომენტში მიეტოვებინათ.

„რა უნდა მექნა? მარტო ვრჩებოდი რუსების ხელში. მათ უნდოდათ, რომ საქსონოვი გამხდარიყო ჩემპიონი, მა-გრამ მეც მიწოდდა, ჩემს თბილისში ოქროს

მედალი ჩამომეტანა. წასვლის წინ ჩემთან მოვიდნენ ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია. წარმატება მისურვეს, გივიმ კი თავისი ძლიერი მკლავი ჩემსას მიადო და მითხრა, — რაფო, ჩემი ძალა — შენს! ჩემი ძალა — შენო!

სამჭიდაში 337,5 კგ მოვაგროვე, რაც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების რეკორდი იყო... ვიდრე მსაჯებმა სარეკორ-დო შტანგა აწონეს, ვიდრე ჩემი პირა-დი წონა კიდევ ერთხელ გადაამოწმეს, გვარიანი დრო გავიდა და ავტობუსით ჩვენს ბანაკს რომ მივუახლოვდით, უკვე ალიონიც მოახლოვდა. ვიცოდი, კარტო-ზია და ბალავაძე არ დაიძინებდნენ, დამე-ლოდებოდნენ. მართლაც — ვხედავ, იქ დგანან. რომ გაიგეს, ჩემპიონი გახდო, სიხარულისგან გივიმ ავტობუსიდან ფეხი არ ჩამომადგმევინა, მხარზე შემისვა და ლამის მთელი ბანაკი ასე შემომატარა“.

ქართული დელეგაციისთვის მესამე ოქროს მედალი მედგა (შზია) ჯულიელმა მოიპოვა. საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ნა-კრებში იგი ყველაზე გამოცდილი იყო, ბევრ სახეობაში ყველას სჯობდა, გან-საკუთრებით — ბჯენით ხტომებში, რომელშიც საკავშირო ჩემპიონატების ოქროს მედლები ჰქონდა მოპოვებული, და გუნდურ შეჯიბრებაში მას პირველ ნომრად აყენებდნენ. მაგრამ პირველს მსაჯები მაღალ ქულებს არასდროს უწ-ერენ, უფრო მომდევნოებისთვის „რჩა-ავენ“, ამიტომ პირად პირველობაში მათ გამარჯვების ნაკლები შანსი აქვთ.

„მამინ სულ სხვა დრო იყო — საკუ-თარ თავზე არც ვფიქრობდით, მთავარი იყო გუნდური გამარჯვება და ჩვენც ერთმანეთს ვხმარებოდით. ძალიან გაგ-ვისხარდა, როდესაც ყველას ვაჯობეთ და ოქროს მედლებს დავეუფლეთ. მე კიდევ ერთი ოქროს ჯილდოს მოპოვების შანსი მქონდა — ბჯენით ხტომებში, მაგრამ მწვრთნელები მუუბნებოდნენ, — შენ ყვე-ლას სჯობნი და პირველი რომ კარგად შეასრულებ ვარჯიშს, სხვებიც კარგად გამოვლენო. აი, აქ დავიჩინარე, რადგან მოსკოველი და უკრაინელი ტანმოვარჯი-შეები ჩემ შემდეგ გამოდიოდნენ და მსა-ჯებმაც მათ უფრო მაღალი ქულები დაუწერეს. საბოლოოდ ჩემს ყველაზე ძლიერ სახეობაში — ბჯენით ხტომებში მეოთხე ადგილი დავიკავე“.

შზია ჯულიელმა თავისი მეორე მედა-ლი, ოღონდ — ვერცხლის მინერ მოიპო-ვა, საგნით ჯგუფურ ვარჯიშში და პირვე-ლი ქართველი სპორტსმენი გახდა, ვინც ორი ოლიმპიური ჯილდო დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ჰელსინკიში ასპარეზო-ბის უფლება არ მისცეს ვახტანგ ბალა-ვაძესა და გივი კარტოზიას. იმ წელს ორივე — ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ორივე — თავისუფალი და კლასიკური სტილით მოჭიდავეთა გუნდის უფროსმა მწვრთ-ნელმა, ვახტანგ კუხიანიძემ ისინი ჰელ-



ანტიუპაკანანი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქებღერელი თუჟი ივანიძე

17. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსე-ბი გერმანიაში ქარხნებს შლიდნენ და საბჭო-თა კავშირში ეზიდებოდნენ. მოჰქონდათ ყვე-ლაფერი, რისი შეუფთვა და ტრანსპორტირე-ბაც იყო შესაძლებელი. ათასობით მანქანა-გენერატორი გზაში დაიკარგა. რამაც საბ-ოლოო პუნქტამდე ჩააღწია, ისიც ფანგმა შეჭმა, რადგან კაცინვილმა არ იცოდა, თუ როგორ უნდა აენკოთ ისინი.

18. ჩინეთში ადამიანის ორგანოებით ვაჭრო-ბა აკრძალულია. მიუხედავად ამისა, შავ ბაზ-არზე ადამიანის ორგანოებით მოვაჭრები ყვე-ლაზე სწორად ჩინეთში მოულოდენ ძვირად ღირებულ საქონელს. ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი სიკვდილმისჯილია, რომელთა ცხე-დრებიც ექიმების განკარგულებაში სვდება. ისინი ფარულად კვეთენ გვამებს, საჭირო ორ-განოს ამოსჭრიან და შეკვეთს უგზავნიან. როცა პაციენტი ჩინეთიდან გამოგზავნილ ორ-განოს ყიდულობს, საესებით შესაძლებელია, რომ მისი დონორი — სიკვდილით დასჯილი ბოროტმოქმედი აღმოჩნდეს.

19. სიკვდილის პირას მყოფმა შალვა ნუ-ცუბიძემ თავის მოსწავლეს ჰკითხა: ღმერთმა ცნობიერება რომ მოგვცა, ნეტავ ამით დაგვაჯავ თუ დაგვაჯილდოვავო?..

20. ზაქარია ფალიაშვილი სწორად ის-ვენებდა აბასთუმანში. იქაურ პანსიონატში სამი როიალი იდგა, მაგრამ სამივე უფარგისი იყო და მათი უღერადობა გულს უკლავდა ქართველ კომპოზიტორს. ერთხელაც გაბუნრე-ბულმა ზაქარიამ ხელები დაიკაპინა, ორი როიალი დაშალა, სიმები მესამეზე გადაიტანა, დაჭიმა, აანყო და სათანადოდ ააჟღერა.

21. ერთი ქალბატონი ქართველ პოეტ-ებთან ერთად მოხვდა სუფრაზე და აღფრ-თოვანებული გაიძახოდა, რა კარგი ყოფილა პოეტებთან ჯდომამო! ერთხელ თქვა, ორჯერ, სამჯერ... ჯანსულ ჩარკვიანმა ვეღარ მოითმი-ნა და ეუბნება: „თქვენ ნოლა უნდა ნახოთ, ქალბატონო!“

22. ყოველ ცისმარე დღეს საკუთარი სასახ-ლიდან გამოსულ ოქტავიანე აგუსტუსს ერთი ბერძენი პოეტი ხვდებოდა კიბეზე და ახალ სადიდებელ ოდას უკითხავდა რომის იმპერ-ატორს. აგუსტუსს ყურადღებას არ აქცევდა და ფულადი ჯილდოს მომლოდინე პოეტ-ისთვის არასდროს არაფერი უწყებდა. ერთხ-ელაც, სასახლის კიბეზე ჩამომავალმა და მორი-გი სახობტო ოდის მოსმენით გაბუნრებულმა იმპერატორმა სახელდახლოდ შეთხზული ეპ-იგრამა გადასცა პოეტს. გაცუბულმა პოეტმა ხმაშლდა წაიკითხა ეპიგრამა, შემდეგ საკუ-თარი ქისა გახსნა და იმპერატორს რამდენიმე წვრილი მონეტა გაუწოდა: „ო, ღვთაებრივო იმპერატორო, უფრო ღირსეულად დავსაჩუ-ქრებდი თქვენს პოეტურ ნიჭს, მეტის შესა-ძლებლობა რომ მქონდეს!“ ირგვლივ ხარხარი ატყდა და იმპერატორი იძულებული გახდა, გულუხვად დაეჯილდოებინა პოეტი.

სინკიშიც წაიყვანა, მაგრამ ოლიმპიურ ხალიჩაზე არც ერთი არ გამოსულა. მიზეზი წმინდა წელის „საბჭოური იყო“ — ეროვნება: ორივე ნაკრების შემად-გენლობაში მამინ ყველაზე მეტნი — 3-3 — ქართველები და სომხები იყვნენ, რუსი კი — მხოლოდ ორი; მათ რომ ბალავაძე და კარტოზიაც დაემატებო-დათ, მოჭიდავეთა ნაკრებში 5 ქართვე-ლი ფალავანი აღმოჩნდებოდა. ამასთან, კარტოზიას მეტოქე ნიკოლაი ბელოვი, რომელსაც ბატონმა გივიმ სამივე სა-კონტროლო შეხვედრა მოუგო, გუნდში ვეღარ მოხვდებოდა და რუსებიდან ნა-კრებს ერთი მოჭიდაველა შემორჩებო-და. ამგვარად, ბალავაძეც და კარტოზი-აც ფინეთში გუნდს სათანადოგობად გააკყენენ. სამაგიეროდ, ჩვენმა ფალა-ვენებმა თავიანთი ოლიმპიური მედლები მაინც მოიპოვეს — 4 წლის შემდეგ, მედლებურში...

ახლა გადავხედოთ სტატისტიკას: საქართველოს სპორტსმენებმა ჰელსინკი-ის ოლიმპიადაზე მოკავშირე რესპუბ-ლიკებს შორის, მრავალმილიონიანი რუსეთისა და უკრაინის შემდეგ ყვე-ლაზე მეტი — 8 მედალი მოიპოვეს... ანდა გავისხენოთ კალათბურთელთა ოლიმპიური ფინალი საბჭოთა კავშირ-ისა და აშშ-ის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩის 30 წუთი ისე მიილია, უპირატე-სობა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიპოვა, ანგარიში — 23:23 იყო. სწორედ ამ დროს, ოთარ ქორქიამ ბოლო პერსონ-ალური ჯარიმა მიიღო და იძულებული იყო, მოედანი დაეტოვებინა. ულიდეროდ კი საბჭოთა ნაკრებმა მხოლოდ 2 ქულა მოაგროვა, ამერიკელებმა კი — 13. ფი-ნალიც მათ მოიგეს — 36:25. ოთარ

მისი დაყენება. საბოლოოდ სანაძემ მეს-ამე ეტაზე ირბინა და სოლიდური წე-ლილიც შეიტანა ვერცხლის მედლების მოპოვებაში; საბჭოთა სპრინტერები მს-ოლოდ ამერიკელებს ჩამორჩნენ. მძლეოს-ნობაში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ნადე-ჟდა სნიკინა-დვალისვილიც.

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშები 1952 წლის 3 აგვისტოს დასრულდა. მართა-ლია, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლა-ში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის სპორტს-მენებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს, მაგრამ უმაღლესი ხარისხის ჯილდოების მხრივ, ამერიკელებმა აშკარ-ად იმარჯვეს: მათ 40 ოქროს მედალი მოიპოვეს, „საბჭოელებმა“ კი — 22. კრემ-ლის ხელმძღვანელობა თამაშების შედე-გებით მაინც უკმაყოფილო დარჩა. მით უმეტეს, რომ საბჭოთა ფეხბურთელთა ნაკრებმა იუგოსლავიის გუნდთან წააგო, სტალინის ქვეყნის ნაკრებს კი იუგოსლა-ვიელთა პოლიტიკური ლიდერის — ბროზ ტიტოს გუნდთან წაგების „უფლება არ ჰქონდა“...

...ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონთან დგას 72,71 მეტრის სიმაღლის სიმ-ბოლური ძეგლი. იგი ფინელი მძლეოსნის — მათი იარვინენის პატივსაცემად ააგ-ეს, რომელმაც 1932 წლის ლოს-ანჯე-ლესის ოლიმპიურ თამაშებზე შუბი 72,71 მ-ზე სტყორცნა და მსოფლიოს რეკორ-დით გაიმარჯვა. იქვეა კიდევ ერთი ლეგენდარული ფინელი სპორტსმენის — მორბენალ პაავო ნურმის ძეგლი, რომელსაც ასევე სიცოცხლეშივე დაუდგეს ბრინჯაოს ქანდაკება. ალბათ ფინეთიდან შინ მომავალი, გამარჯვებული საბჭო-თა სპორტსმენები გულში ვერც გაიფ-ლებდნენ, რომ ვინმე მათ ძეგლს დაუდ-გამდა, მაგრამ შესა-ძლოა, ღირსეულ ჯილდოებსა და საზეიმო მიღებებზე კი ფიქრობდნენ. თავიდან მართლაც იყო დაგეგმილი საზე-იმო დახვედრა, მა-გრამ მერე რატომ-ღაც გადაიფიქრეს და სპორტსმენები მოსკოვის ვაგზლ-იდანვე თავ-თავიანთ რესპუბლიკებში გა-აცილეს... სამაგი-ეროდ ქართველმა ხალხმა მაინც მოუწ-ყო საზეიმო დახვედრა ჩვენს ოლიმპი-ურ დელეგაციას. სამტრედიაში მატარე-ბლის შემადგენლობა მთელი საათით გააჩერეს, ყველანი — სპორტსმენებიც და მგზავრებიც ბაქანზე ჩამოიყვანეს და იქვე განყოფილ დიდ სუფრასთან დალოცეს ოლიმპიური ჩემპიონებიც და ჩვენი პირველი პრიზიორებიც.



ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია ვერცხ-ლის მედლებს დაუფლენენ. მძლეოსანთა შეჯიბრებებში საბჭოთა მწვრთნელებს ვაჟების დიდი იმედი არ ჰქონიათ, მხოლოდ 4X100 ამანატრებში გეგმავდნენ მედალს. სწორედ ამ კვარტეტში გამოდიოდა ლევან სანაძეც. იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, ამიტო-მაც მწვრთნელები კარგა ხანს ყოყმან-ობდნენ — რომელ პოზიციაზე ჯობდა



Motoren Technik Mayer- ის სუპერავტომობილი

ცნობილმა გერმანულმა ტიუნინგ-ატელიემ — Motoren Technik Mayer (MTM) შენევაში 2 ახალი მანქანა



— 777 ცხძ-იან, ქრომირებულძარიანი Audi R8-ის სპორტავტო და Audi TT RS-ის კუპეს მოდერნიზებული ვარიანტი წარმოადგინეს. სპორტავტო Audi R8-ის 5,2-ლიტრიანი, 10-ცილინდრიანი ძრავას სიმძლავრე 252 ცხძ-ით გაზარდეს. ატელიეს მონაცემებით, ტიუნინგირებულ მანქანას 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 3 წამში შეუძლია (პრაქტიკულად, წამით ნაკლები, სტანდარტულ მანქანასთან შედარებით), 200 კმ/სთ-ის — 9,37 წამში, ხოლო 300 კმ/სთ-ის — 19,42 წამში. სიახლეს 380 მმ-იანი დისკების მქონე



სამუხრუჭე მექანიზმები და 20-დუიმიანი საბორბლე დისკები აქვს. გარდა ამისა, ავტოს ძარა მთლიანად ქრომით დაფარეს, რაზეც ატელიეს სპეციალისტებს 700 საათი დასჭირდათ. ამასთან, სპორტავტოს დამატებითი აეროდინამიკური კომპონენტებიც დაურთეს. გერმანიაში ასეთი „აუდის“ ფასი 400 ათასი ევრო იქნება. კუპესთვის — TT RS ტიუნინგებმა 2,5-ლიტრიანი, 5-ცილინდრიანი ძრავას 340-დან 472 ცხძ-მდე ფორსირება შეძლეს. მასზე ასევე მძლავრი სამუხრუჭე მექანიზმებიც დააყენეს 380-მილიმეტრიანი დისკებით. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 3,9 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 312 კმ/სთ-ია.

ჰაიბაკი „შევროლეტ კრუზე“

ინტერნეტით სერიული 5-კარიანი ჰაიბაკი „შევროლეტ კრუზე“ ოფიციალური ფოტოები გავრცელდა. ფართო პუბლიკას ავტომობილს შენევის მოტორ-



შოუზე წარუდგინენ. როგორც ადრე იუნყებოდნენ, სიახლე ევროპულ ბაზარზე 1,6-ლიტრიანი, 113 ცხძ სიმძლავრისა და 1,8-ლიტრიანი, 141 ცხძ-ის მქონე ბენზინის მოტორებით იქნება ხელმისაწვდომი. ასევე გამოყენებული იქნება 150 ცხძ-იანი, 2-ლიტრიანი დიზელი და სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი მექანიკური კოლოფი. „მძიმე სანავაზე“ მომუშავე ასეთივე მოტორი ადრე უკვე გამოუყენებიათ კროსოვერ „შევროლეტ ორლანდოზე“. მანქანის დეტალური მახასიათებლებიდან ჯერჯერობით მხოლოდ საბარგულის მოცულობაა ცნობილი — 400 ლ, რისი გაზრდაც უკანა სავარძლების დაკეცვის საშუალებითაა შესაძლებელი.

განახლებული 5-Series

გერმანული ტიუნინგ-ატელიე „ალპინა“, რომელიც ბემ-ვეს ავტომობილების განახლებითაა ცნობილი, შენევის მოტორშოუზე უნივერსალის — 5-Series საკუთარი ვერსიის წარდგენას გეგმავს. სიახლეს 4,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა და კომპანია ZF-ის მიერ დამზადებული Switch-Tronic-ის სიჩქარის გადაცემათა 8-საფეხურიანი ავტომატური კოლოფი ექნება. მოტორის სიმძლავრე 507 ცხძ-ს შეადგენს. ატელიეს მონაცემებით, 100 კმ/სთ სიჩქარეს ტიუნინგირებული უნივერსალი 4,8 წამში განავითარებს, რაც სულ რაღაც 1/10 წამით ნელია Alpina-ს მიერ შემუშავებულ სედან BMW 5-Series-ზე. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 300 კმ/სთ-ია.

Ferrari 599 GTO-ს ახალი მოდელი

ტიუნინგ-კომპანიამ Novitec Rosso შენევის მოტორშოუზე წარმოადგინა Ferrari 599 GTO-ს საკუთარი ვარიანტი, რომელსაც იტალიური ავტომწარმოებელი ბრენდის ისტორიაში ყველაზე სწრაფ საგზაო ავტომობილად მოიხსენიებს. ატელიეს სპეციალისტებმა ძრავას 888 ცხძ-მდე ფორსირება მოახდინეს, რამაც შესაბამისად, მანქანის დინამიკური მაჩვენებლებიც გაზარდა. სუპერავტოს 12-ცილინდრიანი, 670 ცხძ ძრავას სიმძლავრე მექანიკური საშუალებებით, უფრო პროდუქტიული ინტერქულერის, ახალი შემშვებ-გამომშვები სისტემის, აგრეთვე მო-

ტორის მართვის ბლოკის პროგრამის შეცვლის ხარჯზე გაზარდეს. შედეგად,



ავტომობილი 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,2 წამში ავითარებს (საბაზო ავტომობილი — 3,35 წამში), ხოლო 200 კმ/სთ-ს — 9,1 წამში. მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 340 კმ/სთ-ია. სპეციალურად ამ მოდელისთვის შეიმუშავეს ახალი ბორბლების დისკები: წინ მას Pirelli PZero-ს მიერ წარმოებული 295/25 ზომის საბურავებიანი 21-დუიმიანი, ხოლო უკან — 335/25 ზომის საბურავებიანი 22-დუიმიანი დისკები უყენია.





დასბეული თმის საიდუმლო

ქალის მომხიზველობისა და მშვენიერების მთავარი საიდუმლო მოვლილი და ჯანმრთელი თმაა. თუ გსურთ, პიკანტურად გამოიყურებოდეთ, მეტი დრო და ენერჯია დაუთმეთ თმას. ამისთვის ნუ დაიშურებთ ნურც დროს და ნურც თანხებს. საუცხოო ვარცხნილობა ხომ თქვენ ნარმატების გარანტიაა.



გრძელი თმა, რომელზეც ბევრი ქალი ოცნებობს, ხშირად უხალისოდ გამოიყურება და მოუვლელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამასთან, თუკი თმას უსიცოცხლო და უღიმიამო ელფერი აქვს, ის ქალის მომხიზველობასაც ჩრდილს აყენებს. ხოლო თუ უხალისო ფერს ისიც ემატება, რომ მისი ბოლოები გამოიფიტა და იბობა, ეს თქვენს იმიჯზე უკვე დამლუბველად იმოქმედებს, რადგან თმას „ბოლოჭამია“ მიუთითებს, რომ ძალიან ცუდად უვლით და სათანადო ყურადღებას არ აქცევთ.

თუ შეამჩნიეთ, რომ თმის ბოლოები იბობა, დაუყოვნებლივ უნდა შეიჭრათ იგი. ყოველ შემთხვევაში, იქამდე მიიწვდეთ უნდა აიჭრათ, სადამდეც თმის ღერი დაუზიანებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თმის ღერის სტრუქტურის დარღვევა გაგრძელდება, მისი შუაზე გაპობა უფრო გახშირდება და თქვენი თმა სავალალო მდგომარეობამდე მივა. თმაში „ბოლოჭამიების“ გაჩენა აგრეთვე ნიშნავს, რომ თმის ღერს ძირიდან საკვები აღარ მიეწოდება, ბოლოები იფიტება და შუაზე იბობა.

დღეს უამრავი დამცავი ზეთი, ნიღბი და შამპუნ-ბალზამი არსებობს, მაგრამ მისი გამოყენება ბრმად არ შეიძლება. პირველ რიგში, უნდა განსაზღვროთ თქვენი თმის ტიპი, მისი ხარისხი და მკურნალობის პროცედურა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ჩაიტაროთ. უკეთესი იქნება, თუ თმის სტრუქტურას გამოიკვლევთ და სპეციალისტის რეკომენდაციით თმის გააჯანსაღებელ პროცედურებს ჩაიტარებთ.

ახლა კი რამდენიმე რეკომენდაცია მათ, ვისაც თმის ქიმიურად დახვევა გადაუწყვეტია:

- ქიმიური დახვევა უფრო მისაღება საშუალო სიგრძის თმაზე. უმჯობესია, გაკეთოთ საშუალო ან მსხვილი კულულები.
- თუ ძალზე თხელი თმა გაქვთ, მოერიდეთ ქიმიურ დახვევას, ვინაიდან, შესაძლოა, ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ იგი საგრძნობად დაზიანდეს.

ბლად დაზიანდეს.

● ასევე არ არის რეკომენდებული ძალიან სქელი და ხშირი თმის დახვევა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, თქვენი თმა უფრო გაფუჭებული გამოჩნდება და მისი მოვლაც მეტად გაგიჭირდებათ.

● არასდროს გაილიაოთ ან გაიმუქოთ თმა ქიმიური დახვევის წინ. სითხე, რომელიც დახვევისას გამოიყენება, ფერს უცვლის საღებავს — თმას ერთი ტონით აბაცებს. ამასთანავე, უკარგავს მას ბზინვარებას. შედეგილი თმა მხოლოდ 2-3 კვირის შემდეგ დაიხვიეთ.

● ქიმიურად დახვეული თმა შეიღებთ 2-3 კვირის შემდეგ, დახვევის შემდეგ მოერიდეთ გამაუფერულებელი საშუალებების გამოყენებას — ამან შესაძლოა, თმის დანვა გამოიწვიოს.

● ქიმიური დახვევის შემდეგ უმჯობესია, თმა შეიღებოთ შედარებით მუქ ტონებში. ამით თავიდან აიცილებთ თმის დამწვრობასა და გაუხეშებას.

● ქიმიური ვარცხნილობის შემდეგ მის უხეშ დაფარვას მოერიდეთ. რეკომენდებულია შამპუნით დაბანის შემდეგ თმაზე ბალზამის დადება და თითოეული კულულის საგულდაგულოდ დაფარვას.

● დაბანის შემდეგ ქიმიურად დახვეული თმა არავითარ შემთხვევაში ფენით არ გაიშროთ. ეს თმის ღერს გაუხეშებს.

● რეკომენდებულია თმის ზეთების გამოყენება.

● დახვეული თმა მშრალ მდგომარეობაში არ დაივარცხნოთ. ეს მას აზიანებს.

● რეკომენდებული არ არის დამწვარი თმის ხშირ-ხშირად დაბანა.

სახის კანის მოვლა ბაზაფხულზე



ბაზაფხულზე სახის კანი გაცილებით პრობლემურია, რადგან სიცივეში იფიტება; შენელებულია ვიტამინების მიწოდებისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესი. ამ დროს ძალიან კარგია ახალი ხილის, ასევე კენკროვნების ნიღბი (სახეზე მკვებავის თხელი ფენა წაისვით და ნიღბი ისე დაიდეთ. ამით კანის გაღიზიანებას თავიდან აიცილებთ).

კვება პირდაპირ კავშირშია სახის კანის მდგომარეობასთან. სახის კანზე ცუდად მოქმედებს კონსერვანტების შემცველი საკვები, მაგალითად, ტკბილი გაზიანი სასმელები, შოკოლადი, ყავა... ყოველ შემთხვევაში, უნდა ეცადოთ, ხარისხიანი ყავა მიიწვდეთ დალით და ისიც — მინიმალური რაოდენობით. ძალზე სასარგებლოა გვირილის, პიტნის, ლიმონის, კუნელიის, კომპის ფოთლების ნაყენები. კანზე ასევე არასასურველ ზემოქმედებას ახდენს ცომეულის ჭარბად მიღება (განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში).

საერთოდ, სახის კანისთვის კარგია დიეტა, ანუ დაყოფილი კვება — ნახშირწყლოვანი, ცხიმოვანი და ცილოვანი. 40 წლის შემდეგ, ყველა ქალისთვის აუცილებელია მინერალების მოხმარება. მინერალები არაჩვეულებრივად ინახავს კანს, თმას და ფრჩხილებს. აუცილებელია, პირადი ჰიგიენის დაცვაც — არასდროს გამოიყენოთ სხვისი ნახშირი ფუნჯი მაკიაჟისთვის.



ბრინჯის გუშთა

გადარჩეულ-გარეცხილი 1 1/2 ჭბრინჯი მდულარე მარლინცალში ჩაყარეთ და 5-8 წთ ხარშეთ. გადაიტანეთ თუშფალანგზე. როცა წყლისგან დაინრიტება, გადაიღეთ ცქელეზიდან ქვაბში და მორეგით, შესქელებამდე ნელ ცქელეზზე ხარშეთ. დაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ქიშმიში, 1 ს/კ პურის ფქვილი და კარგად აურიეთ. მიღებული მასისგან გააკეთეთ პატარა-პატარა გუფთები და ამოაღეთ საფანელში. ტაფაზე დაასხით ზეთი, ააღულეთ, მოათავსეთ შიგნით გამზადებული გუფთები და შეწვით. სუფრაზე მიიტანეთ რომელიმე ტკბილ საწებელთან ან სიროფთან ერთად.



9 პოპულარული შეკითხვა ვიტამინების შესახებ



კითხვა №1. ინვეს თუ არა ვიტამინები სიმსუქნეს?

პასუხი: არა, ვიტამინები არ ასუქებს; პირიქით, როდესაც ორგანიზმი მათ ნაკლებობას განიცდის, ადამიანი გაუცნობიერებლად უმატებს ჭამას, რათა აღიდგინოს ეს დანაკლისი. დღეისათვის ვიტამინების დეფიციტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ადამიანები დღის განმავლობაში ცოტა ენერჯის ხარჯავენ, შესაბამისად, ძალ-ღონის აღსადგენად, ცოტა საკვები ჰყოფნიან. ასეთი რაციონი ვერ უზრუნველყოფს ადამიანს საჭირო რაოდენობის ვიტამინებითა და მინერალური მარილებით. როდესაც ადამიანი ვიტამინების შიმშილს განიცდის, დიდი რაოდენობით საკვების მიღებას იწყებს, ეს კი წონაში მომატების მიზეზი ხდება. ვიტამინების დეფიციტის შევსება ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალურ პროცესს და მას წონის მომატებასთან საერთო არაფერი აქვს.

კითხვა №2. რომელი ვიტამინებია უფრო სასარგებლო — „ცოცხალი“, საკვებ პროდუქტებში არსებული თუ სინთეტიკური?

პასუხი: ქიმიური სტრუქტურისა და ბიოლოგიური აქტივობის მიხედვით, ვიტამინების აბებსა და ხილში, ბოსტნეულსა თუ ხორცში არსებულ ვიტამინებს შორის განსხვავება არ არის. სინთეტიკური გზით მიღებული ვიტამინების ათვისება, საკვებ პროდუქტებში არსებულ ვიტამინებთან შედარებით, 100%-იანია. ქიმიური გზით მიღებული ვიტამინები სასეზონით უვნებელია. ახალმოზილებსაც კი, რომლებსაც ხელოვნურად კვებავენ, აძლევენ „ხელოვნური“ ვიტამინების შემცველ რძიან საკვებს. ასე რომ, თუ

ორგანიზმში ვიტამინების დეფიციტია, საჭიროა მათი აბების სახით მიღება. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ საჭიროების გარეშე ვიტამინების ყლაპვას შეიძლება მოჰყვეს ვიტამინების სიჭარბე, რაც დეფიციტზე არანაკლებ სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. ამიტომ კვების რაციონი უნდა გავამდიდროთ ვიტამინების შემცველი ხილითა და ბოსტნეულით და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში (ექიმის რეკომენდაციით) მივიღოთ ვიტამინები.

კითხვა №3. მართალია, რომ ვიტამინები, რაც უფრო ძვირი და ფართოდ რეკლამირებულია, მით უფრო ეფექტანია?

პასუხი: ნუ წამოეგებით ბრმად, სარეკლამო განცხადებებზე. არსებობს ხარისხიანი, უკვე კარგად შემოწმებული ვიტამინების კომპლექსი, რომელიც ძვირიც არ ღირს და ორგანიზმისთვისაც მაქსიმალური სარგებლობა მოაქვს. ასეთი სახის ყველა პრეპარატი პრაქტიკულად, ერთი და იმავე სუბსტანციებისგანაა შექმნილი, ფასში კი შეიძლება, ძალიან დიდი განსხვავება იყოს. როდესაც კომპლექსურ ვიტამინებს ყიდულობთ, უნდა აარჩიოთ რაც შეიძლება მეტი ჯგუფის ვიტამინებისა და მინერალების შემცველი კომპლექსი. ვიტამინები აუცილებლად აფთიაქებში უნდა შეიძინოთ.

კითხვა №4. როგორ უნდა მივიღოთ ვიტამინები: როგორც კურსი, როგორც წამალი თუ მუდმივად?

პასუხი: ვიტამინები — ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებიც ინვეს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ინიციაციას, ოპტიმიზაციას, ჰარმონიზაციას, ბალანსირებას და ა.შ. თუ ადამიანს ვიტამინების დეფიციტი აქვს, ჰიპოვიტამინოზი ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველო თავისი ბუნებრივი პირობებით არ მიეკუთვნება

ბა იმ ქვეყნების რიგს, სადაც შეიძლება ვითარდებოდეს ჰიპოვიტამინოზი, რადგან აქ ნატურალური პროდუქტებითაა შესაძლებელი ორგანიზმის ვიტამინების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ჩვენში ამ პრობლემის აღმოცენება მხოლოდ დაბალი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ბრალია. თუმცა ზოგ დაავადებასაც ახლავს ჰიპოვიტამინოზის განვითარება. როცა დადგენილია, რომ ადამიანს აქვს რომელიმე ვიტამინის დეფიციტი (ნებისმიერი ვიტამინის ნაკლებობას თავისი სიმპტომი-კომპლექსი ახასიათებს), უნდა დაინიშნოს შესაბამისი ვიტამინი. მათი დანიშვნა მხოლოდ გადახრების დროსაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ვიტამინები უვნებელ პროდუქტებადაა მიჩნეული და ზოგ მათგანს ორგანიზმიც გამოიმუშავებს, მათი (განსაკუთრებით — ცხიმში ხსნადი) პროფილაქტიკის მიზნით გამოყენება, მით უმეტეს — ბავშვებისთვის მიცემა მიზანშეწონილი არ არის: ასეთ შემთხვევაში შეიძლება განვითარდეს ჰიპერვიტამინოზი, რომელსაც თავისი გვერდითი მოვლენები და გართულებები მოჰყვება. ვიტამინების მიღების დროს უნდა გავითვალისწინოთ სეზონურობის ფაქტორი ანუ — როდისაა ისინი ბუნებრივად ყველაზე ნაკლები. თუ სიღუხჭირის გამო ადამიანი არაბალანსირებულად იკვებება, შეიძლება დაინიშნოს ვიტამინები, მაგრამ ამ დროს დავდგებით სხვა პრობლემის წინაშე: თუ ადამიანი ვერ ახერხებს ნატურალური პროდუქტების ყიდვას, წამლის შეძენას შეძლებს?.. ვიტამინების დანიშვნა მიზანშეწონილია მაშინაც, როცა მოსალოდნელია აშკარად პათოლოგიური გადახრა, მაგალითად: სტრესი (ინვეს ჰიპოვიტამინოზს) ან — ბავშვს აღენიშნება





რაქიტი, ან — ადამიანი მიემგზავრება შორეულ ქვეყანაში (სანამ ახალ კლიმატურ პირობებს შეეგუება, მას უუჭველად დასჭირდება ვიტამინების მიღება) და სხვა.

პიტხვა №5. შეიძლება თუ არა, ვიტამინებმა ალერგია გამოიწვიოს?

პასუხი: ვიტამინები ორგანიზმისთვის უცხო ნივთიერებებს არ წარმოადგენს. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც, ერთი შეხედვით უწყინარი ვიტამინიც შესაძლოა, ალერგიის მიზეზი გახდეს.

პიტხვა №6. რამდენად საშიშია ჰიპერვიტამინოზი?

პასუხი: ჰიპერვიტამინოზი ისევე საშიშია, როგორც ჰიპოვიტამინოზი, ამიტომ არ შეიძლება არამიზნობრივად ვიტამინების ყლაპვა.

პიტხვა №7. რა გავლენას ახდენს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებში ვიტამინების შეწოვაზე?

პასუხი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მდგომარეობა უშუალო გავლენას ახდენს ვიტამინებისა და მინერალების შეწოვის უნარზე. ვიტამინების შეწოვა ხდება წვრილ ნაწლავში და ისეთ დაავადებას, როგორცაა ენტერიტი, შეუძლია, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ეს პროცესი. A, E, K და D ვიტამინების შეწოვაზე გავლენას ახდენს ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის მდგომარეობა.

პიტხვა №8. მართალია, რომ მწველებს ბევრი ვიტამინი სჭირდებათ?

პასუხი: ნიკოტინის მოხმარება ვიტამინებზე ორგანიზმის მოთხოვნილებას ზრდის. მწველებისთვის აუცილებელია ვიტამინი-ანტიოქსიდანტების მიღება. მათ C და E ვიტამინების დონე, არამწველებთან შედარებით, ერთ-ნახევარჯერ ნაკლები აქვთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ვიტამინების მომეტებული დოზით მიღება ნიკოტინის მავნე გავლენისგან დაგვიცავს.

თუ სიგარეტის მოწევის ფონზე მეორეულად განვითარდა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგია ან ონკოლოგიური დაავადება, მაშინ ვიტამინების შეწოვის უნარი კიდევ უფრო დაქვეითდება.

პიტხვა №9. მართალია, რომ ვიტამინები, განსაკუთრებით E ვიტამინი, ანელებს დაბერების პროცესს?

პასუხი: ვიტამინებით ორგანიზმის ნორმალური და სისტემატური

მომარაგება უზრუნველყოფს მისი გამოფიტვის პროცესის შენელებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, ამცირებს დასნეულების რისკს. ადამიანის შინაგან ორგანოებსა და გარეგნობაზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც: გენეტიკა, ცხოვრების სტილი, ალკოჰოლის მოხმარება, სპორტიანი სასმელებისადმი დამოკიდებულება, ეკოლოგია. მაგრამ მას, ვინც ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტს არ განიცდის, ყველა შანსი აქვს, ღრმა სიბერემდე შეინარჩუნოს აქტიურობა და შრომისუნარიანობა.

ვიტამინებს არ შეუძლია ადამიანის გაახალგაზრდავება, მაგრამ მათ შესწევს უნარი, ორგანიზმს აქტიურობა დიდხანს შეუნარჩუნოს. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თავატური პროდუქტები

ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან“ ერთად

საჩივის მომთავერო თამაზი:

- №2 ყველაფერი წნავის შესახებ**
- №3 ყველაფერი გაღაუდახალი**
- სამადიხინო დახმარების შესახებ**
- №4 ყველაფერი აუარგის შესახებ**



სიგლუსი

სიგლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



ბინდისფერია სოფელი

ბინდისფერია სოფელი,
 უფრო და უფრო ბინდდება,
 რა არი ჩვენი სიცოცხლე,
 ჩიტივით გაგვიფრინდება...
 წამოგვეწევა სიბერე,
 მელივით წამოგვარდება,
 სიკვდილი გზაში გიყულებს,
 თვალები გაავდარდება.
 მოგიგონებენ შვილები,
 მზეს შეხედავენ მალღიითა:
 „სოფელში შემოაღამდა,
 ბინდმა ძალღივით დაფლიითა“.
 ნეტა, სიცოცხლის მამგონი
 ღმერთი თუ ჯოჯობეთია?
 ბევრი სიმწარე მინახავს,
 ბევრი სხვა გადამხედია...

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბიტი ლექსიკონის

ერთგომეულის მიხედვით

შემდგენალი თეიმურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“;

№2-52, 2010 — №1-9, 2011

კოლტი — ღორის ჯოგი.

კოლტი — შედედებული სისხლი.

კომლი — სოფელ ადგილას მცხოვრები ცალკე ოჯახი.

კომული — უნაგირის ტახტას თავი.

კომუნე ფრ. — ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ.

კონი — ერთგვარი ფაცერი.

კონფენცია ლათ. — საერთაშორისო ხელშეკრულება რაიმე სპეციალურ საკითხზე.

კონვა რუს. (ძვ.) — საქალაქო რკინიგზა, რომლის ვაგონშიც ცხენები იყო შემული; გავრცელებული იყო ტრამვის შემოღებამდე // ასეთი რკინიგზის ვაგონი.

კონკილა — ურმის თავქვეშ შესაყენებელი კეტი.

კონსილიუმი ლათ. — ექიმთა მოთათბირება დაავადების გამორკვევისა და მკურნალობის მიზნით.

კონტუზია ლათ. — ორგანიზმის საერთო დაშავება, შერყევა მისი გარეგანი საფარვლის დაუზიანებლად (მაგ. ყუმბარის აფეთქების შედეგად).

კონოლი — პურის წვნიანი შეჭამანდი.

კონწხა — მეცხვარის წყლის სასმელი თასი ხისა ყურთან (იცინა ფშავში).

კონცხი — 1. კლდის (ან მთის) წინ წამოშვერილი ნაწილი; 2. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი.

კოპალი — ქამრის წვრილი ნაჭერი, თასმა, ქალამნების ამოსასხმელი.

კოპანო — ერთგვარი ნავი.

კოპე — იგივეა, რაც ორშიმო.

კოპტი — იფანი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-9, 2011

მეორე დღიდან ყველაფერი ვიცოდი, რაც სანდროს მანქანაში ხდებოდა. თუმცა რამდენიმე დღის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. სანდრო სამსახურში მიდიოდა, იქიდან უკან ბრუნდებოდა, ხანდახან რომელიმე მეგობარს ხვდებოდა, ერთი-ორჯერ ვილაც ქალიც ეჯდა მანქანაში. მივხვდი, მისი მრავალრიცხოვანი „ამქრიდან“ ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო. ეჭვებმა გამაგიჟა, მაგრამ თავს შევუძახე და ამაზე ფიქრს თავი დავანებე: ახლა საქმიეო მთავარი და არა — პირადი გრძნობები.

სანდრო ისე ცხოვრობდა, როგორც წინათ. უკვე ეჭვიც კი შემეპარა, სასტუმროს ადმინისტრატორმა ტყუილად ხომ არ დაადო ხელი მის ფოტოს-მეთქი?! ამ ყველაფერს სულ მალე — მესამე დღეს დაესვა წერტილი. სანდრო მანქანაში მამაკაცს ელაპარაკებოდა. საქმიანი საუბარი იყო — სამსახურის ამბებს მიმოიხილავდნენ. უცერად სანდრომ თემა შეცვალა:

— ჩემს მანქანაში ვილაცამ „ჟუროკი“ დააყენა, — თქვა და კარგა ხანს დუმილი ჩამოდგა.

ელდა მეცა, სახეზე წამოვნიტლდი კიდევ სიბრაზისგან. რადგან „ჟუროკი“ იპოვა, ე.ი. იცოდა, რომ უსმენდნენ; რადგან ეს სიტყვები თქვა, გამოდის, იმისთვის იყო განკუთვნილი, ვინც უსმენდა...

„გველის წინილა, იცოდა, რომ მისი საუბარი ისმინებოდა და ისე იქცეოდა, ვითომც აქ არაფერიო“, — გავიფიქრე და ბრაზმა ისე დამრია ხელი, მაგიდაზე მდგარი სანათი კედელს შევანარცხე.

ამის შემდეგ მის მოსმენას აზრი აღარ ჰქონდა. ისიც კი არ ვიცოდი, როგორ მოქცეულიყავი. ერთადერთ-

თი გზა მრჩებოდა — პოლიციაში უნდა გამეცხადებინა ჩემი ეჭვის შესახებ და სანდრო რეალურად დამეყენებინა საფრთხის წინაშე.

სალამოს ლალისთან თვით „მისტერ მოუხელთებელი“ მოვიდა. მისი ნახვა მეორე დღისთვის მქონდა განზრახული, მაგრამ რადგან თავად ინება მობრძანება, გადავწყვიტე, სათქმელი აღარ გადამედო.

— ყავას დამალევენებ? — ჩემი გაბრაზებული სახისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— მოვადულე, — ლალიმ ითავა მისი სურვილის შესრულება.

— რას მივანეროთ შენი ასეთ დროს გამოჩენა? შუალამა უკვე, — მინც გამიჭირდა პირდაპირ საქმეზე გადასვლა.

— ისე შემოვიარე, ბოლო რამდენიმე დღეა, არ შემხმინებინარ და ვიფიქრე, ხომ არაფერი უჭირს-მეთქი?

— კარგად ვარ, — შევიშმუშუნე.

— მართლა?! გოგა ხომ არ გამოჩენილა?

— მშვენივრად იცი, რომ გოგა მანამ არ გამოჩნდება, სანამ შენ არ ინებებ მის გათავისუფლებას, — პირდაპირ ვაჯახე სათქმელი და მზერა გაუფსნორე — მისი რეაქცია მაინტერესებდა.

— მდაა... საინტერესო ვერსიაა, — ირონიულად ჩაიცინა და ნერვები უფრო მომეშალა.

— ვერსია არაა — ფაქტია, რომელიც გადამოწმებული მაქვს და ვიცი, რომ გოგას გაქრობა შენი მოწყობილია.

— შენ კი ამაში რომ დარწმუნებულიყავი, ჩემს მანქანაში „ჟუროკი“ დააყენე, არა? — როგორც ჩანს, არც ის აპირებდა უკან დახევას და ღიად ლაპარაკი გადანწყვიტა.

— შენ როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე? — კითხვა უპასუხოდ დავტოვე.

— ალბათ — შენსავით, თუ საფუძვლიანი ეჭვი მექნებოდა. მაგრამ მინდა დაგარწმუნო, რომ გოგას დაკარგვაში არავითარი წვლილი არ მიმიძღვის. ან რაში მჭირდებოდა მისი მოტაცება?! მისი „ტილიანი“ ნახევარი მილიონის გამო?

— ჰო, მაგრამ ეგ ნახევარი მილ-

იონი გამტაცებლებმა მას შემდეგ მოითხოვეს, რაც გატაცების ჩემიუ-ლი ვერსია გაგიმხილე. როგორც კი გითხარი, გატაცების მიზეზს ვერ ვხედავ, რადგან ფულიც კი არავის მოუთხოვია-მეთქი, მეორე დღესვე მისმა მშობლებმა წერილი მიიღეს.

— მარგო, ეს ყველაფერი უბრალოდ დამთხვევაა, დამიჯერე.

— და თუ ეს ყველაფერი უბრალოდ დამთხვევაა, ჩემ მიერ წაყენებულ ცრუბრალდებებს ასე მშვიდად ხვდები?!?

— სანერვიულო რა მაქვს?! სუფთა ვარ მაგ საქმეში.

— მარგო, ტელეფონთან მიდი, — ლალიმ ყურმილი აპარატის გვერდით დადო და სანდროს გვერდით მიუჯდა.

— ალო, მარგო!

— გოგა?! — ყურებს არ დავუჯერე, ყურმილში გოგას ხმა რომ გავიგონე.

— ჰო, მე ვარ...

— როგორ ხარ, სად ხარ?..

— მარგო... მე ახლა... მე იმისთვის გირეკავ, რომ გითხრა, ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით. შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, მაგრამ ჩვენს ურთიერთობას არავითარი აზრი არა აქვს... მოკლედ, ბედნიერებას გისურვებ, კარგად...

ყურმილი დაკიდა. ჩემს პასუხსაც კი აღარ დალოდებია. გაოგნებული ვიდექი და კარგა ხანს მესმოდა წყვეტილი ზუმერი. ვერ დამეჯერებინა, რომ რაც ხდებოდა, რეალობა იყო. ყურმილი დავკიდე და სანდროს შევხედე.

— აი, ხომ ხედავ — გამოჩნდა! შენ კი მე მაბრალებდი... არ გრცხვენია?! რატომ არ გიხარია? ნუთუ შენთვის სულერთია?!

— გველო! — კბილებში გამოვცერი და ჩემს ოთახში გავედი. სანამ სანდრო არ წავიდა, აღარც გამოვსულვარ.

კარგა ხნის შემდეგ კარი ლალიმ შემოაღო.

— გძინავს? — მკითხა.

— არა, არ მძინავს.

ლალი სანოლზე ჩამომიჯდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ გოგას მაგან გაუჩალიჩა. მოტაცებული ჰყავდა, კარგა ხანს აყურყუტა სადღაც, შემდეგ, როგორც ჩანს, შეაშინა,



ჩემთან ურთიერთობაზე უარი ათქმევინა, ალბათ „დაკერა“ კიდევ, რომ პოლიციაში არ განეცხადებინა... დაემუქრებოდა რამით და დაიყოლიებდა.

— იქნებ მართლა არ არის სანდროს ბრალი? — ლალი გულწრფელი იყო, ამას რომ ამბობდა.

— არა, ლალი, დარწმუნებული ვარ, რომ მაგის მოწყობილია ეგ ოინი, რადგან სასტუმროს ადმინისტრატორმა სანდრო ამოიციწო. გარდა ამისა, რამდენიმე დღის წინ ბარში რომ ვისხედით, სანდრო დამემუქრა, — რამდენი მამაკაციც შენ გვერდით გამოჩნდება, იმდენჯერ შეგექმნება პრობლემაო. მაგან კარგად იცოდა, სასტუმროში გოგასთან ერთად მისვლა რა შედეგს გამოიღებდა. იცოდა, რომ იმ ღამით ბევრი რამ შეიცვლებოდა და არ დაუშვა, რომ ჩემ გვერდით სხვა მამაკაცი ყოფილიყო.

— სანდროს უყვარხარ — ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დარწმუნებული ვარ, რომ გიჟდება შენზე და იმიტომაც არ ემეტებოდა სხვისთვის.

— კი, მაგრამ მისთვის ნათქვამი მაქვს, რომ ჩემთან ურთიერთობის პერსპექტივა არ გააჩნია. შენ არ იცი, რა მოხდა ერთხელ, წლების წინ, დათოს ქორწილის ღამეს. გახსოვს ალბათ, რომ იმ დღეს გავიგე, სამდრო და დათო ტყუპი ძმა რომ იყო. განაწყენებული ვიყავი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მიმალავდნენ და როგორც ერთ ადამიანს, ისე ვიცნობდი ორივეს. ჰოდა, შინ ადრე რომ წამოვედი და ფაქტობრივად, ქორწილს არ დავსწრებივარ, ეგეც გახსოვს ალბათ. ცოტა ხანში სანდრო მომადგა. ბოდიში მოიხადა. მის მოსვლამდე კარგა ბლომად კონიაკი დაველი და უკვე მთვრალი ვიყავი. მომეფერა, ლოგინშიც ჩამიწვინა და არც გამიწვია მისთვის წინააღმდეგობა, რადგან მიყვარდა და მინდოდა, მისი ალერსით დავმტკბარიყავი. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიდა და მკითხა, თანახმა ვიყავი თუ არა მასთან ურთიერთობაზე და ჩემგან თანხმობა მიიღო, მითხრა, — ეგ იმის ბრალია, რომ რუსული სისხლი გირევი, თორემ არც ერთი ქართველი გოგო ასე თვალდასუჭული არ დამთანხმდებოდა სექსზეო. ისე წავიდა, ხმის გაცემა ვერ მოვახერხე, მაგრამ მაშინ დავიფიცე, რომ სანდრო ჩემთან ურთიერთობას ვეღარ ეღირსებოდა... უკვე წ წელი გავიდა მას შემდეგ და მუდამ იმის ცდაშია, როგორმე დამითანხმოს, მაგრამ არაფერი გამოსდის. არც ერთ ხელსაყრელ მომენტს არ უშვებს, რომ წამებლარაძუნოს,

მაკოცოს და როგორმე ლოგინში შემითრიოს. დღემდე ვახერხებ უარის თქმას და თავის დაძვრენას, თუმცა ამას დიდი ძალისხმევის შედეგად ვახერხებ...

— მაგაში დიდი ხანია, დავრწმუნდი — შენც გიყვარს.

— პირველი შეხვედრის დღიდანვე ვიცნებობ მაგ კაცზე. კიდევ კარგი, რომ ცოლი არ ჰყავს და ჯერ არც აპირებს მოყვანას, თორემ ალბათ გული გამისკდებოდა.

— როდემდე უნდა ეთამაშო კატათაგობანა?

— სანამ იმ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, რომ ცოლად მომიყვანოს.

— დიდხანს მოგიწევს ლოდინი, — თავი გადააქნია ლალიმ და ოთახიდან გავიდა.

მთელი ღამე იმაზე ფიქრში გავატარე, რას ნიშნავდა მისი სიტყვები. როგორც ჩანს, ლალიმ რალაც იცოდა და არ მეუბნებოდა. ეჭვი ისევ მომეძალა. გული მენურებოდა. ვცდილობდი გავრკვეულიყავი, რა მჭირდა, რატომ მიყვარდა ეს ადამიანი, მაგრამ ვერაფერი გამეგო. გოგა?.. მხოლოდ გამთენიისას გავიფიქრე, — მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და გოგა არც კი გამხსენებია-მეთქი. ეს იყო და ეს...

სამსახურში დაძაბული დღეები მქონდა. ბევრ ძველ თანამშრომელს ჩემი დანინაურება არ ექაშნიკა და დაბოლმილი მიყურებდა. ჩასაფრებული იყვნენ, რომ რაიმე იაღლიში მომსვლოდა და ვემხილებინე. განყოფილებაში ერთადერთი ქალი ვიყავი და ისიც — მათი შეფი. ვგრძნობდი, რომ ვერ მიტანდნენ. თათბირებზე ხმას არ ვიღებდი, თუ აუცილებელი არ იყო. როცა დავალბებ ვანანილებდი, მორჩილად ასრულებდნენ, მაგრამ „დენთის სუნს“ ვგრძნობდი.

ერთ დღეს კაბინეტში ის 3 თანამშრომელი დავიბარე, რომლებიც სხვებთან შედარებით აშკარად გამოსატავდნენ აგრესიას ან უბრალოდ, ცუდად ფარავდნენ თავის განწყობილებას. ცოტა „გავტისკე“, შენიშვნები მივეცი და თქვენი მუშაობა არ მომწონს, საქმეს ზერელედ ეკიდებით-მეთქი, — ვუთხარი. თავის მართლების საშუალებაც მივეცი. მერე ჩუმად ჩავრთე დიქტოფონი, მაგიდის ქვეშ, თაროზე დავდე, ბოდიში მოვუხადე, — რამდენიმე წუთით დაგტოვებთ-მეთქი, — და ოთხიდან გავედი. კარგა ხანს არ დავბრუნდი — საშუალება მივეცი, თავიანთი აზრი ჩემ შესახებ თავისუფლად გამოეთქვათ. უკან დაბრუნებულმა კიდევ რამდენიმე დავალბა მივეცი და გავუშ-

ვი. ჩანანერის მოსმენისას აღმოვაჩინე, რომ მათ პრეტენზია მხოლოდ ჩემთან კი არა, განყოფილების უფროსთან და უფრო მაღალი თანამდებობის პირებთანაც ჰქონიათ. თავისუფლად ლაპარაკობდნენ, თუმცა ცოტა ხმადებლა, რომ მათი ხმა კარს მიღმა არ გასულიყო. ჭორიკანა ქალებით მოალეს პირი და ისეთი რალაცები თქვეს, რაც ჩემს წისქვილზე ასხამდა წყალს. განიხილავდნენ ფაქტებს — თუ როგორ აიძულა განყოფილების უფროსმა, ვილაცისთვის წამალი ჩაედოთ, ან — უფრო „ზემოდან“ ვილაცის „გაფუჭება“ დაავალეს; ერთ-ერთ თანამდებობის პირზე, რომელიც ცოტა ხნის წინ „გააფუჭეს“, იმასაც კი ჰყვებოდნენ, როგორ მიუგზავნეს არასრულწლოვანი მეძავი, რათა მერე დაემანტაჟებინათ და თანამდებობიდან წასვლა აეძულებინათ... ეს საქმე რომ გახმაურებულიყო, ბევრი ადამიანი დაემშვიდობებოდა თავის სავარძელს. ჩანანერში ისეთი ადამიანების გვარებიც ფიგურირებდა, რომლებიც ქვეყანაში სიტუაციას მართავდნენ...

ყველაფერი გავანალიზე, კარგად გავიაზრე და იმ სამიდან, რომელიც ცოტა ხნის წინ ჩემს კაბინეტში იჯდა, ერთ-ერთი, ჩემი აზრით, ყველაზე ჭკვიანი ისევ დავიბარე.

— გისმენთ, — ლამის ოთხად მოკეცილი შემოვიდა, მაგრამ სახეზე რიდი და ჩემ მიმართ პატივისცემა კი არა, ზიზღი და ირონია ეხატა.

— ეს ჩანანერი მინდა, მოგასმენინოთ, — დაჯდომაც არ შევთავაზე, ისე ვუთხარი და დიქტოფონი ჩავრთე. როგორც კი მიხვდა, რას ვასმენინებდი და ალბათ გაიაზრა კიდევ, კიდევ რა ილაპარაკეს, გამომეტყველება შეეცვალა.

— თქვენ ჩვენი დალუპვა შეგიძლიათ, — ძლივს ამოილულულა.

— რა თქმა უნდა, — დიქტოფონი გამოვრთე და წამოვედი.

— როგორც ვხვდები, თქვენი სიჩუმისა და მაგ ჩანანერის განადგურების სანაცვლოდ რალაც სამსახური უნდა გაგინოთ.

— სწორად მიხვდით.

— მაინც რა? — გამოცოცხლდა, რადგან იმედი მიეცა, რომ გადარჩენის შანსი გაუჩნდა.

— დარწმუნებული ვარ, შენი ნდობა შეიძლება.

— რა თქმა უნდა, — სახეზე ირონიისა და ზიზღის ნატამალი აღარ ჰქონდა შერჩენილი. ახლა ალბათ ჩემზე ძვირფასი ადამიანი მისთვის არ არსებობდა და მზად იყო, ფეხსაცმელიც კი აელოკა ჩემთვის, ოღონდაც დამენდო.



— რა თქმა უნდა, იმასაც ხვდები, რომ ამ ჩანაწერით სამივეს „გაფუჭება“ შემძლეა და თანაც ისე, რომ ცხიხე თუ გაკმარეს და უარესი არ გაგჩაჩლიჩეს, ღმერთს მადლობასაც შესწირავთ.

— ქალბატონო მარგო, პატარა ბავშვი არა ვარ და ვიცი, რა შეიძლება მაგას მოჰყვეს.

— გელა, ამ ჩანაწერის შესახებ არავის არაფერი უნდა უთხრა.

— არც...

— არც იმათ, ვინც ამ ოთახში შენთან ერთად იყო და ენას ატლიკინებდა.

— გასაგებია...

— შენ კი ძველებურად განაგრძობ ჩემს ლანძღვა-გინებას კოლეგებთან და დანიშნულებებს, ვინ რას იტყვის ჩემზე. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საყურადღებო იქნება, ჩემთან უნდა მოვიდეს — არა აქვს მნიშვნელობა, მე მხეხა ის თუ — არა. გასაგებია?

— დიას...

— ჰოდა, თუ ისე მოიქცევი, როგორც საჭიროა, დაგიფასდება. თუ არა და — შენს თავს დააბრალე.

ამხელა კაცი ისე დაპატარავდა, რომ შემეცოდა კიდევ. ჩემი კაბინეტი უკუსვლით დატოვა, ზურგის შექცევასაც კი მოერიდა. მაშინ გამახსენდა ერთი გამონათქვამი — ქვეყანას ის კი არ მართავს, ვინც ოქროს ფლობს, არამედ ის, ვინც მბრძანებლობს მათზე, ვინც ოქროს ფლობსო, — რომელიღაც ბრძენ კაცს უთქვამს. ინფორმაცია — იგივე ოქროა... თუ ინფორმაციას ფლობ, შეგიძლია, სიტუაცია და სამსახური კი არა, მართლაც ქვეყანა მართო...

ამ ამბის შემდეგ თავს გაცილებით მშვიდად ვგრძნობდი. თუმცა ვიცოდი, რომ გელას ნდობა ბოლომდე არ შეიძლებოდა და ხანდახან მის გადამონებებსაც ვახდენდი.

ერთ საღამოს, როცა მე და ლალი გულითადი საუბრით ვიყავით გართული და სამსახურის ამბებს ვუყვებოდით, კარზე დააკაკუნეს.

— მოდი, სანდრო, მოდი, — ხალისიანად შეეგება ლალი.

გული შემიქანდა. თითქოს გამიხარდა სანდროს მოსვლა, მაგრამ ამავდროულად, რაღაც უსიამოვნო შეგრძნებაც გამიჩნდა. წამოვდექი, რომ სტუმარს შევგებებოდი და ადგილზე გავექვავდი.

სანდროს გვერდით ძალიან ლამაზი გოგო იდგა და გვიღიმოდა.

— გაიცანი, ეს ლალია, ეს — მარგო, ჩემი ახლობელი ადამიანები არიან. — გოგონამ ხელი ჩამოგვართვა. — ეს კი დონაა, ჩემი მომავალი

მეუღლე, — სტუმარიც წარმოგიდგინა.

გავშრი და ვიგრძენი, რომ მუხლებში ძალა გამომეცალა. თუ არ დავჯდებოდი, ნამდვილად ძირს მოვადენდი ბრაგვანს.

— დაბრძანდით, — ნაძალადევი ღიმილი ავინებე სახეზე და პირველად მე დავეშვი დივანზე.

ცოტა ხანს თვალმოუშორებელი ვუყურებდი დონას და საკუთარ თავს ვადარებდი. გარეგნულად ნამდვილად ვჯაბნიდი. ლამაზი იყო, ტანმალალი, მაგრამ ფეხები ცოტა დაბრეცილი ჰქონდა და ქალური შარმიც აკლდა. რაღაცნაირი, „უმი“ ქალი იყო. რუსები ასეთს „ნედოდელანაიას“ ეძახიან.

ამას იმიტომ არ ვფიქრობდი, რომ შური და ბოღმა მამოძრავებდა, — რეალურად ვაფასებდი მასაც და საკუთარ თავსაც. თუმცა ამას ალბათ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა: სანდრომ ის აირჩია და ალბათ მჯობნიდა...

— ვახშამს გავამზადებ, მარგო, მომეხმარები? — ლალიმ სამზარეულოში გამიტყუა.

— ლალი, რა მეშველება?! — სასონარკვეთილი ვიყავი.

— დანყნარდი, იქნებ ამ ფაქტმა დაგანახვოს, რომ სანდრო შენი ღირსი არ არის?

— არ დავუშვებ, რომ სანდრომ მაგ დონაზე იქორწინოს!

— ჰო, შენ ხომ ქორწილების ჩამლის ოსტატი ხარ!.. — ლალის გულიანად გაცეცინა.

— ყველა ღონეს ვიხმარ, რომ ისინი ერთმანეთს დავაშორო.

— კი, მაგრამ შენი საქმე ისე ხომ არაა, ავმა ძალღმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო?

— ჩემი საქმე ძალიან ცუდადაა, ამ ფაქტმა კი მხოლოდ ის დამანახვა, რომ სანდრო ძალიან მიყვარს და მისი დათმობა არ მინდა...

— დანყნარდი. ახლა, ამ ალელექტულ გულზე ნურაფერს მოიმოქმედებ. ცივი გონებით აწონ-დანონე ყველაფერი და ისე მოიქეცი, როგორც გონება გიკარნახებს. გულისტქმას არ აპყვე...

ეს ლალის ცხოვრებისეული პრინციპი იყო — გადაწყვეტილების „გონებით“ მიღება. გულის კარნახს არავითარ შემთხვევაში არ აპყვებოდა. მასთან ცხოვრების დროს ბევრი რამ ვისწავლე, რაც ცხოვრებაში გამომადგა.

იმ დღესაც დავუჯერე ლალის და ისე მოვიქეცი, როგორც გულისხმიერ, ყურადღებიან, სტუმართმოყვარე მასპინძელს შეეფერებოდა. თუმცა სანდროს ჩემი რეაქცია არ გამო-

ჰპარვია. ლალის სთხოვა, დონას შენი ყვავილების ბალი დაათვალიერებინეო და როცა ისინი გავიდნენ და მარტონი დაფრჩით, დივანზე ჩემ გვერდით გადმოჯდა.

— მარგო, აბა, ახლა მითხარი, როგორ ხარ? — ისე მკითხა, მივხვდი, გულისხმობდა — იმის შემდეგ როგორ ხარ, რაც დონა მოვიყვანე და როგორც ჩემი მომავალი მეუღლე, ისე გაგაცანიო?

— კარგად, — ყალბად ნათქვამი გამომივიდა.

— ხასიათი გაგიფუჭდა, მგონი... თუ მეჩვენება?

— გეჩვენება; რას უნდა გაეფუჭებინა ხასიათი?! — იხტიბარს არ ვიტყვდი.

— დონას გამოჩენას.

— სულაც არა. მშვენიერი გოგოა, ცოტა ფეხები კი აქვს დაბრეცილი, მაგრამ გრძელ კაბას ჩაიცვამს და არ გამოუჩნდება...

— აი, ხომ ვთქვი... გუნება ნამდვილად დონას ნახვამ გაგიფუჭა და ახლა იმიტომაც ჰკებენ...

— ქორწილში დაპატიჟებას უნდა ველოდო? თუ წინასწარ შევეგუო იმას, რომ მიწვევას არ მივიღებ?

— მიიღებ, აუცილებლად მიიღებ, — ამას რომ მეუბნებოდა, ისე ახლოს მოვიდა ჩემთან, რომ სუნთქვა შემეკრა. ტუჩები ყურთან მომიტანა და ისე გააგრძელა: — იმედია, ყველაზე თვალისმომჭრელი სტუმარი იქნები, ჩემო „იაზვავ“...


— გოგა დამაკარგვინე, იმ კაცს ჩემზე საბოლოოდ ათქმევინე უარი, ჩემი ხმის გაგონებაც არ უნდა და შენ კი მოინყვე პირადი ცხოვრება, არა?! — გესლიანად ვთქვი და ხელი ვკარი.

— მარგო, რა ჩემი ბრალია, რომ მშიშარა კაცი აირჩიე?! მოგეძებნა ვაჟკაცი, რომელიც ჭკუას მასწავლიდა, სამაგიეროს გადამიხდიდა, არაფერი შეაშინებდა და არ დაგთმობდა... რად გინდოდა გოგასნაირი მხდალი კაცი, მაინც არაფერში გამოგადგებოდა...

ერთი მხრივ, მართალი იყო სანდრო, მართლაც არაფერში მჭირდებოდა ასეთი კაცი, მაგრამ წყენას მაინც ვერ ვივიწყებდი...

უეცრად სანდრომ ხელები გამიკავა და ტუჩებზე გიჟივით დამაცხრა. ჯერ გავუძალიანდი, მაგრამ როდესაც შემინულ კარში ჩვენკენ მომავალი ლალი და დონა დავლანდე, ხელები გავითავისუფლე, კისერზე მოვეხვიე, თვალები ვნებინა და მივნახე და კოცნითვე ვუპასუხე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-9, 2011

ასე მაინც ვინ გავამწარე? — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს ოთარ ორდენიძე და ბოლო ხანებში მის მიერ გამოძიებულ საქმეებს კიდევ ერთხელ იხსენებდა. თუ ამის მიზეზი ვითომდა უსამართლო განაჩენის გამო ბანალური შურისძიება იყო, მაშინ გამოძიებელს მხოლოდ 2 ასეთი პოტენციური შურისმაძიებელი თუ ეგულებოდა. ორივე წვრილმან ქურდობაზე იყო ნასამართლავი. ასევე ორივე უკვე გარეთ იყო გამოსული და ერთი მტვირთავად, მეორე კი დარაჯად მუშაობდა.

„არა, — მალევე დაასკვნა ორდენიძემ, — დაუჯერებელია, ამ უბრალო ქურდობაზე ჯერ სნაიპერის ნასროლი ტყვიით, შემდეგ კი მანქანის აფეთქებით ეცადათ ჩემი მოკვლა. ეს ბევრად უფრო სერიოზული ვინმეს ნახელავია. მაგრამ ვისი?.. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სამიზნე მე კი არა, სულაც მანქანის რეალური პატრონი ანუ მარი მდივანი ყოფილიყო? მისი გაძარცვა ხომ უკვე სცადას და ახლა იქნებ ხელმოცარული მძარცველები იმასაც შიშობენ, რომ ქალმა რომელიმე მათგანის სახე დაიმასხვოვრა, ანდა სულაც ამოიცნო?...“

— ასე გამალებით მაინც რაზე ფიქრობ? — ჰკითხა უცბად გამოძიებელს მის მკლავებში გატრუნულმა მარიმ.

— მაპატიე, მაგრამ ჯერ უნდა დავრეკო და მერე გეტყვი.

ორდენიძე გვერდით ოთახში გავიდა, კარი მიხურა და ნომერი აკრიბა.

— სალამი, შეფ, — გაისმა ყურმილში ანდრო ლევიშვილის ხმა, — ახლა ვაპირებდი შენთან დარეკვას.

— გისმენ.

— მაშ, ასე: მანქანის ამფეთქებლის ვინაობა უკვე დადგენილია...

— მართლა? — გაუკვირდა გამოძიებელს.

— ის ვინმე იოსებ კურტანიძე აღმოჩნდა.

— ასე სწრაფად მაინც როგორ მოახერხეთ?

— გზის მეორე მხარეს, ავტოსახელოსნოში უმუშავია. იქ ჯერ კიდევ ყველა მოკშია და

იფიცებთან, ეს უბედურება შემთხვევით დაემართაო.

— ეგ როგორ?

— როგორ და შესვენებაზე ცოტა დავლიეთ, ნაძლევი დადო, ავტოსადგომზე მდგარი ყველაზე მაგარი მანქანის სიგნალიზაციასაც კი ნამებში მოვხსნიო, მაგრამ მისი მანქანაში ჩაჯდომა და აფეთქება ერთი იყოო.

— თუ ეგ ხალხი არ იტყუება, მაშინ გამოდის, რომ მანქანის რეალური ამფეთქებელი ჯერ არ გიპოვიათ.

— ჰო. ეტყობა, ასაფეთქებელი ნივთიერება მანქანაში ვილაცამ კურტანიძის ჩაჯდომამდე ჩადაო.

— მეც ასე ვფიქრობ.

— თუ შენც ასე ფიქრობ, მაშინ ალბათ, რალაც-რალაცების ახსნაც მოგინევს, შეფ.

— რას გულსხმობ?

— იმას, რომ მანქანა მარი მდივანს ანუ სწორედ იმ ქვრივს ეკუთვნის, ვისი გაქურდვის მცდელობასაც ამ ცოტა ხნის წინ აპირებდნენ და ვისაც კარგად უნდა იცნობდე.

პასუხად ორდენიძემ ნერვიულად ჩაახველა და მხოლოდ ამის შემდეგ დასძინა: — ნამდვილად კარგად ვიცნობ. მერე?

— მერე ის, რომ მანქანა მარი მდივანს კი ეკუთვნის, მაგრამ ბოლო ხანებში მას სხვა ადამიანი მართავდა.

— მაინც ვინ?

— ვინ და შენ...

— უკვე ესეც იცი?

— ვმუშაობთ, ბატონო ოთარ, ვმუშაობთ...

— კარგი, დავუშვათ, რომ ყვე-

ლაფერი მართლაც ასეა, მერე?

— ამას რალა მერე უნდა? ბოროტ-მოქმედებს ან შენი თავიდან მოშორება უნდოდათ, ანდა მარი მდივანის.

— ყოჩაღ, ძალიან ლოგიკურად მსჯელობ, — ნაიბურტყუნა ყურმილში ორდენიძემ.

— რაც, პირველ რიგში, ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა, — გახალისდა ლევიშვილი, — თუმცა ერთი რამ კი მაშფოთებს.

— მხოლოდ ერთი?

— განსაკუთრებით ერთი.

— მაინც, რა?

— რა და ასეთ ხმაურთან საქმეზე დამნაშავეები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ მიდიან.

— გეთანხმები.

— გამოდის, რომ ეს მანქანაც მიზანმიმართულად ასწიეს ჰაერში და რადგან შედეგს ვერ მიაღწიეს, კიდევ რალაცას მოიფიქრებენ.

— გამორიცხული არაფერია.

— მაშინ იქნებ, დროა, ერთგულ მონაფეს საკუთარი აზრიც გაუზიარო? მითხარი, ამ ყველაფერზე რას ფიქრობ? მაინც საიდან უბერავს სიო? ასე ვის სჭირდება შენი თავიდან მოშორება?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— კარგი რა, შეფ! შენ და წარმოდგენა არ გქონდეს? მითხარი, რომ დროზე ვილონოთ რამე.

— დამიჯერე, ჯერ თვითონაც ვერაფერს მივმხვდარვარ, მაგრამ როგორც კი რამეს გავარკვევ, პირველს შენ გეტყვი.

ორდენიძემ ყურმილი დადო და ჩაფიქრდა. გამოძიებლის ალლო და მრავალწლიანი ცხოვრებისეული გამოცდილება კარნახობდა, რომ მომხდართან დაკავშირებულ ყველა არსებით კითხვაზე პასუხი ახლაც სულ ახლოს, ზედაპირზე იყო საძებნელი და საკმარისი იყო, საგნებსა და მოვლენებს ცოტა უფრო გულმოდგინედ დაჰკვირვებოდა, რომ მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. „თუ ვილაცის შურისძიებასა და მანქანის შემთხვევით აფეთქებას გამოვრიცხავთ, მაშინ მხოლოდ ერთი რჩება: ჩემ ირგვლივ უსიამოვნებები კოლექციონერების უცნაური გაუჩინარების დაინტერესების შემდეგ დაინყო, რამაც ამ საქმეში დამნაშავე თუ სულაც დამნაშავეები შეაშფოთა, — ფიქრობდა იგი, — და ეს სრულიად ლოგიკური და გასაგებია, მაგრამ ჩემი შეფი რატომაც ასე გაცოფებულ? ალბათ იმიტომ, რომ ან დამნაშავეებს „ზემოთ“ თავისი ხალხი ჰყავთ და იქიდან ახდენენ სამართალდამცავებზე ზენოლას, ან არადა, შეფს უბრალოდ, კიდევ ერთი გაუხსნელი



საქმის მოკიდება არ უნდა...“

ორდენიძეს ფიქრი კარზე მსუბუქ-მა კაკუნმა გააწყვეტინა. ზღურბლზე მარი იდგა:

- ისევ დაკავებული ხარ?
- არა, უკვე აღარ, — გაუღიმა ქალს გამომძიებელმა.
- მაშინ იქნებ, მეც მომისმინო.
- ყურადღებით გისმენ.
- მანქანის აფეთქებასთან დაკავშირებით ალბათ, მეც დამკითხავენ, ხომ? — გამომძიებელს მანქანზე გვერდით მიუჯდა მარი.

— რა თქმა უნდა. ის კი არა და მიკვირს, ეს ამდენ ხანს რატომ არ გააკეთეს?

— მაშინ დროზე მირჩიე, რა და, როგორ ვუპასუხო.

ორდენიძე მიხვდა, მარის რაც აღელვებდა. მას ხომ, პირველ რიგში, იმის ახსნა მოუწევდა, თუ როგორ მოხდა მისი ავტომობილი გამომძიებლის ხელში, რის შემდეგაც მათი ურთიერთობის ამბავიც გამჟღავნდებოდა.

— რას გეტყვი, იცი? — ქალს ხელი ნახად მოხვია ორდენიძემ. — მოდი, ის თქვი, რაც სინამდვილეშია. — ანუ?

— უთხარი, რომ შენი საქმის გამოძიების პროცესში საკმაოდ დავმეგობრდით და დროებით საკუთარი მანქანა მათხოვე.

— ჰო, რა თქმა უნდა, — თავი დახარა მარიმ, — ჩვენ ხომ მართლაც კარგი მეგობრები ვართ. ჰოდა, გამომძიებელსაც ასე ვეტყვი...

ორდენიძემ ქალის ხმაში ძლივს შესამჩნევი საყვედური იგრძნო.

— მარიკუნა, — მანქანაზე გულში ჩაიკრა მან მარი, — შესანიშნავად იცი, რომ შენ ჩემთვის მეგობარზე ბევრად მეტი ხარ, მაგრამ ახლა საქმეს ასე სჭირდება.

— კარგი, — დამნაშავესავით გაეღიმა ქალს, — ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა.

— ჰოდა, ძალიან კარგი. — კიდევ რაღაცის კითხვა მინდოდა.

- მკითხე.
- გახსოვს, ჩემი მეგობრების გაცნობის პირობა რომ მომეცა?
- რომელი მეგობრების?
- ლალისა და მის ქმარზე გეუბნები.
- კი, როგორ არ მახსოვს.
- მერე?
- როცა გინდა, მაშინ გავიცნობ.
- მაშინ კვირას დავპატიჟებ, კარგი?

— როგორც შენ იტყვი... — არცთუ დიდი ხალისით დანებდა ქალს ორდენიძე.

პოლკოვნიკი ურთმელიძე კაბინეტში კარგა ხანს შუბლშეკრული გადი-გამოდოდა. ბოლოს, როგორც იქნა, სკამზე მორჩილად მჯდარი ორდენიძის წინ შედგა და თვალი თვალში გამოცდელად გაუყარა:

— რატომ მაშინვე არ მომასხენე ყველაფერი?.. იმდენადაც კი გათავხედდი, რომ უფროსებისთვის საგანგებო შემთხვევების შეტყობინებასაც აღარ მიიჩნევ საჭიროდ?.. თუ შენთვის უკვე დღისით-მზისით, შუა ქალაქში, მანქანის აფეთქებაც კი ჩვეულებრივი ამბავი გახდა?..

შეფი ისე სწრაფად აყრიდა კითხვებს, რომ ორდენიძე სიტყვის ჩაგდებასაც კი ვერ ახერხებდა. თუმცა ბოლოს ეტყობა, პოლკოვნიკიც დაიღალა, ან ყველაფერი ამოთქვა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა. გამომძიებელმა კი ამით მაშინვე ისარგებლა:


— ბატონო კახა, უჩემოდაც ხომ დროზე მოგასხენეს ყველაფერი? ის კი არა და, მანქანა რომ მარი მდივანს ეკუთვნოდა და მას დროებით მე ვმართავდი, თქვენთვის უკვე აფეთქებიდან თხუთმეტი წუთში გახდა ცნობილი. ან იქნებ მითხრათ, რომ ასე არ იყო?

— რა მნიშვნელობა აქვს, რა და როგორ იყო? — მაგიდას მუშტი გამეტებით დაჰკრა შეფმა. — თვითონ რატომ არ მომასხენე-მეთქი ყველაფერი?

პასუხად გამომძიებელმა მხრები აიჩჩა.

— კარგი, — ხელი ჩაიქნია პოლკოვნიკმა, რომელიც მიხვდა, რომ მისი ყვირილი ხელქვეითზე დიდად როდი მოქმედებდა, — ახლა მაინც ამისხენი, რა ხდება? საიდან გაჩნდა შენთან ამ ქალის მანქანა?

— ძალიან მარტივად. — წესიერად ამისხენი-მეთქი!



— მე ხომ მარი მდივანს საქმე მიმყავს. ალბათ, გახსოვთ, ცოტა ხნის წინ რომ კინალამ გაძარცვეს.

შეფმა, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

— ჰოდა, საქმის მსვლელობისას იმდენად კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, რომ დროებით, სანამ გამოძიება დამთავრდება, თავისი მანქანაც კი მათხოვა.

— იმაზე თუ გიფიქრია, შენი საქციელი რომ მთლად ნორმაში ვერ ჯდება?

— მაინც რომელ ნორმაში? ამ ქალს ჩემთვის მანქანა კი არ უჩუქებია, უბრალოდ მათხოვა. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ, გადაამოწმოთ.

— კარგი, — ისევ ჩაიქნია ხელი შეფმა, — გააგრძელე.

— მოკლედ, ვფიქრობ, რომ ჩემი კი არა, მარი მდივანის მოკვლა უნდოდათ.

— მარი მდივანის? — გაუკვირდა პოლკოვნიკს. — კი, მაგრამ რატომ? ბინის გაძარცვა კიდევ მესმის, მაგრამ მისი მოკვლა ვის რაში დასჭირდა?

— ალბათ, მოწმის მოცილება გადაწყვიტეს.

— მაგრამ ეს ქალი ხომ ამტკიცებს, არავინ დამინახავსო?

— მტკიცებით კი ამტკიცებს, მაგრამ შეიძლება, დამნაშავეებს მის სიტყვებში მაინც ეჭვი ეპარებათ და კვალის ბოლომდე დაფარვას ცდილობენ.

— პრინციპში, შეიძლება, ასეც იყოს, — ჩაფიქრდა შეფი, — ისე, ამ ქალს მართლა არავინ დაუნახავს?

— სამწუხაროდ, არა, — მეტი დამაჯერებლობისთვის თავიც კი გაიქნია ორდენიძემ.

„თუ ჩვენი უწყებიდან ინფორმაცია ჟონავს, მაშინ ჯობს, ბანდიტებმა იცოდნენ, რომ მარი ვერავის ამოცნობას ვერ შეძლებს“, — თავისთვის გაიფიქრა.

პოლკოვნიკმა კი მუშტში ჩაახველა და ისევ განაგრძო:

— გამოდის, რომ მართლა ამ ქალისთვის ჩაუდვიათ ასაფეთქებელი.

— აბა, მე ვის რაში ეჭირდები? — თავი მოისანყლა ორდენიძემ.

— ისე, შენც მართალი ხარ... — ტონი საბოლოოდ შეარბილა შეფმა. — ნადი ახლა და საქმეს მიხედ! იმ ქალსაც მიაქციე ყურადღება, მართლა არ გვეზარალოს...“



კვირა დილით ოთარ ორდენიძე ფანჯრის სქელ ფარდაშიც კი ჯიუტად შემოღწეულმა კამკამა სინათლემ გამოაღვიძა. გამომძიებელმა მაშინვე საათს დახედა. 10 ხდებოდა. „რამდენი მძინებია?“ — გაუკვირდა მას, სასწრაფოდ სპორტული შარვალი ამოიცვა და სამზარეულოში გავიდა. იქ უკვე სტუმრების მომლოდინე მარი ფუსფუსებდა და, თან, იმაზეც ძალიან ნერვიულობდა, თუ როგორ მიიღებდნენ მისი მეგობრები ორდენიძეს ან თავად გამომძიებელი თუ გამოიხატებდა მათთან საერთო ენას.

ზუსტად ხუთ საათზე კარზე ზარი დარეკეს.

— მოვიდნენ, — ლამაზად განყობილ სუფრას კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი მარიმ და კარის გასაღებად გასწია.

ორდენიძე სტუმრებს სასტუმრო ოთახში დახვდა. მარიმ ორივე მხარე მამინვე ერთმანეთს წარუდგინა:

— გაიცანით ერთმანეთი, ეს ჩემი მეგობარი ლალია, ეს კი...

— ოთარი, — ქალს ხელი მორიდებით ჩამოართვა ორდენიძემ.

ლალი დაახლოებით მარის ხნის, საკმაოდ მიმზიდველი ქერათმიანი ქალი აღმოჩნდა. ის ცნობისმოყვარეობას ოდნავაც კი არ მალავდა და გამომძიებელს შეუფარავად ათვალიერებდა. ორდენიძემ ლალი მამინვე იმ იმპულსური და თავგადასავლების მაძიებელი ქალების რიგს მიუთითებდა, ვისთან ურთიერთობაც საკმაოდ ადვილი იყო. ლალის გვერდს მალაღალი წარმოსადგეი მამაკაცი უმშვენებდა. მართალია, მას პირზე თავაზიანი ღიმილი ეკერა, მაგრამ იმდენად გამჭოლი გამოხედვა ჰქონდა, რომ გამომძიებელს გულში რაღაცამ უსიამოვნოდ გაჰკრა.

— ლევან ახლედინი, — ხელი გაუნოდა მამაკაცმა ორდენიძეს.

— სასიამოვნოა, — მაშინვე ხელი შეაგება მას გამომძიებელმაც.

მამაკაცს არაბუნებრივად ცივი და ოფლიანი ხელი ჰქონდა. „ან ძალიან უსიამო ტიპია, ან არადა, რატომღაც ჩემზე მეტად ნერვიულობს“, — თავისთვის გაიფიქრა ორდენიძემ, თუმცა ლევანს მაინც მეგობრულად გაუღიმა.

— სუფრასთან მობრძანდით, — ხელი მაგიდისკენ გაიშვირა მარიმ, — ასე უფრო სწრაფად მოშინაურდებით.

რამდენიმე სავალდებულო სადღეგრძელოს შემდეგ სუფრასთან მართლაც შინაურული საუბარი გაიბა. ორდენიძე თან თამაშობდა და თან ლალისა და ლევანის კითხვებს პასუხობდა. თუმცა იმასაც შესანიშნავად

ხვდებოდა, რომ წყვილმა მის შესახებ უკვე ისედაც ყველაფერი იცოდა. „ეტყობა, ამ ცელქმა ქალმა მარის მაინც ყველაფერი დააფეხვევინა“, — დაასკვნა გამომძიებელმა, თუმცა გარეგნულად კვლავაც არაფერი შეიმჩნია.

ლევანი განსაკუთრებით მხიარულობდა, ანეკდოტს ანეკდოტზე ჰყვებოდა და ყველას გულიანად აცინებდა. ის ორდენიძეზე მთელი 15 წლით უმცროსი აღმოჩნდა, თუმცა მამაკაცებს საერთო ენის გამოიხატვა მაინც არ გასჭირვებიათ.

— ვიცოდი, რომ ადვილად გაუგებდით ერთმანეთს, — გადაულაპარაკა ქმარს კმაყოფილმა ლალიმ.

— სუფრასთან ერთმანეთის გაგება კაცებს იშვიათად უჭირთ, — თავაზიანად შენიშნა გამომძიებელმა.

— თქვენ კი უსუფროდაც არ გაგიჭირდებოდათ, — ენას არ აჩერებდა ლალი, — ალბათ, უკვე იცით, რომ ლევანი პროკურატურაში მუშაობს. ასე რომ, პრაქტიკულად, კოლეგები ხართ.

— მართლა, — ჩაერია საუბარში ლევანი, — მარის მანქანის ამბავმა ძალიან შემაშფოთა...

— უკვე ესეც იცით? — ხმაში გაღიზიანება დაეტყო ორდენიძეს და მარის საყვედურნარევი მზერა ესროლა.

— აი, აქ კი ჩვენი მშვენიერი დისასლისი ნამდვილად არაფერ შუაშია, — სასწრაფოდ „მავშელი რგოლი“ ისროლა ლევანმა, — უბრალოდ, ხომ იცით, ხმები რა სწრაფად ვრცელდება, მით უფრო — ერთი სისტემის შიგნით. მართლა ძალიან მაინტერესებს, ისეთი რა მოხდა, რომ ვიღაც ასეთ უკიდურეს ნაბიჯზე წავიდა?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად გავარკვევ, — მოკლედ მოუჭრა გამომძიებელმა.

— ისე, მე ვინ მეკითხება, მაგრამ როცა საქმე ასე რთულდება, ყველაფერს სამსახურის შეცვლა სჯობს.

— სამსახურის შეცვლა? — მწარედ გაეღიმა ორდენიძეს. — ჩემს ასაკში?

— მე ხომ პროფესიის შეცვლა არ მიგულისხმია, უბრალოდ...

— მორჩა-მორჩა! — გაანწყვეტინა ლევანს ლალიმ. — საქმეზე უჩვენოდ ილაპარაკეთ.

— მართალი ხარ, — მხარი აუბა მას მარიმაც, — ეს მამაკაცების საერთო სენია.

— მაინც რა გვჭირს ასეთი? — დაინტერესდა ლევანი.

— ვითომ არ იცოდეს, — აღმაცერად გახედა ქმარს ლალიმ, — სამსახურში სულ ქალებზე ლაპარაკობთ, სახლში კი — სამსახურზე.

— ისე, არის ამაში რაღაც ჭეშმარიტება, — ორდენიძეს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლევანმა, — ამიტომ სიტუაცია კიდევ უფრო რომ არ გამწვავდეს, იქნებ ხელოვნებაზე გველაპარაკა?

— ვიცი, შენი ხელოვნებაზე ლაპარაკი!.. დაინწყებს ახლა, რამდენი ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში გადაურჩინა პროკურატურამ საქართველოს, — ისევ გაჰკრა ქმარს კბილი ლალიმ.

— თორემ ასე არ არის! მარტო ახლახან გადარჩენილი ფიროსმანის ნამუშევარი რად ღირს!

— ამაში მეც გეთანხმები, — მხარი აუბა ლევანს მარიმ, — ეს ფიროსმანის აქამდე უცნობი და ყველაზე ძვირად ღირებული ტილოცაა.

— ესეც მე ვარ? — გამარჯვებულ სახით გადახედა ცოლს ლევანმა. — ისე, იცით, მართლა რამდენი ასეთი სიკეთეა საქართველოდან გატანილი? — მიუბრუნდა შემდეგ ორდენიძეს.

— მსმენია, — მოკლედ მოუჭრა გამომძიებელმა.

— მე კი რამდენიმე ასეთი საქმის უშუალო ზედამხედველობაც მქონდა დავალებული...

სტუმრების ნასვლის შემდეგ ორდენიძემ აშკარად შეგბით ამოისუნთქა, თუმცა გარეგნულად მაინც არაფერი შეიმჩნია.

— ჰა, როგორ მოგეწონენ ჩემი მეგობრები? — ჰკითხა მას მარიმ.

— ლალი ძალიან სასიამოვნო ქალია.

— ლევანი?

— ლევანიც, — იცრუა ორდენიძემ, — ორივენი ძალიან კარგები არიან.

— მართლა ასე ფიქრობ?

— თქმა უნდა.

— იცი, როგორ მიხარია? — გულში ჩაეკრა გამომძიებელს ქალი. — ძალიან მეშინოდა, რომ...

— სულ ტყუილად გეშინოდა. შენი მეგობრები დღეიდან უკვე ჩემი მეგობრებიც არიან...

— რაზე ფიქრობ? — ჰკითხა გოგლამ ლელას, რომელიც გულის გადასაყოლებლად კაფეში დაპატიჟა.

— არაფერზე, — იუარა გოგონამ და მაშინვე კოქტეილი მოწრუბა.

— ისევ შენს ძმაზე, ხომ? — მაინც არ მოეშვა გოგლა.

— ვაჟზე სულ ვფიქრობ და ვდარდობ, მაგრამ ზედს უკვე შევეგუე.

— და აღარც მის მკვლელებს მოეჭებნი?

გოგონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.



— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — გამხიარულდა გოგლა, — ეს პოლიციის საქმეა. ჩვენ კი ისევ ჩვენს საქმეებს მივხედვით. კიდევ ხომ არ მოგიტანო კოქტეილი?

გოგონამ თავი ისევ უსიტყვოდ გაიქნია და მხოლოდ ამის შემდეგ დასძინა:

— ვაჟას მკვლელებს აღარ მოვძებნი, ისინი თვითონ მოძებნიან.

ამ სიტყვების გამგონე გოგლას კინალამ სასმელი გადასცდა:

— თვითონ როგორ?.. რას გულისხმობ?..

— ახლავე აგისხნი. შენ ხომ ყველას ეუბნები, რომ იაშვილის ტილო მე მომყიდე? მითხარი, ხომ ასეა?

— ასეა, მაგრამ ეს ამბავი არ მომწონს. თანაც, გამომძიებლის ზარს თუ არ ჩავთვლით, ბოლო ხანებში იაშვილის ნამუშევრით საერთოდ აღარავინ დაინტერესებულა.

— გამომძიებელს რა უნდოდა?

— რა ენდომებოდა? ისევ სურათების დაბრუნება მომთხოვა.

— იმედია, მასაც იგივე უთხარი, რაც სხვებს.

— რა თქმა უნდა. თუმცა არ მესმის, რაში გჭირდება ეს ყველაფერი? მაინცდამაინც გინდა, რომ დაკითხვებზე გატარონ?

— მატარონ! ვეტყვი, რომ ნამუშევარი ძმას ვაჩუქე. ის კი გაძარცვეს და მოკლეს-მეთქი. თუმცა პოლიციაში ეს უჩემოდაც კარგად იცინან და იქნებ ამის შემდეგ მაინც დაგვანებონ თავი. აი, ჩემი ძმის მკვლელები კი, პირიქით, ამის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდებიან და მეც მზად დავხვდები.

— გესმის, რას ამბობ? — შეცბა გოგლა.

— მესმის, — ამოიოხრა ლელამ, — მაგრამ სანამ ვაჟას მკვლელებს არ ვიპოვი, ვერ მოვისვენებ...

მეორე დღით ლელა სამსახურში ძალიან აღელვებული მივიდა.

— რა მოხდა? — დაინტერესდა გოგლა.

— დღეს გზაში ვილაც ამედეგა.

— მაინც ვინ?


— მგონი, მითვალთვალებენ.

— ვითომ? — ლელას შეშფოთება უმაღლესად აღაფრთოვანებდა გოგლასაც. — ხომ არ მოგჩვენა?

— თავიდან მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ ის ტიპი უკვე რამდენჯერ-

მე მყავს ნანახი. დღეს კი ლამის აქამდეც მომდია.

— მერე, რა! იქნებ ვილაცას უბრალოდ შენი გაცნობა უნდა?



— რის გაცნობა, რა გაცნობა? ის კაცი 50 წლის მაინც იქნება. არა, ნამდვილად ჩემი ძმის მკვლელები ჩამიდგნენ კვალში.

— შენც ეგ არ გინდოდა? — გაღიზიანდა ლელიძე.

— მინდოდა, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე შემეშინებოდა, — ამოიხსენებდა ლელამ, — ახლა რაღა ვქნა, პოლიციას შევატყობინო?

— რა აზრი აქვს? — თავი უკმაყოფილოდ გაიქნია გოგლამ. — ბოლომდე არც კი მოგისმენენ.

— აბა, რა გავაკეთო? — მავედრებელი თვლებით შეხედა გოგონამ ვაჟს.

გოგლა მცირე ხნით ჩაფიქრდა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

— ჯერ არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. ისე მოიქეცი, ვითომ ვერაფერს ამჩნევ. თორემ მიხვდებიან, რომ თვალთვალი შენიშნე და... თუმცა შეიძლება, ამას თავადაც აღარ მალავენ.

— და ჩემი მოკვლაც სულ თავისუფლად შეუძლიათ, ხომ?

— არ მოგკლავენ. მათ შენ კი არა, იაშვილის სურათი აინტერესებთ.

— მაგრამ როგორც კი დარწმუნდებიან, რომ იგი მე მაქვს... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ცრემლმორეულმა გოგონამ.

— დამშვიდდი. სანამ სურათი საიმედო ადგილასაა გადახალული, ხელს არავინ გახლებს. უბრალოდ, ცოტა უფრო ფრთხილად უნდა იყო, მივარდნილ ადგილებში სიარულს მოერიდო და საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრო. ამასობაში კი რაღაცას აუცილებლად მოვიფიქრებთ.

ჰო, მართლა, დარწმუნებული ხარ, რომ ნამუშევარი საიმედოდ გაქვს გადახალული?

— რა თქმა უნდა. ჩემ გარდა მისი ადგილსამყოფლის შესახებ არავინ იცის.

— მეც არაფერს მეტყვი?

— არა, ჯერ არც შენ გეტყვი, რადგან ყველა შემთხვევითობა უნდა გამოვრიცხოთ.

— ყოჩაღ! — შეაქო გოგონა გოგლამ. — ისევ ლოგიკურად დაინყე აზროვნება.

იმ ღამეს ლალიძემ დაძინება ვერ შეძლო. ლელა კი მეტ-ნაკლებად დამშვიდებული გაუშვა შინ, მაგრამ თავად მოსვენება საბოლოოდ დაკარგა. „თუ არ მოეჩვენა და მართლა ვილაც უთვალთვალეს, მა-

შინ საქმე უკვე სერიოზულადაა, — ფიქრობდა იგი, — მე კი ჯერ წარმოდგენაც არ მაქვს, როგორ დავებმარო. მართალია, შემეძლო ამაღამ ჩემთან მაინც დამეტოვებინა, მაგრამ რომ არ ვიცდი, ამას როგორ გაიგებდა?..“ ამის გაფიქრება და მოზილური ტელეფონის აწკრილება ერთი აღმოჩნდა. ლელა რეკავდა. ლალიძემ საათს დახედა. თორმეტს 15 წუთი აკლდა. „ნამდვილად რაღაც უჭირს“, — შეშფოთდა იგი.

— გოგლა, შენ ხარ? — აღელვებისგან სულს ძლივს ითქვამდა გოგონა.

— აბა, ვინ იქნება? — გაუკვირდა გოგლას. — რა მოხდა?

— არ ვიცი, რა გავაკეთო. უკვე შუალამეა, მე კი ისევ ქუჩაში დავხეტებები.

— ხომ გაგაფრთხილე, გვიან გარეთ არ იარო-მეთქი?

— კი გამაფრთხილე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. სახლთან რომ მივედი, 2 კაცი შევნიშნე. მანქანის გვერდით იდგნენ და ეწეოდნენ.

— მოენიათ მერე, შენ რამ შეგაშინა?

— ერთ-ერთი სწორედ ის იყო, დღეს რომ ამედეგა.

— უჰ, მე მაგათი... — გაცოფდა ლალიძე. — ახლავე ტაქსიში ჩაჯექი და ჩემთან გაჩნდი!

— შენთან?..

— აბა, ამ შუალამეზე სად უნდა ნახვიდე?

— კარგი, მოვდივარ, — გაისმა ყურმილში ლელას მორჩილი ხმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ „გზა“ №2-9

მომდევნო დღეებში თითქოს გაცივდა ურთიერთობა. ნუკიც და ზურაც თავ-თავიანთ ნაჭუჭში შეიკეტნენ. შეიძლებოდა საღამო (დილაც) ისე გასულიყო, სიტყვაც არ ეთქვათ ერთმანეთისთვის. მამაკაცი გრძნობდა, რომ გოგონას მტრული გამომეტყველება უფრო და უფრო ამორებდა მისგან. ასე დიდხანს გაგრძელება შეუძლებელი იყო.

დრო თითქოს ოქრომჭედელს დაემსგავსა, რომელიც აუჩქარებლად ჭრიდა ყოველ წუთს, როგორც ძვირფას თვალს, რომ არ დაეზიანებინა იგი. ნუკის იმლამინდელი საქციელი ზურამ დიდ ირონიად (იქნებ გამონკვევად) მიიჩნია, თუმცა მისთვის ეს არ იყო სამყაროს დასასრული. მას სიყვარული სჭირდებოდა, ისეთი სიყვარული, როგორითაც მხოლოდ ქალს შეუძლია, დაგაჯილდოს და ამიტომ დანებებას არ აპირებდა... ოღონდ ეს ყველაფერი დროის საკითხი იყო, ის კი დროის აჩქარებას არ აპირებდა, თუმცა არსებობდა ამის შესაძლებლობა. დროის აჩქარებაც შეიძლება რალაც მომენტში და შენელებაც, მხოლოდ მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი. ახლა უკვე აღარ სურდა უკან დახევა, არც ასაკობრივი სხვაობა აშინებდა, არც ნუკის სიჯიუტე (თუ სიამაყე). ეს ქალი მისი აღმოჩენა (და საკუთრებაც) იყო და მას უნდა დარჩენოდა აუცილებლად.

გოგონა კი ჯიუტად განაგრძობდა გაბუტულის როლის თამაშს. მშვენივრად გამოსდიოდა. იქნებ არც თამაშობდა და სინამდვილეშიც ასეთი იყო? არც ამას გამორიცხავდა ზურა, მაგრამ არაფრის შეცვლას გეგმავდა (არც აპირებდა). მოთმინებით ელოდა, როდის გაიღვივდა გოგონას სიჯიუტე (თუ სიამაყე).

ნუკი უფრო მიეჯახვა (თუ „მიეძალა“) კომპიუტერს. იმდენად შეეჩვია, მის გარეშე წამითაც ვერ ძლებდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაიგაცნო. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც ნელის ესტუმრა და მისგან ბევრი რამ შეიტყო მასზე.

— არ იცი, რა ბიჭია! — თვალბში უცნაური ნაპერწკლები გაუკრთა ნელიკოს, — ორმეტრიანი, ათლტური, ულამაზესი თვალებით, სიცილით, ტუჩებით... მერედა, რა ხმა აააქვს!.. აგიუბს ქალებს. ყველას მაგრად გვიყვარს, მაგრამ... — პაუზა გააკეთა და უკმაყოფილო ხმით დაამთავრა, — შენ ახლოს არ გაეკარო.

ნუკიმ წარბები აზიდა გოცების ნიშნად.

— რატომ?



სკეზა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

— იმიტომ, რომ საშინელი მექალთანეა. ქალი თუ მიზანში ამოიღო, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს საქმეს, აუცილებლად მიაღწევს მიზანს, მერე კი მიატოვებს. ისე დაუმეგობრდი, თუ გინდა, მაგრამ მისი შეყვარება არ გაბედო, დამიჯერე, რასაც გეუბნები.

— არც მიფიქრია, საიდან მოიტანე? ისე გკითხე.

— რა ისე მკითხე, წელან არ მითხარი, გეყოფა ახლა, ის კაცი არ შემაყვარო?

— გესუმრე, რა იყო, — ნაძალადევადა გაიღიმა ნუკიმ და ლანკებზე შეფარულმა სინითლემ გადაჰკრა.

— ის რას შვრება, მეორე?

— რომელი მეორე? — გული შეუქანდა გოგონას, ეგონა, დაქალი დათოს გულისხმობდა.

— შენი „ხაზინი“, — აკისკისდა ნელიკო.

— ა! რა ვიცი, ამ ბოლო დროს ცუდად იქცევა.

— რას ნიშნავს, ცუდად იქცევა?

— მგონი, სარგებლობს იმით, რომ მასთან ვცხოვრობ.

— ეგ ჩვეულებრივი ამბავია, კაცია, ბოლოს და ბოლოს. მთავარია, შენ რას გრძნობ მის მიმართ.

— რა ვიცი... ალბათ მომწონს.

— მაგას რა სჯობია მერე! — ტაში შემოჰკრა ნელიმ, — აბა, აგინყვია საქმე!

— არა, მთლად ეგრე არ არის, — ამოიოხრა ნუკიმ და თვალები დახარა.

— აბა, ერთი ამიხსენი, რა ხდება?

— ამას წინათ ისე მებღღვნა, გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი. კინალამ გამხერხა.

„გამხერხამ“ ჩააბყირა ნელიკო. იმდენი იცინა, ცრემლებიც კი გადმოსცვივდა თვალებიდან.

— შენ რა გითხარი! გამხერხაოოო! რა მაგარია! მერე?

— მერე და მერე, თითქმის არ ველაპარაკები. მასთან რომ ვცხოვრობ, იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფრის უფლება აქვს.

— მოიცა, მოიცა, ისე დაგეტაკა, არაფერი უთქვამს? არც მომწონხარ, არც...

— კი, როგორ არა. რომანტიკული შესავალი გაუკეთა. ენქელასავით ხელისგულში მოქცეულს გატარებდიო.

— ჰო-ო? — კვლავ აკისკისდა ნელი.

— იის მოსვლას არ ვუდარაჯებდიო? ნუკიმ ამის გაგონებაზე ფერი დაკარგა.

— შენ საიდან იცი? — საიდან ვიცი? სულელო! ეგ ხომ ლექსიდან არის.

— რომელი ლექსიდან?

— ზუსტად არ მახსოვს, ვისია, მაგრამ არის ასეთი ლექსი და ეს სტრიქონებიც იქიდან არის.

— დამპალი! — ქვედა ტუჩი მოიკვნიტა ნუკიმ, — რა მიაშიტი ვარ, მე კი დავიჯერე, რომ...

— მერე რა მოხდა? ასეთ რამეებზე არ უნდა ავარდე, შტერო. ვილაცამ დაწერა ლექსი, ვილაცამ ის შენ მოგიძღვნა განსხვავებული ინტერპრეტაციით. რა არის ამაში მიუღებელი?

— რა ვიცი... — კვლავ ამოიოხრა გოგონამ.

— ნეტავი შენ, მოგცლია. ჩემი აზრით, ის შენი ზურა საუკეთესო ვარიანტია. მერე რა, რომ ცოტა ასაკოვანია. ეს ახლა შესამჩნევი, თორემ წლები გაივლის და აღარც შეგეტყობათ. ქალები მალე ბერდებიან, კაცე-



ბი — გვიან. მოვა დრო და ერთი ასაკისანი გახდებით.

ნუკი ყურადღებით უსმენდა დაქალს, თითქოს მისი ნაამბობით ახალ აღმოჩენებს აკეთებდა.

— ვნახოთ, რა იქნება. ჯერ ნაადრევია სიყვარულზე ლაპარაკი.

— ჰო, რა თქმა უნდა, თუმცა ძალიან ნუ გაჯიქდები. ვიცი შენი ხასიათი, ზედმეტად ამაყი ხარ.

— მართალი ხარ, ზედმეტად.

— ჰოდა, ცოტა მორბილდი. კაცებს არ უყვართ ზედმეტად თავმოყვარე ქალები. არ არსებობს, არ შეუყვარდე. შეუძლებელია, შენნაირ ქალს გულგრილად აუაროს გვერდი მამაკაცმა, მით უმეტეს, სერიოზულმა და უკვე დაღვინებულმა.

— ვერ ვიტან ილუზიებს. ვცდები, გამოვფხიზლდე. რაც შეიძლება, შორს დავიჭერ მისგან თავს.

— ფრთხილად, ნამეტანი არ მოგივიდეს.

— შეგიძლია, არ ინერვიულო.

— მე რა, — მხრები აიჩჩა ნელიკომ, — შენთვის ვამბობ თორემ...

— შენი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ეს ქალური სიამაყის საკითხია, თვითგადარჩენის ინსტინქტი. ეს არის ბუნტი, ბრძოლა საკუთარი ღირსებისათვის — არ ცხოვრობდე სხვისი მორჩილების ქვეშ. მასზე საყვედური ნამდვილად არაფერი მესმის, ნელიკო. ის ერთადერთი ადამიანია, ვინც კიდევ ერთხელ ამიხილა თვალი და დამიბრუნა იმედი შეუძლებლის შეძლებისა. ხომ გესმის, რა ძნელია ეს — ამდენი წლის შემდეგ აღმოაჩინო, რომ ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის. შენ მიცნობ და იცი, რომ ბევრს არ ვითხოვ. მან დამიბრუნა სურვილი, ვიგრძნო თავი ქალად... თუმცა, ამის გამო სულაც არ ვგრძნობ თავს ვალდებულად, ლოგინში ჩაჯუნვე და მისი ხასა გავხდე. ეს ყველაფერი თავისთავად უნდა მოხდეს, ორმხრივი სურვილის შედეგად.

— მესმის შენი, საყვარელო. შენ იმდენი რამ გადაიტანე, იმსახურებ ბედნიერებას. შეიძლება, შენს იღბალს ჯერ კიდევ სძინავს, მაგრამ სად გეჩქარება? დააცადე, გამოიღვიძოს.

— რა ლამაზად თქვი, — ღიმილმა სახე დაუწყნარა ნუკის.

— ერთხელ სადღაც ამოვიკითხე და მომენონა. მას შემდეგ ყველა ჩემიანს ამას ვუბნები. შენც ამას გირჩევ. ხომ გაგიგონია, მოთმინებითა შენითაო...

— გამიგონია.

— ჰოდა, არ გაუშვა ხელიდან მოცემული შანსი. ჭკვიანურად, გონივრულად, ტაქტიკიანად... და ბედ-

ნიერებაც მოვა. თუ ხანდახან გაკოცებს, არ გაუნოო წინააღმდეგობა. მერე რა, გრძნობა კოცნის გარეშე რა გრძნობაა?

— და მერე სხვა რამეც მოჰყვება იმ კოცნას.

— შენც ახლა მრიცხველმა არ დაგინეროს, რა იყო მერე? — გაიცინა ნელიმ და საზურგეზე გადანოლილმა სკამი უკან გადააქანა. — გინდა, ყავაზე გიმკითხავ?

— არა, არ მჯერა მაგ სისულელეების, ხომ იცი.

— არადა, მაგრად დავამულამე. ტყუილად არ გჯერა. ვისაც ვუმკითხავ, ყველას აუხდა, რომ იცოდე.

— კარგი რა, — ურწმუნოდ გადააქნია ნუკიმ თავი, — ჩემს ბედს თვითონ განვაგებ, არ გვინდა ეს ნაღვეთით შეკონინებული ფიგურები და მასზე აგებული ვარაუდები... ნავალ ახლა, ჩემს გზას გავუდგები, თორემ კაცი მიმასწრებს შინ მისვლას, — თავისსავე ნათქვამზე გაეცინა და წამოდგა.

— რა ტანი გაქვს, შე ოხერო, გააგიჟებდი იმ კაცს, აბა, რა იქნებოდა? კიდევ კარგ ჭკუაზეა სანყალი, — სიცხილით შენიშნა ნელიმ, როცა ნუკი გასასვლელისკენ დაიძრა.

გოგონამ არაფერი უპასუხა, უხმოდ გადაკოცნა დაქალი, ჩანთა მხარზე მოიგდო და გავიდა.

შინ მისული ნუკი ზურას პოლში შეეჩხა. ისიც, ეს ნუთია, დაბრუნებულიყო.

— საღამო მშვიდობისა, — გაბუტული ტონით მიესალმა მამაკაცს.

— გაგიმარჯოს, — ზურას მის დანახვაზე სახე გაუმკაცრდა და ეკლიანი მზერა ესროლა, — სასერიონოდ იყავი? — თითქოს ეჭვი შეეპარა ხმაში.

— ჰო, — ცივად მიუგდო გოგონამ და თავის ოთახში გავიდა.

ტანსაცმელი გამოიცვალა და სანოლზე ჩამოჯდა. გავიდეს თუ არ გავიდეს? მართლა და მართლა, სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? თუ ცოტათი არ მორბილდება, იძულებული გახდება, გადაბარგდეს აქედან. მერედა, სად? ვინ ჯანდაბას მიეკედლოს? ძლიერად ამოიხრა და ამოიხვრას ყრუ კვნესაც ამოაყოლა. რაც იქნება,

იქნება, გავა ახლა და ჰკითხავს, ხომ არ გშოაო. დანარჩენი გამოჩნდება.

ოთახიდან გამოვიდა და თვალებით ზურას დაუნყო ძებნა. წელის ჩხრიალი მოესმა. მიხვდა, მამაკაცი სააბაზანოში იყო შეკვტილი. „ალბათ ბანაობს“, — გაიფიქრა და სამზარეულოს მიაშურა.

რა ქნას? გაშალოს სუფრა თუ დაელოდოს, როდის გამოვა? დიდხანს ორჭოფობდა. ბოლოს ჩაიდანი შემოდგა გაზქურაზე. ყავას დალევს, სანამ რამე გაირკვევა.

ცოტა ხანში წელის ხმა შეწყდა და იგი ნაბიჯების ხმამ შეცვალა. მერე კვლავ სიჩუმემ (სამარისებურმა) დაისადგურა. ნუკი გაისუსა. ჩამიჩუმე არსაიდან ისმოდა. რას შვრება? სად წავიდა? ნუთუ სამზარეულოში არ შემოიხედავს? უცრად ჩაიდანმა სტვენა ატეხა. კიდევ კარგი, რაღაცამ მაინც დაარღვია სიჩუმე. ამის გაფიქრებაზე ხმამალა გაეცინა. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ზურამ შემოყო თავი.

— რა გაცინებს? — გაკვირვებული სახით მიაჩერდა.

— არაფერი, — მზერა მოარიდა ნუკიმ, — რაღაც გავიფიქრე.

— მაინც რა? — არ მოეშვა მამაკაცი.

— ჩაიდნის სტვენამ სიჩუმე დაარღვია.

— მერე რა იყო აქ სასაცილო? —



დამცინავად (უფრო აგდებულად) შენიშნა ზურამ.

გოგონა აიმრიზა. ირიბად გახედა, ფეხებიდან თვალებამდე ააყოლა მზერა და საოცრად პოეტური ხმით, თითქოს ლექსს კითხულობსო, ამოთქვა.



— არაფერი... სიჩუმეს მოსწონს ხმაური... მას ისე უხდება ეს, როგორც...
 — და შეყოვნდა.
 — როგორც რა?
 — საჭმელი გაგიცხელო? — ნუკი რეალობას დაუბრუნდა და აინუნშიც



არ ჩააგლო მისი შეკითხვა.
 — არა, არ მშია, გავრბივარ. ამა-
 ლამ ალბათ ვერ დავბრუნდები.
 მოულოდნელად ცივი წყალს რომ
 გადაასხამენ ადამიანს, ნუკის სახე
 სწორედ ისეთი გაუხდა, მაგრამ მხ-
 ოლოდ რამდენიმე წამით. უხერხუ-
 ლობის გასაფანტავად, თავი გადა-
 აქნია.
 ზურამ დაკვირვებით (ზედმეტად
 დაკვირვებით) შეაელო თვალი. გოგ-
 ონა დაღვრემილი (იქნებ დაბოლ-
 მილიც) უყურებდა. მის ამ განწყო-
 ბილებას თითქოს ყველაფერი უწყ-
 ობდა ხელს — ნაცრისფერი კაბა,
 ყავის შავი ქიქა, შეკრული თმა, გიშ-
 რისთვლიანი ბეჭედი არათითზე...
 ღიმილი ვერ შეიკავა.
 — არ მოინყინო, სვალ მოვალ და
 დავრჩები, — შემრიგებლური (ძალზე
 დათბილული) ტონით წარმოთქვა და
 გავიდა.
 „აი, დარდი,“ — განანწყენებულმა
 გაიფიქრა, — „თუ გინდა, სულ ნუ
 მოხვალ“, — ჩაამთავრა ფიქრში დან-
 ყებული ფრაზა და ყავა დაისხა.
 როგორც კი ზურამ კარი გაიხურა,
 სასტუმრო ოთახში გამოვიდა და კო-
 მპიუტერს მიუჯდა. ძალიანაც კარგი,
 ახლა შევა „ოდნოებში“ და გაერთო-
 ბა, ხუთ წუთში (შეიძლება სამშიც)
 სრულებით გადაავიწყდება შენი ზურა!
 ოჰო-ჰო-ჰო! რამდენი სტუმარი სწვე-
 ვია მის „პროფილს“! რამდენი ფოტო
 შეუფასებიათ! პატარა ბავშვივით გაუხ-
 არდა. ძალიან მოდაშია აქ!
 „ეს ვინ მოსულაა!“ — თითქოს
 დადარაჯებული იყო, მსწრაფლ მოუ-
 ვიდა გიასგან შეტყობინება.

ნუკიმ სიმორცხვის სმაილი გაუგ-
 ზავნა.
 „რაა ხარ, სის?“
 გოგონას ღიმილი უმალ შეაშრა
 სახეზე. ერთადერთი სიტყვა, რომელ-
 საც ვერ იტანდა, სწორედ ეს იყო —
 „სის“ და ამ სიტყვას
 მაინცდამაინც ის მა-
 მაკაცი ეუბნებოდა, რო-
 მელიც მოსწონდა. რა
 ქნას, აუკრძალოს ამ სი-
 ტყვის ხმარება? იქნებ
 არ ღირს ასეთ წვრილ-
 მანზე ყურადღების გამ-
 ასვილება? ვაითუ, და-
 აფრთხოს. რაც იქნება,
 იქნება, ამჯერად დათ-
 მობაზე წავა.
 „კარგად, თავად?“ —
 მისწერა და პასუხის
 მოლოდინში თითები
 გაფარჩხა, რომ მორი-
 გი მესიჯი აეკრიბა.
 „მეც ვარ, რა. მთე-
 ლი დღე საქმეებზე
 დავრბოდი და როგორც იქნა, მოვი-
 ცალე.“
 ნუკიმ არაფერი (ვერაფერი) უპა-
 სუხა. ვერ მოიფიქრა, რა პასუხი გაე-
 ცა. ისევ გაიმ გამოჩინა ინიციატივა.
 „მომიყევი შენზე რაზე. მინდა, უფრო
 ახლოს გაგიცნო.“
 „რა მოგიყევი?“
 „ყველაფერი. მე ყველაფერი მაინ-
 ტერესებს შენზე. მიდი, დაიწყე.“
 „მე... მე მეტაფიზიკური გოგონა
 ვარ“, — დაიწყო ნუკიმ და სიცილები
 „მიაფრქვია“ მამაკაცს.
 „ეგ როგორ?“
 „ისე, ჩვეულებრივად, ამქვეყნიური
 არ ვარ.“
 „აბა, საიდან მოხვედი?“
 „ზღვის ტალღას ამოყვევი.“
 „კარგი შედარებაა... თუ მზის სხ-
 ივმა ჩამოგსვა მარსიდან?“ — ისიც
 აჰყვა.
 „არც ეგაა ცუდი ვარიანტი, ეგრე
 იყო“, — ღიმილები გაუგზავნა ნუკიმ.
 „მერე? როგორ მოგწონს აქაურო-
 ბა?“
 „არა უშავს, თუმცა დედამინელები
 ხანდახან მახნველნი. ამიტომ ხშირად
 უფლებას ვაძლევ ჩემს გულს, ჩემ მა-
 გივრად იფიქროს.“
 „საინტერესოა... იმედია, შენი გული
 ახერხებს ამას.“
 „შემდეგისდაგვარად. თუმცა, ხშირ-
 ად შემომჩივის, ამდენ ფიქრს ვერ
 ავუდივარ და გული მტკიავო.“
 „აბა... ესე იგი, შენს გულსაც სტკი-
 ვა გული, არა?“
 „ჰო, ასე გამოდის.“
 „ახლავე მოვარჩენ მას. მაცალე!
 ტკივილგამაყუჩებელი ფრაზების კო-

რიანტელი უნდა დავაყენო. გამაგრ-
 დი, ახლავე გიშველით ორივეს!“ —
 და გაიმ ისეთი ლამაზი ყვავილები,
 კოცნები და საჩუქრები გამოუგზავნა,
 ნუკის სასიამოვნო ტალღის ნიაღვარი
 მოასკდა სხეულში.
 „ეგ არის ფრაზები?“ — „სიცილე-
 ბი“ დააყარა მამაკაცს.
 „ფრაზებიც იქნება, ეგ პრელუდია“,
 — მოუვიდა პასუხად.
 ნუკი ცნობისმოყვარედ მიაჩერდა
 ვერანს, ჩასაფრებული მზერით დაელო-
 და „ტკივილგამაყუჩებელ“ ფრაზებს.
 „გენაცვალე ლამაზ ცხვირ-პირში“,
 — გამოუშვა გაიმ სასიყვარულო ბა-
 რათი, — „შენნაირი გოგოს მონყენი-
 ლობა არ შეიძლება. შენ ხელისგულზე
 უნდა გატაროს ჭკვიანმა კაცმა“.
 პირველი ფრაზა მოეწონა ნუკის.
 ასე მისთვის არავის უთქვამს. მეო-
 რეზე დაიფლანა, ძალიან გაცვეთილი
 იყო.
 „დიდი მადლობა“, — ესლა გაიმე-
 ტა პასუხად.
 „მომწერე შენი ტელეფონის ნო-
 მერი“, — მოულოდნელად დააჯახა
 გაიმ.
 „რად გინდა?“ — ნუკის გაელიმა.
 „უნდა დაგირეკო. გამაგონე შენი
 ხმა“, — აშკარად იერიშზე გადმო-
 დიოდა იგი.
 „არა მგონია, ეგ კარგი აზრი იყოს“,
 — შენინააღმდეგედა სცადა ნუკიმ.
 „გთხოვ, ნუუკ, მომწერე. ნუ მაგ-
 იუებ!“ — და ბრაზიანი კაცუნების
 მთელი არმია მოაყოლა.
 ნუკის გულმა უცნაურად დაიწყო
 თრთოლა, თითქოს დაიტენა ემოციე-
 ბით.
 „ნუუკ“ ნუკისთვის უცნაურად ჟღერ-
 და. მისთვის სახელის ასეთი უცნაური
 ნყობით ვერ არავის მოუშართავს, მით
 უმეტეს — მამაკაცს.
 „იქნებ არ ღირდეს ჯერ“, —
 გრძნობდა, რომ უკვე სუსტად უწევდა
 წინააღმდეგობას.
 „ღირს, გული მიგრძნობს, რომ ღირს.
 შენს თავს გეფიცები... და მე შენ
 დაგიცავ“, — ეს უკვე ფართომასშტა-
 ბიან შეტევას ჰგავდა, თითქოს „დამ-
 ნებდიო“, ეუბნებოდა მამაკაცი.
 „რისგან დამიცავ?“ — გააჭიანურა
 გოგონამ „დანებების“ პროცესი.
 „მარტოობისგან“.
 „რატომ გგონია, რომ მარტოობა
 მანუხებს?“
 „არათუ მარტოობა, მარტოსულო-
 ბაც. მომწერე შენი ნომერი, სის, ასე
 ვერ გაძლებ“, — გაიმ თითქოს გმინ-
 ვა მოაყოლა მოწერილს.
 ისევ ეს „სის“... ნუკის კვლავ დაე-
 ჯღანა სახე, თუმცა მაინც მისწერა
 ახალგაცნობილს თავისი ნომერი.
 ნუთიც არ გასულა, რომ ნუკის



მობილური ტელეფონი ტკბილად ამღერდა.

— გისმენთ, — ზედმეტად ნაზად (მეტი ეფექტისთვის) გამოუვიდა.

— აბა, როგორ ხარ? — ბოხი (სასიამოვნოდ) ხმა გაისმა აპარატში.

ნუკის შეაჟრჟოლა... საოცარი ხმა იყო, საოცარი, საოცარი...

— არა მიშავს, — დაიმორცხვა თითქოს.

— რატომ გაქვს ასეთი ხმა? — როგორი?

— რალაცნაირად სევდიანი, — მზრუნველი ტონი ჰქონდა გიას.

— რა ვიცი... უფრო იმიტომ, ალბათ, რომ „ძილმოკლული“ ღამე მქონდა.

— და რამ არ დაგაძინა? — ამჯერად „სის“ აღარ დააყოლა.

— ფიქრებმა.

— ვის ეკუთვნოდა შენი ფიქრები, ლამაზცხვირიპირიანი?

— როგორ გითხრა... კონკრეტულად არავის. საკუთარ ცხოვრებაზე ვფიქრობ ხოლმე.

— მერე? რას გეუბნებიან შენი ფიქრები?

— დიდად ვერ მანუგეშებენ, — კვლავად წარმოთქვა.

მამაკაცმა გაიცინა. ნუკი უცნაურად სასიამოვნოდ (თუ ღვთაებრივმა) დაძაბულობამ შეიპყრო... როგორ იცინოდა! ნუთუ შეიძლება, სიცილიც არსებობდეს სექსუალური? ალბათ მსახიობებსაც კი შემწურდებოდათ ამ სიცილის, რომ მოესმინათ. ალბათ ვერც ერთი დიდი მსახიობი ვერ გაიცინებდა ასე, როლისთვის რომ დასჭირვებოდა... მსგავსი არაფერი მოესმინა აქამდე ნუკის. რაც უფრო უახლოვდებოდა გიას ურთიერთობაში, მისი განცვიფრება მით მეტად მატულობდა.

— არა უშავს, მოვუვლით შენს ფიქრებს, ეგეთები მოგვირჯულებია?

— გაამხნევა მამაკაცმა, — ახლა კი, კვლავ ვირტუალურ სამყაროში გავაგრძელოთ კონტაქტი, კარგი?

— კარგი, — ნატურისმიერი ხმა აღმოხდა ყურებადმდე გაღიმებულ და უცნაურად ალტყინებულ ნუკის.

შეტყობინებებში კვლავ აციმციმდნენ ვარსკვლავები.

„შენმა ხმამ ისე გამოანახა ტელეფონში, ერთიანად ავირიე“, — წერდა მამაკაცი, — ლამაზხმიანი მყოლისხარ!“

ნუკიმ სიმორცხვის სმაილი გაუგზავნა პასუხად.

„ახლა რომ შენთან ვიყო, სიამოვნებით დაგიკოცნიდი მთელ სხეულს, სიხარულო,“ — გაიმ

ამჯერად „სის“ ბოლომდე გაშალა.

„ეგეთები არ გინდა! არ არის საჭირო!“ — დატუქსა გოგონამ.

„რა ვქნა, რომ მეკოცნება?“ — მოფრინდა პასუხი ლამაზად ჩამწკრივებულ მოცეკვავე კვასკვასა ტუჩებთან ერთად. მერე ტუჩებს მფეთქავი გულეები მოაყარა მამაკაცმა.

„რა იყო, უკვე დაინვი ჩემი სიყვარულით?“ — გაეხუმრა გოგონა.

„არა, ჯერ მხოლოდ გავირუჯე,“ — მოსწრებულად უპასუხა გიამ.

ნუკი კვლავ ჟრუანტელმა მოიცვა. მოსწონდა ეს კაცი, ამის უარყოფას აზრი არ ჰქონდა. მასთან საუბარმა მართლა გადაავიწყა ზურას არსებობა, რომელიც ზუსტად ამ მომენტში გაახსენდა.

„კარგი, გია, გავალ ახლა, საქმე მაქვს.“

„ჯერ ის მითხარი, რა არის შენი ფიქრის ამტკივებელი და მერე წადი, სის.“

„აბა, რა გითხრა... შემოსევდიანება დამჩედა ბოლო დროს. არაფერში მიმართლებს.“

„მაგალითად?“

„ზოგადად ცხოვრებაში.“

„და კონკრეტულად?“

მიუხვდა ნუკი, მამაკაცი ელოდა, როდის ეტყოდა, სიყვარულში არ მიმართლებსო. ო, არა, ამ სიამოვნებას არ მიანიჭებს ამ მექალთანეს! მართალი ყოფილა ნელი, როგორ უცებ მოაჯადოვა, ვერც კი მიხვდა, ისე ააფორიაქა და ტელეფონის ნომერიც ოსტატურად გამოსტყუა.

„კონკრეტული არ არსებობს. საერთოდ არაფერში მიმართლებს.“

„არც სიყვარულში?“ — რადგან მისგან პასუხს ვერ ეღიროს, თავად შეეკითხა.

„არც“, — მოკლედ მისწერა.

„ალბათ ფულმაგარ ბიჭებს დაეძებ შენ, სის“, — შემოაპარა მამაკაცმა.

„ცდები. ფულმაგარ ბიჭებს გულ-

მაგარი მირჩენია, თუმცა არც ერთი ჩანს ჰორიზონტზე და არც მეორე“, — მოისანყლა თავი.

„გულმაგარი რას ნიშნავს? ვინც ოცნების კოშკებს აგიშენებს? რაც შეიძლება მაღალს, რომ იქიდან გადმოხედვის არ შეეშინდეს?“

„ოცნების კოშკებს სიყვარულის ქოხი მირჩენია.“

„მამ, რა იგულისხმე გულმაგარში?“ — როგორც ჩანს, ვერ მიუხვდა მამაკაცი.

„ვისაც ჩემი შეყვარების არ შეეშინდება.“

„მითხარი, რა არის შენი ყველაზე დიდი ოცნება?“

„ყველაზე დიდი? ერთხელაც გავხსნი რესტორანს და მას „რომაულ არდადეგებს“ დავარქმევ. და იქ მხოლოდ შეყვარებულები ივლიან, იმედინად და უიმედოდ შეყვარებულები... ეს არის ჩემი ყველაზე დიდი ოცნება.“

„შენ გექნება ეგეთი რესტორანი, ნუჯ, გპირდები.“

ნუკის გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

„ვიცი, რომ მექნება. მე თვითონ ავაშენებ მას.“

„შენ როგორ სიყვარულს ითხოვ, სის, ეგ მითხარი მხოლოდ. როგორ გინდა, რომ კაცს უყვარდე?“

„ჩვეულებრივად... არ მაქვს პრეტენზია, ვიყო ერთადერთი, მაგრამ მინდა, ვიყო გამორჩეული, განსაკუთრებული, დაუინყარი და სანატრელი. სულ ეს არის“, — თავმდაბლობა გამოიჩინა გოგონამ.

„აპაა! ნუჯ! იცი, ახლა რა დღეში ვარ?“

„არ ვიცი. რა დღეში ხარ?“ — გოგონა ასეთი აფიტირებული (სურვილმორეული) ცხოვრებაში არ ყოფილა.

„სურვილი ამიხიროდა... შენი ნახვის სურვილი. როდის შევხვდეთ, სიცოცხლე?“

ნუკის ლამის გაუსკდა შიშისგან გული. ასე უცებ თუ მოინდომებდა უცნობი მასთან შეხვედრას, არ ელოდა და დაფეთებულმა სწრაფად მისწერა.

„არ არის საჭირო შეხვედრა. აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.“

„კარგი, არ დაგაძალებ. როგორც შენ გინდა,“ — ისე უცნაურად დანებდა მამაკაცი, ნუკი, ცოტა არ იყოს, განხილული (უფრო გულნატყენი) დარჩა.

„ნახვამდის, გია“, — დაემშვიდობა და პასუხს დაელოდა, თუმცა ამაოდ. გიას პასუხი აღარ მოუწერია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გზის გზნიღლები

ინტერნეტით და ტელეფონით უმადგარი ნაცნობობა

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასო მკითხველო. ქალბატონებს გასულ 8 მარტს გილოცავთ. იმედია, ეს დღე ისე გაატარეთ, როგორც წარმოგედგინათ და საჩუქრადაც ის მიიღეთ, რაზეც ოცნებობდით. ისე, იდეა მაქვს... მამაკაცების დღე ხომ არ დავანესოთ? ქალთა დღე, ასე ვთქვათ, ცოტა სისულელედ მიმაჩნია, რადგან ყველა დღე, ისედაც ჩვენი უნდა იყოს, მაგრამ რადგან ასე ხდება და ჩვენ ჩვენი დღე გვაქვს, ბალანსი რომ არ დაირღვეს და ძლიერი სქესის წარმომადგენლები არ „შემოგვეჩაგრონ“, მამაკაცების დღეც დავანესოთ. ერთი ლამაზი დღე ავირჩიოთ და ვთქვათ, რომ ეს კაცების დღეა... ოღონდ, ერთი პირობით — ეს დღე აუცილებლად 8 მარტის მერე უნდა იყოს... როგორც თვითონ მოგვექცევიან 8-ში, ისე მოვექცევით ჩვენც... როდის? როდის და... მოვიფიქრებ, რომელი დღე ჯობს მათთვის და მერე გეტყვით. ახლა კი ინტერნეტნაცნობობის შესახებ მოსული მესაჯები წაიკითხეთ და გაერთეთ.

„მი სკუზი“...

„ამას წინათ, ვიღაც წერდა, ბალიჩათში უბრალოდაც რომ შეიხედო, მაშინვე დაორსულდებო. სიმაღლეს გითხრათ, იმდენად დავინტერესდი ეს ბალიჩათი რა იყო, რომ ნათესავის წყალობით დავრეგისტრირდი. რა თქმა უნდა, იმ მიზნით არა, რომ დავორსულეულიყავი (ჩვენში დარჩეს და ყველაფერი ბუნებრივი მიჩვენია). თვალს, ნუ დაინახავ და ყურო, ნუ გაიგონებ, იქ ისეთი ამბები დამხვდა. საქართველოში ამდენი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი (განყდნენ ერთ დღეს) და მახოხისტური სქესის (ესენიც მიჰყვნენ თან) მოყვარული თუ გვყავდა, ჩემს დღეში ვერ წარმოვიდგენდი. რუსეთის არხებზე, რუსების უნესო ქცევებს რომ

ვუყურებდი, სულ იმას ვამბობდი, ქართველები ამას იზამენ-მეთქი? თუურმე, რას ვროშავ? სანამ გონს მოვიდოდი, ერთი პირადი გზავნილი „შემოფრინდა“. გამეცანი, მე ამათნარი არ ვარო, მწერდა. უცნობს სიტყვაზე ვწდებ და გავეცანი. აი, ასე დაიწყო ჩემი და ნიკას მეგობრული ურთიერთობა, ინტერნეტის საშუალებით. 20 წლის ვარო მითხრა, მაგრამ 30 წლის კაცივით აზროვნებდა. საჭირო დროს მეტად ჭკვიანური რჩევებიც მომცა და ჩემი კეთილგანწყობილება დაიმსახურა. დღითი დღე ცდილობდა, გავეკვირებინე. გამოსდიოდა კიდევც... იტალიური ენა უნდა შეგასწავლოო, მითხრა. დავთანხმდი. ის მონდომებული მასწავლებელი იყო, მე

— დამჯერი მოსწავლე და სულ მალე ერთმანეთს იტალიურად ვემესიჯებოდი. ერთ დღეს ისევ შევედი ბალიჩათში და ეს ჩემი უცხო ენის მასწავლებელი, ისეთ ამბავში იყო, ლამის გავგიჟდი. ზიზღის გრძობა გამიჩნდა მის მიმართ. ალბათ ვაპატიებდი, მაგრამ როცა გაიგო, რომ მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, აგრესიული გახდა და პატივისცემასაც ვეღარ ვგრძობდი მისი მხრიდან. გამიჭირდა მასთან დამშვიდობება და იმასთან შეგუება, რომ იტალიურად აღარავინ მომესალმებოდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე და დავეშვიდობე. „ადდიო!“ (მშვიდობით!) — ეს იყო ჩემი ბოლო მესიჯი. მთხოვდა პატივბას, მაგრამ მე ვეღარ ვაპატიე... „ლა პრეგო ტანტო, მი სკუზი“ (ძალიან გთხოვ, მამატიე). „მი დისპაჩე“... (ძალიან ვწუხვარ) „მი სკუზი“... ლუნა“.

ოცნება და სინამდვილე

„ალბათ ყველას გიოცნებიათ მომავალზე. მეც, იქიდან მოყოლებული, რაც ცხოვრების აზრს ჩავენვდი და გავაცნობიერე, რა მჭირდება ბედნიერებისთვის, ჩემს გონებაში პატარა სამყარო მოვიწყვე და იმის გაფიქრებაც კი მაშინებს, რომ შეიძლება ოცნებები არ ამიხდეს. მეც, როგორც ყველა ქალს, ბანალური ოცნება მაქვს... ძალიან მინდა, გვერდით მყავდეს ადამიანი, რომლისთვისაც

ყველაფერი ვიქნები. დამაფასებს, ყურადღებას მომაქცევს და სიტბოს მაგრძობინებს, იმ სიყვარულს მომცემს, რაც ასე მაკლია. ალბათ ბევრს ვითხოვ, მაგრამ არც ისე ბევრია, რომ მისი ახდენა შეუძლებელი იყოს. როცა დათო (სახელს ვცვლი) მეგობრის წყალობით გავიცანი, მის მიმართ განსაკუთრებული გრძობა დამეუფლა. ჩავთვალე, რომ ის ადამიანი გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში, ვისაც ველოდი. როდესაც ერთმანეთი რეალურად გავიცანი, მისმა მზერამ მიმახვედრა,

რომ მოვეწონე. საოცრად მომხიბლა მისმა გარეგნობამ. ისე ლამაზად დაიწყო ყველაფერი... მთელი 2 თვე ვიყავით ბედნიერად, მაგრამ შემდეგ ის შეიცვალა... როცა დარწმუნდა, რომ ნამდვილად შემოიყვარდა, აღარ ცდილობდა ჩემს მოპოვებას. აღარც კომპლიმენტებს მეუბნებოდა. თითქოს დაიღალა. არადა, მე ახლა მჭირდება მისი სიტბო. გამუდმებით ვკამათობ. მეგობრები მეუბნებიან, რომ ცივად თუ მოვექცევი, ჭკუაზე მოვა. არ მესმის, რატომ უნდა დამჭირდეს, რომ



მას სომ ცოლ-შვილი ჰყავს

„ინტერნეტმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. არც ისე პატარა გოგო ვარ, უკვე 34 წელი შემისრულდა. დიდი ხანია, კომპიუტერთან ვმეგობრობ, მაგრამ არასოდეს მომსვლია აზრად, რომ რომელიმე სოციალური საიტის მეშვეობით ვინმე გამეცნო. ერთ დღეს კი „ოდნოებში“ საკმაოდ სოლიდური ასაკისა და გარეგნობის მამაკაცი დამეკონტაქტა. რალაც ისეთი მკითხა, რომ პასუხი გავეცი. ისევ მომწერა, ისევ ვუპასუხე და კარგა ხნის განმავლობაში ვიმეხიჯეთ. შემდეგ „სკაიპის“ მისამართებიც გავცვალეთ და დაიწყო ჩვენი ხანგრძლივი მიმოწერა და ურთიერთობა. ისე შევეჩვიე, რომ მის გარეშე არ შემიძლო. ასე მეგონა, მთელი ცხოვრება ვიცნობდი. როცა მას არ ველაპარაკებოდი, ძალიან განვიცდიდი და მენატრებოდა. შეხვედრას მთავაზობდა და არც მე ვიყავი უარზე, მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ის სხვა ქალაქში ცხოვრობდა და ან მე უნდა ჩავსულიყავი მასთან, ან ის უნდა ჩამოსულიყო. ორივე დაკავებული ადამიანები ვართ და ვერა და ვერ ვახერხებდით, რომ ერთდროულად გამოგვეძენა დრო. ერთხელ თბილისში ჩამოვიდა და დამირეკა, აქ ვარ და შენი ნახვა მინდაო, მაგრამ ვინაიდან წინასწარ არ შემითანხმდა, ძალიან გაებრაზდი და შეხვედრაზე უარი ვუთხარი. ისიც ძალიან გაბრაზდა, ამხელა გზა გამოვიარე, რომ შენთვის სიურპრიზი მომეწყო, შენ კი ასე ცუდად მექცევიო, მაგრამ პრინციპს არ ვულალატე და არ შეგხვდი. მეორე დღეს თავის ქალაქში გაემგზავრა და ცოტა ხნით ჩვენი ურთიერთობა შეწყდა, რადგან ვერ მაპატია ჩემი საქციელი. აქაიქ თუ მომწერდა 1-2 სიტყვას და მომიკითხავდა, ეგ იყო და ეგ. ძალიან განვიცდიდი, რადგან დამაკლდა. მეგონა, რომ ცხოვრება დამთავრდა და მისი მხრიდან ასეთ ცივ დამოკიდებულებას ძალიან მტკივნეულად განვიცდიდი. თუმცა ამის შესახებ არაფერს ვუთხნებოდი და როგორც თვითონ იქცეოდა, მეც ასევე ვპასუხობდი. ვითომ აქაც არაფერი, თავს ისე ვაჩვენებდი. ერთ დღეს მის ქალაქში ნათესავის ქორწილში დამპატიჟეს. ძალიან გამიხარდა, რადგან მიზეზი მქონდა, კობა მენახა. ნასვლამდე რამდენიმე დღით ადრე, ცოტა ხნით „სკაიპში“ ვილაპარაკეთ. მაშინ ვუთხარი, რომ მის ქალაქში ქორწილში ვაპირებდი ჩასვლას. მითხრა, თუ სურვილი გექნება, დამირეკე და შეგხვდებით. ის დღეც დადგა. საგანგებოდ გამოვიპრანჭე და გავემგზავრე. გზაში დამიმეხიჯა, ქალაქს

ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს მირჩევნია, გამიზნულად მოვექცეე უხეშად. რატომ უნდა მოვატყუო, რომ მასზე არ ვფიქრობ, არ მაინტერესებს, სად არის და როგორ არის, როცა ასე არაა? ან მას რატომ უნდა სჭირდებოდეს, იმის შესხენება, რომ საყვარელ ადამიანს სიტბო და ყურადღება არ უნდა მოაკლო? ალბათ სადღაც შევცდი“.

გენოსი და კრიტიკოსი

„უცნაური კაცია ბატონი დავითი... იმაზე მეტად უცნაური ყოფილა, ვიდრე აქამდე მეგონა... დიდი ხნის წინ, როცა დამირეკა, იქნებოდა ასე, ღამის 2 საათი.“

— ნიგინი დავნერე, ნოდარ!
— ნიგინი?!

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ბატონმა დავითმა ყურმილი დაკიდა და დაახლოებით 45 წუთში ჩემს კარზე ზარის ხმა გაისმა. ფლოსტების ჩლატუნითა და მთქნარებით გავაღე კარი და ბატონ დავითს შავი საქალაქე ჩამოვართვი, რომელსაც გაკრული და უშნო ხელით წაწერილი (სავარაუდოდ კორექტორით) სათაური ემჩნეოდა — „ყველაფერი, რაც კაცებმა იციან ქალების შესახებ“.

— სვალ დილით მოვალ და წავიღებ... — მიტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა...

კარგა ხანს ვიდექი კართან. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მეძინა და ვერ ვაზროვნებდი, მაინც მივხვდი, რომ ამ წიგნს რამდენიმე საათში ვერ წავიკითხავდი...

— სულელია, — გავიფიქრე, კარი მივაჯახუნე, ფურცლებით სავსე შავი საქალაქე მთელი ძალით მოვისროლე და დასაძინებლად გავეშურე.

მეორე დილით სამსახურში წავედი და საღამომდე ჩემი საქმით ვიყავი დაკავებული. ნამდვილად არ გამსხენებია არც ბატონი დავითი და არც მისი „შედეგები“. მეორე დღეც ისევე გაილია, როგორც პირველი. მესამეც და აი, მეოთხე დღეს, საღამოს 9 საათზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ნოდარ, ნაიკითხე?
— რა უნდა წამეკითხება?
— როგორ თუ რა, ნიგინი!
— ნიგინი? მოიცა, რა ნიგინი...
— ჩემი ნიგინი...
— აააჰ, ჰო, რა თქმა უნდა! სულ დამავიწყდა, შენთვის დამერეკა... უფრო სწორად, სად დაიკარგე?
— როგორია?
— კარგია, კარგი (აქ გამახსენდა, მე ხომ კრიტიკოსი ვარ?! ცოტა უნდა გავამკაცრო შეფასება), კარგია, მაგრამ სტილისტური შეცდომების გარდა, მგო-

ნი, გრამატიკასაც ღრმად უნდა მიხედო... ნუ, რა თქმა უნდა, გამოსწორება შეიძლება.

— მართლა?

— მოიცა, ხომ არ გეწყინა? ჩემგან არაფერი არ უნდა გეწყინოს, ეს ჩემი სამუშაოა!

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მივხვდი, ბატონმა დავითმა ყურმილი დაკვიდა.

— იდიოტია! — გავიფიქრე ისევ. ჩვენმა საუბარმა ბატონი დავითის „შედეგის“ წაკითხვა დიდი ხნით გადადო. მე მას გიჟად მივიჩნევდი, ასეთი ბევრი მინახავს... სულელებს რა დალევს?!

გავიდა ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე და ვინ იცის, ალბათ ერთი წელიც! ფურცლებით სავსე შავი საქალაქე დამტყვერილი განისვენებდა, ნიგნებით სავსე თაროზე. არც მე არ მახსოვდა იგი და ალბათ არც ბატონ დავითს (ყოველ შემთხვევაში, იმ დღის შემდეგ მას არ მოუკითხავს თავისი „შედეგები“). ცხოვრებაც ჩვეულ რიტმში მიედინებოდა... მაგრამ...

გვერათ, ერთი ნახვით შეყვარების?! აი, მე როცა ის პირველად ვნახე, მთელი ხუთი წუთი გული არ მიცემდა და თმა ყალზე მედგა... მისი წითელი თმა და ნაცრისფერი თვალები მუდამ თვალწინ მედგა. როცა ჩემთან ახლოს იყო, მუხლები მიკანკალებდა და ენა მეტმოდა. აი, სწორედ მაშინ აღმოვაჩინე ჩემი უსუსურობა სუსტი სქესის მიმართ და სრულ სასონარკვეთილებას მივეცი. ღამეებს თეთრად ვათენებდი და საკუთარ თავს სრულ იდიოტად მივიჩნევდი.

არ ვიცი რატომ, მაგრამ სწორედ მაშინ გამახსენდა ბატონი დავითი და მისი ნაწარმოები. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, ეს ნაუკითხავად სისულელედ შერაცხილი ნიგნი რალაცას შეცვლიდა ჩემს ცხოვრებაში. საკმაოდ გვიანი იყო, როცა ნიგნების თაროდან ფურცლებით სავსე საქალაქე ჩამოვიღე და გარედან წაწერილი სათაური წავიკითხე — „ყველაფერი, რაც კაცებმა იციან ქალების შესახებ“. სათაური პირდაპირ გულში მომხვდა. ეს ნამდვილად ის არის, რაც მე მჭირდება!

საქალაქე გავხსენი და იქიდან ამოღებულ ფურცლებს გაცეცხული დავაშტერდ... ღმერთო ჩემო! ნამდვილად სულელია ბატონი დავითი... ან იქნებ — გენოსი?! მოკლედ, ეგ თქვენ განსაჯეთ...

მე კი ცარიელი თაბახის ფურცლები მაგიდაზე დავყარე და იმ დღეს საოცრად ტკბილად დავიძინე.

P.S. მე მიყვარს „გზა“! მჭავიტო ფრომ ბათუსი“.



რომ მოუახლოვდები, დამირეკე და დაგხვდებიო. გული გამალებით მიცემდა. იმ ადამიანს უნდა შეხვედროდი, რომელსაც მხოლოდ სურათით ვიცნობდი და მაინც ასე ძვირფასი იყო ჩემთვის. პირველივე წუთებიდან ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამგზავრი ხარ, მოწვევული იქნები და სადმე ვისადილოთო, მითხრა. რესტორანში წავედით. ისე მომეწონა მის გვერდით ყოფნა, რომ ლამის ქორწილში წასვლა გადავიფიქრე. გამიჭირდა მასთან განშორება, მაგრამ ვალდებული ვიყავი, ნათესავს ლხინში ვწვეოდი და დავეშვებოდი. თუმცა, თვითონ მითხრა, რამდენიმე საათით გემშვიდობები, მოგვიანებით ისევ გნახავო. საღამოს 9 საათი იყო, დამირეკა და ქორწილიდან ძალიან წამომიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი მასთან ერთად პრესტიჟული სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ამოვყავი თავი. ცოტა თავპატიჟი კი დავიდე თავიდან, რადგან მიმაჩნდა, რომ პირველივე შეხვედრაზე მასთან ლამის გათუვანე დათანხმება არ ღირდა, მაგრამ იმდენი ქნა, რომ დამითანხმა. დილით რომ გავიღვიძე, ძალიან ვინანე, ასე რატომ მოვიქცევი-მეთქი, მაგრამ თვითონვე დამამშვიდა და ცოტა დავწყნარდი. მეორე დღეს შინ დავბრუნდი და გულს მიღრღინდა ის ფაქტი, რომ დაუფიქრებელი ნაბიჯი გადავადგი. მის ზარს ველოდი. თუ არ დარეკავდა, გასაგები იქნებოდა, რომ ჩვენი ურთიერთობა იქ დასრულდა, სასტუმროს ნომერში. საღამოს დამირეკა. მისი ნომრის დანახვა ისე გამიხარდა, თითქოს ხელახლა დავიბადე. თბილისში ვარ, უშენოდ ვერ გავძელი და გამოდი, უნდა გნახო, მითხრა. სიხარულით მეცხრე ცას ვენიე. ამ ამბის შემდეგ წელიწადზე მეტია გასული. ჩვენი სიყვარული კი დღითი დღე მკაიერდება და ურთიერთობაც უფრო ძვირადდება. მართალია, სხვადასხვა ქალაქში ვცხოვრობთ და ჩვენ შორის მანძილი 200 კილომეტრია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს ურთიერთობას ჯერჯერობით საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ახლავ ვერვითვლობ იმის გამო, რომ ოდესღაც ეს ლამაზი ზღაპარი დასრულდება. მას ხომ ცოლ-შვილი ჰყავს... პატივისცემით, მზია“.

სწორი არჩევანი

„მარი, ინტერნეტით რომ ადამიანი გავიცანი, ისეთი საინტერესო აღმოჩნდა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი მამაკაცები თუ კიდევ არსებობდნენ. „ფისბუქზე“ მოსკოვში მცხოვრები ქართველი მამაკაცი გავიცანი. უკვე 2 წელია, მასთან ვურთიერთობ. თუ რამ-

დენიმე დღე ვერ დავკონტაქტებოდი, ისე მომენტარებოდა ხოლმე, რომ გულის ტკივილსაც კი ვგრძნობდი. მითხრა, ცოლს გაცილებული ვარ, 2 შვილი მყავს და ისინი თბილისში ცხოვრობენო. ერთი ქმარი მეც გამოვიცვალე, შვილი არ მყავს. იმ დროს, როცა ლევანი გავიცანი, ერთ ადამიანს ვხვდებოდი. მიყვარდა კიდევ და ოჯახის შექმნასაც ვგეგმავდით. მისი მშობლებიც გავიცანი. დათო უცოლო იყო და მიუხედავად იმისა, რომ დედამისს მოვეწონე, მაინც ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო. მიზეზს, რა თქმა უნდა, ხვდებით — განათხოვარი გოგო რძლად არ უნდოდა. დათოს დედის აზრი არ აინტერესებდა. მაინც დავკორწინდებით, რადგან უშენოდ სიცოცხლე არ მინდაო, მეუბნებოდა. მიხაროდა, რომ წინააღმდეგობებს არ უშინდებოდა და სხვისი გავლენის ქვეშ არ ექცეოდა. იმ დღეზე ვოცნებობდი, როცა ერთად ვიცხოვრებდით. მაგრამ ლევანის გამოჩენამ ერთიანად შემცვალა. ნელ-ნელა დათოსთან ურთიერთობა ხუნდებოდა, მის ადგილს კი ჩემს გულში ლევანი იკავებდა. ჩემი ინტერნეტსიყვარულისთვის ეს ამბავი არ დამიმაღავს. მითხრა, გაერკვიე საკუთარ გრძნობებში, გადაწყვეტილება მიიღე და შემდეგ დამეკონტაქტე. ერთი კვირის განმავლობაში არც ერთ მათგანს არ დავკონტაქტებოვარ. სოფელში წავედი და ტელეფონიც გამოვრეთე. კვირის ბოლოს მივხვდი, რომ დათოზე საერთოდ არ ვფიქრობდი და არც მომნატრები. ლევანზე ფიქრს კი თავიდან ვერ ვიგდებდი. გადაწყვეტილება მივიღე — დათოს უნდა დავშორებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ისიც კი არ ვიცოდი, ლევანი ოდესმე დაბრუნდებოდა თუ არა საქართველოში და მომიწევდა თუ არა მასთან შეხვედრა. ასე გაორებული ყოფნა აღარ შემეძლო. ჩემი გადაწყვეტილება ლევანს ვაცნობე და სიხარულით შეხვდა ამ ამბავს. ახლა საჭირო იყო, დათოსთვის როგორმე გამეხსილა, მაგრამ ვერ ვბედავდი. ერთ დღეს ისევ დამპატიჟა შინ. დედამისი შუბლშეკრული შემხვდა, ყავაც კი არ შემომთავაზა. ცოტა ხანს გავჩერდი იქ და წამოვედი. დათომ გამომაცილა. დედამისის გამო ვიჩხუბეთ და ვუთხარი, ჩვენი ურთიერთობის გაგრძელება აღარ შეიძლება, ქორწინება — მით უმეტეს, რადგან დედამისი არ გამახარებს; ამიტომ უნდა დავშორდე-მეთქი. ვთქვი და მორჩა! აღარც მისი ხვეწნა შევისმინე, არც მუქარა, არც ცრემლები. იმ დღიდან თითქოს შვევით ამოვისუნთქე. ლევანთან ურთიერთობა გავაგრძელე და არც ვნანობ. დათოსთან განშორებიდან 9 თვის შემდეგ ლევანი თბილისში დაბრუნდა. მიზეზი მე ვიყავი. ის არც აპირებდა

ჩამოსვლას. პირველი შეხვედრა ძალზე ემოციური იყო — სიხარულსგან ვბრწყინავდი. ახლა უკვე ცოლ-ქმარი ვართ. 7 თვის ფეხმძიმე ვარ და თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ. ანასტასია ტაბატაძე“.

ბედნიერი შემთხვევა

„2 წლის წინ გავთხოვედი და მამავალი მეუღლე ტელეფონის საშუალებით გავიცანი. სამსახურის თაობაზე უამრავ ფირმაში ვრეკავდი. ერთ დღესაც, ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელს ვესაუბრე და გასაუბრებაზე 10 დღის შემდეგ დამიბარა. მეორე დღეს თვითონ დამირეკა. მისი ნომერი რომ დავინახე ჩემს მობილურზე, გამიკვირდა. ზრდილობიანად ვუპასუხე, თვითონ შინაურით მომიკითხა. ისეთი რალაცებიც მითხრა, რაც სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, მაგრამ არაფერი ვაგრძნობინე. ვფიქრობდი, ისეთი არაფერი ვუთხრა, რომ გაბრაზდეს, იქნებ სამსახურში აყვანაზე უარი არ მითხრას-მეთქი. საუბრის ბოლოს მეორე დღისთვის შეხვედრა დამინიშნა. ბუნებრივია, უარი არ მიტყვამს. ვიფიქრე, ალბათ გასაუბრება უნდა-მეთქი და იმედი მომეცა. კი გამიკვირდა, შეხვედრა ოფისის ნაცვლად სხვაგან რომ დამითქვა, მაგრამ არც ამას მივაქციე ყურადღება. მეორე დღეს კარგად გამოვიპრანჭე, რომ შთაბეჭდილება მომეხდინა და მასთან შესახვედრად წავედი. ახალგაზრდა მამაკაცი მოვიდა. რომ დამინახა, ხელი ჩამომართვა, ეკა თქვენ ხართო? ამათვალე-ჩამათვალე. კი-მეთქი. მანქანის წინა კარი გამიღო და დაბრძანდითო, მითხრა. მეც დავბრძანდი. როგორც კი ადგილიდან დაიძრა, მაშინვე ის მიხსრა, სულ არ ჰგავხარ იმ სურათს, რომელიც გამომიგზავნე, ცხოვრებაში გაცილებით უკეთესი ყოფილხარო. სურათი არ გამომიგზავნია-მეთქი, ამოვილულულე. როგორ არა, ხესთან რომ ხარ გადაღებულიო. არა-მეთქი. აღმოჩნდა, რომ მას ინტერნეტით ვინმე ეკა გაუცნია და მასთან შესახვედრად მოსულა. ვინაიდან მეც ეკა მერქვა, ტელეფონის ნომრები არევიდა და პაემანი მე დამინიშნა. ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ თვითონ აღარ ინება ჩემი უკან დაბრუნება. რესტორანში დამპატიჟა, სამსახურსაც შემპირდა, უკანა გზაზე კი შემომთავაზა, ამაღამ სასტუმროში რომ დავჩრქოვ, წინააღმდეგი ხომ არ იქნებიო და კოცნა დამიპირა. გადავირიე და მუშტები დავუშინე, შენ ვინ გგონივარ, გასათხოვარი გოგოს ამას რომ მკადრებ-მეთქი. მანქანიდან გამდმოვხტი და გავიქეცი. თვე-ნახე-

ვარი ცდილობდა ჩემს შემორიგებას. რაღას არ აკეთებდა, რომ დანაშაული გამოეყვიდა. ბოლოს გავტყდი. რადგან მეც უზომოდ მომწონდა... ახლა მისი ცოლი ვარ და ისეთი ბედნიერი, რომ მგონია, ჩემზე ბედნიერი ქვეყნად არავინაა. ყველას ასეთ ბედნიერებას გისურვებთ. პატივისცემით. ეკა“.

არ გვინდა „ნეტი“

„რად გვინდოდა, კაცო, ეს უბედურება... წინათ იყო წერილი, დეპეშა, გარიგება და ამბავიო, იტყვიან ხოლმე ჩემი მეზობლები ინტერნეტზე საუბრისას. თლა გადარია ე ბოვშებიო, მაგრამ თვითონაც კარგად „უბერავენ“ ზოგჯერ „მარიოს“ და ტანკებს. მაგისტრის ქვა კაი, ის არ მოსწონთ, ვინცხავინცხებს რომ „ვეპუტუნებით“ და ვემსიჯვებით... ეს ქუთაისური იუმორით, თუშმცაა... თუშმცა ის, რომ „ნეტი“ უკვე ჩვენი განუყოფელი ნაწილია და ეს ესაა თვალი გავახილე, უკვე აქ ვარ... მინდა, ერთი ჩემი უბნელის ამბავი დაწერო (ჩემზეც შემიძლია, მაგრამ ეს მხიარულია და ჩემი...). არჩილი ერთ პატარა სახლში ცხოვრობდა. უბრალოში და ზუსტად ისეთში, როგორც მისნაირ მარტოხელას შეეფერებოდა. დედა ადრეულ ასაკში დაეღუპა და დედისერთას სამსახურით ნამოინი ფული ჭამა-სმისთვის ჰყოფნიდა. მერე ერთი „კომპი“ განვადებითაც გაატრყა... ჰოდა, გაიფიქრა, ამ „ოდნომ“ გაამრავლა ქართველი ერი და იქნებ მეც ვნახო ერთი უბრალო გოგოო. ამ იმედით არჩილიც „გამოიჭიმა“ თავისი „ფოტკუებით“. რუსებს კაი ქალები ჰყავთო, და გაეცა თვალი არჩილსაც ნაშებიკენ. თვითონ საკმაოდ სიმბათიურია, განათლებული და ლოგიკასაც არ უჩივის და კი შეაბა რამდენიმე „ბლანდინკა“ ქუთაისელმა მაჩომ. სვეტლანასთან მიმოწერა დიდხანს გაგრძელდა. ისიც ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო თურმე, უბრალო მარკეტის უბრალო მენეჯერი. აღფრთოვანდა ამ ჩვენი „გრუზინის“ „გრუზინული“ მონაცემებით. მერე არჩილმა „სკაიპის“ გახსნა მთხოვა და უკვე იქ გაგრძელდა მათი ჭუჭუკი. ასე გავიდა 8 თვე. მერე სვეტლანამ განაცხადა, მივლინებით საქართველოში, ქუთაისში მოვდივარ და თან შენც გაგიცნობო. ინათხოვრა

არჩილმა „შოლკის“ შარვალი და „ტუფლი“ კი ჰქონდა ახალი ნაყიდი (გასაკვირია ისე, ქუთაისში ვინ ან რისთვის გამოუგზავნიათ მივლინებით, მაგრამ... გავატაროთ). ჰოდა, შენი თვალების შამოფეთებისა იყოსო, დალია შამპანური აჩიკიამ „იმპერიალში“. 2 დღეში წავიდა სვეტლანა... ისევ ძველებურად გაგრძელდა ნაცნობობა, მაგრამ ახლა „ოდნოს“ აღარ კადრულობდნენ — „skype“ of course... 2 თვეში ისევ გამოგზავნეს სვეტლანა „მივლინებით“, „ჩაცუცქულების გოროდში“, ახლა უკვე ერთი კვირით. ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს, რომ ჩვენი აჩიკია უკვე ყურებამდე იყო შეყვარებული... აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ მათ შორის არ ყოფილა — „ტი სტოლბა, ია სტოლბა, დავაი ზამეკანია“ ამბავი. 42 წლის არჩილს აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ... აკვირდებოდა ასეთებს თურმე ჩვენი სვეტლანა. მერე გამოუტყდნენ ერთმანეთს სიყვარულში, ისევ „სკაიპის“ საშუალებით და... იმერეთი მომწონს და ჯვარი მანდ დავინეროთო, სვეტლანამ უთხრა. გადირია არჩილა... 2 კვირაში ქორწილი გაკეთდა ერთ კოხტა დარბაზში, ახლობლების ვინრო წრეში... ყველაფერმა ქუთაისურად ჩაიარა. სახლში რომ მივიდნენ, სვეტლანამ მამა-შვილი (არჩილი მამასთან ერთად ცხოვრობდა) გააფრთხილა, მნიშვნელოვან თემაზე უნდა გესაუბროთო. არადა, ძან არ სცხელოდა აჩიკიას მაგისტრის?! ერთი სული ჰქონდა, როდის იქნებოდა „ზამეკანია“. დასვა სვეტლანამ დივანზე ორივე და დაინყო, მარა რა დაინყო... ეს ჩვენი უბრალო მარკეტის უბრალო მენეჯერი თურმე უუუუულტრა მილიარდერია. კრემლის წინ ბინა აქვს, 4 ავტომანქანა, ვილები, იახტები, კლუბები, რესტორნები და ალბათ შევიცარიის ბანკშიც აქვს ანგარიში... ეს მისი უბრალოება გამოგონილი ყოფილა. არ მინდოდა, ვინმეს ფულის გამო ვყვარებოდიო, ბრძანა ქალბატონმა. რა შოკი მიიღეს აჩიკიამ და მამამისმა, მაგას ვერ აღწერ. ჰოდა, ახლა მამამისს „ინფინიტით“ დაასრიალებს მძლოლი და აჩიკია და სვეტლანა ჰავაიზე ისვენებენ, — მოსკოვში სიცივვა და გასათობად ვართო. ჰავაიზე არ წასულიყვნენ და ერთი „პოლიტა“ ეყიდათ, არ სჯობდა? იმ „შოლკის“ შარვლის

პატრონს D&G-ს ზმანები გამოუგზავნეს, მე — APPLES NOTEBOOK, 300-ევროიანი შანელის ჩანთა და 700-დოლარიანი გუჩის სათვალე. კიდო იქნებო, მპირდებიან და კიდევ იტყვიან ჩემი მეზობლები, რად გვინდოდა კაცო ეს უბედურებაო?! ჰოდა, თუ რად გინდათ, მომიძებნეთ ერთი სვეტლანასნაირი გლეხი, ოღონდ — ბიჭი და არ გვინდა „ნეტი“, კი ბატონო“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები.

„არ ვიცი, ეს მოგონება რამდენად მწარეა, მაგრამ მინდა მოგიყვებო: მაშინ ბავშვი ვიყავი და დედაქალაქში არდადეგებზე ახლობელთან ჩამოვედი. შესასვლელში დიდი კარადა ჰქონდათ, სადაც კომპოტებსა და მურაბებს აწყობდნენ. ახლაც მახსოვს, 3-ლიტრიანი ქილებიდან როგორ ეშმაკურად მიმზერდნენ უზარმაზარი ატმები. ჩემმა ძვირფასმა, დედიკოსავით საყვარელმა ადამიანმა იცით, რა მითხრა? ეს კომპოტები ჩემს შვილს გაუტყუეთ და რომ ჩამოვა ჯარიდან, უნდა დავახვედროო. დედასთვისაც არ მითქვამს, ვიცი, ძალიან ეწყინებოდა, მე კი დღემდე მახსოვს და გული დღემდე მტკივა. გერასიმე“.

„საერთოდ, ბილიარდის თამაშის ნიჭი არა მაქვს, მაგრამ მაინცდამაინც იმ დღეს ავტყდი. დავრეგისტრირდი და შევედი... ილიამ გამომიგზავნა მინვევა და თანხმობა მივეცი... შევედი და შემოგვეყვა დათუჩაც. მთხოვა, ამ ხელის დამთავრების შემდეგ ჩემთან ითამაშეო. ამაზეც დავთანხმდი... „სკაიპები“ გავცვალეთ და დღემდე გვაქვს ურთიერთობა... ოღონდ, რა ურთიერთობაა ეს, ვერ ავიხსნი... ალბათ — მიჩვევა, რადგან ადამიანი როგორ უნდა შეგიყვარდეს ისე, თუ არ ნახე... მაგრამ რაღაცას ვგრძნობ... ყველაზე ცუდი ის არის, რომ რატომღაც სურათსაც არ მიგზავნის, სანამ არ შეხვდები... მეშინია, შეხვედრის მერე, ურთიერთობა არ გაგვიფუჭდეს... მივეჩვიე... გამიჭირდება... P.S. დათუჩა, ვიცი, რომ წაიკითხავ ამას, და არაფერი მკითხო. შენი ტკბილი (როგორც შენ მეძახი)“.

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზაპნილავში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „სამაგიერო ასე გადაეუხადე“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

„ქართველ ქალს სიგარეტის მოწევა არ ეკადრება“

„მთავარია, ორსულმა არ მოსწიოს...“

„გზის“ №8-ში დაიბეჭდა ლაშას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მისი შეყვარებული სიგარეტს ეწევა და ეს არ მოსწონს, გოგო კი ეუბნება: თუ სიგარეტისთვის თავის დანებებას მაიძულებ, დაგშორდებიო. ლაშამ არ იცის, როგორ მოიქცეს, ის დაბნეულია და რჩევისთვის ამიტომაც მოგმართავთ.

ლიკა ქავია

მეგონია:

„ლიკას უნდა შეაგნებინო, რომ სიგარეტი თავად მას აგნებს. თუ მართლა უყვარხარ, მოწევას შეეშვება“.

კუს:

„გასაგებია, გიყვარს, მაგრამ თუ შენ გამო სიგარეტს არ თმობს, საკუთარ თავს ჰკითხე, — უყვარხარ კი?.. წარმატებები!“

მანია:

„შეყვარებული ხარ და აზროვნება გიჭირს. ჯობს, ქალი ატარო შენს ჭკუაზე, ვიდრე შენ აუსრულო ყველა ახირება. P.S. მე ასე ვფიქრობ და შენი საქმისა შენ იცი“.

წერი:

„რატომღაც მგონია, რომ ერთმანეთი არ გიყვართ. ისე, სიგარეტი დიდი პრობლემა არაა, მთავარია, ორსულმა არ მოსწიოს. წარმატებები!“

მარი 11:

„ჩემო კარგო, დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი, რომელსაც უყვარხარ, სიგარეტის გადაგდებზე უარს ვერ გეტყვის. ლიკა კარგად თამამობს, შენით მანიპულირებს. P.S. ისე, ერთმანეთი ნამდვილად გიყვართ? წარმატებებს გისურვებ, უფალი შენკენ! გაკოცე“.

თათა:

„ოოო... სიგარეტს ეწევაო? ნუ, ეგ დიდი პრობლემა არაა, სიგარეტის მოწევა ბოზობას არ ნიშნავს. თუ მართლა გიყვარს და უყვარხარ, შენი რჩევა უნდა გაითვალისწინოს, ხოლო თუ ერთმანეთი არ გიყვართ, არ „გკიდია“, სიგარეტს მოსწევეს თუ პლანს? წარმატებები!“

ნაოზი:

„იუმორი მოგეძალა, არა? ვაი, შე საცოდავო! გოგონები მამისტოლა კაცებს შარაგზაზე „ახმარინებენ“ ხოლმე თავს, ზოგ ბიჭს კიდევ, დიდი და უშნო მუნუკის გარეშე უნდა ყოფნა, ერთს თურმე, მიცვალებულიც შეუყვარდა და ამ ყველაფრის ფონზე, შენი „ესემესი“ დაუჯერებელი კი არა, ღიმილის მომგვრელია“.

მისტარ:

„შენს შეყვარებულს ასე უთხარი:



მშვენივრად იცი, რომ მიყვარხარ და პატივს გცემ; ჰოდა, თუ შენც გიყვარვარ, დამდე პატივი და შემისრულე თხოვნა, — მოწევას შეეშვი. გფიცებ, შენი დაკარგვა ნამდვილად არ მინდა, მაგრამ იძულებულს გამხდის, ასე მოვიქცე. ბოლოს და ბოლოს, შეუძლებელს ხომ არაფერს გთხოვ-თქო?! P.S. ამის მერეც თუ გითხრა, — არა, მოწევას ვერ შევეშვებო, შარვალი თუ გაცვია, უნდა უთხრა: „დავია“, რა და ჯანდაბაშიც წასულხარ-თქო!“

მებრა 100:

„თუ გინდა, ქართული ტრადიციული ოჯახი შექმნა, სხვა მოძებნე ეგაა, მაგრამ თუ „ფეშენ“ ცხოვრებისთვის გინდა, მაშინ შეეშვი და მოსწიოს, რამდენიც უნდა...“

პრანჭია:

„ეგ უბრალოდ, მავნე ჩვევაა და სხვა არაფერი. საერთოდაც, XXI საუკუნეში სიგარეტზე ამდენი ლაპარაკი სამარცხვინოა! დავიჯერო, შენ მავნე ჩვევა არ გაქვს?..“

დადუ:

„მგონი, იმ გოგოს არ უყვარხარ, შენს თავს ერთი ღერი სიგარეტი ურჩევინია...“

კატო:

„რა სისულელეა! შენს ადგილას იმ გოგოს თავს დავანებებდი. დავიჯერო, საყვარელ ადამიანთან ერთად ყოფნას სიგარეტის მოწევა ურჩევინია? მას არ ჰყვარებხარ!“

ძვირივი:

„თუ მასაც ისე უყვარხარ, როგორც შენ გიყვარს, ის მაინც უნდა ეთქვა, — შევეცდები, რომ მოწევას თავი და-“

ანებოო. თუ მასთან დაშორება არ შეგიძლია, მის ამ ნაკლს უნდა შეეგუო“.

ბადარეული:

„თუ დაგშორდება, დაგშორდეს, ამქვეყნად გოგონების მეტი რაა? ვითომ, გაშინებს? იგი წავა და სხვა მოვა...“

სვანი:

„მისნაირი შეყვარებული რად გინდა? მერწმუნე, ის ყოველთვის გატყენს გულს. ხომ ხედავ, სიგარეტი ურჩევინია შენს თავს და ჯობს, დაშორდე“.

ვაჰირა:

„გოგო სიგარეტს რომ ეწევა, ეს სასიამოვნო ნამდვილად არაა, მაგრამ თუ მართლა გიყვარს, ამის გამო არ უნდა დაკარგო. მთავარია, ენდობოდე და ერთმანეთს უგებდეთ“.

ლუნა:

„კარგად მოიქეცი, რჩევისთვის რომ მოგემართე. სიმართლე გითხრა, მეც არ მომწონს, გოგონები სიგარეტს რომ „აფუილებენ“, ქართველ ქალს ეგ არ ეკადრება. და კიდევ, მინდა, შენს შეყვარებულს შევახსენო, რომ სიგარეტი მისივე ჯანმრთელობისთვისაა მავნებელი და შესაძლოა, ამ მავნე ჩვევის გამო, ორსულობის პერიოდში ნაყოფს ზიანი მიაყენოს. „ლოვეს“ თავად დაემუქრე: თუ მოწევას არ შეეშვები, დაგშორდები-თქო. P.S. სიგარეტის მოწევა კარგი რომ იყოს, თქვენ დამასწრებდით?“

რუსაინი (YELLOW):

„არც მე მომეწონებოდა, ჩემი შეყვარებული სიგარეტს რომ ეწეოდეს, მაგრამ ამით ტრაგედიას ნამდვილად არ შეგქმნიდი. რაოდენ სამწუხარო და საგანგაშოც უნდა იყოს, საქართველოს მოსახლეობის 90% აქტიური მწვეველია და მათ შორის გოგონები ჭარბობენ. ვიცი, ქართველი კაცისთვის ძნელია იმის ყურება, თუ როგორ აბოლებს მისი ცოლი, მაგრამ მგონი, დრო მოვინდა, დავივიწყოთ ეს გამოწვევა: თუ ქალი სიგარეტს ჩაიდებს პირში, ის სხვა რამეზეც წამსვლელია. როგორც უნდა ვეცადოთ უნაკლო, იდეალური გოგონას აღმოჩენას, ეჭვი მეპარება, მისი პოვნა შეუძლოთ იქიდან გამომდინარე, რომ ჩემთვის უნაკლო, სხვისთვის შეიძლება, ქუჩის ქალი იყოს. P.S. ისე, თუ უყვარხარ, ნებისყოფას გამოიჩენს და არჩევანს — შენსა და სიგარეტს შორის, შენ სასარგებლოდ გააკეთებს. P.S.S. დღეს თუ არ ეწევი, ხალხი გოიმად შეგრაცხავს. წარმატებები!“

ატარამისია:

„ადამიანი ისეთი უნდა შეიყვარო, როგორიც არის, მაგრამ თუ ეს ამბავი



შენთვის ასეთი მნიშვნელოვანია, იმანაც უნდა გაგინოს ანგარიში. იმედია, შენ გამო სიგარეტს დათმობს“.

RAINBOW:

„აუ, ლაშა, მაგარი სასაცილო ტიპი ხარ. მერე რა, რომ ენევა, ამით რაიმეს გიშავებს? მე თუ ვენევი, ამიტომ შინაბერად უნდა დავრჩე? P.S. ხალხმა უსაქმურობისგან სულ გააფრინა“.

ქაჯავის დედოფალი:

„შენი მესმის. ბიჭი რომ ვიყო, მწველ გოგოს არც კი შევხედავდი. ვფიქრობ, მას არ უყვარხარ, შენს თავს სიგარეტი ურჩევნია. შეგიძლია, ულტიმატუმი თავადაც წაუყენო: ან მონეგვს შეეშვები, ან დაგმორდება-თქო. ჰოდა, თუ არჩევანს სიგარეტის

სასარგებლოდ გააკეთებს, იცი, რა უნდა ქნა? — „პაკა“ უთხარი და „დაიკიდე“.

აურა:

„გვჯერა, რომ არ იტყუები, მაგრამ თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ შენი შეყვარებული თქვენი ურთიერთობის დასრულების მომხრეა. ჰოდა, თუ ახლა, შეყვარებულობის პერიოდში მზადაა, ნებისმიერ დროს დაგმორდეს, მერე რაღას იზამს? იქნებ, ლიკას არ უყვარხარ? მისმა უაზრო ახირებამ შესაძლოა, თქვენს სიყვარულს მომავალში უფრო დიდი საფრთხე შეუქმნას. დაფიქრდი. წარმავტებები!“

თამი:

„იმედია, გულახდილობას მაპ-

ატიებ: იმ ქალის იმედი როგორ გაქვს, რომელსაც საყვარელ ადამიანთან ყოფნას სიგარეტი ურჩევნია? P.S. არ მეგონა, ბიჭებს ამაზე გართულება თუ ჰქონდათ. როგორც ჩანს, მთლად არ გადავგვარებულვართ!“

უნუნური:

„მაპატიე, მაგრამ შენი წერილის კითხვისას სიცილისგან ლამის კრუნჩხვებში ჩავვარდი. კაცი არა ხარ? გოგო როგორ გაშინებს, — დაგმორდებიო? ან შეეგუე იმ ფაქტს, რომ ენევა, ან მკაცრად მოსთხოვე, სიგარეტს შეეშვას. და კიდევ, მის გადაწყვეტილებას პატივი ეცი. წარმავტებები!“

„ბედნიერებისთვის მხოლოდ სიყვარული არ კმარა“

„ოჯახის შექმნა „დედაშვილობას“ თამაში არაა“

„გზის“ №8-ში დაიბეჭდა 21 წლის ნატალის მესოჯი. ის გვწერდა: „მყავს შეყვარებული (მიყვარს კი?), უფრო სწორად, მომწონს გარეგნულად, მსიამოვნებს მისი ყურადღება; ამასთანავე, ის ძალიან კარგი ადამიანია, ჩემი კარგად ესმის და ახლა ცოლობას მთხოვს, მე კი არ ვიცი, რა ვუპასუხო. რას მირჩევთ, გავაგრძელო მასთან ურთიერთობა?..“

სალომბა:

„ჩემო კარგო, გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. თუ ასეთი კარგი ადამიანი იპოვე, არ დაკარგო და შეყვარებულები თუ არა, მეგობრები მაინც ხომ იქნები? მთავარია, მასთან გულწრფელი იყო, სიმართლე უთხრა. აბა, შენ იცი, წარმავტებები!“

უნუნური:

„შენ რჩევა კი არა, ცემა გჭირდება! 21 წლის გოგომ არ იცი, რომ უსიყვარულოდ არ უნდა გათხოვდე? არ გიყვარდა, მაგრამ მაინც, მასთან ერთად სეირნობდი, ეხუტებოდი, კოცნიდი და ახლა ევითხები საკუთარ თავს: მასთან ურთიერთობა გაწყვეტო თუ არაო? ვფიქრობ, ეს აქამდეც უნდა გაგეკეთებინა. P.S. მგონი, მთლად დალაგებული არ უნდა იყო“.

ატარამსია:

„გარეგნულად მოგწონს, მისი ყურადღება გსიამოვნებს, შენი კარგად ესმის და შენთან ყოფნა უნდა? ჰოდა, ამ ყველაფერს ცოტა ვნებაც მიუმატე და ეგაა სიყვარული!“

რუხიანი (YELLOW):

„18 წლის ბიჭს 21 წლის გოგოსთვის „მიტყდება“ იმის თქმა, რასაც ქვევით წაიკითხავ, მაგრამ... შეგახსენებ, ქორწინება ქალსა და მამაკაცს შორის დამყარებული ყველაზე წმინდა კავშირია, ამ დროს ორი შეყვარებული ადამიანი ერთ მთლიანობად იქცევა, შენ კი რას ან ვის უნდა შეუერთდე? კაცს, რომელიც არ გიყვარს, თუ მის მიერ მორთმეულ საჩუ-

ქარს? კარგად დაფიქრდი“.

რეალისტი:

„მეც შენხელა ვარ და მსგავს სიტუაციაშიც ვყოფილვარ — არ ვიცოდი, მიყვარდა თუ არა და ამიტომაც დავშორდი. მერე საკუთარ თავს ვუთხარი, — ასე აღარ მოვიქცევი! ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ მიყვარს, ურთიერთობას არავისთან გავაბამ-მეთქი, მაგრამ რამდენიმე თვეში სხვას შეუყვარდი და მისი „ლოვეც“ გახვდი. თუმცა, როცა ცოლობა მთხოვა, მასაც დავეშორდი. ჩემო კარგო, თუ არ გიყვარს, ჯობს, მართო იყო. იქნებ სხვა გაფორიაქებს და ვერ გაგიგია?“

ლუია:

„შენს ადგილას მის წინადადებაზე სერიოზულად დაფიქრდებოდი. რადგან შენი ცოლად მოყვანა გადანყვიტა, ე.ი. მართლა უყვარხარ. ჯობს, ცოლად მას გაჰყვე, ვისაც მართლა უყვარხარ და არა იმას, ვინც შენც გიყვარს, მაგრამ ვის გვერდითაც დაიტანჯები. დამიჯერე, ის აუცილებლად შეგიყვარდება. ნულარ დააყოვნებ, ცოლად გაჰყევი. აბა, ჰე“.

ვამპირი:

„კი არ დაშორდე, არამედ ცოტაოდენი დრო სთხოვე დასაფიქრებლად და თუ მიხვდები, რომ მასთან ცხოვრება, მისი სიხარულისა და მწუხარების გაზიარება შეგიძლია, მაშინ უარი არ უთხრა. ღმერთი იყოს შენი მფარველი. სწორი გადაწყვეტილების მიღებას და ბედნიერებას გისურვებ!“

ნინო:

„მგონი, საკუთარ გრძობებში დარწმუნებული არა ხარ. შენს ადგილას, არ გაფთხოვდებოდი. აუსხენი, რომ ასეთი ნაბიჯისთვის ჯერ მზად არ ხარ (ისე, 21 წლის ასაკში ქვაბამჭურჭელს რომ არ დაუარო, ცოტა საქმე გაქვს?) ჰოდა, თუ გაგიგებს, ხომ კარგი, თუ არა და, ჭირი იქა, ლხინი აქა...“

ქვრივი:

„ხანდახან ბედნიერებისთვის მხოლოდ სიყვარული არ კმარა. თუ გარეგნულად მოგწონს და ერთმანეთსაც უგებთ, სხვა რა გინდა? ჯობია, მის წინადადებას დათანხმდე“.

ტილო-ტილო:

„თუ არ გიყვარს, რა ცოლობაზე ლაპარაკობ? ოჯახის შექმნა „დედაშვილობას“ თამაში ხომ არ გგონია? არა, მასთან ურთიერთობაც არ განყვიტო, იქნებ შეგიყვარდეს“.

ბალი:

„თუ არ გიყვარს, ცოლადაც არ გაჰყვე. უსიყვარულოდ ოჯახის შექმნა სისულელეა! ჯობია, ყველაფერი პირდაპირ უთხრა, თორემ მერე ორივე დაიტანჯებით“.

CRAZY GIRL:

„თუ დარწმუნებული ხარ, რომ მასთან ერთად ცხოვრებას ტვინლად გაატარებ, რომ ოდესმე შეგიყვარდება, მაშინ გაჰყევი, თუ არა და, თავი შეიკავე. წარმავტებები!“

უცნოვანი:

„სიყვარული არის მიჩვევა, გაგება და პატივისცემა. თუ დარწმუნებული ხარ, რომ კარგი ადამიანია და მასთან ბედნიერი იქნები, ხელი არ ჰკრა“.

აუტანელი:

„რა უნდა უპასუხო, თუ მხოლოდ გარეგნულად მოგწონს? მასთან ურთიერთობა გააგრძელე და თუ შეგიყვარდება, გაჰყევი. ყველაფერი ძალიან მარტივია და შენ რატომ ართულებ?“



მოხილ-ზასცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილ-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრობოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრობოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



1. ვარ 36 წლის, სერიოზული და ნორმალური ადამიანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი სერიოზულ ადამიანს.

2. გავიცნობ სერიოზულ, მონესრიგებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 45-52 წლამდე. სასურველია, იყოს რაჭველი. ვარ 39/167/55. ყურადღებიანი და მონესრიგებული.

3. ვარ 24 წლის ნინიკო. გავიცნობ მამაკაცს. უსაქმურებმა თავი შეიკავეთ.

4. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი ნორმალურ ადამიანს. ვარ 36 წლის. ცოლიანებმა თავი შეიკავონ. დანარჩენი — პირადად.

5. უკაცრავად, როგორ უნდა გავიგო ბათოს ტელეფონის ნომერი, 2011 წლის მე-6 ნომრიდან?



კაცები

6. თუ კიდევ მოიძებნება მარტოხელა, პატიოსანი, მეოჯახე ქალი (უშვილო), გამოემხმაროს.

7. ვეხმაურები ურნალ „გზის“ მე-8 ნომრის, მე-8 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, გამოემხმაროთ.

8. ვარ 26 წლის. გავიცნობ 18-დან 28 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგოს. მაქვს ბინა და მყავს მანქანა.

9. ვარ 40 წლის, ვცხოვრობ რაიონში, მინდა გავიცნო შესაფერისი ასაკის ქალბატონი, რომელსაც უნდა ოჯახი

და ჰყავდეს შვილი. თუნდაც — განათხოვარს! მომწერეთ საღამოს.

10. გთხოვთ, დამაკავშიროთ გორელ გვანცას. ვარ, 37 წლის, გორელი. მინდა გავიცნო ნორმალური ქალი, ულამაზესი ურთიერთობისთვის. ზურა.



სსპადასსპა

• ქიქი, რა ცუდია ეს ყველაფერი, ნეტავ მალე გამოხვიდე, რამე შეგეხოს, ჭკვიანად იყავი და თავს გაუფრთხილდი. მიყვარხარ. სულ ამაზე ფიქრობ. ეკოც გკითხულობს, — მამა, კაკაო. რამდენ რამეს ვაპირებდით და რა გამოვიდა? როგორ მჯეროდა შენი. ახლა მაინც დაფიქრდი, როგორ უნდა იცხოვრო. თუ რამე შემეძლება, ყველაფერს გაგიკეთებ. გკოცნი. მიყვარხარ.

• ქეთი-ნაი, ბარჯაკუზააა, მიყვარხარ, დამო, მომწერე მერე... ქეთი-ნაი, YOU ARE 4EVER GIRL.

• მე დიდებული ბარჯაკუზა მელაძე ვააარ! ქეთილო NAITO YOU ARE LOVELY GIRL! ბარჯაკუზა.

• ნიკო, ნიკო, ნიორაო... ბარჯაკუზააა, კლუპატრა, მიყვარხარ! ბარჯაკააა.

• ტარიელ, შენ რა სექსი ხარ, შენი ულვაშებით?! თამბაქოს თანამშრომელი ქალები.

• ხალხო, სულ რო ჩხუბობთ, რა გაქვთ გასაყოფი? ან და, ამ რუსიპირმა რა დაგიშავათ? მე პირადად მევასება. შეგეტყენსავით. :) ყველანი მიყვარხართ. გენაცვალეთ. გრუზინკა ნანო.

• მეგონა, ვერავინ შემამჩნია აქ! აურო, გაიხარე, ჩემო კარგო, რა ყურადღებიანი ხარ. ვიმეგობროთ. ერთადერთი ხარ, ვისაც არ გამოუპარა ჩემი გამოჩენა. გაკოცეთ. ლი23. მპუა.

• გამარჯობა, მარი, მგზავნელებო. მართალია, პირველად გწერთ, მაგრამ აი

ია-ს შემდეგ პირველად „გზავნილები“ წავიკითხე. ბოლო დროს რატომ ხოცავთ ერთმანეთს? ლულუფა.

• შენ იქნებოდი ამორძალი, ვნებით ავსილი. მე კი სამყაროს მოჩვენება, ტრფობით აღვსილი. მოგეხვეოდი, ჩაგიკრავდი, ფეხებს გაშლიდი, შენს მხურვალეებს ჩემს სხეულში ნელა ჩაშლიდი. აგინითლდებოდა ეგ ლოყები, რაც მე მაგიყებს და ჩემს სიყვარულს შემოდგომის ქალი აღვიძებს. მონესრიგდები და შენ მტყვი, ხომ მოხვალ, კარგო? ტრფობით დაღლილი მე გამოვალ ქუჩაში მარტო. კუნკულა.

• სალამი ყველას. რახანია, ვკითხულობ „გზას“ და „გზავნილებს“. ყველა ძალიან მომწონხართ და მინდა თქვენთან მეგობრობა. თქვენ? თუ ჰო, მომწერეთ. ანი ვარ, 13 წლის. მორიელი.

• ეკლესიაშიც დავდივარ, აღსარებაც ვთქვი, ვეზიარე, მაგრამ მაინც ერთი კითხვა მრჩება უპასუხოდ. რატომ? ძნელია, სადმე ვპოვო სიმშვიდე, როცა ჩემი ტკივილი უსაშველოა. ჩემს სხეულში ახალი სიცოცხლე რომ არ ყოფილიყო,

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილ-ზაციისთვის“ გამოსავან მესიჯის ტექსტი უნდა აკრობოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

თქვენი ოჯახის მკურნალი

ბევრჯერ ვინატრებდი, იმ მანქანაში მეც ვყოფილიყავი, მასთან ერთად სიკვდილიც კი გამაბედნიერებდა და არც შემემინდებოდა. ქვრივი.

• კასკო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო, ჩემო არსებობავ და სუნთქევე! სიგიჟედ მენატრები და მიყვარხარ. ძალიან დავილაღე უშენობით. შენი დარდი მკლავს და მტანჯავს. ჩვენ კარგად ვართ, არაფერი გვიჭირს, ყველა გვერდში მიდგას და ყველა დიდ მოკითხვებს გითვლის. გთხოვ, თავს გაუფრთხილდი. ცხოვრება მერეც ხომ უნდა გავაგრძელოთ. უფალი არ გაგვნირავს და ყველაფერი მოგვარდება. უნდა ველოდოთ. ისე მინდა, თავი მოგადო და შენი სუნთქვა მესმოდეს. ვიცი, გიჭირს ძალიან, მაგრამ ცოტაც გაუძელი. შენი დედიკო და შენი გოგონები კარგად არიან, რა ვქნათ, ვუძლებთ. ხომ იცი, რომ შემეძლოს, მთებს გადავაბრუნებდი. შემოგვევლეთ სუყველა. მიყვარხარ და გკოცნი. ლიკუნა.

• ატარექსია, ჩემი ნომერი მარის ჰკითხე და გაგეცნობი. აუ, მარ, მიეცი ჩემი ნომერი ატარექსიას. მოვიკითხავ თბილი გულით CRAZY GIRL-ს, რუის. მინდა კარგ ხალხთან მეგობრობა. აურა.

• მუკი, არ გეგონოს, რომ დამავინყდი. ეს დღეები ვერ მოვედი, ძაან ცუდად ვარ. გამაგიჟეს, ჭკუიდან გადამიყვანეს. ვისთან წავიდე უკვე, აღარ ვიცი. მენატრები ძალიან და მიყვარხარ.

• გია მინდიაშვილს: გი, ძალიან მენატრები, უშენოდ ჯოჯოხეთში მგონია თავი, არ მასვენებს შენზე ფიქრები. 3 თვე გადის, რაც აღარ მინახავხარ. მე ჭკვიანად ვარ...

• ქვრივო, მეც დავკარგე შენსავით, საყვარელი ადამიანი და ვიცი, რა ტკივილია ეს. ენიგმა, მემე, ემიგრანტი მენატრებიან „გზაში“. მიყვარხარ. მილე.

• ფლამი, მეც ძალიან მიყვარხარ. თოჯინა, შეგეხმებიან. მემე, კლემპატრა, ტირიფი, გრუზი, შეწირული, თოლია, კუტრინა, ლაკვასტ, ძალიან მიყვარხარ და მომენატრები. არ დაგივინყებთ. მილე.

• დედიკო, ვიცი, რა მძიმეა შენთვის ჩემი გამგზავრება მოსკოვში. ჩემთვისაც. მომენატრები. 4 წელი შენგან შორს... არავინ დამიძახებს, მოი მილენა, მოი ლუბიმა...

• დიდი სიამოვნებით გაგიცნობდით. მანანა.

• მუკები, 12 საათია და როგორ მინდა, რომ ჩემებურად მოგილოცო, ჩაგეხუტო, მოგეფერო, მაგრამ რას იზამ... გილოცავ, ჩემო სიცოცხლე, მაგრამ იყავი, გაუძელი! მიკაი და... მენატრები. მომავალ წელს შენ თუ არ მოხვალ, მინდა, რომ ჩვენ მაინც მოვიდეთ შენთან. პაჩი. მარტო არ ხარ, იცოდე. ძალიან მენატრები. დამალა ამ ლოდინმა. შენთან მინდა.

• დათუნა, გთხოვ, არ მოეშვა და იმედი არ დაკარგო. ეს დასკვნა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. თეორიულადაც და პრაქტიკაშიც, სტატისტიკის მიხედვით, შეიძლება ყველა...

• ძაან მინდა, პატარა ნამოვიყვანო შენს სანახავად. გაგახალისებს ცოტა მაინც. თამაშით აუუსსნი ყველაფერს. ნუ გეშინია, არ დაითრგუნება. ძალიან ენატრები.

• აუ, გაზაფხულდაა... რა მაგარიააა, გავისხი ამ ტყავის კურტკას და ამ წინდებს. :) აე, აე, აე! მ-ში თქვენს სადღეგრძელოსაც დავლევ. :) უნუნური.

• აუ, ჩემმა დამ პორტირება გამიჩალიჩა და დამტოვა ატირებულები კი არა და, აბღავლებული. თქვენი თბილი სმს-ები და ნომრები წამეშალა. მიყვარხარ. ფლამინგო.

• გაიხარე, კლემპატრა, ძალიან მიყვარხარ, მოვიკითხავ ლაკვასტს, ედეს, 9717-ს, აურას, კუტრინას, რუისპირს, სანტას, მილენას, ჭრიჭის, გადარეულს, ნაომის, CRAZY-ს, ქაჯების დედოფალს. ფლამინგო.

• სიყვარულით მოვიკითხავ ტირიფს, ნანი დუმბაძეს, უსაყვარლეს გრუზინკას, აბლახანუმსა და ყველა ერთგულ მგზავნელს. ატარექსია მესიმპათიურებო, გაიხარე, გენაცვალე. ფლამინგო.

• მამო, მთელი გულით გგულშემატკივრობთ, გისურვებთ, მალე მოგეგოთ ეს ომი და შენი საყვარელი მეუღლისთვის თავისუფლება მიგელოცოთ, უფალი გვარავდეთ. გაიხარეთ. ფლამინგო.

• მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა. თურმე წინამურთან ესროლეს ილიას. კუნკულა.

• კაკადუ, არ ინერვიულო, ყველა შენთან ვართ და ბოლომდე ასე ვიქნებით. შენ რაც მთავარია, თავს მოუარე და რაიმე ყუათიანი ჭამე, ჩხირისგან თავი რომ დაცივა. კახა.



www.mkurnali.ge



•კაკადუ, ნიკა კაცივიტ ჭამს, დილით სანამ თეამ ჩაიცვა, იოგურტები თვითონ გახსნა და შეჭამა. დღეს ვაკის პარკში მარგალიტ გავიხსენებ. ჩამონა ბიჭოჯან, ჩამონა.

•მუჟი, დღეს ბავშვებმა გამტისკეს. ვაკის პარკში გვყავდა და ის ადგილი გაიხსენა ნიკამ, ფოტო რომ გაქვთ, მტრედებს რომ აჭმევდით. მამიკო როდის მოვა, ჩემი საკვლელო. მიკაი.

•კასკუ, დღეს, მაგრამ ყველაფერი ჩაივლის და უამრავ ლამაზ დღეს აღვნიშნავთ ყველა ერთად. სიცოცხლე, ყოველდღე რომ მოგწერო, როგორ მიყვარხარ და მენატრები, ჩემი მონატრება მაინც უფრო მეტი იქნება. გეხვეწები, თავს გაუფრთხილდი, აქაურობის დარდი არ გქონდეს, ყველანი კარგად ვართ. როგორც იქნა, ჩაიარა ჩვენი ცხოვრების ყველაზე ციფრა და საშინელმა ზამთარმა, ასე ჩაივლის ეს მოლოდინი და ყველაფერი კარგად იქნება. გკოცნი უამრავს. ქეთი.

•გულთამხილველო, მომეცი ძალი შენთან ერთობის, მოეცი მაღლი, გამიადვილე სევდა ვერთობის, მე ხშირად ვფიქრობ, იქნებ შენს ნებას მე არ ვემხრობი, ალბათ ამიტომ ძლივს ნამომდგარი ისევ ვემხობი... გულთამხილველო, მე ცოდვა-ბრალი კვლავ შენთან მომაქვს, მე მასზე ვფიქრობ, ამდენი ტანჯვა-წვალება რომ აქვს, მე ჩემს თავს არ ვგრძნობ, ჩემს ნებას გავცემ მისთვის საჩუქრად, განა გრძნობას ვთმობ, ნების დამთმობა იგრძნოს საკუთრად.

•ჩემმა ბიძაშვილმა თქვენს ჟურნალში გაიცნო კამი, მოხუცი, ეთო. ისინი ძალიან უყვარს და სულ მათზე ლაპარაკობს, ყოველდღე ემეხივება. მარი, შენც ძალიან უყვარხარ. მე რომ გავიზრდები, სულ უნდა ვწერო. ლუნას სულ „პასტა“, ფურცელი და ტელეფონი უჭირავს ხელში. ლუნას წერილებს ვწერ ხოლმე და ის ინახავს. ჯოჯია.

•მარ, იცი, ნაომიმ ფლამინგოს ჩემი ნომერი გამოართვა, გავიცანი და რა საყვარელია, იცი?

•ASLEY, თოლია, ენიგმა, კამელია, SKO-RPION GIRL, ჯეჯე, ნერტის, პატარა მანე,

ნონ სტოპ, ლალოლა, ბოტოტა, ლეო91, ათენი23, სესი, აბეზარა... სად ხართ, ხალხო? CRAZY GIRL.

•მარ, ჩვენი უსაყვარლესი SWEET GIRL მართლა გათხოვდა? რა ვიცი, რა ვიცი, ნაომიმ მითხრა დაა... :) თუ მართალია, უუუდიდეს ბედნიერებას ვუსურვებ! CRAZY GIRL.

•გამარჯობა, მარი, დიდი ხანია თქვენი მკითხველი ვარ და პირველად გწერ. რამდენიმე წლის წინ ერთი გოგო გავიცანი ტელეფონით. მომეწონა და ნაჩქარევად მივიღე გადანწყვიტლება. გაცნობიდან მე-4 დღეს გადაწყვიტეთ გაპარვა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე თავდაყირა დადგა ყველაფერი, ოჯახთან მის გამო ვიკამათე. ვარჩიე, ქირით გადავსულიყავით და ცალკე მეცხოვრა, მაგრამ სიმამრა თავისთან წამიყვანა საცხოვრებლად. მის გამო ყველასთან გავწყვიტე ურთიერთობა. მამის თხოვნით დავბრუნდი სახლში, მაგრამ მალე ჩემს მუუღლესა და ჩემს დას შორის ისევ დაიწყო ომი. ერთმანეთს საშინელ რაღაცებს აბრალებდნენ. სახლიდან კვლავ წავიდი, დედ-მამასთან საბოლოოდ გავწყვიტე კავშირი, მაგრამ მალე მოხდა ის, რასაც ვერ წარმოვიდგენდი. მან მილატა და ამით ჩემი სიყვარული მოკლა. მეორე დღესვე დავშორდი და ჩემი ბედნიერი ცხოვრება აქ დამთავრდა. ამ ამბის მერე ცხოვრება აღარ მინდა...

• როგორ შეიძლებაოდა ძილი იმ დროს, როცა შენ გეძინებოდა... მაშინ უნდა მეფხიზლა და შენი სუთქვისთვის მედარაჯა... როგორ არ უნდა მომნატრებოდი მაშინაც კი, როცა გხედავდი ან როგორ არ უნდა ჩამღვროდა სულში სითბო, როცა შენ გამიღიმიებდი და საერთოდ, რა არის სიყვარული? ის ყველაზე დიდია და წრფელი, ყველაფერს არ შეიძლება ვუნოდებდეთ სიყვარულს. მაშინ ხარ ნამდვილად შეყვარებული, როცა ვერ ხედავ, გაგახსენდება და გათბობისთვის ესეც კმარა, თორემ ისე შეიძლება უცხოზამთარს გაგათბოს ჩახუტებით და როგორია სიყვარული? მარადიული... რას ნიშნავს მარადიული? როცა დრო, მანძილი და სიკვდილიც კი ვერაფერს აკლებს, დროის მიუხედავად კი არ ნელდება ეს გრძნობა, პირიქით — ძლიერდება, მონატრების მოლოდინით. ქვრივი.

•რა ვი, რამე მინდა მოგწერო, მარ, და მეც არ ვიცი, რა... რომ მიყვარხართ, გითხარი? უი, ეგ ხომ უკვე იცით.

•გამარჯობა, 5 კილო თოვლი კი არა და, როგორ ხართ? რა მაგარი ამინდებია, არა? დილით თოვლიანი ზამთარი, შუადღით გაზაფხულ-ზაფხული, საღამოს — შემოდგომა. მაგადია, არა?

•ტელეფონით ბიჭი გავიცანი. შეგვიყვარდა ერთმანეთი. მთხოვს, უშუალოდ აღარ შემიძლია, ცოლად გამომიყვებო, მაგრამ მე პრობლემა მაქვს — ავნიდანვე ვარ დანიშნული. ვიტანჯები. დამეხმარეთ.

•გამარჯობა, „გზის“ ამ რუბრიკას

ხშირად ვკითხვობ და სხვათა შორის, ბევრმა ამბავმა დამაინტერესა. არ ვიცოდი, მომწერო თუ არა, მაგრამ დახმარება საოცრად მჭირდება. ზაფხულში გავიცანი ბიჭი — დაქალები ვიყავით ზღვაზე და ერთ-ერთ საღამოს გავიცანი დათო. თავიდან ყურადღება არც მიმიქცევია, მაგრამ თვითონ ძალიან ყურადღებიანი იყო. მეც მესიამოვნა ეს ყურადღება. ერთ საღამოს მითხრა, მომწონხარო, მე კიდევ, ბიჭის ხამივით ვუთხარი, მეც-მეთქი. ეს ურთიერთობა იმდენად ლამაზი იყო, რომ შემეყვარდა კიდევ. ზღვიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ სხვა ჰყვარებია და მე დამშორდა. მაშინ უკვე მართლა საოცრად მიყვარდა. მე კი მთელი, ზღვაზე რატომაც იქცეოდა ისე, მაგრამ რა ვქნა, რომ ცხოვრებაზე მეტად შემიყვარდა?

• იმ ღამეს გაავდა ბუნება. ამაღამ ბიჭები დაჩნდებიან, გამაგრდით, გოგონებო, — გვამხნევენა ბებიას. ვიცოდი, დილით ჭორიკანა დედაცაქვები ერთ-ერთის ოჯახში ღუმელს შემოუსხდებოდნენ და წინა დღის ახალ ამბებს განიხილავდნენ. — ნუხელ ქვეთარაძეებს რა თოფის სროლა აუტყდათო? — ცხვირმოჭმუნით იკითხავდა ერთი. — საცოდავ თამროს მეორეც ბიჭი შეეძინა. ამხელა ოჯახს როგორ გაუძღვებო? — შემიბრალებდა მეორე. — ეგ ისეთი ძლიერი სულისაა, სიპ ქვანზე რომ დასვა, იქაც იცხოვრებსო. — მოიცა, რა?! მალე ვნახავთ შიმშილით ატირებულსო, — იტყობდა მესამე, მხოლოდ იმიტომ, რომ მასაც ხომ რაღაც უნდა ეთქვა. ვისთვის ძლიერი და ვისთვის მშიშარა ვიყავი, ამას ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. 9 მარტის ღამეს სამყაროს უფრო მეტი სიამაყით გადავხედე. უკვე ორი ქართველი ვაჟკაცის დედა ვიყავი. მას შემდეგ დაგვიფინებთ, დაგკანკალებთ, დამივაჟკაციდით, ომშიც ბევრ მტერს დაუბნელეთ თვალები, მაგრამ ჩემთვის ისევ... 21 წლის ბიჭი ხარ უკვე, მაინც ვამბობ — არ გაცივდეს ბავშვი. ლაშა, დაბადების დღეს გილოცავ. კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცე. თამრო. P.S. მარი ჯაფარიძე, იხარე, იმრავლე. ბედნიერებას გისურვებ.

• ვნებათა მონებად ქვეულებს არამცთუ საღვთო კანონთა სასჯელის არ ემინიანთ, არამედ ამ კანონებს ურცხვად, აგდებით ექცევიან. ისინი ამახინჯებენ მათ და თავისი ვნებების მიხედვით ცვლიან. ვნებისმიერი ცდომის პატივისცემითა და სიყვარულით, როგორც გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს, ბოროტს, ეშმაკს არათუ საძრახისად არ თვლიან, არამედ ეშმაკი ღმერთად სურთ მიიჩნიონ. მათ შესახებ სამოციქულო კანონი ამბობს: ნურავინ წაიღებს სახმარებლად განწმენდილ ოქროს ან ვერცხლის ჭურჭელს, ან კრეტსაბმელს, რადგანაც ეს არის უკანონო, ხოლო თუ ვინმეს ემხილება ამის ჩადენა, ის უზიარებლობით უნდა განკანონოს... ვინც

უყუჩაბთ! www.palitra.ge PALITRA TV-RADIO ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!

თავის უსჯულოებას ამართლებს, ამბობს: ჯეროვანი არ არის განკვეთის... ღირსად მივიჩნით ის, ვინც წმინდა ტრაპეზის თავის თავისადაც სამოსელს თავის სამოსლად ან სარტყლად იხმარს, გინდ სარეცლისათვის და არა მარტო ის, არამედ ისიც კი, ვინც თავისი საჭიროებებისათვის მოიხმარს წმინდა ბარძიშს, პატიოსან ფეშხუმს და სხვა მათ მსგავსს თვითონ გამოიყენებს და უბრალო ხმარებით წაბილწავს. იმათი სიტყვით ეს კანონი თითქოს იმას ამბობს, რომ ამ დანაშაულის მოქმედი განიკანონებიან მხოლოდ უზიარებლობით და არ ისჯებიან განკვეთით. მაგრამ ვინ აიღებს თავის თავზე ამდენ ცოდვას? უსჯულონი განკვეთისაგან ათავისუფლებენ წარმტაცებლებსაც, სინმინდეთმკრეხელებსაც და იმათ, ვინც წმინდათა წმინდა შეიგინა და აგრეთვე თავისი უსამართლო მსჯავრით განკვეთის გარეშე ტოვებენ იმათ, ვინც სანოვანისთვის ხმარებით თავისადაც ფეშხუმსა და სამღვდლო ბარძიშს წაბილწავს მამინ, როდესაც უეჭველია ამ საქმის სიბილწე და ცხადია, რომ ამის მოქმედი არამც თუ მხოლოდ განიკვეთებიან, არამედ უკიდურესი უღვრთობის დანაშაულში ჩაცვივდებიან. ამისთვის წმინდა კრებამ განსაზღვრა, რომ ვინც წმინდა ბარძიშს, ფეშხუმს, მარნუხს (საზიარებელ კოვზს), საკურთხევის სამღვდლო შესამოსელს, პერქელს ანუ ცას ან საკურთხევის შიგნით სამსახურებელ ყოველგვარ წმინდა ჭურჭელს ან შესამოსელს თავისი სარგებლობისათვის მიიტაცებს ან სინმინდეთა გარდა სხვა რამისთვის იხმარს, ის უნდა დაისაჯოს სრული განკვეთით, ვინაიდან ერთი მათგანი სინმინდეთმკრეხელობაა, ხოლო მეორე — შეგინება. ვინც საკურთხევის გარეთ მყოფ საეკლესიო ჭურჭელს ან ნაქსოვს სინმინდეთა გარდა თავისთვის ან სხვისთვის მოიხმარს, მათ კანონი უზიარებლობით დასჯის. მე შემძრა წმინდა ტაძრის გაძარცვის ფაქტმა... ლაკვასტი.

• ზარები რეკენ, ყური დავუგდოთ, ივერიელნო, მცნობელნო უფლის სიტყვისანო, დავითიანო, გელათიანო, დიდგორიანო. რა დავგმართინა, ზარები რეკენ, ყური დავუგდოთ, ივერიელნო, მცნობელნო უფლის სიტყვისანო, თამარიანო... ლაკვასტი.

• ქაჯების დედოფალო, გაიხარე. შენც ძალიან საყვარელი ხარ. მიხარია, რომ დაბრუნდი. მიყვარხართ. კამ-კამა.

• ვაიმე... უკვე 7 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ძაალიან ბედნიერი ვარ, ოღონდ არ ვიცი, რატომ. ძალიან მიყვარხართ ყველა. ვვ... ჩემი სუნთქვა ხარ. გაკოცეთ. კამ-კამა.

• ვილაცას ჰგონია, ელიან კვალვაც.../ ვილაცა ამბობს, რომ ბოდვავა/ ვილაცა თანხმობით თავს კრავს და/ ვილაცაც ამბობს რომ ცოდვავა/ ვილაცა ფეხბურთის მაგარი ფანია/ ვილაცა დარდებს კლავს სმაში/ ვილაცამ ქართველ კაცს არჩია ვანია/ ვილაცას შიში უჩნდება

ხმაში.../ ვილაცა ჩამქრალ ცეცხლს უბერავს სულს/ ვილაცა სიბრაზით უწყრება მულს/ ვილაცა ვილაცას სთავაზობს გულს/ ვილაცა სანაცვლოდ მოითხოვს ფულს/ ვილაცა კაცობას იჩემებს/ ვილაცას არ სჯერა ამის/ ვილაცას ოცნება აფრენს და/ ვილაცა ფიქრებმა შეშალოს ლამის.../ ვილაცას სატრფო ლალატობს/ ვილაცა ამბობს, რომ მცდარია/ ვილაცა ერთისთვის ცხოვრობს და/ ვილაცაც იმისთვის მკვდარია/ ვილაცა ვილაცას სწერს და/ ვილაცას ჰგონია უკვდავი.../ ვილაცაც მაგრობს ჩემობს და/ ვილაცას თეთრი ჰგონია შავი.../ ვილაცამ ოცნებით გაუსწრო ქარებს/ ვილაცამ ცხოვრება მიუძღვნა ქალებს/ ვილაცა ამბობს — „სიკვდილი ბოზებს“!/ ვილაცა ამბობს — „სიცოცხლე ლოთებს“!/ ვი-

ლაცა ოცნებით ცხოვრობს და/ ვილაცა თოვლივით ქრება/ ვილაცა მიდის, აღარ ბრუნდება/ ვილაცაც მის ნაცვლად რჩება/ ვილაცას დარდი ჰკლავს/ ვილაცას — ინფარქტი/ ვილაცა ცილს სწამებს მართალს და/ ვილაცას აოცებს ეს ფაქტი/ ვილაცა ჩემს ლექსებს ეტრფის და/ ვილაცას არ უღირს არად/ ვილაცა არ მომწონს მეც და/ ვილაცაც ჩემს გულში იქნება მარად... ლუნა.

• „გზის“ ფანო, უღრმესი მადლობა, ჩემო კარგო, უზომოდ გამახარე! გაიხარე, კლეოპატრა, CRAZY GIRL, მეც მიყვარხარ და მენატრები, ჩემო კარგო. მოკითხვა აურას და ყველას, ვისაც ვუყვარვარ და ვახსოვარ. P.S. წინა სუთმებათს „გზაში“ დაბეჭდილ ჩემს ლექსებში შეცდომა იყო გაპარული. გოცნით





და მიყვარხართ! ლუნა.

• კარგა ხანია, „გზავნილების“ სენით ვარ შეპყრობილი, მაგრამ ვერ ვბედავდი, რაიმე მომენერა თქვენთვის. როგორც იქნა, გავბედე... დანაშაული, რომელიც მოსვენებას მიკარგავს, 2 წლის წინ მოხდა, ერთ-ერთ ზღვისპირა ქალაქში... სექტემბრის მშვენიერი დღია გათენდა... მზე თავის მცხუნვარე სხივებით გამეთამაშა დილიდანვე. ადრევე ავდექი, რადგან იმ დღეს თბილისში უნდა ნავსულიყავი, მანამდე კი ზღვა უნდა დავმშვიდობებოდი, რომელიც უსიტყვოდ მიგებს სიხარულსა თუ მწუხარებას. ჩემი საყვარელი ბებია გადავკოცნე, ჯერი ბაბუაზე მიდგა, ჩავესუტე, გადავკოცნე. მან კი ყურში ჩამჭურჩულა: ბა, ძან ცუდი ნინათგრძნობა მაქვს, ასე მგონია, რომ დიდხანს ვერ გავატანო. ამ სიტყვების გაგონებისთანავე გაწინმავალი და მაგრად ვეჩხუბე. გაბრაზებული ისე გავიქეცი, რომ უკან არ მომიხედავს, რადგან არ მინდოდა, ბაბუას ჩემი ცრემლები დაენახა... ჭიჭკართან უკანასკნელი სიტყვები მომენია: ბა, ძალიან მიყვარხარო... ჩავედი თბილისში და დავინწყე თავდაუზოგავი მეცადინეობა. ერთი კვირა გავიდა, ჩემი ქალაქსა შინა ჩამოსვლის შემდეგ, მე კი უკვე დატვირთული გრაფიკი მქონდა. ერთხელაც, უნარებზე მიმავალს, ტელეფონმა დამირეკა. დედიკო მირეკვდა, რომელიც ცოტა ხნით ზღვისპირა ქალაქში დარჩა. ყურმილი ავიღე (ნეტავ არ ამელო). დედიკომ გამაფრთხილა, თუ დგახარ, დაჯექიო. გავიცინე, ასეთი რა უნდა მითხრა-მეთქი? რა და, ბაბუაშენი გარდაიცვალაო... მეგონა, იქვე მოვკვდებოდი... ჩემ გარშემო სამყარო გაჩერდა... გულმა ვეღარ დაიტია ეს უზარმაზარი ტკივილი და ამოხეთქა... მე არაფერი მასხოვს. გონს რომ მოვედი, გამვლელებმა მითხრეს, არანორმალურად ყვიროდი, — ბაბუა, მიყვარხარ და მამატიეო... ვერ მოვასწარი, ეს სიტყვები მისთვის მეთქვა, რადგან საშინლად ჯიუტი ვარ და ვერ დავუშვი, რომ ბაბუამ სიმართლე მითხრა... ამიტომაც არ დაფურეკე... მას შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა, მე კი

საშინლად ვგრძნობ თავს. ალბათ დანაშაულის შეგრძნება მთელი ცხოვრება გამყვება... როცა ბაბუას სურათს ვუყურებ, ჩუბად ვეფერები, ჩემი გული კი მხოლოდ ამას გაიძახის: მიყვარხარ... მამატიეო... იმედია, ამ უბადრუკ გზავნილს „გზის“ ფურცლებზე ვიხილავ... თუ არა და, იმითაც ბედნიერი ვარ, მარია-მულს რომ მოვუყევი...

• აურა, გმადლობ, გენაცვალე, მოკითხვისთვის. ქ-ნო ნანი, თქვენი სიტბოთი მახარებთ, დიდი მადლობა ამისთვის. გაიხარეთ. კლეოპატრა.

• ჩვენო მგზავნელო, შემძრა შენმა სმსმა. რა მოხდა, საყვარელო, ასეთი, სიკვდილი რომ მოგანდომა? ამაზე არც იფიქრო. იქ უარესი ჯოჯოხეთი და უფლის სამსჯავრო გელის. არ მგონია, იქ შეგება იგრძნო. მესმის შენი, ისიც მესმის, როგორ გიჭირს, მაგრამ უნდა გამაგრდე. უფალი არ მიატოვო და არც ის მიგატოვებს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, ჩემო კარგო. ტაძარში იარე და ნახავ, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. უფალს ებარებოდე. კლეოპატრა.

• ყველაფერი გვიანია უკვე, მე კი ახლა მინდა აღმაფრენა, ჩვენს ქალაქში სიმშვიდე რომ სუფევს, ამით არაფერი გადაარჩენა. ქარი ისევ ეფერება ფოთლოს, თითქმის უნდა სიყვარულზე უთხრას, ახლა სევდა უსასრულოდ მოთოვს და ოცნებაც უკვე აღარ სუნთქავს. მუზა გავადვიძე, თუმცა არ უნდოდა. (კლეოპატრა).

• გამარჯობა, მარი. დღევანდელ დღეს გილოცავ და გისურვებ, გაზაფხულივით ლამაზ, უამრავ წელს. ძალიან მიყვარხარ და გკოცნი უამრავს, შენი გრუზინკა.

• ერთი მემუქრება, შენზე უნდა დავწერო „გზაში“, როცა დავბრუნდებიო, თუმცა არ ვიცი, ცუდი უნდა დაწეროს თუ კარგი. ამიტომ დავასწრებ და მასზე მე დავწერ სიმართლეს. გრუზინკა.

• ამ ბოლო დროს ჩემს სიმშვიდეს ბოლო მოეღო. ვიყავი ჩემთვის წყნარად და უცებ, ნაომი გაჩნდა... ჩემს ცხოვრებაში სიტბო, სინათლე და უამრავი სიხალისე შემოიტანა. გრუზინკა.

• ნანი ბებო, მადლობააა. ქაჯების დედოფალო, სინდისი მაგარი რალაცაა. :) მე მიყვარს გია ხაფთანი. ამას ქეთო და ბადრის ბუში მიხვდება მარტო. ისევ უშნოდ ეპლარწუნებიან ჩემზე ზოგიერთები. P.S. მე დავბრუნდები, გრუზინკა. ლაკვასტ, ვაი, შენ რა გითხარი... ფისომ დაფისოს ტუალეტში. მარი, არ მოგენატრე? ნაომი.

• მარ, ოდნოში სტატუსზე დავწერე — შევხდები ქალს, ვისაც ექნება ძველი „გზის“ ნომრები. :) ლეზბები მეფეთებიან და მეძლევიან. :) ტაკ ჩტოო... ყველას არ უნდა გაუცინო.

• ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა — ნაომი ვირტუალურ სამყაროში და რეალში, მგონი ვხდები, ვინც უნდა იყოოს. რა უნდა, კარგად კი გამოუ-

ვიდა. დორბლიანი მუტანტი.

• და თქვენ გგონიათ, რომ ყოველთვის ასე არ ხდება? მიყვარხართ. ახალი ვარ და მინდა გაგეცნოთ, სულ ვკითხულობ „გზას“ და მართლა მაგადია.

• როგორაა ჩემი საყვარელი მარია-მული? წელს პირველად, ძლივს არ ვიხილე ჩემი პანტუკა სმს? :) აურას ვაკოცევეო! მოკითხვა ფლამინგოს, გიჟბოუტას, კაჭკაჭს... CRAZY GIRL.

• თემასთან დაკავშირებით ერთს ვიტყვი მარ, ტელეფონით დანყებული ურთიერთობა ყველაზე დიდი სისულელეა ამქვეყნად. ფიფქია.

• მადლობელი დაგრჩები, მარ, თუ დამიბეჭდავ. კარგი ადამიანი ხარ და გაფასებ. ფიფქია.

• ატარექსია, შენი გაცნობის სურვილი გამიჩნდა. რა გქვია? გადარეული.

• მე ტელეფონით გავიცანი პიროვნება, სხვათა შორის, თქვენი მეგობრები. ძალიან მიყვარს ზაზა (სახელს ვცვლი). ზაზა, გთხოვ, შემირიგდო... სადაა ის ზაზა, რომ გიყვებოდა ჩემზე? ჭკუიდან გადავალ, მინდა ისევ ჩემი ქმარი გერქვას, სიყვარული მართლა შემძლებია. ზაზა, დამიბრუნდი, მიყვარხარ სიგიჟედ, დამირეკე. შენი ცოლუკა, დიკი ანგელი.

• რა ცოტა სჭირდება ადამიანს, რომ ბედნიერი იყოს. ფიფქია.

• არც პოეტი ვარ, ვერც გალაკტიონს ვერ შევედრები, უბრალოდ მე ვწერ ჩემი გულის გამოძახილებს, ამაზე მეტს მე ცხოვრებაში არ გვედრები, გამილიმე, გული ტირილს რომ დააპირებს. არც პოეტი ვარ, არც შეფასებას მოვიტხოვ შენგან, უბრალოდ ერთხელ ჩემი გრძნობები გადაიკითხე, მე ხომ წავედი, მე სამუდამოდ წავედი შენგან, მე შენს თვალბუბოში სიბრაღულიც ვერ ამოვიკითხე. არც პოეტი ვარ, ვერც გალაკტიონს ვერ შევედრები, უბრალოდ გრძნობებს სტრიქონებად ვტოვებ ფურცლებზე, მაშინ გიპოვე, როცა ჩემთვის მუზას ვეძებდი, ნეტავ ახლა ამ უშენოდ ყოფნას ვუძლებდე. კლეოპატრა.

• გამარჯობა, მარი! ძალიან დიდი მადლობა, ჩემი წერილის გამოქვეყნებისთვის. ჩემს ძმას სჭირდება ლვიძლის გადანერგვის ოპერაცია, რომელიც ბელორუსიაში ჯდება 45 ათასიდან 50 ათას დოლარამდე. გაყვიდე ჩემი რძლის მშობლების სახლი, მაგრამ ეს ფული სანახევროდ არ გვყოფნის. ჯანდაცვას და სხვადასხვა ორგანიზაციას მივმართე დახმარებისთვის, მაგრამ ყველა გვეუბნება, ამ საკითხს განვიხილავთ ან ეს ჩვენს კომპეტენციაში არ შედისო და ასე ვწვალბობთ. ბანკში გავხსენი ანგარიში. ძალიან გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება, თანაგრძნობა, გამოგვიწოდეთ დახმარების ხელი და გამომიქვეყნეთ ანგარიშის ნომერი: გე10თბ7733536512500006. დიდი იმედი მაქვს, თქვენი თანადგომისა და მხარში ამოღების, ჩემო ძვირფასო მარი და

უყუჩაბი!
www.palitrav.ge
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და აჩვენებს პალიტრა!

მგზავნილებო. ჩემი ძმა არის 45 წლის, ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. მშობლები პენსიონერები არიან. გვეხმარება ყველა, ახლოლები, მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობები, მაგრამ ეს ჯერჯერობით ზღვაში წვეთია. ოპერაციას რაც უფრო სწრაფად გავუკეთებ ჩემს ძმას, გადარჩენის შანსი უფრო მეტი აქვს. წინასწარ გიხდით მადლობას. ღრმა პატივისცემით, ნონა ქარჩავა.

• როგორც კი თემას ჩავხედე, იმწამსვე მივხვდი, რომ ეს რაღაც ისეთი თემა იყო, აღმსარებლური. ჰოდა, გადავწყვიტე, მომენერა. საერთოდ, ზამთარი ახალ წელთან ასოცირდება, ახალი წელი კი გართობასთან. 16 წლის ბავშვს რაღა ტვინი უნდა მოსთხოვო? როგორც დედა იტყვის ხოლმე, ერთი ცხვირმოუხოცავი, თავხედი ლანჩირაკი ვარ, რაც მთავარია — გიჟი. წელს მომინდა რატომღაც, რომ ახალ წელს ყველაფრისგან შორს შევხვედროდი. არც მობილური მინდოდა, არც ფეისბუქი, არც სწავლა და საერთოდ, არც კომპიუტერი. მშვიდად მინდოდა ახალი წლის შეხვედრა, მარა მე რის გიჟი ვიქნებოდი, 2011 წელს ექსტრაორდინარულად რომ არ შევხვედროდი? საგარეჯო მივატოვე და წავედი სოფელში, ბებოსთან და პაპასთან. 30-ში და 31-ში, მამას ბევრი „ხლაპუშკა“ ვაყიდინე, მახალბედასთან ერთად. პაპა მყავდა 78 წლის, სკლეროზიანი. არავინ ახსოვდა, ჩემ გარდა და სოფელში როცა ჩავიდოდი, მეტყოდა ხოლმე, ვაა, სალომე, ჩემს სანახავად მოხვედრო? მეც გავუღიმიედი, ვაკოცებდი და ვეტყოდი, კიი, აქ ვარ, შენთან-მეთქი. 31-ში იმდენი ვიგიჟე, სანამ ბებოს მოთმინების ძაფი არ გაუნყდა და სულ წყველა-კრულვით არ ამიკლო, რა ხართ ეს თაობა, არც უფროსები იცით და არც ზრდილობა გაქვთო. არ გაინტერესებთ, ჩხუბისა და ლექციების მიზეზი? ახლავე მოგასწავლებთ: საღამოს, როცა ყველა ახალი წლის შესახებ ვეძარად ემზადებოდა, იქამდე კი 3-4 საათი იყო დარჩენილი, იმის მაგივრად, რომ ტელევიზორისთვის მეცქირა, ათასგვარ სიგიჟეს ვიგონებდი: ჯერ იყო და, 1 შევეკრა „ხლაპუშკები“ შევეყარე საქათმეში. უნდა გენახათ, ბუმბულები სულ აქეთ-იქით ცვიოდა. ბებოს ქათმების კრიახი რომ მოესმა, მივიდა, ნახა და გოგირდის სუნი იყნოსა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე და პარგადაც გამომლანძლა. მერე იყო და ღუმელზე შემოდგმული ცხელი წყალი დაფუქციე და ბოლო, დამავიკრივინებელი აკორდი კი ყველაზე უფრო ცუდი გამოვიდა. 31-ში ღამე, 12 საათზე, მაშინ, როცა მე აივანზე ვიყავი და მამხალბეების გასროლას ვაპირებდი, პაპას უთქვამს ბებოსთვის, ტუალეტში გამიყვანეო. ტუალეტი კი აივანთან ახლოსაა. შეიძლება ითქვას, რომ სულ იქვეა, ეზოს ბოლოში. როცა პაპა ტუალეტში შევიდა, 12 შესრულდა და ატყდა ბათქაბუთქი. ტუალეტის სახურავს

სულ ლანალუნი აუტყდა. ვინ იკლოუნა? რა თქმა უნდა — მე. თურმე კაცი კითხულობს, რა ხდება, ომი იწყებო? შეშინების მაგრადა. ბებო იმ ღამეს სულ წამლებით დარბოდა. მე კი მშვიდად და აუღელვებლად მეძინა. დღევანდელი გადასახედიდან ეს ახალი წლის ღამე მოსვენებას მიკარგავს, თუნდაც იმიტომ, რომ 2 კვირის წინ დავკრძალეთ პაპა... P.S. პაპაა, მიყვარხარ და მენატრები. ვიცის, რომ სადაც უნდა იყო, იქიდან მიგულმემატკივრებ. P.S.S. ახალი ვარ და თქვენთან, ყველასთან მეგობრობის სურვილი მაქვს :) ტალკერ.

• მარ, ისევე მე ვარ. :) იმედია, არ შეგანუხე ამდენი გზავნილით... მარ, მინდა გითხრა, რომ ვამაყობ შენით და შენი რედაქციით, ასეთი საინტერესო სტატიები, გულახდილი საუბრები და „გზავნილები“ რომ გაქვთ. მე ვხშიანები გელა 19-ს, რომელმაც ძალიან დაუფარავად ისაუბრა თავის ცხოვრებაზე და გელა ამით ვამაყობ, რომ ასეთი სალი მოაზროვნე მყავს ერში. :) ბიძაჩემია ნარკომანი (ამის არ მრცხვენია), მაგრამ გაგიკვირდებათ და ყველაზე მეტად ამ ადამიანს ვუგებ, იმიტომ, რომ კარგი ადამიანია... მაგრამ ამაზე მოგვიანებით... :) გელა, გულით მინდა შენთან კარგი ურთიერთობა... მინდა, სულში ჩავხვედე და სულიერად გედგე მხარში, როგორც ბიძაჩემს, თავის დროზე, სანამ 4 წლით თავის ე.წ. „სახლში“ გამოკეტავდნენ. :) ამაზეც მოვიანებით. :) გელაა, გულით გთხოვ დამიკავშირდე ან შენი ნომერი დამიტოვო... გკოცნით და გეუტყებით... თქვენი ტკბილი. იცხოვრეთ, სანამ დროა! :)

• მოგესალმები, მარიამ... როგორ ხარ? როდესაც ნავიკითხე მომდევნო თემის შესახებ, 5 წუთი გავშრი და გამიელვა თავში აზრმა, რომ ეს თემა ჩემს პრობლემებზეა. არც ვიცი, პრობლემა დავარქვა თუ გაურკვევლობა... ახლახან გავიცანი ერთი ადამიანი, დათუჩა, ოღონდ ცოტა უცნაურ სიტუაციაში...



გილოცავ!

• მარი, შეიძლება? სულ ერთი წუთით, რა, 8 მარტი მინდა მოგილოცო შენ და მერე, ყველა მგზავნელ მანდილოსანს. ყველას გეფერებით. ოლეგარიო.
• საყვარელო ბებო, ჩვენო ბაბილინა, გილოცავთ 8 მარტს, დაესწარი მრავალს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნით, იაკო და ივიკო.
• ჩემო საყვარელო მეუღლე, გილოცავ 8 მარტს, ჩემო ფერია. შენი მეუღლე,

შენი კახა.
• მერაბ კუპრაშვილი, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, თავისუფლებას და უღვე სიხარულს. გვარავდეს ღმერთი. მანანა.

• 13 მარტს ვულოცავ დეიდაჩემს დაბადების დღეს! მინდა, ბედნიერი იყო! თეკლე-ქუეენ.

• კაკადუ, გილოცავ დაბადების დღეს. მაგრად იყავი, თავს გაუფრთხილდი. გვიყვარხარ ყველას, ილიკო. ჩემ შიშონ გეფიცები.

• 8 მარტს ვულოცავ ქუთაისის ავტოქარხნის უმშვენიერეს მანდილოსნებს: თამარ ჯინვაძეს, თამილა ლაშხიას, ზოია ჭელიძეს, ნინო უგულავას, თინათინ დგალიშვილს. ოლეგარიო.

• ქუთაისის ავტოქარხნის დაცვის სამსახურის მუშაკები 8 მარტს ვულოცავთ ამავე სამსახურის უმშვენიერეს ქალბატონებს, მედეა ლურსმანაშვილს და ცილა კანდელაკს. ოლეგარიო.

• მედიკო ნაროუშვილს 8 მარტს ულოცავს ირაკლი კომხიანი, ფოთიდან. ვუსურვებ ყველაფერს სასიკეთოს. ასევე ვულოცავ მარინა ნაროუშვილს, პატივისცემით. გისურვებ ყველაფერს კარგს.

• კასკუ, ჩემო ძვირფასო, დაგვიანებით გილოცავ სალის დაბადების დღეს, უფალმა მრავალს დაგასწროს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ვიცო, დარდობ, ჩვენთან რომ არ ხარ. ქეთი.

ჩემს თვალსაზრისით გოგოს, ხატია ნიკლაურს ვულოცავ 8 მარტს — დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, ჩემო ლამაზო. გკოცნი, მონატრებულნი მათა დეიდა.

დათო წინიკაშვილი, გილოცავ დაბადების დღეს. საჩუქრად ჩემი შენდამი სიყვარულით საესე გულს გიძღვნი. მიყვარხარ, დათიკო. შენი თავნება.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

ის, რას აქაბდა არ ისოდით...

• განას (აფრიკა) სახელმწიფოში დიდი ყურადღება ექცევა კვირის დღეებს. თითქმის ყველა ბავშვი, პირველ ან მეორე სახელად კვირის იმ დღეს იღებს, როდესაც დაიბადა. მა-



გალითად, კოფი ანანის სახელი „პარასკევს“ ნიშნავს; „ჩელის“ ფეხბურთელის — მაიკლ კოჯო ესიენას „ორშაბათი“ (კოჯო) ჰქვია.

• XVIII (18) საუკუნეში გერმანიის ქალაქ ბადენ-ბადენს მხოლოდ ბადენი ერქვა. კურორტად გადაკეთების შემდეგ, ხალხმა BADEN IN BADEN შეარქვა (ქალაქი ბადენი რეგიონ ბადენში), რადგან შვეიცარიისა და ავსტრიის ბადენისგან გაერჩიათ. ქალაქს ორმაგი სახელი 1931 წელს ოფიციალურად შეერქვა.

• მოგზაურობისას ტურისტებს ღირსშესანიშნავი ადგილებიდან „სამახსოვროს“ წამოღება უყვართ. ამით სერიოზული საფრთხე ადგება ისტო-

რიულ ძეგლებს. ამიტომ სპეციალურად ტურისტებისთვის საბერძნეთის მერიის გადაწყვეტილებით, ღირსშესანიშნავი ადგილების გარშემო მარმარილოს ნატეხებს ყრიან.

• 1865 წელს პრეზიდენტი — აბრაამ ლინკოლნი ჯონ ბუტმა თეატრში მოკლა. ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, ბუტის ძმამ — ედვინმა სარკინიგზო ლიანდაგებზე სიკვდილისგან იხსნა ლინკოლნის ვაჟი — რობერტი.


• Isaf-ის მონაცემებით, წელიწადში 50-80 ზვიგენი ესხმის ადამიანს. აქედან 10 შემთხვევა ტრაგიკულად სრულდება. ადამიანი (საკვებისთვის) წელიწადში 100 მილიონ ზვიგენს ხოცავს.

• XIX საუკუნეში, მოდის მიმდევარი ქალიშვილი სახეზე ფერმკრთალი უნდა ყოფილიყო. ამისათვის, გასათხოვარი გოგონები მეჯლისამდე მთელ დღეს შიმშილობდნენ, კორსეტებს მაქსიმალურად იჭერდნენ და წყალგარეულ ძმარს სვამდნენ.



• გერმანიის ქალაქ ჰამბურგში ყველაზე მეტი (2300) ხიდი მდებარეობს. რაც ვენეციის, ამსტერდამისა და პეტერბურგის ხიდების საერთო რაოდენობას უდრის.

• ავსტრალიის დედაქალაქი 2 უდიდესი ქალაქიდან — სიდნეი, მელბურნი — ერთ-ერთი უნდა გამხდარიყო. ავსტრალიის ხელისუფლებამ ორიგინალური გადაწყვეტილება



მიიღო და დედაქალაქის სტატუსი ამ ორი დიდი ქალაქის შუაში მდებარე პატარა ქალაქ — კანბერას მიაკუთვნა.

• აინშტაინს ვიოლინოზე დაკვრა უყვარდა და ერთხელ, გერმანიაში გამართულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა. მეორე დღეს ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი წერდა, რომ კონცერტზე შეუდარებელი ვირტუოზი-მევიოლინე ალბერტ აინ-

• 1971 წელს „აპოლონ 15“-ის კოსმონავტებმა მთვარეზე ძეგლი აღმართეს, რომელზეც გარდაცვლილი ასტრონავტების სახელებია წაწერილი.

შტაინი გამოვიდა. მეცნიერი აღფრთოვანებული იყო ჟურნალისტის შეფასებით და მეგობრებს დიდხანს აწონებდა ამ სტატიით თავს. ■



„გამომცემლობა ვალიტრა L“-ის ახალი წიგნები

ჩემი პირველი დღიური



პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე ასაკამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99

რად აქვს ჯერდღელს მოკლე ჯული?



თქვენ, ალბათ, ფიქრობთ რომ ჯერდღელს ყოველთვის მოკლე ჯული ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მეტას მსგავსად გრძელი და ფაფუკი ჯული ამშვენებდა? ნაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი, და შეიტყობთ რატომ აქვს ჯერდღელს მოკლე ჯული!

სიახლე!

ფასი: 7.99

გიო აფრიკაში




ნაიკითხეთ ეს წიგნი და იმოგზაურეთ აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდებით მარმელადის მოყვარულ მარგორქას; ველურ ჯუნგლებში აღმოაჩენ მალაზია „ნილოსს“, გაივინობ ზანგების ბელადს. ასე რომ, წინ საინტერესო თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობა გელით!

სიახლე!

ფასი: 7.99

გრანდიოზული ნაგებობები



ნაიკითხეთ ეს წიგნი და გაიგეთ, როგორ შენდებოდა პირამიდები, ტაძრები, აკლდამები, ცათამბხენები, ჯამსლები, კოსმოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეიტყვეთ ამ ნაგებობებთან დაკავშირებული საიდუმლოებები.

სიახლე!

ფასი: 16.99

მოაფრეთ პატარას სმოჯანი წიგნი



ამ სმოჯან წიგნს, პატარები მაშინვე შეიყვარებენ. მხიარული ხმები კი, რომელსაც ჩანართების გადაშლისთანავე გაიგონებთ, ბავშვებს და მათ მშობლებს მეტად გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 15.99

თქვი სიმართლა



ამ წიგნის წაიკითხვის შემდეგ ბავშვები მიხვდებიან, თუ რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყველაზე უწყინარ ტყუილსაც კი, რატომ არის ტყუილის თქმა ცუდი საქციელი და რატომ არის საჭირო სიმართლის თქმა ყველგან და ყოველთვის.

სიახლე!

ფასი: 8.99

ჭიამაიას გაჩვითილაბი



გადაშალეთ წიგნი და გაჰყუვიოთ ჭიამაიას... თითოეულ გვერდზე დასმული კითხვები კი პატარებს გაახალისებს და სიამოვნებით უპასუხებენ.

სიახლე!

ფასი: 7.99

დათუნის ძილის დროა



წიგნი ყველაზე პატარებისათვის, სადაც მოთხრობილია დღიკო დათუნისა და მისი ბულის ამბავი, რომელიც პატარებს ძლიერ გაახალისებს.

სიახლე!

ფასი: 7.99

ინტელექტი დანაშაულის წინააღმდეგ



ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ, როგორ ხდება დანაშაულის გამოძიება. რა არის ბალისტიკა, კიბერდანაშაული, რით აიხსნება უჩვეულო და დაუჯერებელი მოვლენები! როგორ ეკეთენ გვამს, რას იკვლევენ დნმ-ის ანალიზით...

სიახლე!

ფასი: 16.99

წიგნები სახლში მიტანით ფასნამაბის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!



„შველს ვერ მოვკლავ, მისოდება“

მისთვის გამორჩეულად საყვარელი ჟანრი დეტექტივა. ბოლო დროს სქელტანიანი ნაწარმოებების წასაკითხად დრო ნაკლებად რჩება, სამაგიეროდ, ყოველთვის ინტერესით ეცნობა პრესას. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშნია“ მისი საყვარელი ნაწარმოებია, ყოველთვის იცის, რომელ თაროზე დევს და ზოგიერთი ადგილი მონიშნულიც კი აქვს. კითხვაზე — წიგნი მოუპარავს თუ არა? მცირე პაუზის შემდეგ ღიმილით მპასუხობს: — ერთხელ, ჩემს მეგობარს სალვადორ დალის ალბომი მოვპარე, ძეხნა რომ დაუწყო, მერე გამოვუტყდი, რომ მე მოვიპარე. „ერუდიტის“ სტუმარი მსახიობი — ტრისტან სარალიძე გახლავთ.

თაშუა კინიკაპი

პრაგმატული ავგიერ

— ბატონო ტრისტან, პრესაში როგორი თემატიკის სტატიებს ეცნობით?

— ჟურნალ-გაზეთებს თითქმის ყოველდღე ვეცნობი. ვკითხულობ როგორც პოლიტიკურ, ასევე — „ყვითელ“ სტატიებს. ხელოვანი ხალხის ინტერვიუები ერთმანეთს ძალიან ჰგავს...

— ლიტერატურული პერსონაჟებიდან თქვენთვის გამორჩეულად საყვარელი გმირი რომელია?

— ძალიან მომწონს დონ-კისოტი, მინდოდა ეს გმირი მეთამაშა, მაგრამ რთული და საფრთხილია.

— სკოლაში კარგად რომელ საგანს სწავლობდით?

— ალგებრა არ მესმოდა. არადა, მასწავლებელი, რომელიც ამ საგანს მასწავლიდა, მიყვარდა, სულ მეუბნებოდა: — ტრისტან, ამ ცოდნით შორს ვერ წახვალ... წლების შემდეგ კი არგენტინიდან წერილი გამოვუგზავნე: — ამაზე შორს, სადღა წავიდე-მეთქი (იციინის)? მიყვარდა ლიტერატურა, გეოგრაფია, ისტორია...


— ამ რუბრიკაში სტუმრობას რესპონდენტები ხშირად გამოცდაზე გასვლას ადარებენ. გამოცდებთან დაკავშირებით როგორი მოგონებები გაქვთ?

— როცა თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდებს ვაბარებდი, მსახიობის ოსტატობაში კარგი შეფასება მივიღე. მაშინ ქალაქში ახალი ჩამოსული ვიყავი, სახლი არ მქონდა. 2 დღის შემდეგ გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში მქონდა, 10 კაცი იყო მისაღები (ჯგუფი ლილი იოსელიანს უნდა აეყვანა). რატომაც დღეები ამერია, და ინსტიტუტში, ჩემი ჭკუით, ქართულის გამოცდაზე რომ მივედი, მითხრეს: — გუშინ უნდა ჩაგებარებინა, რატომ არ გამოცხადდი? ვინ-ერვიულე და ინსტიტუტის მაშინდელ რექტორთან — ეთერ გუგუშვილთან მოვახერხე შესვლა. ლილი იოსელიანიც იქ დამხვდა. — რაშია საქმეო? — მკითხეს. ჩემი მდგომარეობა აუხსენი, ქალბატონმა ლილიმ მიცნო, წინა გამოცდიდან ვახსოვდი. მოკლედ გამონაკლისის სახით გამოცდაზე დამიშვეს, ოღონდ, სარეჟისორო ფაკულტეტის აბიტურიენტებთან ერთად. მაშინ გია მატარაძე და თემურ ბაბლუანიც აბარებდნენ (სამსახიობო ფაკულტეტი უკვე დამთავრებული ჰქონდათ). ამ ადამიანების ფონზე, ყველაზე უცოდინარი გამოვჩნდი, 3-იანი მივიღე, მაგრამ მაინც ჩავირიცხე თეატრალურ ინსტიტუტში.

— საბერძნეთში არის მდინარე, რომელიც 6 საათის განმავლობაში, ეგეოსის ზღვაში ჩაედინება, ხოლო მომდევნო 6 საათის განმავლობაში — პირიქით. როგორ ხსნიან ამას მეცნობები?

— ჰო, ამის შესახებ მსმენია. ეს ეგეოსის ზღვაში მიქცევა-მოქცევის გამო ხდება.

— ის 1899 წელს ნეაპოლში დაიბადა. ნამოიზარდა



თუ არა, ოჯახის წევრებთან ერთად, ბედის საძებნელად, ნიუ-იორკში გაემგზავრა, მალე კრიმინალურმა სამყარომ ჩაითრა, თავიდან „დამხმარე ბიჭად“ იყო, მაგრამ მისი „ნიჭი“ მალე შეამჩნიეს და კვალიფიკაცია შეუცვალეს. 1929 წელს სამართალდამცავებმა დაიჭირეს და იარაღის ტარებისთვის 10 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ციხეში ის შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა, მეორედ ბრალი გადასახადების გადაუხდელობისთვის წაუყენეს...

— (მანყვეტინებს) ვხვდები, ვისზეც არის ლაპარაკი, მაგრამ კითხვას ბოლომდე მოვისმენ.

— მან ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვა შეძლო, მაგრამ მსაჯულები პროცესის წინააღმდეგ შეუცვალეს და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. დაასახელებთ ვისზეა ლაპარაკი?

— ალ კაპონეზე.

— როგორი ქვა არ შეიძლება იყოს მდინარეში?

— (იციინის) მშრალი.

— ამ ცნობილი ადამიანის ბაღში, ეს ხე ერთადერთი მცენარე იყო. 1820 წელს მას მეჩხე დაეცა. მალე იმ ხისგან სავარძელი გააკეთეს, რომელიც ინგლისში კერძო კოლექციონერთან ინახება და ფასდაუდებელ რელიკვიას წარმოადგენს. დაასახელებთ ეს პიროვნება და იმ ხის ვიზი.

— როგორ უნდა გამოვიცნო?

— მინიშნებას გეტყვით, ეს ადამიანი ფიზიკოსი იყო.

— აგაშენოს ღმერთმა, მივხვდი, ნიუტონსა და მის ვაშლის ხეზეა ლაპარაკი.

— „ჩემს გალაკტიონს მე ვკითხე ერთხელ/ ის



მთვრალი იყო, როგორც ყოველთვის/ — ბატონო გალაკტიონ, თქვენ პირველი ხართ/ დაგვისახელოთ მეორე პოეტო.../ უცებ წინკებით გავესო თვალი —/ თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი/ — საქართველოში? — ჩაიქრქალა/ და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...“ ვინ არის ამ ლექსის ავტორი?

— მურმან ლებანიძის მგონია.
— ნამდვილად ასეა. მსოფლიოში არის 42 ქვეყანა, რომელსაც ზღვაზე გასასვლელი არა აქვს, მათ შორის ყველაზე პატარა ვატიკანია. დაასახელოთ ყველაზე დიდი ქვეყანა.

— უნდა დავფიქრდე და გიპასუხებთ (პაუზის შემდეგ), ყანახეთი მგონია, თუ მასზე დიდი კიდევ რომელიმეა?

— სწორად მიპასუხეთ. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ინგლისელების რაცია და საკაბელო კავშირი მწყობრიდან გამოდიოდა, საქმეში გერმანელ სნაიპერთა სპეციალური რაზმები ერთვებოდნენ. რით იყვნენ სნაიპერები დაკავებულები?

— საფოსტო მტრედებს ხოცავდნენ.

— 1910 წლის 15 აპრილიდან მატარებლის გასვლის შეფერვების გამო, ის საფრანგეთის რკინიგზის სადგურზე აკრძალეს. დაასახელოთ რა აკრძალეს?

— მგზავრების გაცილება.

— ცდებით, მაგრამ ეს გაცილებას თან ახლავს ხოლმე.

— ხვევნა-კოცნა?

— დიას. 1937 წელს ქართველებმა საუკეთესო ქართველი პოეტი და პროზაიკოსი დაასახელეს. პოეტებიდან რჩეული გალაკტიონი. მწერლებიდან?

— კონსტანტინე გამსახურდია.

— ყველა თვე გარდა თებერვლისა, 30 ან 31 რიცხვით მთავრდება, რომელ თვეშია 28 რიცხვი?

— თებერვალში, ზოგჯერ ეს თვე 29-ითაც არის.

— ბატონო ტრისტან, მგონი, დაიბნეთ.

— სწორად არ გიპასუხე? გთხოვ, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), აბა, რა უნდა მეთქვა? ა! მიგიხვდი ემშაკობას, 28 რიცხვი ყველა თვეშია (იციინის).

— ერთმა ბრიტანულმა კლუბმა გამოსცა პლაკატი, რომელზეც ეწერა: „ღმერთმა შექმნა არც ისე ბევრი სრულყოფილი თავი, ხოლო დანარჩენები მან დაფარა თითო“. ვინ არიან ამ კლუბის წევრები?

— ალბათ მელოტები, თუ ამ კითხვაშიც რაღაც ემშაკობა იმალება?

— არა, ეს სწორი პასუხია. რა ერქვათ მარამ ღვთისმშობლის მშობლებს?

— ვერ ვიხსენებ.

— იოაკიმე და ანა. „უცხოელები „გენაცვალეს“ და „შენი ქირიმეს“ იმიტომ ვერ თარგმნიან, რომ ამ გამოთქმის შესატყვისი განცდა არ გააჩნიათ, თორემ მათი ენა ქართულზე ღარიბი როდია“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— მომენონა, მაგრამ ავტორს ვერ დაგისახელოთ.

— მიხეილ ქელივიძე ამის მიზეზი შეიძლება იყოს დღესასწაულები, შესვენებები, ყინვა, ქორწილი, ნადირობა, შეიძლება, ეს უმიზეზოდაც გააკეთო. რაზეა ლაპარაკი?

— (ფიქრობს) ღვინის დაღვევაზე ხომ არა?

— გამოიცანით. ნადირობა გიყვართ?

— არა, ლამაზი შევლი დავინახო, ვესროლო და მოვკლა, არ შემიძლია. ეს ჩემზე ცუდად მოქმედებს.

— თუ ბერძენ მონადირეებს დავუჯერებთ, ბოლო დროს ფრინველები გაეშმაკდნენ, საშემოდგომო გადაფრენის დროს ისინი ცდილობენ, საბერძნეთს ორშაბათობით გადაუფრინონ. ბერძენების აზრით, რატომ აირ-

ჩიეს მინცდამინც ეს დღე?

— ალბათ, რაღაც აკრძალვასთან არის დაკავშირებული, ზუსტად არ ვიცი.

— დიას, ამ დღეს საბერძნეთში ნადირობა აკრძალულია. რა ჰქვია მონეტის წინა მხარეს?

— (ფიქრობს) ვიცოდი და ვეღარ ვიხსენებ.

— მიგანიშნებთ, უკანა მხარეს რევერსი ჰქვია.

— წინას — ავერსი.

— ეს კავშირი 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა და 1991 წლის 26 დეკემბერს დაიშალა. რომელ კავშირზეა ლაპარაკი?

— საბჭოთა კავშირზე.

— რომელ ქვეყანაში მდებარეობს ევროპის გეოგრაფიული ცენტრი?

— არ ვიცი.

— უკრაინაში. ეს მწერალი 1828 წლის 28 აგვისტოს „იასნაია პოლიანაში“ დაიბადა. თბილისში 1851 წელს ჩამოვიდა და აქ ორ თვეზე მეტხანს დაყო. „არ ვიცი, არის თუ არა კავკასია შთაგონების ქვეყანა, მაგრამ იგი უჭკველად სიყვარულის ქვეყანაა“. აღნიშნავდა ერთ-ერთ ნერილში. დაასახელოთ ეს მწერალი.

— ლევ ტოლსტოი.

— დაბოლოს, დაასრულოთ ჰოლბახის ცნობილი გამონათქვამი: „ცხოვრება ის დღეები როდია, რომლებიც წავიდა, არამედ ისინი, რომლებიც...

— რომლებიც მოდიან.

— „...რომლებიც დაგვამახსოვრდა“.

ისტორიულ-შეხვედრებითი ჟურნალი



მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშია



ბონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაქნარ გავაჩვენოთ თვალი

- დაასრულეთ მისილი ზადორნოვის სიტყვები: „ასაკის მატებასთან ერთად ქალები კოსმეტიკით ინუგეშებენ თავს, მამაკაცები — ...“.
- რომელ ამერიკელ მწერალს ეკუთვნის სიტყვები: „ხანდახან ვფიქრობ, იქნებ ჯობდა ნოეს თავის კიდობანზე ასვლა დაპგვიანებოდა-მეთქი“?
- „ცუდად ვიყავი გუშინ, ვკვდებოდი, ალბათ მიგონებს ახლა ზოზია, გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია“, — წერდა ტერენტი გრანელი. ვინ იყო ზოზია?
- დაასახელეთ სახალხო რესპუბლიკა, რომლის სახელმწიფო გერბზე ავტომატი „კალაშნიკოვია“ გამოსახული.
- თურქული ლირას ნებისმიერი ნომინალის კუპონურაზე ამ ადამიანის პორტრეტი გამოსახული. დაასახელეთ იგი.
- ვის ეკუთვნის სტრიქონები: „ლამის ცხოვრებამ მე ჩემი მიყოს, უსაზღვროდ მტანჯავს კაცის გვარ-ტომი! — ყველას სურს სხვისი ბატონი იყოს, ერთიც არ არის თავის ბატონი?“
- ლენინის მიხედვით, რა მოიმოქმედა წინასწარმეტყველმა მუჰამედმა, მისი მოსახლამის კალთაზე მთვლენარე კატა რომ არ გველვიტებინა?
- რა ერქვა პლატონს სინამდვილეში?
- გადმოცემით, ებრაელ ჯარისკაცებს ქონით გაპოხილი და გაპრიალეული ფარები ეჭირათ. რატომ?
- ვის ეკუთვნის გამოთქმა: „საქართველო ნიკოფსიიდან დარღუბალამდე“?
- ვის ეკუთვნის სიტყვები: „ის, ვინც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავისუფლებაზე თქვა უარი, ერთსაც დაკარგავს და მეორესაც“?
- როგორ ადამიანს ეძახიან „ოტროვლას“?
- რა არის „ბინი“?

ანექლოცენი



* * *

დირექტორი თავის ხელქვეითს ემშვიდობება, რომელიც სხვა სამუშაოზე გადადის.

— იცით, ძალიან შეგეჩვიეთ... ჩემთვის შვილივით იყავით... მასავეით უპასუხისმგებლო, ზარმაცი, მოუწესრიგებელი...

* * *

ნაწყვეტი სუფრასთან მოქცევის წესებიდან:

„ჩანგალი 4 კბილით ხორციისა და გარნირისთვის არის განკუთვნილი; 3 კბილით — თევზისთვის; 2 კბილით — ხილისა და დესერტისთვის. ხოლო ჩანგალი, რომელსაც მხოლოდ 1 კბილი აქვს — დანაა“.

* * *

კითხვა:

— რა უნდა მოიმოქმედოთ, როცა თქვენ მოპირდაპირე მხარეს პატარა მწვანე კაცუნას ხედავთ?

პასუხი:

— ქუჩაზე უნდა გადახვიდეთ.

* * *

მთავრობამ გამოუშვა საიუბილეო მონეტა ნომინალით: „ერთი მინიმალური ხელფასი“.

* * *

მამაკაცი იარაღის მალაზიაში რევოლვერის ყიდვას აპირებს.

— რისთვის ყიდულობთ? — ეკითხება გამყიდველი.

— საგადასახადოს ინსპექტორი უნდა მოვკლა, გამიმწარა სიცოცხლე.

— თქვენი ნებართვით, ერთ რჩე-

ვას მოგცემდით: მოდი, ეგ საქმე სვალისთვის გადადეთ.

— რატომ?

— დღეს ძალზე გაღიზიანებული ჩანხართ და შესაძლოა, მიზანს ააცილოთ.

* * *

ადამსა და ევას იდეალური ცოლქმრობა ჰქონდათ. ადამს ტვინს არავინ უხვრეტდა იმ მამაკაცთა ჩამოთვლით, რომლებსაც ევამ, უკეთესი მუულის მოლოდინში ცოლობაზე უთხრა უარი. ევას კი არავინ უყვებოდა, თუ რა გემრიელ კერძებს ამზადებდა დედამისი.

* * *

ქართველი და სომეხი საუბრობენ:

— ფანტასტიკური სარეცხი მანქანა ვიყიდე. სარეცხს რეცხავს, წურავს და რაც მთავარია, საერთოდ არ ხმაურობს, — ტრაბახობს ქართველი.

— ჩემი თვითონ ასხამს წყალს, ყრის ფხენილს, რეცხავს, წურავს კიდევ, ოღონდ ხანდახან მაგრად ხმაურობს, — არ ჩამორჩა სომეხი.

— სადაური წარმოებაა?

— ვინა, ტო, ჰაიკანუშა? ადგილობრივი წარმოებაა, ჯანა, ადგილობრივი!..

* * *

დიასახლისი სტუმრებს:

— რა ამბავია ამდენი საჩუქარი, რატომ იხარჯებოდით! არ სჯობდა, სხვა ფორმით გამოგეხატათ პატივისცემა და თავად არ მოსულიყავით?..





გონების საპარჯიშო

„მზის“ ერთჯადი მართხვალისათვის

(პასუხები)

1. „იუმორით“.
2. მარკ ტვენს.
3. პოეტის და.
4. მოზამბიკი.
5. მუსტაფა ქემალ ათა თურქი.
6. გოეთეს.
7. დანით მოიჭრა ეს კალთა და ფეხზე ისე წამოდგა.
8. არისტოკლე. მეტსახელი „პლატონი“, რაც განიერს ნიშნავს, მას ტანვარჯიშის მასწავლებელმა ფართო მხარბეჭის გამო შეარქვა.
9. რათა მათზე არეკლილ მზის სხივებს ეგვიპტელ მეეტლეთათვის მოეჭრა თვალი.
10. კოტე ყუბანეშივილს.
11. ბენჯამინ ფრანკლინს.
12. ხეპრეს, ტლანქს, რეგვენსა და შეუსმენელს.
13. ზნეობრივი მანკი.

მამილო კარლო ბურატინოს ეუბნება:

— შვილო, ხომ გინდოდა საახალწლოდ რაიმე ცხოველი? რა მოხდა, არ მოგეწონა საჩუქარი?

— ლეკვი მინდოდა, ან — კნუტი...
— ჰო, მაგრამ ზოგჯერ ბავშვი ვერ იღებს სწორედ იმ საჩუქარს, რაც გულით უნდა.

— გასაგებია, მაგრამ ეს თახვი, რალაც ცუდად მიყურებს...

დარეკა დედამ. 58 წუთი ვისმენდი, თუ როგორ გადაერგო ყვავილები ახალ ქოთანში.

დარეკა ბავშვობის მეგობარმა. 42 წუთი ინუნუნა, თუ როგორ გაძვირდა სათამაშოები და რა კარგი იყო ქვიშაში თამაში.

დარეკა ცოლმა. 23 წუთი ვუხსნიდი, როგორ გამოიცვალა დაშვებული საბურავი.

დარეკა ვილაც უცნობმა. 12 წამი... ნომერი შეეშალა.

დარეკა უფროსმა. ხმა ვერ მომანვდინა...

ლამით გემი ნისლში მიცურავს. კაპიტანი ბაქსზე დგას. ხედავს წინ სინათლეს. კაპიტანმა მეგაფონი მოიმარჯვა:

— ლაპარაკობს ადმირალი ჯონსონი! დაუყოვნებლივ შეცვალეთ კურსი!

— ლაპარაკობს რიგითი სმიტი! თავად მოგინევთ კურსის შეცვლა! — ისმის პასუხად.

— რიგითო სმიტი, სანამ გვიან არ არის, გონს მოეგეთ! მე სამხედრო კრეისერის კაპიტანი ვარ!..

— მე კი — შუქურას დარაჯი!

— ჩემს შეყვარებულს საახალწლო საჩუქარი ნაძვის ხის ძირას დაუტოვე!

— მერე?
— დგას და ახლაც ეძებს... ხომ იცი, რამხელაა ტაიგა!..

ცოლ-ქმარი ზღვაზე მიდის დასასვენებლად. გზაში ცოლი აყვირდა:

— მანქანა მოაბრუნე, უთო დამრჩა ჩართული, მთელი სახლი დაინვება!

— ნუ გეშინია, არ დაინვება, სააბაზანოში ონკანი დამრჩა ღია.

— ვისაც ქალები სუსტი სქესის წარმომადგენლები ჰგონია, ერთი სცადოს და, ლამით საბანი საკუთარ მხარეზე გადაქაჩოს!

ცოლ-ქმარი ლიფტში ახალგაზრდა

გოგოსთან ერთად მგზავრობს. უცბად გოგო მოტრიალდა და მამაკაცს სილა გაანწნა:

— არც კი გრცხვენიათ, ცოლის მაინც მოგრიდებოდათ!..

ლიფტი გაჩერდა. გოგონა გამოვიდა. გაოგნებული ქმარი თავს იმართლებს:


— ძვირფასო, ყველაფერს ვფიცავარ...
— კარგი, ნუ ნერვიულობ... მე მოვთათუნე ხელი...



— აუ, რა ტექნიკა ვნახე!.. კლავიატურა პირდაპირ პრინტერზეა მიერთებული და პროცესორის გარეშე მუშაობს. არც დრაივერი სჭირდება და არც ელექტროენერგია!

— საბჭადი მანქანა ნახე, შედეგენერატო?..

რენიფორსო მანაა





ჰოროსკოპი

10-16 მარტი

ვეჩორი

შესაძლოა, საოჯახო საქმეებმა დიდი დრო და ენერჯია წაგართვათ. თუ არ გასურთ, ცუდი რეპუტაცია შეგექმნათ სამსახურში, კოლეგასთან სასიყვარულო ურთიერთობას ნუ გააბამთ.

კუჩრი

თუ გასურთ, ნაყოფიერად დაისვენოთ, საყვარელ ადამიანთან ერთად განმარტოვდით. რამდენიმე დღით მაინც დაივიწყებთ მოსაწყენი ყოველდღიურობა.

ღმრთობა

სამსახურში ახალი პროექტის განხორციელებას დაგავალდებენ. კვირის ბოლოს რომანტიკული შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს ცხოვრებას რადიკალურად შეცვლის.

კარგის დღე

სიურპრიზებითა და საჩუქრებით დატვირთული პერიოდი დაგიდგებათ. მეგობრები და ოჯახის წევრები ნებისმიერ სურვილს აგისრულებენ.

ღამე

ახალი იდეები გაგიჩნდებათ. კოლეგების დახმარებით მათ განხორციელებასაც შეძლებთ. მოზღვავებული ენერჯის წყალობით, ყველაფერს მოაგვარებთ.

ქაღალდი

შესაძლოა, დანაზოგით ახალი ბინის შეძენა შეძლოთ. ოჯახის წევრები და მეგობრები ყველაფერში დაგეხმარებიან — ახალ სამსახურს შემოგთავაზებენ. დაუფიქრებლად არ იმოქმედოთ.

სახსრობა

საქმეების გამო ნუ დაივიწყებთ ოჯახსა და საყვარელ ადამიანს. მათთან ერთად მეტი დრო გაატარეთ. არ არის გამორიცხული, ახალი სამსახური გამოგიჩნდეთ.

მომხდომი

საყვარელ ადამიანს ნუ მოატყუებთ, თორემ მისი დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგებით. უმჯობესია, საკუთარ გრძნობებში გაერკვეთ და საბოლოო გადაწყვეტილება აცნობოთ.

მშვიდი დღე

სწავლის გასაგრძელებლად შესაძლოა, შანსი მოგეცეთ. კარგი პერიოდი საკუთარი ბიზნესის წამოსაწყებად, ახალი იდეების განხორციელებლად.

ოხრის რვა

საქმიანი შეხვედრებითა და მოლაპარაკებით დატვირთული კვირა გელით. ყურადღებით მოეკიდეთ იურიდიულ საბუთებს.

მედიუმი

სასიამოვნო ნაცნობობა საქმიან პარტნიორობაში გადაიზრდება. ახალი თანამოაზრეების დახმარებით უამრავ იდეას შეასხამთ ფრთებს.

თამაშობა

წვეულებაზე მსიარულება და ახალი ნაცნობობა გელით, რაც შესაძლოა, რომანტიკულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

ზოდიაქოს მოგზაური ნიშნები

ვერძი აქტიური დასვენება უყვარს. გარშემო მყოფებს აიყოლიებს და სხვადასხვა ექსკურსიასა და სპორტულ შეჯიბრებას მოაწყობს. ესპანეთში შესაძლოა, მხოლოდ კორიდის სანახავად გაემგზავროს. დასვენების დროსაც მზადაა რომანტიკული თავგადასავლებისთვის. შესაძლოა, მთელი ფული აზარტულ თამაშებზე დახარჯოს.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — ინგლისი, იტალია, გერმანია, დანია, ესპანეთი, სირია.

კურო უმაღლესი კლასის სასტუმროს ლუქს-ნომერში გაჩერდება, ქალაქის საუკეთესო რესტორანში ისადილებს და მდიდრულ მანქანას დაიქირავებს. სიამოვნებით დაათვალიერებს ღირსშესანიშნაობებსა და მუზეუმებს. გაურბის ხალხმრავალ ადგილებს. უყვარს ბუნებაში განმარტოება და ფიქრი.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — ირლანდია, პოლონეთი, ავსტრალია, შვეიცარია.

ტყუბუ ერთ ადგილას დიდხანს ვერ ჩერდება. ურჩევნია, შვებულების

დროს რამდენიმე ქვეყანა მოინახულოს. უყვარს მეგობრებთან ერთად დასვენება. ახალ ქვეყანაში ჩასვლამდე, ცდილობს, მაქსიმალური ინფორმაცია მოაგროვოს მის კულტურასა და ისტორიაზე. უყვარს ფლირტი და შვებულების დროს რამდენიმე პარტნიორს იცვლის.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — ინგლისი, კანადა, ეგვიპტე, იტალია.

კირჩხიბი ზღვისპირა ქალაქებში სიამოვნებს დასვენება. თევზაობისა და ნავით სეირნობისას ემოციურად მშვიდდება. კირჩხიბი გურმანია და შვებულებიდან წონაში მომატებული ბრუნდება. ყოველთვის ოჯახთან ერთად ისვენებს, მაგრამ არც ხანმოკლე ფლირტზე იტყვის უარს. უყვარს საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა და საუბარი.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — თურქეთი, შოტლანდია, ავსტრალია, ჰოლანდია.

ლომი მეგობრებთან ან ოჯახთან ერთად ისვენებს. სიამოვნები-

სთვის ფულს არ ზოგავს. უყვარს თეატრში, კარნავალებსა და კაზინოებში სიარული. ცდილობს მეგობრების გამხიარულებას. საკურორტო რომანმა შეიძლება, ყველაფერი დააგინყოს. გადასაადგილებლად ძვირფას ავტოს იქირავებს, საუკეთესო რესტორანში ისადილებს და მოდურ ბუტიკებში შეიმოსება.


დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — საფრანგეთი, ჩეხეთი, იტალია, სლოვაკეთი, უნგრეთი.

ქალწული დასვენების დროსაც კი ჯანმრთელობასა და სწორ კვებაზე ფიქრობს. დილაობით აუცილებლად ივარჯიშებს, გაიცნობს სხვა დამსვენებლებს. დაქორწინებული ქალწული შვებულებას ბავშვების გარეშე გაატარებს. რომანს არ გააბამს, ფულს არ გაფლანგავს. შინ დასვენებული და გამოჯანმრთელებული დაბრუნდება.

დასვენებისთვის საუკეთესო ქვეყნებია — საბერძნეთი, ჩეხეთი, კანარის კუნძულები.
გაგრძელება შემდეგ ნომერში



	1. ამერიკის შტატი									
	2. ნიკარაგუის დედაქალაქი				3. ბუნებრივი ნიმუში		4. ყურანის ცალკეული თავი	5. სრული უწყისობა, ქაოსი		
	6. უდიდესი სიამოვნება									
	7. პროფესიონალი მონადირე							8. უცხო სახელმწიფოს ფული		
							9. მიმატების შედეგად მიღებული რიცხვი	10. თხის ჯოგი		
11. ჩხირისებრი ბაქტერია					12. ტაძარი თბილისში.	13. საჯინბო				
14. პუჩინის ოპერა					15. შხამანი გველი					16. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
17. არაბული ქვეყანა					18. კურკოვანი ხილი					
19. ვიეტნამის დედაქალაქი							20. საინფორმაციო საშუალებანი			
21. ქართული კონიაკი			22. ქვეყანა ევროპაში	23. ოფიცრის წოდება	24. პარიკმახერი					
							25. სათევზაო მოწყობლობა			
26. აზიური სურვილი	27. ჭური	28. ქვეყანა ცენტრალურ ამერიკაში			29. გარეული ღორი				30. გამსახურდიას ნოველა	
	31. რომის პაპის რეზიდენცია									
									32. პერუს დედაქალაქი	
	33. რუსული თვითმფრინავი	34. ესპანელი ჩოგბურთელი								
	35. სამშენებლო მასალა									
		36. ხელოვნების დარგი								
	37. პატარა სარწყავი არხი	38. მკათათვე								



წინა ნომრის სკანოვრლის პასუხები 1. კაპრონი; 2. პრადო; 3. ბოლერო; 4. ნუკრი; 5. კავალერია; 6. ლეზანი; 7. ვიი; 8. ღირჰაიმი; 9. ობობა; 10. მსმენა; 11. მატრიკული; 12. კანცლერი; 13. კაეშანი; 14. შერემეტევი; 15. მარანი; 16. ბეი; 17. სიტი; 18. ნომერი; 19. ლიბერია; 20. ცემენტი; 21. არენდა; 22. ტუნიკა; 23. სტატუა; 24. მანე; 25. ოლე; 26. რექტორი; 27. ენა; 28. ლიმა; 29. ლეკან; 30. ჯორჯია; 31. იანუსი; 32. ბაპრეინი; 33. ობი; 34. ბჯა; 35. აუჯანდი; 36. სურდო; 37. ღონ; 38. ოსლო; 39. სინდისი.
სურათებზე: 1. კაირა ნაიტლი; 2. ჯასტინ ბიბერი.

სურსათი „ისტორიანი“ წარმოგიდგინათ!

საქართველოს საპატენტო ისტორიული რომანი, სრული ვერსია 8 ნაწილად
შესაბუთის საბჭოთა ცანჯურის მიერ ამოღებული მონაკვეთებით

წიგნი I
კონსტანტინე
გამსახურდია

ცაილი
ჯიქაშენებელი
წიგნი 1

„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ
მიიღოთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ნაწილი (წიგნის ფასი 3 ლარი)

აკდილ-h სიროფი

ოთხფურცელა მარწყვბალახა, დარფილიფი, ადჰალტა ვასიკა, ძირტკბილა

მხანარაული ამოსახველბელი საშუალება
ამსირბს:

- სველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქბუნი ნახველის შებუბბას

სამპურნალო საშუალება მთელი ოჯახისათვის

აკდილ-h

აქანბა ფარმა ლიმიტბილი, ინლოთი

PSP №1
ჩვენი ოჯახის აბთიაკი
აბზახინბლს ბაბუ. 1489

გამოყენბის წინ გაეცანიო ინსტრუქციას. გვერდით მოვლენბებზე დეტბლური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექმს.

მიმბთან პირველი ვიზიტი უზასოა!

ELOS პეილასცია

ტბრბთმიანბბისგან ვათავისუფლებბ სწრბფბდ და უბტკივნეულბდ;
XXI საუკუნის უახლესი ტექნბლოგია;
ბანბმედრბვე, უსაფრბბბ და ეფექტური მეთბდი.

ELOS ბანბალბაზრბა

დაიფიწყეთ ნბტბები, პიგმენტური და სისნლბბრბეფბნბ
ლბქბბი;
ბლიდგინეთ კანის ბუნებრბივი სილბმბბუ;
გბლბმბზბდიო ქბბრუბგიული ბანბს და ბნექციებბს გბმბუყენებლბდ.

მებბ-ბებრბბბბ სახესბ და სხეულბუ: ბიბრბევიტბლი-
ზბცბბ, ლბფტბნგი, ლბპბბდბსტრბფბბ, ბმბბ
სტრუქტურბს ბლდგენბ და მკურნბლობბ;
პბმბეთებრბბბ და აუტბპბმბთებრბბბ;

ELOS ყოველი მისამე პროცედურბ სარეზრბდ!

- კბბტურბული პლბსტიკბ პბბლურბბნბს გელიოთ;
- ბენეს მკურნბლობბ;
- კანბს გბბბბლბზრბდბგებბ ნბტურბბლური პბბ-
დუქციბბს გბმბყენბბბ;
- ბბტურბლქსბბბს მეთბდიო ნბტბებბს გბსწბრბებბ.




Oxford MEDICAL
PRIVATE CLINICS

ბილბბბბ 29 00 66
ჩბბბბბ 29 47 47

ELOS პეილასცია – ბბბს მბბბლბბბ
სნრბუბდ ბბ ხბრბსბბბბბ
ყველბუბ ბბბბბბბბბბ და
უზბბბბბი მბბბბბ

6.57/10



ჩარლზ დიკენსი
ღვიძრე
ყოველთაა




წიგნი


რომალიც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

28 მარტიდან –
4 აპრილამდე

11-დან – 18
აპრილამდე




ეხიხ მახია ხემახი



ფიქციუ ბეგბეფი

2-დან – 9
მაისამდე



ეგახ ჰო

და სხვა დიდ
წიგნები...
ყოველ მარტში
"წიგნის სანდოების" -
ერთად!

14-დან – 21 მარტამდე

წიგნი 9
ჩარლზ დიკენსი
„დავიდ კოვარფილდი“


მხოლოდ „კვირის პალიგრის“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უხვე ბამოსანი ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი,
შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი,
მიხაილ ბუღაკოვი, ოსკარ უაილდი შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის
მალაზიები!

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ თითო გომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელპა.ჯი

ფოტოკუჩიონები



ფრთები

ბარკალი

კუჭი

ღვიძლი

კვერცხი

ქათმის ფილა

ნეღლი ქათამი

გაყინული ქათამი

საბულიონე ნაკრები



დღევანდელი პროდუქტი
ჩვენთვის და ჩვენი ბავშვებისთვის